

მანანა ტუსკია

**სახელთა აზიქსური წარმოება
ასალ სალიტერატურო ქართულსა
და დიალექტებში**



თბილისის უნივერსიტეტის ზემოთმცემლობა
თბილისი 2004

უბკ (UDC) 809. 463.1 - 801.5

ტ 932

ნაშრომში განხილულია სახელთა წარმომქმნელი აფიქსების ფუნქციები, გავრცელებულობა და ფუძეებთან მიმართების წესები ახალ სალიტერატურო ქართულსა და მის დიალექტებში.

წიგნი გამოადგებათ დამხმარე სახელმძღვანელოდ ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებს.

რედაქტორები: ე. ბაბუნაშვილი
თ. უთურგაიძე

რეცენზენტები: + კ. დანელია
შ. აფრიდონიძე

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2004

© მ. ტუსკია

ISBN 99940-20-34-X

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ახალ ლექსიკურ ერთეულთა შესაქმნელად ენას მრავალი საინტერესო საშუალება მოეპოვება, მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია აფიქსური სიტყვაწარმოება.

სიტყვაწარმოება სიტყვის აგების ტექნიკას შეისწავლის. ენათმეცნიერების რომელ დარგს განეკუთვნება სიტყვაწარმოება. ამ საკითხზე სპეციალურ ლიტერატურაში რამდენიმე განსხვავებული მოსაზრებაა გამოთქმული.

ა) სიტყვაწარმოებას მორფოლოგიაში განიხილავენ: ა. შანიძე (ა. შანიძე, 1973), ვ. ვინოგრადოვი (ვ. ვინოგრადოვი, 1947), მ. პეტერსონი (მ. პეტერსონი, 1952), დ. ანდრეიჩინი (დ. ანდრეიჩინი, 1956), ლ. ბულახოვსკი (ლ. ბულახოვსკი, 1952), ა. შიროკოვა (ა. შიროკოვა, 1952), ი. დეშერიევი (ი. დეშერიევი, 1953), ი. იორდანი (ი. იორდანი, 1950), ლ. კვაჭაძე (ლ. კვაჭაძე, 1969).

ბ) სიტყვაწარმოებას გრამატიკის დამოუკიდებელ დისციპლინად თვლიან: ჰ. პაული (ჰ. პაული, 1920), ა. შახმატოვი (ა. შახმატოვი, 1936), ვ. ტრავნიჩეკი (ვ. ტრავნიჩეკი, 1950), ნ. ფელდმანი (ნ. ფელდმანი, 1960), ვ. ბაბაკაევი (ვ. ბაბაკაევი, 1961), ტ. კატენინა (ტ. კატენინა, 1960).

გ) სიტყვაწარმოებას ლექსიკოლოგიის შემადგენელ ნაწილად მიიჩნევენ: არნ. ჩიქობავა (არნ. ჩიქობავა, 1940), ვ. თოფურია (ვ. თოფურია, 1956), კ. ლევკოვსკაია (კ. ლევკოვსკაია, 1956), ნ. ტოლსტაია (ნ. ტოლსტაია, 1960), ალ. ლლონტი (ალ. ლლონტი, 1971), ივ. ქავთარაძე (ივ. ქავთარაძე, 1972), ანტ. კიზირია (ანტ. კიზირია, 1974), თ. ზურაბიშვილი (თ. ზურაბიშვილი, 1957), რ. გაბეჩავა (რ. გაბეჩავა, 1971).

ლექსიკოლოგია სწავლობს ლექსიკის შემადგენლობას, მისი განვითარების დინამიკასა და საშუალებებს. ამდენად, სიტყვაწარმოება მორფოლოგიიდან ლექსიკოლოგიაში გადადის და ლექსიკოლოგიის კუთვნილება ხდება (ვ. თოფურია, 1956, 33). ბუნებრივი და კანონზომიერი იქნებოდა ფუძის წარმოქმნა იქ განგვეხილა, სადაც ფუძეთა შინაარსობრივი კლასიფიკაცია მოხდებოდა. ეს ნიშნავს: ნაწარმოებ ფუძეთა საკითხი ლექსიკოლოგიის საკითხი უნდა იყოს და არა მორფოლოგიისა (არნ. ჩიქობავა, 1964, 41).

დ) სიტყვაწარმოება ორი საენათმეცნიერო დისციპლინის — გრამატიკისა და ლექსიკოლოგიის შესასწავლი ობიექტია: ა. ხაკულინენი (ა. ხაკულინენი, 1953-1955), ი. არნოლდი (ი. არნოლდი, 1959). სიტყვაწარმოებასა და ლექსიკოლოგიას იმიტომ უკავშირებენ ერთმანეთს, რომ ორივეს სიტყვასთან აქვს საქმე. მორფოლოგია სიტყვის აგებულებას სწავლობს, ხოლო ლექსიკოლოგიასთან კავშირი იმით საბუთდება, რომ ნაწარმოები სიტყვა გარკვეული მნიშვნელობის მატარებელია (ბ. ფოჩხუა, 1974).

სიტყვაწარმოება ორი მომენტის გათვალისწინებას გულისხმობს: სიტყვის აგების ტექნიკა, ფუძისა და აფიქსის ურთიერთმიმართება მორფოლოგიის ამოცანაა, ნაწარმოები სიტყვის მნიშვნელობის დადგენა კი ლექსიკოლოგიას ევალებ

ბა. დერივაციული აფიქსები მოკლებულია დამოუკიდებელ მნიშვნელობას და მხოლოდ ფუძესთან შეერთებისას ავლენს თავის ფუნქციას. გარდა ამისა, დამოკიდებულების აღმნიშვნელი და ფუძის საწარმოებელი აფიქსების გამიჯვნა ყოველთვის არ ხერხდება (შდრ. მრავლობითი რიცხვის ნიშნები და ბრუნვის ნიშნები).

ვფიქრობთ, რომ სიტყვაწარმოება ორი საენათმეცნიერო დისციპლინის საზღვრებში უნდა განიხილებოდეს: მორფოლოგია შეისწავლის დერივაციული აფიქსის სტრუქტურას, გენეზისს, ფუძესთან შეხამების წესებს, ხოლო ნაწარმოებ სიტყვათა ლექსიკურ-სემანტიკური დაჯგუფება ლექსიკოლოგიის ამოცანაა.

ნაშრომი შესრულებულია
1975 წელს.

თავი I

სიტყვაწარმოების საკითხები ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში

სახელთა წარმოქმნის საშუალებებზე საინტერესო დაკვირვებანი გვხვდება გრამატიკის ჯერ კიდევ ძველ სახელმძღვანელოებში, რომლებშიც დიდი ადგილი ეთმობა ძირეული და წარმოქმნილი სახელების დაპირისპირებას, აფიქსთა კლასიფიკაციასა და სემანტიკური ჯგუფების გამოყოფას.

1. პირველი ცნობა სართის (ანუ ართრონის) შესახებ მოცემული აქვს ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს: „ართრონი არიან ასოები, რომელიმე წინა მოეზავებიან სიტყუათა და რომელიმე უქანა და გვარიან ჰყოფენ და დაატკობენ“ (ს.-ს. ორბელიანი, 1949). აქვე ავტორი აღნიშნავს, რომ ბერძნულ-ლათინური ენებისაგან განსხვავებით, ქართულს აქვს თავსართებიცა და ბოლოსართებიც: „...ქართულთა ართრონი თავთანი არიან ესენი: ა, აი, აჟ, აე, ან, აუ, აღ, გა, გან, გე, გი, და, დაღ, ე, ვ, ი, ია, მ, მე, მი, ნ, ნა, სა, უ, შე, წ, წა, ზ. ბოლოს ართრონნი ესენია: ა, აო, გან, და, დე, დი, დო, ე, თ, ო, ია, გ, ნ, ნა, ნე, ნეო, ნო, ო, ს, ღა, შა, ში, ც, წე“ (ს.-ს. ორბელიანი, 1949).

დასახელებულ სიაში შედის ყოველგვარი სართი: ზმნისწინი, თანდებული, ნაწილაკი, ბრუნვის ნიშანი, ზოგჯერ კი ფუძისეული ელემენტისა და ბრუნვის ან პირის ნიშნის შეერთებით მიღებული ფორმა. ამის მიუხედავად, ავტორს სწორად

აქვს კვალიფიცირებული სახელთა წარმომქმნელი ზოგი პრეფიქსის ფუნქცია. მაგ, მე (ართრონი არს ვითარ: მეაბანოე, მეზვრე...), ნა (ყოველთა მყოფობიდან გარდასულთა ართრონი არს... ნამეფევი, ნაქალაქევი), ს/სა (ყოფთა და აღვილთა გაჩვენებს... სასოფლო), უ (უქონლობისა და უყოლელობისა... უღვთოდ, უჯელოდ).

საბა ორბელიანი ცდილობს განასხვავოს მამრობითი და მდედრობითი სქესის სახელები და ძველ ქართველ ფილოსოფოსთა მსგავსად, -ა სუფიქსს მდედრობითი სქესის მაწარმოებლად სახავს: წინასწარმეტყველ-ი/-ა, მოციქულ-ი/-ა, მონაზონ-ი/-ა.

2. სიტყვაწარმოების საკითხებს ეხება იტალიელი სწავლულის ფ რ ა ნ ც ი ს კ მ ა რ ი ა მ ა ჯ ო ს „ნაშრომი აღმოსავლურ ენათა შესახებ, რომლებიც საქართველოს მხარეებში იხმარება (ისმის). წ ი გ ნ ი ბ ი რ ვ ე ლ ი, რომელიც შეიცავს ქართული ანუ ი ბ ე რ ი უ ლ ი სასაუბრო ენის გ რ ა მ ა ტ ი კ უ ლ წესებს“, 1970 წ*. ავტორი წარმოქმნილ სახელებს მეტყველების ნაწილთა მიხედვით განიხილავს და ჩამოთვლის: არსებითის, ზედსართავის, რიცხვითი სახელებისა და ზმნისართისაგან წარმოებულ ფორმებს, რომელთა შორის გაანალიზებულია: -ობა, სა-, -ური, -იანი, -ელი, -მდელო, სი-, მე-, გე- აფიქსებით ნაწარმოები სახელები.

არსებითი სახელისაგან ნაწარმოებ ფორმებზე მსჯელობისას ფრ. მაჯო ძირეულსა და წარმოქმნილ სახელებს (შვილი — შვილიანი) ისე წარმოადგენს, რომ არც აფიქსს გამოყოფს და არც ახლადმიღებული ფორმის შინაარსს განმარტავს. მაგალითად: საკარტუელი (=საქართველო), მეაკლემი, გური-

* ნაშრომის შესახებ ვმსჯელობთ არნ. ჩიქობავას გამოკვლევის მიხედვით (არნ. ჩიქობავა, 1965, 26-38).

ელი (=გურული), მეთოფი (=მეთოფე), მებაჟე, გორიელი (=გორელი), საკათამი (=საქათმე), საბათი (=საბატე), მაჰამედლიანი (=მაჰამადლიანი). ამიტომ მკითხველისთვის გაუგებარია, რის მიხედვით ასახელებს ავტორი ამ ერთეულებს და ფაქტობრივად რა მნიშვნელობა აქვთ მათ.

ფრ. მაჯო თვლის, რომ -ობა სუფიქსი ზედსართავ სახელთა მაწარმოებელია: ტეტრი - ტეტრობა, შავი - შავობა... ზმნისართისაგან -მდელ აფიქსით ნაწარმოებ ზედსართავს კი დროის აღმნიშვნელად თვლის: დილას - დილამდელი... რიცხვით სახელთაგან წარმოქმნილ ფორმებს ავტორი რამდენიმე ჯგუფად ჰყოფს. ჩვენთვის მთავარია ორი ქვეჯგუფი: ა) ოდენობითი რიცხვითი სახელებისაგან შე- თავსართით ნაწარმოები რიგობითი რიცხვითი სახელები: მეორი, მესამი... და ბ) კოლექტიური შინაარსის -ვე მაწარმოებლიანი ფორმები: ორივე...

ავტორი მსჯელობს ხარისხის სახელთა წარმოების შესახებაც: „სახელის მეხუთე მდევარია შედარება“: ლამასი - სილამასი... აქვე ჩამოთვლილია ხარისხის ფორმათა მაჩვენებელი სხვა ერთეულებიც: უკეთესი, უმსთროსი (=უმცროსი)... ზოგიერთი ფორმის გარკვევა კი მხოლოდ თანდართული თარგმანის მოშველიებით ხერხდება. მაგ.: ვაუების ძალიანი (=ვაუებში უძლიერესი), მზისაგან ლამასი (=მზეზე ლამაზი)...

„მაჯოს შრომა პირველი გრამატიკაა ქართული ენისა (პირველი დღემდე ცნობილი, გრამატიკა)... მაჯოს ამ შრომას - მიუხედავად ყველა მისი ნაკლისა - განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. სანამ მარი ბროსეს ქართული გრამატიკა გამოვიდოდა (1834 წ.), ე. ი. თითქმის ორასი წლის მანძილზე - ევროპის სწავლულები მაჯოს შრომის საშუალებით ეცნობოდნენ ქართულ ენას (არნ. ჩიქობავა, 1965, 53).

3. ქართულ ენაზე დაწერილი პირველი გრამატიკის ავტორი ზ უ რ ა ბ შ ა ნ შ ო ვ ა ნ ი ა (ზ. შანშოვანი, 1881). ვახტანგ VI-სთან ემიგრაციაში მყოფ თბილისელ მოქალაქეს მეფის დავალებით უთარგმნია ს ვ ი მ ე ო ნ ჯ უ ლ ა ე ლ ი ა ნ ი ს „სომხური გრამატიკა“, რომელიც შემდეგ ვახტანგ მეფეს გადაუწერია და გამოუქვეყნებია (ალ. ფოცხიშვილი, 1979, 54).

ილია აბულაძემ ზ. შანშოვანის გრამატიკა დედანს შეუდარა და დაადგინა, რომ ქართულ თარგმანში ზედმეტი ადგილებია, ამიტომ თვლის: „შესაძლოა იგი გრამატიკის გამომამზეურებელ ვახუშტი ბატონიშვილს ეკუთვნოდეს. ზურაბი, როგორც სხვა შემთხვევებიდან ჩანს, მის დამატებებს ვერ შეძლებდა“ (ალ. ფოცხიშვილი, 1979, 153).

„მოკლე ღრამმატიკა ქართული ენისა“ სიტყვაწარმოების საკითხებსაც ეხება. გამიჯნულია ორგვარი ფუძე: პირჴ-ცლ-საჩინო (ძირითადი) და გამომჴვირვალო (წარმოებულ): ქჴეყანა - ქჴცყნიერი. ავტორი წარმოქმნილ სახეთა 16 სემანტიკურ ჯგუფს გამოყოფს: *საარსოს: იერი*, ელი, ავი, ოს, ის; საპირველოს: ელი, ა; სანათესაოს: ელი, ანი, თანი, ური, ული, მცე, ძე; სამოსაღებლოს: ელო, არო, თ; სადასამტკიცოს: ეს; საუადრესოს: არო, შო; საკნინოს: იკა, იკო, აკი; საგარეშემცველოს: თლი, თი, ლო, რო; საზმაყრილოს: ში, ლი, ლა, რი, ბა; საანაგოს ოსანი, ვარი, ვი; საკლებაროს: ილი, რილი; საშესამშურველოს: ოგან, თანი; სააღსაჩენოს: დე, თბა; სასამფარველოს: ე; სამონაცვალოს: ე; სადასოს: ე, ეული.*

როგორც ვნახეთ, „მოკლე ღრამმატიკაში“ გამოყოფილ-

* სახელობითი ბრუნვის ნიშანი -ი აფიქსთან ერთად არის წარმოდგენილი. ასეთივე მდგომარეობაა ზოგ სხვა მომდევნო გრამატიკაშიც.

ია წარმოქმნილ სახელთა სემანტიკური ჯგუფები და დასახელებულია შესაბამისი მაწარმოებლებიც. საილუსტრაციო ფორმა ზოგჯერ შეესატყვისება კიდევ სემანტიკურ ჯგუფს, მაგრამ პრეფიქსი შეუმჩნეველი რჩება. მაგ.: სამღუდლო — ფორმაში მხოლოდ -ო აფიქსია გამოყოფილი. ბრუნვის ფორმები წარმოქმნილ სახელად მიიჩნევა: -ის (ვერცხლის), -ოს (ოქროს). გაუმიჯნავია სახელური და სახელზმნური წარმოება.

ზოგჯერ შენიშნულია პრეფიქსის ფუნქციაც: მე (მეწალკოტე), თანა (თანამესამძღურე).

ცნობილია, რომ ზ. შანშოვანი სუსტად ფლობდა ქართულ ენას. „თანამედროვენი, ანდა უკეთ, მახლობელი წრის სწავლული პირნი შანშოვანის ქმნილებაზე დიდი წარმოდგენისა არ ყოფილან“ (ალ. ფოცხიშვილი, 1979, 158). შანშოვანმა კი არ დაწერა ქართული ენის გრამატიკა, მან თარგმნა სომხურის გრამატიკა ქართულად და ამ გრამატიკის ქართული ენის გრამატიკად ჩათვლა ისევე არ შეიძლება, როგორც ვთქვათ, ქართულად თარგმნილი სომხეთის გეოგრაფია არ შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს გეოგრაფიად“ (ალ. ფოცხიშვილი, 1979, 59-60).

4. ა ნ ტ ო ნ ი პ ი რ ვ ე ლ ს ქართული გრამატიკის ორი ვარიანტი შეუდგენია: I — 1753 წ., II — 1767 წ., „გამოცემულია რ. ერისთავის რედაქციითა და წინასიტყვაობით 1885 წ. თბილისში“ (არნ. ჩიქობავა, 1965, 88; ე. ბაბუნაშვილი, 1970, 8-9). „ანტონის გრამატიკა არსებითად პირველი გრამატიკაა ქართული ენის, მასთან ყველაზე ვრცელი პრაქტიკულ (წინამეცნიერულ) გრამატიკათა შორის, რაც კი დღემდე დაწერილა“ (არნ. ჩიქობავა, 1965, 90). მასში სრულად არის განხილული ქართული ენის ბრუნება-უღვლილებისა და სინტაქსის საკითხები, სათანადო სისრულით არის მოცემული

სახელთა წარმოქმნის წესებიც.

სახელის ფუძე, ანუ როგორც მას ანტონი უწოდებს, „სახე“ ორგვარია: მარტივი („პირველსახე“) და ნაწარმოები („სხმით-გარდასლვთი“)*.

ავტორი ერთმანეთს უპირისპირებს მარტივსა და წარმოქმნილ ფუძეებს და მიუთითებს, რომ ამ დაპირისპირების საფუძველს მდევარი („კერძოკი“) ქმნის, რომელიც ახალ შინაარსს სძენს სახელს. ესენია: სა, ითი, უ, უუ, ესი, აკი, კი, აგი, გი, ალი, იანი, ოვანი, ეენი, ელი, ული, ეთი, მგ, ი, იგ, იერი, იელი, ეული, ანი, ვილი, ური, იარე, ილი, არე, ლი, ლე, მო, ოსანი, ედ, ო, ნი, მე, სი, ება, ობა, ა, ნა, ოს, ია, შესა, ის, ო, ვე, ცა, ცგ, ანე (ანტონიპირველი, 1885, 130). აქვე ავტორი შენიშნავს, რომ მდევარი სახელს თავშიც დაერთვის და ბოლოშიც.

მნიშვნელობის მცვლელი აფიქსები 18 სემანტიკურ ჯგუფში აქვს განხილული ავტორს. ესენია: *მოგებითი, უზესთაობითი, კნინობითი, ნათესავობითი, შემცუჭლობითი, არსებითი, თანშეყოფითი, სახელ-ზმნა-სხმით-გარდასლვთი, ქონებითი, აღმატებითი, მდედრობითი, მფარველობითი, შემსგავსებითი, უღლვთი, იგივეობითი, წესებითი, შემდგომობითი, უკუთქმითი* (დღევანდელი თვალსაზრისით ზოგიერთი ჯგუფის სახელწოდება შეიძლება სადავო იყოს. ე. ბაბუნაშვილს გარკვეული აქვს, რომ შეუსაბამობა სემანტიკური ჯგუფის სახელსა და დასახელებულ აფიქსს შორის მ ხ ი თ ა რ ი ს სომხური გრამატიკის პირდაპირი თარგმანის შედეგია (ე. ბაბუნაშვილი, 1970, 112-115).

* ანტონი პირველის ძირითადი დებულებები სიტყვაწარმოების საკითხებზე ვრცლად განხილულია ე. ბაბუნაშვილის (ე. ბაბუნაშვილი, 1970), ალ. ფოცხიშვილისა (ალ. ფოცხიშვილი, 1979) და რ. გაბეჩავას (რ. გაბეჩავა, 1971) ნაშრომებში.

ანტონი ნაწარმოები სახელის ორ ქვეჯგუფს გამოყოფს: სხმით-გარდასლვთსა და მრჩობლ-სხმით-გარდასლვთს. ამ უკანასკნელში იგულისხმება ორმაგად ნაწარმოები სახელე-ბი: არსი - არსება სხმით-გარდასლვთია, ხოლო არსი - არსება - არსებითი კი — მრჩობლ-სხმით-გარდასლვთი.

„ღრამატიკის“ ავტორი ზედსართავ სახელთა წარმოე-ბასაც ეხება და განარჩევს დადებითი, შედარებითი და უფროობითი ხარისხის ფორმებს. აღმატებითი ხარისხის მაწარმოებლად ასახელებს უ—ეს და —ებრ აფიქსებს.

ანტონი პირველს მართებულად აქვს გამოყოფილი ხუთი სემანტიკური ჯგუფი: უადრესობითი (=აღმატებითი), კნინო-ბითი, ნათესავობითი (=წარმომავლობის), ქონების, აღმატე-ბითი (=აბსტრაქტული).

ნათესაობითის ჯგუფში წარმოდგენილია ქონებისა და წარმომავლობის აღმნიშვნელი სახელებიც, ხოლო ქონების სახელთა ჯგუფში მართებულად დასახელებულ —ოვან, —იან, —ოსან აფიქსთა გვერდით არამართებული ვილი, ური, მე მაწარმოებლიანი ფორმებიცაა ჩამოთვლილი: ოქრო-ვილი, მეგზა-ური, სხეულ-ევანი, მე-ნავე. —იან მაწარმოებლიანი მიმ-დევრობის სახელები (ქრისტიანე, ვასილიანი) კი „შემდგომო-ბითს“ ჯგუფშია განხილული და აფიქსიც არასწორადაა გამოყოფილი: ანი, ანე.

თითქმის სწორადაა დასახელებული აბსტრაქტულ და ხელობის სახელთა ჯგუფებში შემავალი აფიქსები, მაგრამ წარმოდგენილი საილუსტრაციო მასალის მიხედვით ირკვევა, რომ სი—ე, მე—ე კონფიქსებში შემავალი აფიქსები ავტორს ცალ-ცალკე აქვს მოცემული, რაც დამახასიათებელია ანტონის გრამატიკისათვის.

ანტონი I-ის „ქართული ღრამატიკა“ საფუძვლად დაე-

დო მე-18 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედსა და მე-19 საუკუნის პირველ მეოთხედში შექმნილ გრამატიკებს, რომლებიც ანტონის გრამატიკის შინაარსის გამარტივებულ გადმოცემას წარმოადგენდა ან ანტონის გაგებას ემყარებოდა (არნ. ჩიქობავა, 1965, 101).

5. ა რ ქ ი მ ა ნ დ რ ი ტ ი გ ა ი ო ზ ი ანტონის ნამოწაფარი იყო. გაიოზის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო ძირითადად მასწავლებლის დებულებებს იმეორებდა, მაგრამ მისი თხზულება უფრო მარტივი და გასაგებია, ვიდრე ანტონის გრამატიკა. ეს იყო ქართული გრამატიკის პირველი სახელმძღვანელო, დაბეჭდილი ქართულ ენაზე (გაიოზ რექტორი, 1970, 18-19).

გაიოზმა ანტონისეული 18 სემანტიკური ჯგუფიდან მხოლოდ 10 განიხილა. ადგილობითი (ზეციური, მთიული) თვითონ დაუმატა და სემანტიკურ ჯგუფთა შინაარსიც განმარტა. მაგ.: „ადგილობითი, რომელნიც დაჰნიშუნენ ადგილის გამოსა რაგსამე; მაგალ. ზეციერი, ქართუჭლი...“ (გაიოზ რექტორი, 1970, 55); *მოგებითი* (=დანიშნულების): საერო: ადგილობითი (=წარმომავლობის): ზეციერი; *ნათესავობითი* (=მიმდევრობის): დავითიანი; *ქონებითი*: გვრგვნოსანი, ვმიანი; *აღმატებითი* (=აბსტრაქტული): სიწმინდე, მშვედობა; *წესებითი* (=რიგობითი): მეორე; *კნინობითი*: გლახაკი; *უკუთქებითი* (=უქონლობის): უსახური, უღმრთო „ყოველნი შეჰმსგავსებთნი და უაღრესობითნი ზედშესრულნი სახელნი დაიდებებიან ამათ რიცხუთა შორის – ხარისხის სახელები; სახელზმნანი: წერა, კითხუა“.

გაიოზის სახელმძღვანელოში აფიქსები გამოყოფილი არ არის, მათ შესახებ წარმოდგენა შეიძლება ვიქონიოთ იმ საილუსტრაციო მასალის მიხედვით, რომელსაც ავტორი ასახელებს: სა-მეფ-ო.

სახელური და სახელზმნური ფორმები, წინა გრამატიკების მსგავსად, გაიოზის შრომაშიც გაუმიჯნავია.

6. სახელთა წარმოქმნის საკითხში არსებითად ანტონი პირველისა და გაიოზის გრამატიკებს მიჰყვება იოანე ქართველიშვილი (ი. ქართველიშვილი, 1825). ნაშრომში განხილულია წარმოქმნილ სახელთა 11 სემანტიკური ჯგუფი და შესაბამისი აფიქსებიც ძირითადად სწორადაა დასახელებული. ნაშრომის მთავარი ღირსება ისაა, რომ მასში პირველადაა შენიშნული სახელთა წარმოქმნილი კონფიქსები: სა—ო, სი—ე, სი—ო, მე—ე.

7. ნიკო ჩუბინაშვილის* (ნ. ჩუბინაშვილი, 1901) კონცეფცია ქართული ენის გრამატიკის საკითხებში მნიშვნელოვნად განსხვავდება ანტონის მოძღვრებისაგან. მან გაითვალისწინა ახალი ქართული ენის, საერთო-სახალხო ენის მონაცემები და მოგვცა ამ ენის მოკლე გრამატიკული მიმოხილვა, რომელშიც, მართალია, ეყრდნობა ანტონის გრამატიკულ მოძღვრებას, მაგრამ ბრძანად არ მიჰყვება მას (ალ. ლლონტი, 1961, 46).

8. ჩუბინაშვილი „ქართული ლექსიკონის“ წინასიტყვაობაში სახელთა წარმოქმნის საკითხებსაც ეხება. —ნარ და -ეულ სუფიქსებს „შემკარებლობითად“ მიიჩნევს: ბეწვეული, მუხნარი... (ნ. ჩუბინაშვილი, 1961, 124). მართებულად მსჯელობს ადამიანისა და არაადამიანის კატეგორიათა განსხვავებულად გამოხატვის შესახებ: „ზედშესრულნი: ბრძენი, გონიერი, ვერაგი, რეგენი და სხვ. მიეწერებიან პირსა, ხოლო ნივთისათვის ითქმის: ბრძნული, გონივრული, ვერაგული... (ნ. ჩუბინაშვილი, 1961, 124). ავტორი აქვე აღნიშნავს, რომ ადამიან-

* ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს 1812-25 წწ.

ისა და საგნის სადაურობის გამოხატვა ქართულში გარჩეულია: თელავი — თელაველი — თელავური... განხილულია რთანხმოვნის შემცველ ფუძეთაგან —ურ სუფიქსიანი წარმოების პრაქტიკული საკითხებიც: სპარსი, სპარსეთი, სპარსელი — მაგრამ: სპარსული... (ნ. ჩუბინაშვილი, 1961, 125).

ნ. ჩუბინაშვილი ზედსართავი სახელის უფროობითი ხარისხის აღწერით ფორმებს მდაბიური მეტყველებისათვის დამახასიათებელ მოვლენად მიიჩნევს: „უფრო ნელა, ძალიან დიდი...“

შემდეგ ავტორი ჩამოთვლის რიცხვითი სახელებიდან და ნაცვალსახელთაგან ნაწარმოებ სახელებს, მაგრამ არც აფიქსზე მიუთითებს და არც მის ფუნქციაზე მსჯელობს (ნ. ჩუბინაშვილი, 1961, 125). აღსანიშნავია ნ. ჩუბინაშვილის შემოღებული ტერმინი „შემკრებლობითი“, რომელშიც —ეულ და —ნარ სუფიქსიანი სახელებია დასახელებული. მართებულია მსჯელობა —ის ტოპოფორმანტიანი სახელებისაგან —ურ, —ელ აფიქსთა დართვით მიღებულ ფორმებზე. ნ. ჩუბინაშვილმა პირველმა შენიშნა სუფიქსისეული ხმოვნის ზემოქმედებით გამოწვეული რ თანხმოვნის დისიმილაციის შემთხვევა.

8. ს ო ლ ო მ ო ნ დ ო დ ა შ ვ ი ლ ი ს (ს. დოდაშვილი, 1830) ნაშრომში განხილულია მხოლოდ ხარისხის სახელთა წარმოება. ხარისხის ფორმებია: *დადებითი* (მვნე), *შეთანასწორებითი* (უ—ეს-ი — უ-გონიერ-ეს-ი) და *აღმატებითი* (უუ—ეს-ი — უუ-გონიერ-ეს-ი) და აღნიშნულია, რომ ამ უკანასკნელის წარმოება შეიძლება შეთანასწორებით ხარისხზე ზმნიზედების — ყოვლად, მრავლად, ძლიერ — დართვით (ს. დოდაშვილი, 1830, 5).

9. მ ა რ ი ბ რ ო ს ე (მ. ბროსე, 1834) ითვალისწინებს

ანტონის, მაჭოსა და დავით ბატონიშვილის გრამატიკებს, მაგრამ ქართული ტექსტების საფუძვლიანმა ანალიზმა შეაძლებინა დამოუკიდებლად ემსჯელა ქართული გრამატიკის რთულ საკითხებზე (არნ. ჩიქობავა, 1965, 137). საყურადღებოა, რომ ანტონის მოსაზრების საწინააღმდეგოდ, მ. ბროსე აღნიშნავს: ქართული სახელები სქესებს არ განარჩევსო (არნ. ჩიქობავა, 1965, 135).

ზედსართავ სახელთა ჯგუფში დ ა დ ე ბ ი თ , შ ე მ ს - გ ა ვ ს ე ბ ი თ (უ—ესი) და ა ლ რ ო ე ბ ი თ (=აღმატებით) ხარისხთან ერთად მ. ბროსე განიხილავს ოდნაობითი ხარისხის მო—ო ფორმებსაც: მოთეთრო, მოყვითალო, მომსხო...

უფროობითი ხარისხის ფორმათათვის მოხმობილია საინტერესო და იშვიათი ფორმა „ვეფხისტყაოსნიდან“: „გიბოვნივარ დისაგანცა უფრო დესი“.

მ. ბროსემ, ტრადიციული ფილოლოგიური გრამატიკის მსგავსად, ცალკე ჯგუფად გამოყო დერივაცია (მ. ბროსე, 1834, 34).

ხელობის სახელთა ჯგუფში — მეპურე, მეთევზე, მეწისქვილე — ფორმათა რიგში დასახელებულია მ-ანიანი მიმღებობებიც: მასწავლებელი, მაშვრალი, მდებარე... ამგვარივე მდგომარეობაა წინა ვითარებისა და დანიშნულების სახელებშიც: მაგ.: ნა-ოფლ-არ-ი, მაგრამ ყველა დანარჩენი ფორმა მიმღებობაა: ნალტოლვარე, ნაპოვარი... აგრეთვე: სა-ქართველ-ო, სა-წიგნ-ე, სა-იმედ-ო... მაგრამ: სიცილი, საცხოზი, სასუფეველი.

ადამიანთა წარმომავლობის სახელთაგან აღსანიშნავია: გურიელური' და ყიზილბაშური' ფორმები.

დაწვრილებით განიხილავს მ. ბროსე სახელზმნათა წარმოების თავისებურებებსაც.

აღსანიშნავია, რომ მ. ბროსე ქართული ენის მონაცემთა კვალიფიკაციისას ყოველთვის ცდილობს პარალელურად ანტონის დებულებათა წარმოჩენასაც, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად საწინააღმდეგო თვალსაზრისს ავითარებს (არნ. ჩიქობავა, 1965, 137).

10. დ ა ვ ი თ ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ს (დ. ჩუბინაშვილი, 1855) მრავალი სიახლე შემოაქვს როგორც ტერმინების, ისე სემანტიკურ ჯგუფთა გამოყოფის მხრივაც. ავტორი საგანგებოდ მსჯელობს ძირისა და აფიქსის ურთიერთმიმართებაზე, სიტყვის ორგვარი ცვლილების წესებსა და ამ ცვლილებით გამოწვეულ თავისებურებებზე. „პირველი, როდესაც შეიცვლება სიტყვის ბოლო ბრუნვითა ან მიმოხვრითა და მეორე, რომელიც მიეზავების ძირსა და მისცემს მას სხვასა და სხვასა მნიშვნელობასა“ (დ. ჩუბინაშვილი, 1855, 65).

გრამატიკაში ცალ-ცალკეა განხილული არსებით და ზედსართავ სახელთა წარმოება. აღსანიშნავია, რომ ადგილის სახელთა მაწარმოებლებს შორის დასახელებულია -ობ/ი/სუფიქსიც: მთა — მთობი. დ. ჩუბინაშვილს შეუმჩნეველი არ დარჩენია აგრეთვე კნინობით სახელთა წარმოების მრავალფეროვნება და უქონლობის აღმნიშვნელი უ—ო კონფიქსიც.

ზედსართავ სახელთა წარმოებისას საყურადღებოა, რომ მსგავსების აღმნიშვნელ ფორმანტთა შორის ავტორი ასახელებს თანდებულებით (-ებრი, -ებრივი, -ებური, -თანა) წარმოქმნილ სახელებსაც.

ქართველ გრამატიკოსთაგან დ. ჩუბინაშვილმა პირველმა შენიშნა ოდნობითი ხარისხის ფორმა — მოდიდო, აგრეთვე რიცხვით სახელთა წარმოება ნა—აღ და მე—ედ კონფიქსებით, გამოყო ახალი სიტყვაწარმოებითი აფიქსები: ნა—არ, -ობ, -დეღ, -უა.

ზემოჩამოთვლილ ღირსებებთან ერთად უნდა აღვნიშნოთ ნაკლოვანებაც. ნაშრომში არასწორადაა გამოყოფილი რამდენიმე აფიქსი, რადგან ავტორი მაწარმოებლის ხმოვნით ელემენტს შეცდომით ფუძეს მიაკუთვნებს: კა (←იკა), ტა (←იტა), -ცა (←უცა).

11. პ ლ ა ტ ო ნ ი ო ს ე ლ ი ა ნ ი ზედართავი სახელის ხარისხის სამ ფორმას განიხილავს: *დადებითს* (გონიერი), *შეთანასწორებითსა* (უდიდებულესი) და *აღმატებითს* (უუდიდებულესი). შეთანასწორებითი ხარისხისათვის დასახელებულ საილუსტრაციო მასალაში ვხვდებით ოდნაობითი ხარისხის ფორმებსაც: მომცრო, მოწითალო...

ავტორს ჩამოთვლილი აქვს ნაცვალსახელთა წარმომქმნელი აფიქსებიც: სა-, -ვე, -ცა, -თი, -უ, -ესი, -ებრი, -ეული (პლ. იოსელიანი, 1863, 15)

12. საფრანგეთში გამოცემულ „მოკლე ქართულ გრამატიკაში“ (მოკლე ქართული გრამატიკა, 1877) განხილულია ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმათა წარმოება. ავტორი* წინამორბედ გრამატიკოსთა მცდარ გზას მიჰყვება და უფროობითი ხარისხის ფორმებს სხვადასხვა ჯგუფში განიხილავს. შედარებითი ხარისხისათვის წარმოდგენილ საილუსტრაციო მასალაში დასახელებულია „მოდიდო“ ტიპის სახელებიც.

13. დ ი მ ი ტ რ ი ყ ი ფ ი ა ნ ი ს სახელმძღვანელოში (დ. ყიფიანი, 1882) წარმომქმნელი აფიქსები სათანადო განმარტებით არის წარმოდგენილი და მოცემულია საილუსტრაციო ფორმებიც: სა—ე (სამარილე), უ—ო (უქვიშო), -ეული (გაბ-

* დ. ჩხუბიანიშვილი ზემოდასახელებული გრამატიკის ავტორად ვარაუდობს აბატ პეტრე ხარისკირაშვილს (დ. ჩხუბიანიშვილი, 1966)

რიელისეული)... მაგრამ ავტორისეული მსჯელობანი ზოგჯერ მიუღებელია. მაგ. „-ობა მოკლე დროებით კრებას გამოხატავს, -ება კი ხანგრძლივს: საზოგადოება — დროებითი ყრილობა, საზოგადოება — ერი ან ხალხი ერთად“ (დ. ყიფიანი, 1882, 46). ან კიდევ: „სადაც მარლს აწყობენ, როგორც შესანახავ მასალას, ან როგორც სავაჭრო საქონელს, იმ შენობასა ჰქვია „სამარილო“ და რაშიც სახმარად ჰყრიან — „სამარილე“ (დ. ყიფიანი, 1882, 50). მართალია, სა—ე//სა—ო და —ობა//—ება აფიქსებით ნაწარმოები სახელები ზოგჯერ სემანტიკურად განსხვავებული ოდენობები არიან, ხშირად ერთმანეთს უპირისპირდებიან შინაარსით, მაგრამ არა იმგვარად, როგორც ეს დ. ყიფიანსა აქვს მოცემული.

„დიმიტრი ყიფიანის გრამატიკაში თითოეულ სიტყვას შესაფერი ადგილი აქვს მიჩენილი. სუფიქსების დასახელებას თან ახლავს ცოცხალი მაგალითები. მართალია, სიტყვის წარმოება სრული არაა, მაგრამ მოცემულიც კი თვალნათლივ გვიხატავს ქართული სიტყვის სასიცოცხლო ძალას (რ. გაბეჩავა, 1971, 18).

„ქართული სიტყვაწარმოების სიმდიდრის საჩვენებლად ავტორი იძლევა იმის ნიმუშებს, თუ რა ბევრი სიტყვა შეიძლება ვაწარმოოთ ერთი სიტყვისაგან... წყალი: საწყალი, პირწყალი, პირსაწყალი, პირწყლიანი, პირწყლიანობა, საწყლობა, სისაწყლე, წყალობა, საწყალობელი, ნაწყალობევი, შესაწყალებელი, გაქარწყლება, შეწყალება, მოწყალება, მწყალობელი, განაწყალობევი... (ლ. ლეჟავა, 1986, 68).

ზემოდასახელებულ მაგალითებში წარმოქმნილ სახელებთანაა გაერთიანებული სახელზმნური წარმოების ფორმებიც და კომპოზიტებიც.

14. პ ო ლ ი ე ვ ქ ო კ ვ ი ც ა რ ი ძ ე (ბ. კვიციანიძე, 1882)

ზედსართავი სახელის („დართვითი სახელის“) მდიდარ სიტყვაწარმოებით შესაძლებლობებს განიხილავს, აანალიზებს სახელთა ორგვარი ფორმაცივლების შემთხვევებს და უპირატესობას აფიქსურ სიტყვაწარმოებას ანიჭებს. „რათგან დამოკიდებითი დართვითი სახელები წარმოობენ პირდაპირ არსებით სახელთაგან, ამიტომ ამ უკანასკნელთ ემატებათ თვისების გამომხატველი სუფიქსები, რომელნიც არიან შემდეგნი: -ური (ქალაქური, -ადი (გულადი), -ა (თავშავა), -ეული (ბატონისეული), -იერი (ცნობიერი)“ (პ. კვიციანიძე, 1882, 86).

განსაზღვრულია აფიქსთა ფუნქციებიც.

პ. კვიციანიძეს სწორად აქვს შენიშნული, რომ შეიძლება წარმოქმნილი სახელი (ე.ი. არსებითისაგან მიღებული ზედსართავი) ისევ გაარსებითდეს საზღვრულის ჩავარდნის გამო. მაგ.: სწავლული, მეცნიერი, მოშიაჩე (პ. კვიციანიძე, 1882, 91).

უმართებულთა -იან სუფიქსით ნაწარმოები სახელის პ. კვიციანიძისეული განსაზღვრა: „-იანი გვიხატავს შემთხვევითს რასმე და არა არსებითს ვითარებას, მაგ.: ჯონიანი, მახმადიანი, ქრისტიანი, - ეს უკანასკნელი სიტყვებიც ასე იხმარების იმიტომ, რომ შეიძლება, დღეს მახმადიან იყოს კაცი და ხვალ ქრისტიანი გახდეს“ (პ. კვიციანიძე, 1882, 90).

არასწორია ავტორის მსჯელობა -ებურ სუფიქსის შედგენილობაზე: -ებ მრ. რიცხვის ნიშნად მიაჩნია, რომელსაც თვისების -ურ ბოლოსართი დაერთვის.

ავტორი ზედსართავი სახელის შედარებითი ხარისხის სამ ფორმას განიხილავს: *დებულებითს* (შავი), *შეწონებითს* (მოშავო, წაშავო) და *აღმატებითს* (უდაბლესი, უარე). ყურადღებას ამახვილებს ხარისხის გამომხატვის არაორგანულ, აღწერით საშუალებაზე (ხარისხის ნეიტრალურ ფორმაზე

შინაარსის გამაძლიერებელი ლექსიკური ერთეულების დართვა-
დამატებაზე): აღწერითი ხარისხი ორგვარად იწარმოება: ა) შეწონებითი ხარისხისაგან თვით ნაცვალსახელის დართ-
ვით. მაგ. თვით უკეთესი. ბ) დებულებითი ხარისხისაგან
ყოვლად, ფრიად, ძლიერ, დია, მეტად, ერთობ, მაწვედ
ზმნისართა მეშვეობით (პ. კვიციანიძე, 1882, 91-92).

15. აქამდე განხილულ გრამატიკებში სახელთა წარმო-
ქმნის საკითხები სქემატურად არის მოცემული და სათანადო
ახსნა-განმარტებები, ჩვეულებრივ, არ ახლავს ხოლმე. ამ
მხრივ ყურადღებას იქცევს თ ე დ ო უ ო რ დ ა ნ ი ა ს
„ქართული გრამატიკა“ (თ. ჟორდანი, 1889), რომელშიც
ვრცელი და საყურადღებო მსჯელობაა მოცემული არსებითის,
ზედსართავის, რიცხვითი სახელისა და ნაცვალსახელების
მაწარმოებელთა შესახებ. ავტორს ყურადღების გარეშე არ
რჩება თითქმის არც ერთი აფიქსი და მისი შესაბამისი სემან-
ტიკური ჯგუფი. კომენტარების მეტი წილი სწორი და საინ-
ტერესო ჩანს.

თ. ჟორდანი აფიქსს „საწარმოებელ ნაკვთს“ უწოდებს
და აღნიშნავს, რომ ქართულ ენას „აქვს საკმაო ძალა და
საშეალება თვსსავე გრამატიკულ აგებულებაში რომ გააარსე-
ბითსახელოს ყოველი სხვა სიტყვის ნაწილი...“ (თ. ჟორდა-
ნია, 1889, 73).

ავტორი ერთმანეთს უპირისპირებს სა—ე და სა—ო კონ-
ფიქსებით ნაწარმოებ ფორმებს: სა—ე-თი წარმოებული სახე-
ლი აღვილზე მიუთითებს, თანაც ყოველთვის არსებითია, ხოლო
სა—ო მაწარმოებლიანი დანიშნულებას აღნიშნავს და ზედ-
სართავის ფუნქციის სახელია. შდრ. სა—წიგნ-ე და სა—მეფ-ო
(თ. ჟორდანი, 1889, 76-77). შეპირისპირებულია აგრეთვე
მე—ე და მო—ე კონფიქსიანი სახელები. „უმთავრესნი უნდა

იწარმოვოს გამგეობითის ნაკვეთითა და მისნი ხელქვეითნი კი — მონაწილეობისათი, მაგ. მე-თავ-ე (ანუ მეთაური), ყველაზე უფროსი, მო-თავ-ე — ერთი მეუფროსთაგანი, უფროსებში ჩარიცხული“ (თ. ჟორდანი, 1889, 76).

მიუხედავად იმისა, რომ კნინობით სახელთა მაწარმოებელ მრავალ აფიქსს ასახელებს ავტორი (-აკ, -აკ-ა, -უკ, -უკ-ა, -უა, -უნა, -ია), სწორად აღნიშნავს, რომ ქართული ენა ღარიბია კნინობითის ორგანული მაწარმოებლებით, ამიტომ ენა ლექსიკური შენაცვლების ხერხს მიმართავს: ფეხები — ფეფები (თ. ჟორდანი, 1889, 88).

თ. ჟორდანისა შეუმჩნეველი არ რჩება -ა სუფიქსის მრავალფეროვანი სიტყვაწარმოებითი ფუნქცია: მსგავსების, თვისების, ქონებისა და კნინობითობის აღნიშვნისა. თუმცა აქვე უმართებულად ასახელებს რუსული აბსოლუტივისა (პერანგ-ა იჯდა) და მდებრობითი სქესის -ა (მეფ-ა) მაწარმოებლიან ფორმებსაც.

ავტორი ქონების სახელთა მაწარმოებლების განხილვისას ყურადღებას ამახვილებს მათს შინაარსობლივ თავისებურებებზე: -იან სუფიქსს შემთხვევითი ქონების აღმნიშვნელად მიიჩნევს, -ოფან მდიდრად ქონებას გულისხმობს, -ოსან-ით ნაწარმოები სახელი „სიმბოლურის მნიშვნელობით შეიქმნება საქარაქტერულად... მშვილდ-ოსანი, თოფ-ოსანი, — ვისაც უმთავრეს იარაღად აქვს მშვილდი, თოფი“ (თ. ჟორდანი, 1889, 107-108). -იერ კი სამარადისო და არსებითი თვისების აღმნიშვნელია, რომელიც ზოგჯერ წარმომავლობაზეც მიუთითებსო.

თ. ჟორდანი წარმომქმნელ აფიქსებს ორ ქვეჯგუფად ყოფს: კონფიქსებად („წინა-ბოლო ნაკვეთებად“) და სუფიქსებად („ბოლო ნაკვეთებად“). ცალ-ცალკე განიხილავს სახე-

ლურ და სახელზმნურ მაწარმოებლებს; აღნიშნული აქვს ისიც, რომ „ღანი“ და „ხანა“ აფიქსები უცხო წარმომავლობისაა.

თ. ჟორდანიას დამსახურება მხოლოდ ის კი არ არის, რომ დერივატთა კლასიფიკაციას ახდენს, არამედ ისიც, რომ სიტყვაწარმოებითს მოდელს მთელი სისრულით წარმოადგენს, თუმცა ამ ნაწილში ყველა მოსაზრება თანაბრად მისაღები არაა. უმართებულოა თვალსაზრისი, რომ მაწარმოებელი აფიქსი დაერთვის სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმას. გეოგრაფიულ სახელთა მაწარმოებლებს შორის არასწორადაა დასახელებული სუფიქსი -ტანი (ურიაჟს-ტანი), აგრეთვე -ოდენ მაწარმოებლის გვერდით დასახელებულია მისი დიალექტური ვარიანტებიც: ტენი, თენი, ტონი, ტოლი (ამტენი, ამთენი, ამტონი, ამტოლი...)

16. ა რ ი ს ტ ო ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ე ს (ა. ქუთათელაძე, 1889) მხოლოდ ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმები აქვს განხილული და ძირითადად ადრინდელი გრამატიკების მცდარ დებულებებს იმეორებს: შედარებითსა და აღმატებით ხარისხებს განასხვავებს მხოლოდ უ—ესი და უუ—ესი აფიქსთა დაპირისპირებით.

ავტორი ზოგადად ჩამოთვლის ზედსართავი სახელისაგან არსებითი სახელის წარმოების შემთხვევებს: სი-კეთ-ე, მშვენიერ-ება, ზრდილ-ობა... არ. ქუთათელაძე მსჯელობს „ძირითადი“ და „წარმოქმნილი“ სიტყვების სტრუქტურაზე. წარმოქმნილ სახელში თავსართ-ბოლოსართს მართებულ კვალიფიკაციას აძლევს, მაგრამ -ილ სუფიქსს (ტკეც-ილ-ი) ჩასართად მიიჩნევს იმის გამო, რომ მას ბრუნვის ნიშანი („დაბოლოება“) მოსდევს.

17. მ ო ს ე ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი (მ. ჯანაშვილი, 1906)

არსებით სახელებს ოთხ შინაარსეულ ჯგუფად ყოფს: *საკუთარი, საზოგადო, კრებითი* (ლაშქარი, ჯოგი), კინოებითი: ა) საალერსო (დათიკო, შვილიკო...), ბ) დასამცირო (პეტრიკელა, დათიკა...). აქვე ავტორი განიხილავს სხვადასხვა მეტყველების ნაწილისაგან (არსებითის, ზედსართავის, რიცხვითის, ზმნისა და თანდებულისაგან) ახალი შინაარსის არსებითისა და ზედსართავი სახელების წარმოების შემთხვევებს. „უმთავრეს საწარმოო“ ნიშანთაგან ასახელებს: *სა—ო, —ოსან, —ობა, —ეთ, ნა—ეფ, —ა, —ოვან, —ულ, —ელ* აფიქსებს.

საინტერესოა შრომის ის ნაწილი, სადაც მ. ჯანაშვილი *სა—* პრეფიქსით ნაწარმოებ ქართულ სახელთა მეგრულსვანურ შესატყვისობებზე მსჯელობს: „*სა-სიმიინდე — ო-სიმიინდე — ლა-სიმიინდე*“ (მ. ჯანაშვილი, 1906, 9). სვანურისებრ *ლა—, ლე—* პრეფიქსიან სახელებს ქართულშიც ადასტურებს: *ლანჩხუტი — სანჩხუტი — ზმნისაგან — ჩხუტვა თლა...* (მ. ჯანაშვილი, 1906, 9). რა თქმა უნდა, ავტორისეული ეტიმოლოგია მცდარია, მაგრამ მნიშვნელოვანია *ლა— ელე—* მენტის გამოყოფა და მისი სვანურის გრამატიკულ ინვენტარად მიჩნევა.

ავტორი ყურადღებას ამახვილებს შედარებითი ხარისხის ფორმათა თანდებულებით გამოხატვის შემთხვევებზე: „შედარებით ხარისხს აღნიშნავს აგრეთვე წინადადება, რომლის შემასმენელი არის ზედშესრული, დამატება *კი — მიცემითი ბრუნვა — ზე*“ (მ. ჯანაშვილი, 1906, 31). მაგ. დადებითი ხარისხია — *მამა მაღალია*, შედარებითი ხარისხი — *შვილი მამაზე მაღალია*, აღმატებითი ხარისხი — *დედა შვილზედაც მაღალია*.

18. პ ე ტ რ ე მ ი რ ი ა ნ ა შ ვ ი ლ ი (პ. მირიანაშვილი, 1911) რამდენიმე პრაქტიკულ რჩევას გვთავაზობს —*ური,*

-იანი, -ოსანი აფიქსთა ხმარების შესახებ. აქვეა განხილული შედარებითი ხარისხის წარმოების წესი — ეს ბოლოსართით: უტკბესი. უ- პრეფიქსის არსებობა კი ავტორს შეუმჩნეველი რჩება.

19. ნ ი კ ო მ ა რ ი ს (ნ. მარი, 1925) ნაშრომში სახელთა აფიქსური წარმოების საკითხები სპეციალურად არ განიხილება. ამის მიუხედავად, სახელთა თავისებურებებზე მსჯელობისას გვხვდება საინტერესო მოსაზრებანი ზოგიერთი აფიქსის გენეზისისა და ფუნქციის შესახებ. ასე მაგ.:

ა) ემფატიკური ა მომდინარეობს ჰა ნაწილაკისაგან, რომელიც დაერთვის საზოგადო სახელს და აწარმოებს საკუთარ სახელს: კაცი — კაც-ა, ბიჭი — ბიჭ-ა... ეგვევ აფიქსი კნინობითის მაწარმოებელიცაა: ტარია ← ტარიელი, ხოლო მისი ფონეტიკური ვარიანტია ამავე ფუნქციის -ი-კა: ივან-ი-კა (ნ. მარი, 1925, 22).

ბ) -ივ გაქვეავებული ბრუნვის ნიშანია ვითარების: ფრ-ივ, ძლ-ივ, ღმრთ-ივ..., რომელიც შინაარსით ფარდია ნათესაობითი ბრუნვისა.

გ) მიერ თანდებულის -ერ ელემენტს ნ. მარი *ჰერ// *მერ/იერ-ს უკავშირებს; მი-ერ, მაგი-ერ... ხოლო თუ-ინ-იერ ფორმაში გამოვლენილ ინ-ს ნათესაობითი ბრუნვის ნიშნად სახავს (ნ. მარი, 1925, 22).

დ) -ეთ მრავლობითი რიცხვის ნიშნის სრული სახე გამოვლენილია ვი-ეთ-ში და კრეტსაბმელ-ში: -ედ//-ეტ: *კრ-ედ — *კრ-ეტ = კარი (ნ. მარი, 1925, 38).

ე) ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმებში გარჩეულია შედარებითი ხარისხის ორი ფორმა: უფროობითი და ოდნობითი. პირველი მათგანი იწარმოება უ-ე (იშვიათად უ-ო) აფიქსებით, რომელსაც მოსდევს ნათესაობითი ბრუნვის -ის/

-მს ნიშანი. აღნიშნულია, რომ უფროობითი ხარისხი იწარმოება ყოველგვარი მეტყველების ნაწილისაგან: უ-ზ-ც-ს-ი, უ-ა-ღ-რ-ე-მს-ი, უ-და-რ-ე-მს-ი, უ-წინა-რ-ც-ს-ი... აღმატებითი ხარისხი დაირთავს გაორმაგებულ პრეფიქსს: უ-უ-დიდეს-ი. გაანალიზებულია თავისებურად ნაწარმოები ფორმებიც: უ-ხუც-ც-ს-ი, რომელშიც სვანურისებრი დიალექტური ხუ თავსართი ჩნდება, ხოლო რუსთველურ ფორმაში „დისაგანცა უფრო დესი“ გაუჩინარებულია პრეფიქსი (ნ. მარი, 1925, 67-70).

ოღნაობითი ხარისხის მაწარმოებელია შო—ო. აქვე განხილულია -ილ, -ელ მარცვლებზე დაბოლოებული ზედსართავეები, რომლებიც შედარებითი ხარისხის ფორმათა წარმოებისას კარგავენ ამ მარცვალს.

ვ) ჭერადობის აღმნიშვნელია რაოდენობითი რიცხვითი სახელისაგან გზის (გზა + ნათ. ბრ. -ის), ჯერ, ველ აფიქსებით ნაწარმოები ფორმები: ხუთგზისი, ორჯერ, ერთველ... (ნ. მარი, 1925, 82).

20. სიტყვაწარმოების პრაქტიკულ საკითხებზე მსჯელობს მ ე ლ ი ტ ო ნ კ ე ლ ე ნ ჯ ე რ ი ძ ე (მ. კელენჯერიძე, 1925). შრომაში წარმოდგენილია ზედსართავი სახელის ორი ქვეჯგუფი: თვისებისა (თეთრი) და დამოკიდებითი (წყლიანი). განმარტებულია ხარისხის რაობაც: „...აღნიშვნას საგნების თვისებისას მათი შედარების საშუალებით ეწოდება ხარისხი (მ. კელენჯერიძე, 1925, 34). ხარისხის ფორმათა განხილვისას მ. კელენჯერიძე არავითარ სიახლეს არ გვიჩვენებს, თუ არ მივიღებთ მხედველობაში მის სწორ განცხადებას, რომ დამოკიდებით (=მიმართებით) ზედსართავეებს ხარისხის ფორმები არ ეწარმოებათ.

21. დ ა ვ ი თ კ ა რ ი ჭ ა შ ვ ი ლ ი (დ. კარიჭაშვილი,

1930) ზედსართავი („დასართავი“) სახელის სამ ჯგუფს წარმოადგენს: *მარტივს, წარმოებულსა და რთულს*. აღნიშნულია, რომ ზედსართავი იწარმოება არსებითის, რიცხვითისა და ნაცვალსახელისაგან -იანი, -ოვანი, -იერი აფიქსთა დართვით.

უთუოდ საინტერესო და ფასეულია შრომის ის ნაწილი, სადაც ავტორი მსჯელობს ზმნისაგან ზედსართავი სახელის მიღების საშუალებაზე — „ზმნისაგან, სახელდობრ, აწმყო დროის მხოლოდითი რიცხვის მესამე პირის ნაკვთისაგან ბოლოში *ი* საბოლოებლის მიმატებით და აგრეთვე უ- ზენართის მიმატებითაც, მაგ. ღირს-ი, უ-ღირს-ი; არს-ი, უ-ხამს-ი... (დ. კარიჭაშვილი, 1930, 28).

დ. კარიჭაშვილს აფიქსთა ფუნქციები არ განუხილავს, ზოგჯერ კი არასწორადაც გამოყოფს მათ. ასეთებია: რიფი, ინდელი, ვანდელი.

22. ი ლ ი ა ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ი ს (ი. სიხარულიძე, 1935) გრამატიკაში მოცემულია მსჯელობა წარმოქმნილი სახელის რაობაზე, სიტყვის მნიშვნელობის მცვლელ აფიქსებზე. სიტყვაწარმოებითი ერთეულები განხილულია სალიტერატურო მასალის მოშველიებით და ძირითადად პრაქტიკულ მიზნებს ისახავს. სახელმძღვანელოში განხილული არ არის არსებით სახელთა წარმოების თავისებურებანი.

ძველ ქართველ გრამატიკოსთა შეხედულებანი სიტყვაწარმოების საკითხებზე ორ ძირითად პერიოდად იყოფა: I. ანტონ კათალიკოსიდან პლატონ იოსელიანამდე და II. დავით ჩუბინაშვილიდან ილ. სიხარულიძის გრამატიკის ჩათვლით (მ. კობალაძე, 1956). თუ თავს მოვუყრით მათს მიღწევებს სახელთა წარმოქმნის შესწავლის დარგში, შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართული ენის შესწავლის თან-

ამედროვე მეცნიერულ ეტაპზე გადასვლის მომენტისათვის არსებობდა გარკვეული წარმოდგენა წარმოქმნასა და წარმოქმნის საშუალებებზე, მაგრამ ეს თვალსაზრისი არ იყო სრული და სისტემური.

23. სახელთა წარმოქმნის საკითხები სრული და მეცნიერული სახით განხილულია ა. შ ა ნ ი ძ ი ს ნაშრომში — „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები“ (ა. შანიძე, 1973), რომელშიც ავტორი ვრცლად ეხება წარმოქმნილ სახელთა სემანტიკურ ჯგუფებს და მათ შესაბამის აფიქსებს, არკვევს აფიქსთა გენეზისსა და ფუნქციებს. აქვეა განხილული ის თანდებულები, ზმნისართები და ნაწილაკები, რომლებიც სახელთა წარმოქმნელად გვევლინებიან რიგ შემთხვევებში.

24. ზემოდასახელებულ გრამატიკას ეყრდნობა რუსი მკვლევარი ბ. რ უ დ ე ნ კ ო (ბ. რუდენკო, 1940), მაგრამ, ა. შანიძისაგან განსხვავებით, გამოყოფს თვისების სახელთა სემანტიკურ ჯგუფს, რომელშიც განხილულია -ურ, -იურ, -იერ, -ეულ, -ილ, -ივ-ი (-ივ), -ით მაწარმოებლიანი სახელები: ბავშვ-ურ-ი, სულ-იერ-ი, გუთნ-ეულ-ი, მუღმ-ივ-ი, კეთ-ილ-ი, წერ-ილ-ი, გულ-ად-ი (ბ. რუდენკო, 1940, 262).

25. სახელური და სახელზმნური მაწარმოებლებია გაანალიზებული ა რ ნ ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ს ნაშრომში (არნ. ჩიქობავა, 1942), რომელშიც გამოყოფილია დეტერმინანტი სუფიქსები და გრამატიკულ კლასთა პრეფიქსები.

26. სიტყვაწარმოების კონკრეტულ საკითხებს ეხება ვ. თ ო ფ უ რ ი ა ს გამოკვლევათა სერია — „ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან“. ამჟამად ჩვენ გვინტერესებს ამ გამოკვლევათა I, II და V ნაკვეთი (ვ. თოფურია, 1938, 83-92; ვ. თოფურია, 1940, 533-540; ვ. თოფურია, 1946, 12-13).

ავტორი ვარაუდობს, რომ ფუძეს შეხორცებულ ნე-, ნი, ნა- პრეფიქსთა უძველესი ფუნქცია (სიტყვებში: ნერგი, ნახვა, ნიკაპი...) დანიშნულების გამოხატვა უნდა ყოფილიყო. ამავე ფუნქციით კი სხვა ენობრივ ფენაში სე-, სი-, სა- პრეფიქსები დასტურდება. დასახელებულ ფორმანტთა თანხმონით ელემენტს გრამატიკულ კლას-კატეგორიათა მაწარმოებლად სახავს, ხმოვნებს კი სახელურ და ზმნურ აფიქსებად მიიჩნევს.

უქონლობის გამომხატველ ქართველურ აფიქსთა ანალიზის შედეგად ვ. თოფურიამ დაასაბუთა, რომ უძველეს ქართულში საგნის უქონლობა სუფიქსით გადმოიცემოდა და მისი გამომხატველი იყო საერთო ბოლოსართი -ურ.

კნინობით სახელთა შესწავლის შედეგად ვ. თოფურიამ წარმოადგინა კნინობითობის აღმნიშვნელ აფიქსთა სრული სია. შესაძლებლად ჩათვალა აგრეთვე კნინობითობის სხვა აფიქსთა გამოყოფაც: -ოკ, -ულ, -ან, -ინ, -იტ, -უც, -უხ, -უჭ, -იჩ, -ურ... და მათი შეერთებით მიღებული რთული სუფიქსები: -ოკ-ინ-ა, -უკ-ელ-ა, -უც-უნ-ა, -უხ-ან-ა...

27. ჰ. ფოგტი ს ნაშრომში (ჰ. ფოგტი, 1971) ახალ ლექსიკურ ერთეულთა წარმოქმნის სამი სახეობაა გარჩეული: *დერივატია* (სახელური და სახელზმნური სიტყვათწარმოქმნა), *რედუქლიკაცია* და *კომპოზიცია*.

ავტორის ძირითადი დებულებები ემყარება ა. შანიძის „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებს“ (ნ. ჩართოლანი, 1972, 169), ამიტომ აღვნიშნავთ მხოლოდ იმ სიახლეთა შესახებ, რითაც ეს ნაშრომი ხასიათდება:

ა) იმის გამო, რომ -ოვან და -ოსან აფიქსიანი სახელები -იან მაწარმოებლიანი ფორმისაგან განსხვავებული სტილისტიკური ელფერით გამოირჩევიან, სამეცნიერო და ტექნიკური

ლიტერატურის ენაში ტერმინთა შესაქმნელად არის გამოყენებული: რქა — რქოსანი, ზეთი — ზეთოვანი...

ბ) ნათესაობითი ბრუნვის ფორმაზე დართული — ეულ სუფიქსიანი ფორმები: ჩემეული, შანიძისეული (მოძღვრება), მროვლისეული („ქართლის ცხოვრება“) ლიტერატურის ენისათვის არის დამახასიათებელი.

გ) ადგილის სახელთა მაწარმოებლად დასახელებულია — ობ სუფიქსი: მაღალი — მაღლ-ობ-ი, ჭა — ჭა-ობ-ი.

დ) უფროობითი ხარისხის აღსანიშნავად უუ—ეს, უუუ—ეს კონფიქსიანი ფორმებიც არის გათვალისწინებული: უუძნელესი, უუქვეშევრდომილესი, უუუზენაესი /ნიმუშები მოტანილია მიხ. ჭავჭავიძის ნაწარმოებებიდან/ (პ. ფოგტი, 1971, 236).

ე) ხელობის სახელთა ჯგუფში შედის მო—ე-თი ნაწარმოები აქტიური მიმღებობებიც: მონადირე... (პ. ფოგტი, 1971, 242).

28. ქართული სიტყვაწარმოებისა და მისი სწავლების სპეციფიკური საკითხები გარკვეული აქვს რ. გაბეჩავას (რ. გაბეჩავა, 1971). მასვე შეჯამებული აქვს ცალკეულ ავტორთა შეხედულებანი ამა თუ იმ აფიქსის ფუნქციებისა და დანიშნულების შესახებ, გარკვეული აქვს ტერმინთა ურთიერთმიმართება.

იმ ცალკეულ მოსაზრებებს, რომლებიც მკვლევრებს სხვა საკითხების განხილვისას აქვთ გამოთქმული, წარმოვადგენტ შრომის ძირითად ნაწილში.

თავი II

სახელთა წარმომავალი აფიქსების ფუნქციები და გავრცელებულობა ახალ ქართულში

სახელთა წარმომქმნელი აფიქსების ფუნქციებისა და გავრცელებულობის შესწავლისას „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონს“ ვემყარებით, რადგან „იგი წარმოადგენს თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ხმარებული სიტყვების საკმაოდ სრულ სიას“ (ბ. ფოჩხუა, 1972, 163); „თითქმის ყველა სიტყვა, დღეს ჩვენს ქართულში რომ იხმარება, ამ ტომებშია მოქცეული. ქართული სიტყვის იმ ამოუწურავ მარაგს, ჩვენი სიტყვაკაზმული მწერლობა, მეცნიერება, პუბლიცისტიკა და პრესა დღეს რომ იყენებს, ამ ვებებრთელა ლექსიკონშია დამკვიდრებული“ (დ. შენგელაია, 1972, 117). ეს არჩევანი განაპირობა აფიქსთა გავრცელების სიხშირის დადგენის სურვილმაც. „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ აღნუსხულია ყველა ის ლექსიკური ერთეული, „რაც კი არის დამკვიდრებული ამჟამად სიტყვაკაზმულ მწერლობაში, სამეცნიერო და პოლიტიკურ ლიტერატურაში, პრესაში, — ერთი სიტყვით, წიგნის მეტყველებაში“ (ქეგლ, I, 107; ალ. ლლონტი, 1971). აქვე შემოდის ძველი ქართულისა და დიალექტური წარმომავლობის ლექსიკური ერთეულები, აგრეთვე მეცნიერების სხვადასხვა დარგისათვის განკუთვნილი ტერმინებიც, ე. ი. ის შეუნაცვლებელი სიტყვები, რომელთაც სალიტერატურო ენაში სინონიმები არ მოეპოვებათ“ (ბ. ფო-

ჩხუა, 1971, 163).

„კიდევ უფრო საგრძნობია „განმარტებითი ლექსიკონის“ მნიშვნელობა სიტყვაწარმოების შესწავლისათვის — მაწარმოებელი აფიქსების ფუნქციათა სრულად აღნუსხვისა და მართებულად დაჯგუფებისათვის (ბ. ფოჩხუა, 1967, V).

სახელთა წარმოქმნის საშუალებათა განხილვა ორგვარად არის შესაძლებელი:

ა) სიტყვაწარმოებითი კლასების (პრეფიქსების, სუფიქსებისა და კონფიქსების) მიხედვით, რაც გულისხმობს მათი ფუნქციებისა და ფუძეებთან შეხამებადობის შესწავლას;

ბ) სემანტიკური ჯგუფების მიხედვით.

ჩვენი არჩევანი ამ უკანასკნელზე იმიტომ შეჩერდა, რომ სემანტიკურ კლასებში შემავალი აფიქსები უმთავრესად ერთგვარი ფუნქციისაა. ამას გარდა, გაადვილებულია მსგავსი შინაარსის მქონე აფიქსების ერთსა და იმავე ფუძეზე დართვით მიღებულ ფორმათა სემანტიკური დახასიათებაც. მაგ.: ხელ-იან-ი, ხელ-ოვან-ი, ხელ-ოსან-ი...

რა თქმა უნდა, ნაკლი ამ კლასიფიკაციასაც აქვს, რადგან ზოგი აფიქსი რამდენიმე ფუნქციის მქონეა. მაგ.: -იერ, -იან, -ეულ, -ურ, -ობა... ნათესაობითი ბრუნვის ფორმაზე დართული -ეულ სუფიქსი წარმომავლობას აღნიშნავს, ხოლო მარტივ ფუძეზე დართული კრებითობასა და მქონებლობაზე მიუთითებს. ეს მეორეული მნიშვნელობები კი შესაბამის სემანტიკურ ჯგუფში განხილვას მოითხოვს. ამ უხერხულობის გათვალისწინების გამო ანბანთრიგზე ვუჩვენეთ თითოეული აფიქსის ყველა ფუნქცია შესაბამისი საილუსტრაციო მასალითურთ. იმის გამო, რომ ტრადიციული სემანტიკური კლასიფიკაციისაგან განსხვავებით ახალ სემანტიკურ ჯგუფთა გამოყოფა გახდა შესაძლებელი, ზოგიერთ ჯგუფს კი რამდენ-

იმე მაწარმოებელი დაემატა, ნაშრომში ცალკე წარმოვადგენთ სემანტიკური დაჯგუფების რამდენადმე ახლებურ კლასიფიკაციას.

I. ქონების სახელთა წარმოება

-ა სუფიქსის ფუნქციები

ა ხმოვანზე დაბოლოებული სახელები ქართულში საკმაო რაოდენობით მოგვეპოვება, მაგრამ ეს ა ყოველთვის სუფიქსად, რა თქმა უნდა, არ მიიჩნევა. ცხადია, წარმოქმნილ სახელთა ჯგუფში ვერ მოექცევა უცხო წარმომავლობის ა ფუძიანი სახელები (ზამბარა, იორლა, ბოხჩა, განჯინა...), აგრეთვე, ქართული სახელები, რომლებსაც ა დაბოლოების უქონელი საპირისპირო ფორმები არ გააჩნიათ (თელა, კენკრა...) და ამიტომ ამ რიგის სახელებში შეუძლებელია ა-ს გამოყოფა.

ქვემოთ განვიხილავთ მხოლოდ ისეთ ა-დაბოლოებიან სახელებს, რომლებსაც აქვთ საპირისპირო ფორმები -ა სუფიქსის გარეშე.

ცნობილია, რომ -ა სუფიქსი შეიძლება აწარმოებდეს: ა) კნინობით სახელებს; ბ) ქონების სახელებს; გ) თვისების აღმნიშვნელ სახელებს; დ) მსგავსების აღმნიშვნელ სახელებს (ა. შანიძე, 1973, 121, 122, 125; ა. მანჯგალაძე, 1956, 171; ა. პაპიძე, 1974, 50).

1. კნინობითობის აღნიშვნის ფუნქცია -ა სუფიქსისათვის, ახალი ქართულის მონაცემების მიხედვით, ნაკლებ დამახასიათებელია. ასეთი -ა-ს შემცველი რამდენიმე მაგალითი თუ დაიძებნება და ისიც მეტწილად დიალექტურია:

აზნაურ-ა (კნინ. დამც. აზნაური, I); ბიჭ-ა (დიალ.

მოხევ. კნინ.-მოფერ. ბიკი, I*); კარდალ-ა (მომცრო ქვაბი, IV); კაც-ა (პატარა კაცი, IV); მამალ-ა (კნინ. მამალი, ყვინჩილა); ფიჩაურ-ა (ძვ. „მომცრო საღვინე“, საბა, VII); ფიცარ-ა (პატარა ფიცარი, VII); ქალ-ა (პატარა ქალი, VII); ღვეზელ-ა (პატარა ღვეზელი, VII); ყელ-ა (მნიშვნ. 3 - კნინ. ყელი, VII); წრიაპ-ა (პატარა წიწილა, შდრ. წრიაპი - მნიშვნ. 3 - „საღელღე ვარია“, VII); ხატ-ა (პატარა ხატი, VIII).

ა. შანიძე -ა სუფიქსიანი კნინობითობის როლის შესუსტების ორ მიზეზს ასახელებს: 1. იგი ხშირად ერთვის კნინობითის სხვა, უფრო გავრცელებულ მაწარმოებლებს: -უკ-ა, -უნ-ა, -ილ-ა... 2. თანამედროვე ქართულმა არსებითად დაკარგა კნინობითის ორგანული ფორმები და ცდილობს დანაკლისი აღწერითი ფორმებით შეივსოს: კაც-ა - პატარა კაცი (ა. შანიძე, 1973, 122).

სამაგიეროდ, ხშირად გვხვდება კნინობითის -ა ადამიანთა საკუთარ სახელებში: ბეჟან-ა, დავით-ა, ვახტანგ-ა, სიმონ-ა, ლუარსაბ-ა... ასეთი წარმოება უმთავრესად დიალექტებს ახასიათებს (ილაკრიეს ტიპის ფორმებში ე მიღებულია კნინობითის -ა-ს ასიმილაციით სახელობითის -ი-სთან (ამასთან დაკავშირებით იხ. შ. ძიძიგური, 1946, 22; ო. კახაძე, 1953, 188; ო. კახაძე, 1954, 33; რ. გაბეჩავა, 1971, 33).

მთიულურ-მოხეურში შესაძლებელია რიცხვითისა და ზედსართავი სახელის კნინობითი ფორმაც: სამ-ა-ნი მანეთ-ა-ნ-ი, ორ-ა-ნ-ი ცხორ-ა-ნ-ი... (ა. შანიძე, 1973, 121; იხ. აგრეთვე: „თვენი ესხნეს ორანილა“ - ვტ., 1937, 185, 2).

* აქაც და ქვემოთაც რომაული ციფრებით აღნიშნული გვაქვს „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ შესაბამისი ტომები.

2. -ა სუფიქსი ქონების (რაიმეს მქონებლობის) აღმნიშვნელია საზოგადო სახელებში: ა) მარტივი სახელები: ახალუხ-ა (ახალუხიანი, ახალუხის ამარა, I); ბერკეტ-ა (ტექნ. ბერკეტის მქონე, I); ბოჩოჩხ-ა (ბორჯღლიანი, I); გგერდ-ა (ძალიან დაქანებული მცოცავი ბუჩქი, III); პერანგ-ა (პერანგის ამარა, VI); ულვაშ-ა (ულვაშებიანი, VI); წახნაგ-ა (წახნაგაიანი, VIII); ბ) რთული სახელები: ასფურცელ-ა, თხისწვერ-ა, ბოლობეჭედ-ა, თმაქორორ-ა...

-ა ზოგჯერ ცოცხალი არსების სხეულის ნაწილთა აღმნიშვნელ სახელებს დაერთვის და ქონების გაგებას გვაძლევს, თუმცა აქ საგანი ჩვეულებრივზე მეტ სიდიდეს უჩვენებს: ტუჩ-ა (ვისაც სქელი ტუჩები აქვს, V); ფაშ-ა (მუცელჩამოშვებული, დიდმუცელა საქონელი, VII); ყურ-ა (ყურიანი, VII); ჩიჩვირ-ა (საუბ. დიდტუჩა, დრუნჩა ადამიანი, VIII); ცხვირ-ა (საუბ. გრძელი, დიდი ცხვირის მქონე, დიდცხვირა, VIII); წარბ-ა (1. ხშირწარბიანი, VIII).

ქვემონაჩვენებ სახელებში -ა სუფიქსი თითქოს უქონლობის აღმნიშვნელია, თუმცა, უნდა ვიფიქროთ, რომ -ა-სათვის ასეთი ფუნქცია მეორეულია და კნინობითის შინაარსის მოდიფიკაციითაა მიღებული: კუდ-ა → პატარა კუდიანი → კულის უქონელი; კუდ-ა (მნიშვნ. 1. უკულო ან მოკლეკუდიანი ცხოველი, IV); ყურ-ა (უყურო, VII).

3. -ა სუფიქსიან სახელს ამა თუ იმ თვისების აღნიშვნაც შეუძლია. ეს ფუნქცია უმთავრესად მოქმედების აღმნიშვნელ სიტყვებზე (ე.წ. პირველად საწყისებზე) დართვისას ვლინდება. ამ შინაარსის სახელი სხვა რომელიღაც სახელს ახასიათებს მოქმედების გარკვეული სახეობის მიხედვით: შრიალა ხე, ფოთოლი... ზოზინა კაცი, ბავშვი...

თვისების აღმნიშვნელი -ა სუფიქსი დასტურდება:

ა) მარტივ სახელებში: ბარბაც-ა (1. ვინც ან რაც ბარბაცებს; 2. ტექნ. ძრავას ნაწილი. შდრ. ბარბაცი — სიარული იმ ადამიანისა, რომელიც წონასწორობას ვერ იცავს, ქეგლ, I); ბაჯბაჯ-ა (ბაჯბაჯით მოსიარულე, შდრ. ბაჯბაჯი — აქეთიქით ქანაობით უშნო სიარული, I); ბლუკუნ-ა (ვინც ბლუკუნებს, ბლუკუნით მოლაპარაკე, შდრ. ბლუკუნი — გაურკვეველად ლაპარაკი; (გურ). „ენაბრგვილის ლაპარაკი“ — გ. შარაშ.; (იმერ.) „უხეირო, უშნო ლაპარაკი“, ვ. ბერ. I); გიზგიზ-ა (რაც გიზგიზებს, შდრ. გიზგიზი — ძლიერი ცეცხლის ხმა, ბრიალი, გუზგუზი, I); დუდღუნ-ა (1. ცხვირში მოლაპარაკე; 2. რაც ცხვირში ლაპარაკით ხასიათდება, შდრ. დუდღუნი — ცხვირში ლაპარაკი, I); ზოზინ-ა (ვისაც ზოზინი სჩვევია, ხელგვიანი, ზლაზნია, შდრ. ზოზინი — ნელი, აუჩქარებელი, გვიანი, უსიცოცხლო საქმიანობა, მოძრაობა, I).

ბ) რთულ სახელებში: კუდქიცინ-ა (რაც კუდს აქიციანებს ხოლმე, IV); პირცმაცუნ-ა (ვისაც ან რასაც პირის ცმაცუნი სჩვევია, VI); ყურცქვიტინ-ა (რასაც ყურების ცქვეტა ახასიათებს, VII); სახეცქრიალ-ა (პოეტ. ვისაც ცქრიალა სახე აქვს, VII).

კომპოზიტის მეორე შემადგენელი ნაწილი მოქმედების აღმნიშვნელი სახელია, პირველი ნაწილი — სახელი კი აკონკრეტებს რაიმე თვისების მოქმედებას. მაგ. ცქრიალ-ი - ცქრიალ-ა — საერთოდ ახასიათებს პიროვნებას, მაგრამ სახეცქრიალა ფორმაში ხაზგასმულია ის თვისება, რასაც — ა სუფიქსიანი ფორმა აღნიშნავს.

ზემოგანხილულმა მაგალითებმა დაგვარწმუნა, რომ ამ შემთხვევაში — ა სუფიქსი მაზედსართავებელია (მაადიექტივებელია).

4. — ა სუფიქსიან სახელს სხვა რომელიმე საგანთან მს-

გავსების აღნიშვნაც შეუძლია. მსგავსება შეიძლება იყოს ფერისა, მოყვანილობისა ან სხვა რაიმე ნიშნის მიხედვით: ქერ-ა (ქერის ფერი), შინდ-ა (შინდის ფერი)... (ა. შანიძე, 1973, 122).

მსგავსების აღმნიშვნელი -ა სუფიქსი დასტურდება:

ა) მარტივ სახელებში: აბრეშუმ-ა (უფესვო და უფოთლო ერთწლიანი მცენარე, I); ბაყაყ-ა (ბაყაყა თვალები, გადმოკარკლული თვალები, I); ბურთ-ა (ტექნ. ბურთის მოყვანილობისა, ბურთისებური, I); ბუსუს-ა (ბუსუსის მსგავსი, ბუსუსივით, I); გვირგვინ-ა (1. ანატ. ნუნისზედა ნაწილი კბილისა; 2. ლითონის ან ფაიფურის გარსი, ჩამოსაცმელი, დაზიანებისაგან დასაცავად, II); თხილ-ა (მთ. მადნ. თხილა ნახშირი, კარგი ხარისხის ქვანახშირის ერთ-ერთი სახეობა, IV); ისარ-ა (1. მცენარე ისრის მოყვანილობისა; 2. გრძელი და ძალიან ვიწრო ნახევარკუნძული, IV);

ბ) რთულ სახელებში: ვარდკანაფ-ა (კანაფის მაგვარი ბოქოვანი მცენარე, IV); მიწამაყვალა (ბოტან. მაყვლის მსგავსი ბალახოვანი მცენარე, V); ცელნამგალ-ა (ნამგლის მოყვანილობის, VIII); თითისტარ-ა (ანატ. ერთ-ერთი კუნთი თითისტარის მოყვანილობისა, IV); კრავიკუდ-ა (ბოტან. მრავალწლოვანი ბალახი, IV); მილძაბრ-ა (სპეც. ძაბრისებური მილი, V)...

„-ა სუფიქსიანი მსგავსების სახელი, მართალია, ჰგავს ამავე სუფიქსით ნაწარმოებ ქონების სახელს, მაგრამ მათი გამიჯვნა არ ჰქირს (შდრ. წითელპერანგა და თვალსაცერა)... თვალსაცერა ნიშნავს „საცრისოდენა თვალებიანს, ვისაც საცერივით დიდი, ფართო თვალები აქვს“. გვაქვს შედარება-მსგავსებაც და მქონეობაც, თუმცა ეს ამგვარი წყობისათვის, ამ კომპოზიციისათვის არის დამახასიათებელი,

ისე კი მართო შედარება გამოიხატება, თუ პირდაპირი წყობა იქნება: საცერა თვალები — საცერივით თვალები“ (ივ. ქავთარაძე, 1974, 168).

შრიალა, გიზგიზა, ბაყაყა, ბურთა, ნაფოტა ტიპის სახელები მსაზღვრელი სახელის ფუნქციის მქონეა. თავდაპირველად ეს სახელები მსაზღვრელ სახელებად გვევლინებოდნენ: *შრიალა ხე, ნაფოტა თევზი...* ასეთ შემთხვევაში „შრიალა“, „ნაფოტა“ მსაზღვრელია, —ა მსგავსების აღმნიშვნელი სუფიქსი, ე. ი. ნიშნავს: ნაფოტის მსგავსი თევზი. შემდეგ, როცა საზღვრულის გაგება მიწილდა, მიიჩქმალა, სინტაგმის ცალად დარჩენილმა წევრმა (მსაზღვრელმა) იკისრა დაკარგული სუბსტანტივის შინაარსის გადმოცემაც. მსგავსების, ქონების გამომხატველი —ა-ს რეინტერპრეტაციის საფუძველზე ამ —ა-ს მასუბსტანტივებელის ფუნქცია დაეკისრა.

5. —ა სუფიქსი წარმოქმნილ სახელთა მაწარმოებლადაც გვხვდება. ამ სუფიქსის საშუალებით შეიძლება წარმოქმნილი სახელი ხელმეორედ ვაწარმოოთ ახალი შინაარსით. ორმაგად ან სამმაგად ნაწარმოებ სახელში ჩანს წინამავალი აფიქსის ძირითადი ფუნქცია, —ა კი მასუბსტანტივებელია:

—იან-ა: ბედი-იან-ა, ცვრ-იან-ა, ხალთ-იან-ა (ენტომ. მწერიკა ერთგვარი, VIII); ცრუფარ-იან-ა (ზოოლ. ერთგვარი მავნებელი მწერი, VIII); მტვრ-იან-ა (ბოტან. ყვავილის ნაწილი, V);

—ოვან-ა: წებ-ოვან-ა (ხორბლის ან ქერის მარცვლის შემადგენელი ცილოვანი ნივთიერება, VIII); შარდ-ოვან-ა (ქიმ. ცხოველის შარდის შემადგენელი ნივთიერება, VII); ცხიმ-ოვან-ა (მედიც. კეთილთვისებიანი კანქვეშა ცხიმოვანი სიმსივნე, V); სამხმ-ოვან-ა (ლინგ. ტრიფთონგი, VI);

-იერ-ა: მაქც-იერ-ა (ერთნაირი ჩიტი, რომელიც თავს იმკვდარუნებს, დაქერას რომ გადარჩეს (გ. შარაშ., VI);

-ედ-ა: ჯაჭვ-ედ-ა (ქრელი, შავ-თეთრი ქათამი, VIII);
ჭინჭორ-ედ-ა (მეტად ქრელი, VIII);

უ-ურ-ა: უ-ფეხ-ურ-ა, უ-წვერ-ულ-ა...

სა-ურ-ა: სა-ნათ-ურ-ა, სა-თბ-ურ-ა...

-ეთ-ურ-ა: ჯაგახ-ეთ-ურ-ა...

რამდენიმე წარმოქმნილ სახელში -ა-ს ფუნქცია ვერ დავადგინეთ, რადგან მნიშვნელობით თანხვდება პირველად ნაწარმოებ სახელს: ნა-გერ-ალ-ი/ა, ნა-ქურჩ-ალ-ი/ა.

6. რიგ შემთხვევაში -ა-მაწარმოებლიან სახელს გაურკვეველი შინაარსი აქვს. ამ ჯგუფში განვიხილავთ ისეთ სახელებს, რომელთა ძირეული და საპირისპირო -ა-მაწარმოებლიანი ფორმები შინაარსეულ განსხვავებას არ გვიჩვენებენ. ასეთი სახელების ისტორიული ანალიზი მოცემული აქვს ალ. მანჯგალაძეს (ალ. მანჯგალაძე, 1956, 171-186). ა. შანიძე რიგ სახელებში (ძალ-ი და ძალ-ა, პირ-ი და პირ-ა, ძირ-ი და ძირ-ა...) -ა ხმოვანს კნინობითობის მაწარმოებელ სუფიქსად თვლის (ა. შანიძე, 1973, 122). ალ. მანჯგალაძეს ამ მოსაზრების გავრცელება გაანალიზებულ ყველა ერთეულზე უძნელდება, „რადგან, ჯერ ერთი, საექვოა, რომ ამ სახელებიდან ყველას მოეპოვებოდეს კნინობითის ფორმის წარმოების შესაძლებლობა და, მეორე, ა ხმოვნის მსგავსად შეიძლება გამოიყოს ე და თ ხმოვნებიც, რომელთაც კნინობითის წარმოებასთან არაფერი აქვთ საერთო“ (ალ. მანჯგალაძე, 1956, 186).

ალ. მანჯგალაძის მიერ წარმოდგენილ სიას ვუმატებთ ამ ტიპის სხვა სახელებსაც: ბჟოლ-ა/-ი, ბურჩხ-ა/-ი, გოგროხ-ა/-ი, გუნდ-ა/-ი, კალათ-ა/-ი, კვინჩხ-ა/-ი.

ამგვარად:

1. მარტივ სახელებში -ა სუფიქსი ოთხი ფუნქციით გვხვდება: იგი კნინობითობის, ქონების, მსგავსებისა და თვისების აღმნიშვნელ სახელებს აწარმოებს. თვისების აღმნიშვნელ სახელებში -ა მაადიექტივებელია, ხოლო მსგავსების სახელებში - მასუბსტანტივებელი.

2. კომპოზიტებზე დართული -ა სუფიქსი უჩვენებს ქონებას, მსგავსებას და თვისებას.

3. ნაწარმოებ სახელებში -ა-ს მასუბსტანტივებელის ფუნქცია ეკისრება.

4. -ა სუფიქსიანი კომპოზიტის გავრცელებას ხელი შეუწყობს მეცნიერების სხვადასხვა დარგში ტერმინოლოგიის შექმნის მოთხოვნილებამ. ასეა ნაწარმოები მრავალი ტერმინი *ქიმიაში*: ძმარმჟავა-ა, ფოსფორმჟავა-ა, ღვინისმჟავა-ა... *ენტომოლოგიაში*: ფარშევანგთფალ-ა, ფეხჯაგარ-ა... *ტექნიკურ ლიტერატურაში*: მილძაბრ-ა, თავბურც-ა... *ანატომიაში*: თითისტარ-ა...

-იან სუფიქსის ფუნქციები

-იან სუფიქსი ახალ სალიტერატურო ქართულში ქონების სახელთა ყველაზე აქტიური მაწარმოებელია (ა. შანიძე, 1973, 122). მაგ.: ენამზ-იან-ი, სახლ-იან-ი, კუდ-იან-ი, გრძელვად-იან-ი, ლურჯქათიბ-იან-ი, წაგებ-იან-ი, პირობ-იან-ი, მცირეყალიბ-იან-ი, ნაწნავ-იან-ი, ხელჯოხ-იან-ი...

1. -იან დაერთვის როგორც ქართული წარმოშობის სახელებს, ასევე უცხო ენებიდან ნასესხებ სიტყვებსაც: არაზჩინ-იან-ი (←თურქ. არაჩინ - თხელი ქსოვილის საშინაო ქული, ფესის მაგვარი, I), ბეგთარ-იან-ი (←სპარს. ბექთარ - ჯავ-

შანი, I), დოშლუდ-იან-ი (← აზერბ. ორპირად შესაკვრელი ახალუხის გულისპირი, III), დუიმ-იან-ი (← პოლ. duim – ძვ. სიგრძის საზომი ერთეული, IV); ყალთად-იან-ი (← თურქ. კალტაკ – ცარიელი, უნარგავო ადგილი, VII).

2. -იან//-ან სუფიქსი, როგორც წარმომავლობის აღმნიშვნელი, გვარისსახელად ძალიან გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოში: თეოდორა-ან-ი, ომარა-ან-ი (-ან ← -იან ფორმის დასუსტების შედეგად, რაც ფუძისეული -ა ხმოვნის ზემოქმედებითაა გამოწვეული (ა. შანიძე, 1973, 123). ნარიანი მრავლობითის ფორმით კრებითობა აღინიშნება, თანიანი მრავლობითის ფორმით კი ინდივიდია დასახელებული.

გვარის სახელების ეს დაბოლოება თავდაპირველად ყველა ქართველური ტომისთვის უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი. „ქართველურს პატრონიმისტიკულ მორფოლოგიაში იგი ერთი ყველაზე ადრინდელი მოვლენათაგანია“ (ს. ჯანაშია, 1937, 211).

-ი-ან მაწარმოებელში -ან ელემენტს ცალკე გამოყოფს ს. ჯანაშია და მის თავდაპირველ ფუნქციად კრებითობას ასახელებს, რაც ნათლად დასტურდება ქართველური გვარის სახელების ანალიზით. ამ ფუნქციას ძველთაგანვე მჭიდროდ დაუკავშირდა წარმომავლობის ჩვენებაც. -ან ფორმანტის მიერ გვარის სახელებისა და შტო-გვარის სახელთა წარმოება გავრცელებული იყო აღმოსავლეთ საქართველოში, დასავლეთ საქართველოში კი ძირითადად სვანეთსა და მის ახლომდებარე რაიონებში. მაგ. რაქაში -ე-ენ ვარიანტიანი შტო-გვარის სახელებია გავრცელებული: „ლობჯანიძეების საგვარეულოში: ლაშხენი, ზვიადენი...“ (ს. ჯანაშია, 1937, 210-213). „თვისებისა და წარმოშობის, წარმომავლობის ნიშანთა გარჩევა ზოგჯერ ჭირს, ან პირველი მეორის შედე-

გია. ამიტომ ესევე სუფიქსი წარმოშობასა და წარმომავლობას აღნიშნავს. სუფიქსის ამ მნიშვნელობის განვითარებას უთუოდ ხელს უწყობდა მისი პატრონიმისტიკული ფუნქცია, როდესაც კრებითობის ფორმანტი რეალურად საერთო წარმოშობაზედაც მიუთითებდა“ (ს. ჯანაშია, 1937, 217). „...აღსანიშნავია, რომ როცა ამ საგვარეულო კოლექტივებს შიგნით ცალკე ინდივიდის აღნიშვნა ჰსურთ, მაშინ ზემოთ წარმოდგენილი გვარის ფორმები მრავლობითის ირიბ ბრუნვათათ სუფიქსს დაირთავენ“ (ს. ჯანაშია, 1937, 214). -ოთარაან-თ... ძველ ქართულში -ე-ან ფორმანტის მიერ ადამიანის წარმომავლობის ჩვენებას ყურადღება მიაქცია ივ. იმნაიშვილმა. აზალ-ეან-ი, მიქელ-ეან-ი ფორმების ბერძნულ-სომხურ ტექსტებთან შედარების საფუძველზე მკვლევარმა დაასკვნა, რომ „ისინი უფრო მამისშვილობას აღნიშნავენ, შთამომავლობასა (მამისაგან) და მემკვიდრეობაზე მიუთითებენ, ვიდრე გარკვეული პირების მრავლობითობაზე... აქ აღნიშნული წარმოება მოგვაგონებს დღევანდელი ქართულის ფორმებს, როგორცაა ოთარაანი, თათარაანი...“ (ივ. იმნაიშვილი, 1956, 391). -იან გვარისსახელთა მაწარმოებელია: ყიფ-იან-ი...

3. იშვიათად -იან სუფიქსი მცენარეთა კრებულის აღმნიშვნელიცაა: თხილ-იან-ი, ნიგვზ-იან-ი, მურყნ-იან-ი, უხვ-იან-ი (ტყე), ღელ-იან-ი.

ძველ ქართულში -იან სუფიქსიანი ფორმა მიმდევრობასაც* (ამა თუ იმ რელიგიის მიმდევრობასაც) აღნიშნავდა: ქრისტ-იან-ი, მაჰმად-იან-ი, მელეტ-იან-ი (მელეტოს ანტიოქელის მიმდევარი, - ილ. აბულაძე).

* ეგვეე შინაარსის გადმოსაცემად ძვ. ქართულში -ელ აფიქსიან ფორმასაც მიმართავენ: საღუკვე-ელ-ნი, ფარსევ-ელ-ნი...

-ეან//-იან მაწარმოებლით ძველ ქართულში იშვიათად ქონების სახელებიც იწარმოებოდა: აუგ-იან-ი, ბაყლ-იან-ი (ბაყლი - ძვ. თხრამლი, ბალხამი, ჩირქი, I), ვერძ-იან-ი, გესლ-იან-ი, თიხ-იან-ი, თოვლ-იან-ი, მარილ-იან-ი, ნიშნ-იან-ი, ყინულ-იან-ი (ივ. იმნაიშვილი, 1956, 145), აუგ-ეან-ი, კაეშნ-ეან-ი (ილ. აბულაძე, 1973). „ეან სუფიქსი კარგა ხანს შემორჩა ენას. იგი დაცულია XIII-XIV საუკუნეთა ძეგლების ენაშიც. მის პარალელურად -იან სუფიქსი, ჩანს, ძველ ქართულშივე იხმარებოდა“ (მ. ძიძიშვილი, 1960, 61).

-იან სუფიქსის ეს ფუნქცია შემდეგ კიდევ უფრო განზოგადდა და იგი ერთადერთი გახდა. იგი დაერთვის ყოველგვარ სახელს: ქართულსაც და უცხო წარმომავლობისასაც, ერთ-, ორ- და მრავალმარცვლიანებს, სუფთა, მარტივ ფუძეებსაც და ნაწარმოებ სახელსაც. მისი ასეთი ასპარეზი იმის დამადასტურებელია, რომ ქონების სახელთა წარმოების ძირითადი მოდელი ახალ ქართულში -იან სუფიქსით იქმნება.

-ოგან სუფიქსის ფუნქციები

-ოგან სუფიქსი ძველ ქართულში ქონების აღმნიშვნელ სახელთა ყველაზე აქტიური მაწარმოებელი იყო. „იგი ნაწილობრივ ფარავდა -იან (-ეან) სუფიქსის იშვიათ გამოყენებას: ბევრ შემთხვევაში, როცა დღეს -იან სუფიქსს ვიყენებთ, ძველად მას -ოგან ენაცვლებოდა: ტვნოვანი - ტვინიანი“ (ივ. იმნაიშვილი, 1956, 434).

ჩვენს მასალაში -ოგან სუფიქსიან სახელთა სიჭარბის ძირითადი მიზეზი ძველი ლიტერატურული ძეგლებიდან მომდინარეობა უნდა იყოს, რადგანაც შესაბამისი მნიშვნელო-

ბის გადმოსაცემად დღევანდელ ქართულში -იან სუფიქსი-
ანი ფორმები იხმარება: ბალახ-ოვან-ი — ბალახ-იან-ი,
იმედ-ოვან-ი — იმედ-იან-ი, ღრუბლ-ოვან-ი —
ღრუბლ-იან-ი...

ახალ სალიტერატურო ქართულ ენაში -ოვან სუფიქსის
ძირითადი ფუნქცია ისევ ქონების სახელთა წარმოებაა:
ასაკ-ოვან-ი, ბოჭკ-ოვან-ი, მცირეწლ-ოვან-ი,
ორაზრ-ოვან-ი, სრულწლ-ოვან-ი, ჯერ-ოვან-ი,
სურნელ-ოვან-ი, ლაჟვარდ-ოვან-ი, წითელდროშ-ოვან-ი
(სამხედრო ფლოტი)...

ზოგჯერ -ოვან სუფიქსიან ფორმას, -იან მაწარმოე-
ბლიანთან შეპირისპირებით, მეტი სიმრავლის გამოხატვა
შეუძლია. თ. ჟორდანიას მიუთითებდა, რომ -ოვან სუფიქსით
ნაწარმოები სახელი მრავლად ქონებას აღნიშნავსო (თ. ჟორ-
დანიას, 1889, 107; იხ. აგრეთვე: რ. გაბეჩავა, 1971, 49). ასეთე-
ბია: კლდ-ოვან-ი, გუმბათ-ოვან-ი, კუნთ-ოვან-ი,
ლოდ-ოვან-ი, ნაპრალ-ოვან-ი... ამავე შინაარსის -იან
მაწარმოებლიანი სახელი კი-ებ-იან-ი მრავლობითის ფორ-
მას მოითხოვს: გუმბათ-ებ-იან-ი, ნაპრალ-ებ-იან-ი...

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ძველი ქართული ენის
მონაცემთა გათვალისწინება. „ძველი ქართული ენის ლექსიკონ-
ში“ განმარტებულია: ეკლოვანი = ეკლებიანს, ნერგოვანი =
ხშირ ტყეს, ნაძოვანი = ნაძვებიან ადგილს, ჯევროვანი =
ხეებიან ადგილს. საგულისხმოა, რომ -ოვან სუფიქსიან სახ-
ელს მცენარეთა კრებულის აღნიშვნაც შესძლებია:
ნიგუზოვანი = ნიგვზნარი, ოლოვანი = ბუჩქნარი, ლერწმონი
= ლერწმოვანი ადგილი (ილ. აბ.); თუშურ დიალექტში დასტურ-
დება ფორმა ვერხ-თან-ი; უფრო საგულისხმოა, რომ -ოვან
მაწარმოებლიანი ვაროვანი, ჯივროვანი ამავე დიალექტში ჯოვის,

ფარის, ნახირის აღმნიშვნელია: **ჯიჯროანი** = ჭიხვების ფარა (თ. უთურგ.), **ჯაროგანი, ჯაროანნი, ჯარუანი** = ხარების ნახირი (თ. უთურგ.)...

ზემოთქმულის მიხედვით ირკვევა, რომ **-იან** და **-ოგან** მაწარმოებლიან სახელთა შორის სემანტიკური გადახრები ძველ ქართულშივე აღინიშნებოდა. ამის საფუძველი კი ის იყო, რომ **-ოგან** სუფიქსიანი ფორმა საგნის სიმრავლეზე მიუთითებდა.

ნარიანი მრავლობითის ფორმით ახალ ქართულშიც გადმოიცემა მცენარეთა შემკრებლობითი სახელი: **თესლ-ოგან-ი, მარცვლ-ოგან-ი, ნარინჯ-ოგან-ი.**

-ოგან მაწარმოებლიანი სახელი ზოგჯერ საგნის თვისება-მსგავსებაზეც მიუთითებს. ორი იდენტური შინაარსის ფორმა ენამ სხვადასხვა ფუნქციით აღჭურვა: **-იან** მაწარმოებლიანი სახელი ქონების მაჩვენებელია, **-ოგან** სუფიქსიანი ფორმა კი თვისება-მსგავსებას აღნიშნავს. შდრ.: **ხავერდ-იან-ი** (ხავერდის მქონე, VIII) და **ხავერდ-ოგან-ი** (ხავერდივით რბილი, VIII), **ხატ-იან-ი** (ხატის მქონე, VIII) და **ხატ-ოგან-ი** (წიგნ. ხატების, სახეების შემცველი, VIII), **ცეცხლ-იან-ი** - **ცეცხლ-ოგან-ი** (თვალები, ცეკვა...) **კბილ-იან-ი** და **კბილ-ოგან-ი**, **ყინულ-იან-ი** და **ყინულ-ოგან-ი**, **მუნღ-იან-ი** და **მუნღ-ოგან-ი**, **ჰაერ-იან-ი** და **ჰაერ-ოგან-ი**, **ფერად-იან-ი** და **ფერად-ოგან-ი**...

-ოგან მაწარმოებლიანი ფორმები უმთავრესად მწიგნობრული მეტყველებისთვისაა დამახასიათებელი: მაგ., „ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი“ (ვტ., 800, I); „განმარტოებულს ფრიალო კლდეზე სდგას ალვის ხისა ნორჩი ახალი, მრავალ-შტოვანი, მაგრილებელი, ჰაეროვანი, ტურფა, მალალი (ნ. ბარათაშვილი, ჩინარი); „ყვავილოვანი სიყ-

მაწვილე...“ (გალაკტიონი).

სამეცნიერო ლიტერატურის ენამ კვლავ გაააქტიურა -ოვან სუფიქსი. იგი ცნებების აღმნიშვნელ ტერმინთა შესაქმნელად გამოიყენეს მეცნიერების სხვადასხვა დარგში: მედიცინაში: კუნთ-ოვან-ი, სოკ-ოვან-ი, ჩირქ-ოვან-ი, წყლულ-ოვან-ი, ხრტილ-ოვან-ი... ქიმიაში: ზეთ-ოვან-ი, ტუტ-ოვან-ი, ცილ-ოვან-ი... გეომეტრიაში: კუთხ-ოვან-ი, წახნაგ-ოვან-ი... ლინგვისტიკაში: ხმ-ოვან-ი, მარცვლ-ოვან-ი... ბოტანიკაში (ნარიანი მრავლობითის ფორმით მცენარეთა კრებულის აღსანიშნავად): მარცვლ-ოვან-ნ-ი, თესლ-ოვან-ნ-ი, ნარინჯ-ოვან-ნ-ი, რთულყვავილ-ოვან-ნ-ი, შიშველთესლ-ოვან-ნ-ი... ტექნიკურ ლიტერატურაში: ბრაგ-ოვან-ი (ტექნ. მწკრივად დახორკლილი ზედაპირის მქონე, I); ლირს-ოვან-ი (სპეც. ლირსის მქონე. ლირსი - ჩარჩოში ჩასმული თხელი ფიცარი, IV)... ტერმინებში -ოვან სუფიქსი საგნის თვისებასა და სიმრავლეზე მიუთითებს.

ზემოდასახელებულ ფუძეებზე -იან მაწარმოებელდართული ფორმები კი ქონების აღმნიშვნელია ყოველდღიურ სიტყვათხმარებაში: ცხიმ-იან-ი (შდრ. ცხიმ-ოვან-ი).

-ოვან სუფიქსი ძირითადად ქართული წარმოშობის (ან ქართულში ძველთაგანვე შესისხლბორცებულ) ერთ ან ორმარცვლიან ძირებს დაერთვის. იშვიათია რთულ ფუძეზე მისი დართვის შემთხვევები. ამგვარი სახელები ძირითადად ტერმინოლოგიურია: მრავალდაზგ-ოვან-ი, ნახშირწყლ-ოვან-ი, რთულყვავილ-ოვან-ი... ერთეულ შემთხვევაში -ოვან აფიქსი უცხო წარმომავლობის (გვიან შემოსულ) სახელებთანაც გვხვდება: კალიუმ-ოვან-ი, ვალენტ-ოვან-ი, პოემენტ-ოვან-ი, ელემენტ-ოვან-ი, ექსტრაქტ-ოვან-ი... ყველა ფორმა ტერმინოლოგიურია.

-ოსან სუფიქსის ფუნქციები

-ოსან „აღნიშნავს რისამე მატარებელს ან მქონებელს“ (ა. შანიძე, 1973, 124). ამ სუფიქსის უძველესი ფუნქცია („აღნიშნოს რისამე მატარებლობა“) შემორჩენილია ძველი წარმოების სიტყვებში: გვირგვინ-ოსან-ი, მანდილ-ოსან-ი, წვერ-ოსან-ი, ქუდ-ოსან-ი, შა-ოსან-ი, ტაიჭ-ოსან-ი... სხვა სახელები, რომლებიც ძველ ქართულში -ოსან სუფიქსის დართვით რისამე მქონებლობას აღნიშნავდნენ, დღეს -იან მაწარმოებლით გამოხატავენ ამავე შინაარსს: თმ-ოსან-ი — თმ-იან-ი...

თანამედროვე მწიგნობრულმა მეტყველებამ გაააქტიურა და ახალი ფუნქციებითაც აღჭურვა -ოსან სუფიქსი:

1. ა) ქონების გაგება აქვს ახლადწარმოქმნილ სახელებს: კარგ-ოსან-ი, ფრიად-ოსან-ი*, ცუდ-ოსან-ი, ფაფარ-ოსან-ი, კულტურ-ოსან-ი (განვითარებული კულტურის მქონე, — კულტურული, IV), ორდენ-ოსან-ი...

ბ) აღნიშნავს მცენარეთა, ცხოველთა და ფრინველთა გვარს, სახეობას, ჯიშს: გირჩ-ოსან-ი, ფირფიტ-ოსან-ი, ტურჩ-ოსან-ი, პარკ-ოსან-ი, ჩლიქ-ოსან-ი, რქ-ოსან-ი, ფრთ-ოსან-ი, ქოლგ-ოსან-ი (ნარიანი მრავლობითის ფორმით აღნიშნება კრებითობაც: გირჩ-ოსან-ნი, ტურჩ-ოსან-ნი... (ფოგტი, 1971, 233).

2. ა) აწარმოებს პროფესიის, ხელობის და მისთ. აღმნიშვნელ სახელებს: დაზგ-ოსან-ი, ზღვა-ოსან-ი (სპეც. ის,

* ფრ-ად-ი მიღებულია ფრ-ივ-ად-ისაგან (იხ. არნ. ჩიქობავა, 1942, 92).

ვინც საზღვაო ფლოტში მსახურობს, IV), კალმ-ოსან-ი (წიგნ. წერის ოსტატი, მწერალი, IV), მშვილდ-ოსან-ი, მძლე-ოსან-ი, ნიჩბ-ოსან-ი, ფრენ-ოსან-ი, შუბ-ოსან-ი, ძაღ-ოსან-ი, ჩქარ-ოსან-ი (ახ. მოწინავე მუშა, რომელიც აღწევს შრომის ნაყოფიერებას, — მეჩქარული, VIII).

ბ) ამ რიგის სახელებმა შეიძლება რაიმე მოძრაობის, მიმართულების, წამოწყების მიმდევრობაც უჩვენოს: ხალხ-ოსან-ი, ჯვარ-ოსან-ი...

-ოსან მაწარმოებლიანი პროფესიის სახელები გასუბ-სტანტივებულია (გასუბსტანტივებულია აგრეთვე ძველად ნაწარმოები სახელები: მანდილ-ოსან-ი, ქუდ-ოსან-ი, რომელთა თავდაპირველი ფუნქცია ქონებისა და რისამე მატარებლობის აღნიშვნა იყო (ლ. კვაჭაძე, 1969, 170).

საფიქრებელია, რომ -ოსან სუფიქსიანი ფორმის ახალი შინაარსით დატვირთვას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ ახალ ქართულში ქონების შინაარსით -იან სუფიქსიანი ფორმები იხმარება, -ოსან სუფიქსიანი სახელები კი მწიგნობრული მეტყველების კუთვნილება გახდა. მაგ., რქ-იან-ი და რქ-ოსან-ი: პირველი რქის მქონე ცხოველს აღნიშნავს, მეორე კი აღნიშნავს რქის მქონე (მატარებელ) პირუტყვის სახეობას და იგი ტერმინადაა გააზრებული. შდრ. აგრეთვე: სხივ-იან-ი და სხივ-ოსან-ი. ფორმა სხივ-ოსან-ი სხივის ქონებასაც გულისხმობს, მაგრამ პოეტურ მეტყველებაში იგი მოწოდებულია მიუთითოს სხივის თვისებაზე, ელვარებაზე, ბრწყინვალებაზე, სხივთა ფრქვევაზე. მაგ.: „მზემ... სხივოსანი შუქი მოჰფინა მთელს სივრცეს“ (ილია); „რა უამს პირველად წვერს ამოჰყოფს მზე სხივოსანი, ... შენ მაგონდები“ (კ. კიკ.); „მსურს მივეგებო ხოტბაშესხმით სხივოსან ღღესა“ (ა. აბაშ.); „იმედი კიდევ, ბევრი იმედი, გზა სხივოსანი მომავ-

ლისა“ (გ. ტაბ., ქეგლ, VI). შდრ. ქოლგ-იან-ი და ქოლგ-ოსან-ი, თაგ-იან-ი და თა-ოსან-ი, კალმ-იანი და კალმ-ოსან-ი...

-ოსან მაწარმოებელი დაერთვის ქართული წარმოშობის ერთ ან ორმარცვლიან ძირებს. უცხო წარმომავლობის სახელებზე მისი დართვის შემთხვევები ძალზე იშვიათია: ტორპედ-ოსან-ი (სამხ. გემი ან თვითმფრინავი, რომელსაც აქვს ტორპედოების სატყორცნი აპარატი, VI), პორფირ-ოსან-ი (ძვ. პორფირით მოსილი, პორფირი — ბერძნ. წითელი ფერის ძვირფასი სამეფო წამოსასხამი, VI), კულტურ-ოსან-ი.

-იერ სუფიქსის ფუნქციები

-იერ (→ იელ) სუფიქსი ძველ ქართულში ქონების სახელთა აქტიური მაწარმოებელი იყო: მანკ-იერ-ი, სახ-იერ-ი, ამ-იერ-ი, გონ-იერ-ი... ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ მისი საშუალებით ზმნური ფორმებისაგანაც კი იწარმოებოდა ზედსართავები: მაქუს-იერ-ი, მშ-იერ-ი, ცბ-იერ-ი, კადნ-იერ-ი (ივ. იზნაიშვილი, 1956, 434; ლ. კვაჭაძე, 1969, 169).

დღესაც ვხვარობთ -იერ სუფიქსით ნაწარმოებ ქონების სახელებს: ღმობ-იერ-ი, წად-იერ-ი, მადლ-იერ-ი, გულისხმ-იერ-ი, ნივთ-იერ-ი, გონ-იერ-ი, ისტერ-იელ-ი (ისტერიკ-იან-ი, მედიც. ისტერიით დაავადებული, IV).

აღ. მანჯგალაძის თვალსაზრისით, -იერ სუფიქსს წარმომავლობის აღნიშვნაც შეუძლია: თხ-იერ-ი, ე. ი. ის, რაც თხისგან მომდინარეობს (აღ. მანჯგალაძე, 1956, 498)*.

წარმომავლობა-სადაურობის მაჩვენებელია -იერ

* შესაძლოა, თხ- სხვა თხ-ეგ ძირსაც დაუკავშირდეს: თხეგ-იერ-ი → თხე-იერ-ი → თხ-იერ-ი. ასეთ შემთხვევაში -იერ დანიშნულების ფუნქციისა იქნებოდა: თხ-იერ-ი, ე. ი. სითხისათვის განკუთვნილი.

ქვემოჩამოთვლილ სახელებშიც: დასაბამ-იერ-ი (დასაბამი-
 დან მომდინარე — თავდაპირველი, დასაბამითი, III),
 ევრობ-იელ-ი, შორ-იელ-ი, ზურგ-იელ-ი (ზუთხის, თართის
 და მისთ. თევზის ზურგის ანაკერი, დამარილებული და მზეზე
 გამომშრალი, IV), ვარსკვლავ-იერ-ი, ამ-იერ-ი//იმ-იერ-ი,
 მუცლ-იერ-ი (ნაწლავი, — ილ. აბ.), მიწ-იერ-ი, ზეც-იერ-ი/
 ც-იერ-ი (ძვ. რელიგ. 1. ზეცაში მყოფი 2. პოეტ. გადატ.
 ვითომც ზეცით მოვლენილი, არამიწიერი (ვინმე), IV; ცის-
 განი, ანა ცათა შინა მყოფი, небесный, ნ. ჩუბინ.), შდრ.:
 „დმერთი გარდგინდის ციერი“, ვტ. 1354, I). ბარაკ-იელ-ი
 (მონა, — ილ. აბ.; მსახური წინაშე მყოფი, — საბა).

ამავე ფუნქციით იხმარება -იერ სუფიქსი დიალექტებ-
 ში: აქარულში, თუშურში, რაჭული კილოს გლოლურ თქმაში:
 „სოფლ-იერ-ებ-სა კარგი ექიმობა გცოდნიათ“ (ლ. ჯან-
 ყარაშვილი, 1961, 294). სოფლ-იერ-ებ-ი = სოფლელები. ასეთ
 ვითარებაში ბუნებრივია დავსვათ კითხვა, ხომ არ შეიძლება
 დავუშვათ, რომ -იერ-ის თავდაპირველი ფუნქცია წარმო-
 მავლობა-სადაურობის ჩვენება ყოფილიყო. გლოლური (და
 საერთოდ მთის კილოები) ძველი ქართულის ვითარებას ასახ-
 ავს ხშირ შემთხვევაში. აქვე უნდა გავიხსენოთ არნ. ჩიქობა-
 ვას ვარაუდი -იან და -იერ აფიქსთა ფუნქციური იგივეობის
 შესახებ: „-იერ სუფიქსი მთის კილოებში -იარ-ის სახითაა
 წარმოდგენილი: ბედნ-იარ-ი... ამნაირად, ერთმანეთს უპირ-
 ისპირდება: -იან და -იარ. ეს კი ბუნებრივად ჰბადებს
 კითხვას, ხომ არ არის ეს ორი სახე ერთი და იმავე სუფიქსისა,
 სხვადასხვა ენობრივი ფენების მიერ განსხვავებული“ (არნ.
 ჩიქობავა, 1926, 308; იხ. აგრეთვე: ა. შანიძე, 1957, 18). მით
 უმეტეს, რომ რთული აფიქსის პირველი ნაწილი საერთოა: o
 — იგ-ისაგან მომდინარეობს (არნ. ჩიქობავა, 1942, 82).

თ. გამყრელიძე და გ. მაჭავარიანი წარმომავლობის -ერ სუფიქსის ჩამოყალიბების პროცესის გათვალისწინებისას ამოსავალ ფორმად იჟ-ერ-ს ასახელებენ (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, 1964, 299).

ამ მონაცემთა გათვალისწინებით კი შეგვიძლია დავასკვნათ, რომ -იან აფიქსის მსგავსად, -იერ-იც თავდაპირველად წარმომავლობის მაჩვენებელი იყო, ქონების შინაარსით დატვირთვა მისთვის მეორეული მოვლენაა.

ერთ კერძო შემთხვევაში -იერ სუფიქსიანი სახელი ხელობაზე მიუთითებს: ბაზ-იერ-ი (მექორე-მეშევარდენი, საბა), შდრ. ბაზ-ი — შევარდენი, ქორი, მიმინო და რაც მათი მსგავსი (მ)ფრინველია, ზოგადად ბაზი ეწოდება, — საბა; ბაზი — (მფრ.) სომხურად ქონებას ჰქვიათ, ხოლო ქართულად ეწოდების ზოგად მონადირეთა მფრინველთა... ნ. ჩუბინ. ბაზ-იერ-ი (დამგერშველი და ზედამხედველი ამ მფრინველთა (ვტ., 1937, 592), сокольниковий, ნ. ჩუბინ.).

-იერ სუფიქსით ნაწარმოები სახელზმნური ფორმები მიმდებარეობს შინაარსისაა: მოს-იერ-ი (ჩაცმული), ნა-შობ-იერ-ი (შვილი), სურ-იელ-ი (მოწადინე), წყურ-იელ-ი (მწყურვალი)... (ძვ. ქართ. ენის ლექსიკონი)

-იერ სუფიქსი ახალ ქართულში ვეღარ აწარმოებს ახალ სიტყვებს (ა. შანიძე, 1973, 125).

-ედ სუფიქსის ფუნქციები

-ედ სუფიქსი ძველ ქართულში ქონების სახელთა მაწარმოებელი იყო. ამ მნიშვნელობის შემცველია დღემდე შემორჩენილი რამდენიმე ძველი წარმოების სიტყვა: ვარსკვლავ-ედ-ი,

კარგ-ედ-ი, მრჩობლ-ედ-ი, ბორჯღლ-ედ-ი, ცალკარ-ედ-ი, თანაფარსკვლაფ-ედ-ი (ვარსკვლავების კრებული), კამარ-ედ-ი (კამარის მსგავსი მცირე კონქი), მუხლ-ედ-ი (მუხლებად დაყოფილი), ფესვ-ედ-ი... VI-IX სს. ძეგლებში -ედ სუფიქსის ხმარება სპორადულია, თუმცა იგი გვხვდება მიმდებარეებშიც, რიცხვით სახელებშიც, ზედსართავ და არსებით სახელებშიც. „...მო-რბ-ედ, მო-ქმ-ედ, ფესუ-ედ. აღსანიშნავია, რომ -ედ სუფიქსი ფართოდ აქვს გამოყენებული საბასულხან ორბელიანს სიტყვათა განმარტებისას გამოთქმებში. მოვლენა წმინდა მწიგნობრულია; ყველგან -ედ სუფიქსი -ი-ან სუფიქსის მაგივრობას ეწევა. მაგალითად: ფიჩხი - შტოედი შეშა...“ (არნ. ჩიქობავა, 1942, 97-98).

-ედ სუფიქსი დღეს მნიშვნელობის მცველ მოქმედ აფიქსად უკვე აღარ მიიჩნევა (არნ. ჩიქობავა, 1952, 245), მაგრამ უკანასკნელ ხანებში არის ცდა, -ედ კვლავ გააცოცხლონ მეცნიერების ამა თუ იმ დარგში ტერმინთა შესაქმნელად: *გეომეტრიაში*: კუთხ-ედ-ი (მრავალკუთხედი)... *გეოგრაფიაში*: გან-ედ-ი, გრძ-ედ-ი... *ფიზიკაში*: ტოლქმ-ედ-ი, ქმ-ედ-ი... *არქიტექტურაში*: თად-ედ-ი (არქიტ. რამდენიმე თალი ერთად, თაღების მწკრივი, - არკადა, IV); *ფილოლოგიაში*: პწკარ-ედ-ი... *ბიოლოგიაში*: უჯრ-ედ-ი; *ტექნიკურ ლიტერატურაში*: ჩონჩხ-ედ-ი (სპეც. კარკასი, VIII); *თარო-ედ-ი* (სპეც. თაროებიანი დგამი წიგნების დასადგმელად, IV); *წინწკლ-ედ-ი* (მნიშვნ. 2. პოლიგრ. წიგნის შემონაჭრის შეფერილობა საღებავის წვრილი წინწკლებით, VIII), *ქგ-ედ-ი* (სპეც. ღუმლის ძირი, ფსკერი, რაზედაც საწვავი იყრება, VII); ასევეა ნაწარმოები: *ხუთწლ-ედ-ი*, *ათწლ-ედ-ი*... შეინიშნება, რომ დღეს ტერმინოლოგიაში კვლავ სუსტდება ამ სუფიქსის მაწარმოებელი ძალა (რ. ღამბაშიძე, 1986, 133).

-ედ არ დაერთვის უცხო წარმომავლობის სახელებს და ვერც წარმოქმნილი სახელების ხელახალი მაწარმოებლის როლში გვევლინება.

შ ე ი ძ ლ ე ბ ა დ ა ვ ა ს კ ვ ნ ა თ: ქონების აღმნიშვნელ აფიქსთაგან ენის ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში თითოეულის სამოქმედო ძალა სხვადასხვაგვარი იყო. ძველ ქართულში ნაკლებგავრცელებულმა სუფიქსებმა -იან-მა და -ამ ახალ ქართულში დიდად გაიფართოვეს სამოქმედო არე, რადგან ძველად გავრცელებულ -ოვან, -ოსან, -იერ, -ედ სუფიქსთა ფუნქციების გამოხატვა ძირითადად მათ იტვირთეს (განსაკუთრებით -იან სუფიქსმა). ეს გარდატეხა შოთა რუსთველის სახელთანაა დაკავშირებული. „ვეფხისტყაოსანში“ შეიძინა -იან სუფიქსმა ეს ჯადოსნური უნარი. შოთა რუსთველის დამსახურება ამ დარგში ისაა, რომ მან ფართოდ გამოიყენა სწორედ ეს მანამდე თითქმის უხმარი სუფიქსი, ცოცხალი სული შთაჰბერა მას... და ასე გამდიდრებული ლექსიკა გადმოეცა შემდგომს ეპოქებს“ (ივ. იმნაიშვილი, 1971, 146).

ახალ ქართულში ხმარებული -ოვან, -ოსან, -იერ და -ედ მაწარმოებლიანი სახელები უმთავრესად ძველი წარმოებისაა.

იმის გამო, რომ ქონების შინაარსის სახელები -იან სუფიქსით გადმოიცემა, ენამ -ოვან და -ოსან აფიქსები ახალი ფუნქციით აღჭურვა. მაგ. -ოვან სუფიქსიანი სახელი ახალ ქართულში აღნიშნავს საგნის თვისება-მსგავსებას, მიუთითებს საგნის სიმრავლეზე და მეცნიერების სხვადასხვა დარგში ტერმინთა შესაქმნელად გამოიყენება. -ოსან სუფიქსიანი ფორმებით კი პროფესიისა და მიმდევრობის აღმნიშველი სახელები იწარმოება, ზოგჯერ კი შეიძლება მიუთითოს მცენარეთა, ფრინველთა და ცხოველთა გვარ-სახეობა-

ზე. ტერმინოლოგიისათვის გააცოცხლეს -ედ* სუფიქსიც. -იერ მაწარმოებლით კი ღღეს ახალი სახელები ვერ იწარმოება.

ამგვარად, მქონებლობის აღმნიშვნელ აფიქსთაგან ახალ სალიტერატურო ქართულში ცოცხალი და ყველაზე მოქმედი -იან მაწარმოებელი. ძველ ქართულში ქონების აღნიშვნა მისთვის ერთ-ერთი ფუნქცია იყო, ახალში კი ერთადერთი გახდა. დანარჩენი ფუნქციები - წარმომავლობისა და მიმდევრობის აღნიშვნისა - გადაეცა -ელ-ს: კახ-ელ-ი, ლენინ-ელ-ი...

-ა სუფიქსიანი სახელების გავრცელებას ხელი შეუწყო მეცნიერების სხვადასხვა დარგში ტერმინთა შექმნის აუცილებლობამ.

II. უქონლობის სახელთა წარმოება

უ-ო, უ-ურ (//უ-ულ), უ-, უ-არ

უქონლობის შინაარსის გადმოსაცემად ქართულ ენაში გამოიყენება უ-ო, უ-ურ (//უ-ულ), უ- აფიქსები (ა. შანიძე, 1973, 126).

უ-ო: ზემოჩამოთვლილ აფიქსთაგან ქართულში ყველაზე მრავალრიცხოვანი და გავრცელებულია უ-ო აფიქსიანი სახელები. აღნიშნული კონფიქსით იწარმოება ქართული და უცხო წარმომავლობის ერთ-, ორ- და მრავალმარცვლიანი ფუძეები: უ-საბაბ-ო, უ-ფესეებ-ო, უ-გუნებ-ო, უ-ზნე-ო, უ-ხიფათ-ო, უ-მანკ-ო, უ-ბასტერიზაცი-ო, უ-მეტნაკლებ-ო,

* „-ედ საბას დროსაც არ ყოფილა პროდუქტიული, მაგრამ საბას ეტიმოლოგიურმა აღლომ აღუღვინა მნიშვნელობა“ (არნ. ჩიქობავა, 1974, 70)

უ-ჩემ-ო...

უ—ო დაერთვის ნებისმიერ ხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეს: უ-ბინა-ო, უ-მჟა-ო, უ-კონდიცი-ო, უ-ინერცი-ო, უ-ტყვი-ო, უ-ტყე-ო, უ-მწე-ო, უ-დრო-ო, უ-ბოლო-ო, უ-თუ-ო, უ-ჭკუ-ო ფუძის ბოლოკიდურად დასტურდება ყველა თანხმოვანი ჰ-ს გარდა.

უ—ურ (//უ—ულ) კონფიქსი მხოლოდ ქართული წარმოშობის ერთმარცვლიან ძირებს დაერთვის: უ-წვერ-ულ-ი, უ-ფსკრ-ულ-ი*, უ-თა-ურ-ი, უ-წიგნ-ურ-ი, უ-ბედ-ურ-ი, უ-დღე-ურ-ი...

უ—ურ აწარმოებს მხოლოდ ა და ე ხმოვნებზე დაბოლოებულ ფუძეებს: უ-ხვა-ურ-ი, უ-თა-ურ-ი, უ-ცნა-ურ-ი, უ-ზნე-ურ-ი, უ-დღე-ურ-ი. ფუძის ბოლოკიდურ თანხმოვანთაგან ხშირია რ, მ, ს — იშვიათი კი — თ, ზ, ლ, ნ, ყ, ც, ძ, წ, ხ, ჯ.

უ—ურ არ დაერთვის უცხო წარმომავლობის სახელებს.

როგორც ვნახეთ, უ—ო და უ—ურ კონფიქსიან ფორმათა ხვედრითი წონა ფუძეებთან მათი განაწილებისა თუ გავრცელებულობის თვალსაზრისით, სხვადასხვანაირია. უ—ო წარმოების ჯგუფი განსაკუთრებით მოქმედი და დამკვიდრებულია. ასეთივე მდგომარეობა იყო ძველ ქართულშიც. იგი დაერთვოდა ყოველგვარ არსებით სახელს, საკუთარსაც კი: „და ამას ყოველთა თანა უშიშ არს გული მათი უქრის-ტოთა მათ ურწმუნოთაგან, ხანძთ.“ (ივ. იმნაიშვილი, 1956, 431).

ისმის საკითხი: უ—ურ მაწარმოებლიან სახელთა შედარებითი სიმცირე აღრინდელ ვითარებას ასახავს თუ მეო-

* გაარსებითებულია.

რეულია. სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ უ—ო და უ—ურ მაწარმოებლები წარმოშობით ერთნი არიან, მაგრამ „მათი გამოყენება ქართული სალიტერატურო ენის ხაზით განსხვავებულია ქრონოლოგიურად: უფრო ძველია უ—ურ, მაგრამ ამ წარმოების მაგალითებიდან მხოლოდ ნაშთია მოღწეული“ (ა. შანიძე, 1973, 126). ჩვენ მიერ გაანალიზებული მასალის მიხედვით ირკვევა, რომ უ—ურ მაწარმოებელი დაერთვის მხოლოდ უმარცვლო ან ერთმარცვლიან ქართული წარმომავლობის სახელებს. ხმოვანთაგან კი ფუძის დაბოლოებად შეიძლება იყოს მხოლოდ ა და ე. ამიტომ შეუძლებელი იყო უ—ურ-ს ეწარმოებინა უქონლობის აღმნიშვნელი ყველა სახელი. უ—ო კონფიქსიანი მოდელი კი ძველთაგანვე უფრო გავრცელებული უნდა ყოფილიყო იმის გამო, რომ იგი ყოველგვარ სახელს დაერთვოდა.

ზოგიერთ სახელში უქონლობა მხოლოდ უ—ურ (//უ—ულ) კონფიქსითაა გამოხატული. მათ შესაბამისი მნიშვნელობის უ—ო მაწარმოებლიანი პარალელური ფორმები არ მოეპოვებათ. ამდენად, ისინი ერთადერთი შესაძლებელი ფორმებია ამ ფუძეთაგან უქონლობის აღსანიშნავად: უ-მარ-ულ-ი, უ-რჩხ-ულ-ი, უ-ცნა-ურ-ი, უ-წმინდ-ურ-ი, უ-ხდ-ურ-ი, უ-თავგზ-ურ-ი, უ-კეთ-ურ-ი, უ-ხელთ-ურ-ი, უ-ამ-ურ-ი, უ-ჭამ-ურ-ი, უ-გემ-ურ-ი, უ-სუს-ურ-ი, უ-ძუძ-ურ-ი, უ-წმაწ-ურ-ი, უ-ჯმაჯ-ურ-ი, უ-ნდა-ურ-ი, უ-ნებ-ურ-ი, უ-რდ-ულ-ი, უ-ხვა-ურ-ი.

უ—ურ კონფიქსის დართვა ზოგჯერ ფუძისეული ხმოვნის რედუქციას იწვევს მაშინ, როცა ამავე შინაარსის უ—ო მაწარმოებლიანი ფორმა ურედუქციოა: შდრ. უ-ძალ-ო და უ-ძლ-ურ-ი, უ-ფსკერ-ო და უ-ფსკრ-ულ-ი. ფუძის სახეცვლილება ზოგჯერ შინაარსის შეცვლას იწვევს. მაგ. უ-ჟამ-ო //

უ-ჟამ-ურ-ი (ძვ. უდროო) და უ-ჟმ-ურ-ი (1. მიუკარებელი, ძნელად შესაგუებელი ადამიანი; 2. უსიამოვნო (დღე); 3. საზარელი სიზმარი; 4. ერთგვარი სენი).

უ—ო და უ—ურ აფიქსების ერთსა და იმავე ფუძეზე დართვით ზოგჯერ იდენტური შინაარსის სახელია ნაწარმოები: მაგ.: უ-ბედ-ო — უ-ბედ-ურ-ი, უ-დღე-ო — უ-დღე-ურ-ი, უ-ზნე-ო — უ-ზნე-ურ-ი, უ-მადლ-ო — უ-მად-ურ-ი*, უ-პირ-ო — უ-პირ-ულ-ი, უ-ჟამ-ო — უ-ჟამ-ურ-ი, უ-ფას-ო — უ-ფას-ურ-ი, უ-ცეცხლ-ო — უ-ცეცხლ-ურ-ი, უ-ძალ-ო — უ-ძალ-ურ-ი, უ-წეს-ო — უ-წეს-ურ-ი...

ორი ერთგვარი შინაარსის სახელთა არსებობას ხშირად თან სდევს სემანტიკური ცვლაც. სემანტიკური გადახრები ზოგჯერ უმნიშვნელო ხასიათისაა, ზოგჯერ საკმაოდ დაცვილებულია ამოსავალ მნიშვნელობას: შდრ.:

1. უ-დაბნ-ო (1. დედამიწის დაუსახლებელი ნაწილი, ჩვეულებრივ უწყლო და უ-მცენარ-ო (გადატ.). ნაკლებად დასახლებული; 2. განმარტოებით მდგარი მონასტერი, VI); უ-დაბ-ურ-ი (1. დაუსახლებელი, მივარდნილი, მიუვალი ადგილი; 2. გაუვალი, უღრანი, უსიერი, VI). მიაჩნიათ, რომ უდაბნო ფორმაში გამოვლენილი ნ ნაშთია ან დეტერმინანტისა; „დაბა“ „დასახლებული ადგილი“, საპირისპიროა: უ-დაბ-ნ-ო — „დაუსახლებელი, უკაცრიელი ადგილი“. —ო-ს წინ აღდგა —ნ: უ-დაბ-ნ-ო — უ-დაბ-ან-ო... „ეგვევ ნ მრავლობითში დაჩნდება: დაბ-ნ-ებ-ი — დაბ-ან-ებ-ი:

* „-ლ სუფიქსიანი სახელები (მად-ლ-, ჯამ-ლ და მისთ.) უარყოფითი შინაარსის ფორმებში ამ სუფიქსის გარეშე არიან წარმოდგენილი: მად-ლ-ი - უ-მად-ურ-ი, ჯამ-ლ-ი - უ-ჯამ-ურ-ი“ (თ. გამყრელიძე, გ. მაკავარიანი, 1964, 298).

-ან სუფიქსისაგან ამჟამად მხოლოდითში ა დაგვრჩება“ (არნ. ჩიქობავა, 1942, 16)*. უ—ო მაწარმოებლიანი ფორმა გაარსებებულა, უ—ურ მაწარმოებლიანს კი შენარჩუნებული აქვს ზედსართაული გაგება: უდაბური ტყე.

2. უ-ხერხ-ო (1. ვინც ხერხი არ იცის, — მოუხერხებელი; 2. რაც ხერხით, ხერხიანად არ კეთდება, VI). უ-ხერხ-ულ-ი (1. რაც ვერ მოახერხეს, შეუძლებელი; 2. ვინც მოხერხებული არ არის, ვისაც რისამე მოხერხების უნარი არა აქვს, უშნო, უფხო; 3. (გადატ.) საჩოთირო, უადგილო, შეუფერებელი, VI);

3. უ-თავ-ო (1. რასაც თავი არა აქვს; 2. (გადატ.) მოუსაზრებელი, უქკუო, უთავბოლო, VI); უ-თაურ-ი (1. მოუფიქრებელი, მოუსაზრებელი, უთაო; 2. (კუთხ. გურ.) „თავაშვებული, თავხედი, ურჩი“ (გ. შარაშ.), VI);

4. უ-ფერ-ო და უ-ფერ-ულ-ი — ძირითადად ფერის არმქონეს გულისხმობს, მაგრამ ე—ულ მაწარმოებლიანი ფორმა შეიცავს დამატებით მნიშვნელობასაც, რაც უფრო გვიანდელი მოვლენა უნდა იყოს. იგი აღნიშნავს: ერთფეროვანს, უშინაარსოსა და ზერელეს. ეს განსაკუთრებით ხელშესახებად ჩანს ზმნისართულ ფორმაში — *უფერულად, ერთფეროვანად, უხალისოდ*: „მისი ცხოვრება უფერულად მიდიოდა“ (რ. გვეტ.); „ნოემბრის სუსხიანი დღე უფერულად იწურებოდა“ (მიხ. მრეველ.). ამ კონტექსტში უფერო ფორმით შენაცვლება შეუძლებელია;

5. უ-საქმ-ო და უ-საქმ-ურ-ი ნიშნავს: ვინც არ საქმიანობს, უქნარას. მაგრამ ყველა კონტექსტში ისინი ერთნაირი შინაარსის გადმომცემნი არ არიან. მაგ. *უსაქმოდ ყოფნა*

* ნ. მარიც და-ბან ფორმას აღადგენდა, ოღონდ და-ს ფორმანტად გამოყოფა იყო გაუმართლებელი.

შეიძლება მაშინაც, როდესაც ადამიანს საქმის გაკეთების უნარი და სურვილი აქვს, მაგრამ რაღაც მიზეზის გამო (სამუშაოს უქონლობის გამო) მოცემულ მომენტში არ მუშაობს, უსაქმური კი სხვა ნიუანსსაც შეიცავს — ესაა პიროვნება, რომელსაც შრომის სურვილი არა აქვს, — მაგ. „ნაცარქექია უსაქმურად გორავდა, სვამდა, ჭამდა, ეძინა!“ (აკაკი); ან კიდევ: „აგინებდნენ ჩემს მშობელს, რომელმაც ასე მცონარად, ასეთ უსაქმურად... ამზარდა“ (ეკ. გაბ.);

6. უ-სახ-ო (1. რასაც სახე, მოხატულობა არა აქვს, რაზედაც გამოხატული არაფერია, — სადა; 2. გადატ. დამოუკიდებლობას, თავისთავადობას მოკლებული, — უპრინციპო; 3. ძვ. უბაღლო, უებრო; 4. ძვ. ურიცხვი, უანგარიშო, VI). უ-სახ-ურ-ი (1. უშნო, ულამაზო, მახინჯი; 2. იგივეა, რაც უსახო, VI);

7. უ-წვერ-ო (1. რასაც წვერი არა აქვს; 2. ვისაც სახეზე წვერი არა აქვს, VI); უ-წვერ-ულ-ი (იგივეა, რაც უწვერო (მნიშვნ. 2, VI);

8. უ-კაც-ო (სადაც ადამიანი, მოსახლე არ არის, — დაუსახლებელი//სადაც მამაკაცი არაა, VI); უ-კაც-ურ-ი* (1. გაუშენებელი, დაუსახლებელი, უდაბური; 2. უხმარიათ არაადამიანურის მნიშვნელობით, VI);

9. უ-ფსკერ-ო (უძირო, ფსკერის არმქონე); უ-ფსკერ-ულ-ი (მეტისმეტად ღრმა, თვალჩაუწვდენელი ხევი, ხრამი//გადატ. ხიფათი, ფათერაკი, დაღუპვა: ელიკო ცხოვრების ღელვისაგან გატაცებული თანდათან მიექანებოდა

* ძვ. ქართულში უ-კაც-რ-ულ ფორმაა დადასტურებული, რაც ნიშნავს: უმოსახლოს, მოსახლეობისაგან დაკლილს (ილ. აბულ.). ასახსნელია რ. იგი ჩანს დაღებით კაც-რ-იელ ფორმაშიც.

უფსკრულისაკენ (აკაკი); 2. გადატ. ფსკერი, სიღრმე (ზღვისა); 3. გადატ. დიდი განსხვავება, სხვადასხვაობა; უთანხმოება, VI (უფსკრული გაარსებითებულია).

10. უ-გონ-ო (1. გონის არმქონე, — უგუნური 2. გონებადაკარგული, გულწასული, VI); უ-გუნ-ურ-ი* (უქკუო, მოუსაზრებელი, უაზრო სულიერი, VI).

უ-: უქონლობა ოდენპრეფიქსითაც გადმოიცემა ქართულში: უ-ცნობ-ი, უ-ვიც-ი, უ-კმარ-ი, უ-რცხვ-ი, უ-რჯულ-ი, უ-ბირ-ი, უ-გბილ-ი, უ-მგბარ-ი, უ-ღირს-ი, უ-წვ-ი (სპეც. ცეცხლგამძლე), უ-ზავ-ი, უ-ზვ-ი, უ-კუნ-ი, უ-კადრ-ი, უ-ღრან-ი, უ-ყ-ი (ყამის), უ-შმ-ი, უ-ცბ-ი, უ-ნჭ-ი, უ-რეკ-ი (გურ. სადაც არ უნადირიათ, გაუვალი ტყე, VI), უ-სრულ-ი, უ-ქმ-ი, უ-ტყვ-ი, უ-რჩნ-ი, უ-ხამს-ი. ძვ. ქართულიდან: უ-შიშ-ი, უ-მწყ-ი (უხედნი, უწვრთნელი), უ-რჩ-ი (არამორჩილი), უ-სხ-ი (მსუქანი).

არსებობს ამჟამად უკვე ფართოდ გავრცელებული თვალსაზრისი (ვ. ბერიძე, 1959, 137; ქ. ლომთათიძე, 1966, 35-36; გ. ბურჭულაძე, 1960; გ. გოგოლაშვილი, 1970, 42-50), რომლის მიხედვითაც უქონლობის, წინავითარებისა და დანიშნულების სახელებში ამოსავლად მიაჩნიათ ოდენპრეფიქსით ნაწარმოები ფორმები. ზემოგანხილული მაგალითები კიდევ ერთხელ ადასტურებს პრეფიქსული წარმოების უწინარესობას.

ქართველურ ენათა უარყოფითი ფორმების განხილვამ თ. გამყრელიძესა და გ. მაჭავარიანს ავარაუდებინა, რომ უ- მომდინარეობს გე ← /უე/ უარყოფითი ნაწილაკისაგან. ამ ნაწილაკის ნულ-საფეხურიანი ვარიანტი უარყოფის უ- პრეფიქსის სახით დასტურდება ყველა ქართველურ ენაში:

* -ურ სუფიქსის დართვის გამო ასიმილაციის წესით შეიცვალა ფუძისეული ხმოვანი: თ → უ.

ქართ. უ-ჭმ-ელ-ი, მეგრ. უ-ჭკომ-ურ-ი, ჰან. უ-გუბ-ე, სვან. უ-მჩ-ე (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, 1964, 323).

უარყოფით ფორმათა წარმოება შესწავლილია ვ. თოფურიას მიერ (ვ. თოფურია, 1940, 537-538). ქართველურ ენათა მონაცემების გაანალიზებამ მკვლევარი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ: 1. ქართველურ ენებში საგნის უქონლობა გადმოიცემოდა სუფიქსური წარმოებით და 2. უქონლობის გამომხატველი იყო საერთო ბოლოსართი -ურ:

ქართ. უ-ო, უ-ურ;

მეგრ. უ-ო, უ-ე, უ-რ, უ-ოლ;

ჰან. უ-უ, უ-ე;

სვან. -ურ (ვ. თოფურია, 1940, 538).

როგორც ვხედავთ, ქართ.-ზანურ უარყოფით ფორმათა მაწარმოებლებში საერთო ელემენტია თავსართი უ- (სვანური წარმოება კი განსხვავებულია). ამიტომ, საფიქრებელია, რომ დასახელებულ კონფიქსებში (უ-ო, უ-ურ, უ-ე, უ-ოლ, უ-უ) უქონლობის აღმნიშვნელია პრეფიქსი უ- სუფიქსების დანიშნულება კი საკვლევია. მაგ. უ-ცნა-ურ ფორმაში უარყოფას მხოლოდ უ- გამოხატავს, -ურ კი საპირისპირო დადებითი შინაარსის ფორმაშიც რჩება (სა-ცნა-ურ-ი); ან კიდევ: უ-თა(ვ)-ურ-ში უარყოფა-უქონლობას უ- პრეფიქსი აღნიშნავს და არა -ურ სუფიქსი. მაგრამ ვგეგვ -ურ ჩანს თა(ვ)-ურ, მე-თა(ვ)-ურ ფორმებშიც, მაგრამ არ იგრძნობა, რომ -ურ სუფიქს უქონლობის შინაარსი აქვს, ე. ი. ისტორიულად უქონლობა უ- პრეფიქსით აღნიშნება, -ურ, -ო კი თვით საწარმოებელი ფუძის კუთვნილებაა. თავის შრივ, ეს საწარმოებელი ფუძე წარმოქმნილია, ოღონდ განსხვავებული შინაარსისაა. როგორც ჩანს, უქონლობის აღმნიშვნელ კონფიქსებში სუფიქსის დანიშნულება სხვა იყო. მას შემდეგ,

რაც ამ სუფიქსის ფუნქცია მიიჩქმალა, პრეფიქსთან ერთად მან ახალი კონფიქსი შეადგინა. როცა ეს უკანასკნელი გააზრიანდა დამოუკიდებელ აფიქსად, იგი სხვა ფუძეებთანაც იქნა გადატანილი და ახალი ფუნქციით მოგვევლინა.

უ—არ: საგნის უქონლობა იშვიათად უ—არ კონფიქსითაც გადმოიცემა (ა. კიზირია, 1979, 158): უ—ეც—არ—ი, უ—შიშ—არ—ი, უ—ჩუმ—არ—ი, უ—მეც—არ—ი, უ—სუ—არ—ი (ძვ. ყრმა), უ—ტყუ—არ—ი, უ—წყინ—არ—ი.

უქონლობის სახელთა განხილვა ასეთი ზოგადი დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა: საგნის უქონლობის აღსანიშნავად ყველაზე გავრცელებულია უ—ო კონფიქსიანი მოდელი. იგი დაერთვის ყოველგვარ სახელს და შეუზღუდავია ფუძეთა შერჩევის თვალსაზრისით. უ—ურ მაწარმოებლის დართვა განსაზღვრულ პირობებს მოითხოვს: დაერთვის მხოლოდ უმარცვლო ან ერთმარცვლიან ქართული წარმოების სახელებს, ხმოვანფუძიანთაგან კი მხოლოდ ა, ე ხმოვნებზე დაბოლოებულებს. ოდენპრეფიქსული წარმოება უძველესი ვითარების წარმომჩენი ჩანს. თანამედროვე ქართულში იზრდება ამგვარი წარმოების ფორმათა რიცხვი, რაც ძირითადად სახელზმნურ ფორმათა გასუბსტანტივების შედეგი უნდა იყოს. ძალზე მცირეა უ—არ კონფიქსიანი უქონლობის სახელები.

უარყოფითი შინაარსის გამომხატველია უძველესი ფორმანტი უ—.

III. წარმომავლობის სახელები

-ელ,-ურ,-იურ,-ეულ,-დელ(ა-მდელ),-იონ

-ელ:

1. -ელ სუფიქსი ადამიანთა სადაურობისა და წარმო-
მავლობის მაჩვენებელია. იგი დაერთვის გეოგრაფიულ და
ადგილის სახელებს და აღნიშნავს ფუძით დასახელებული
პუნქტის მკვიდრს, მცხოვრებს: აზი-ელ-ი, კავკასი-ელ-ი,
ესპან-ელ-ი, ეგვიპტ-ელ-ი, ვაკ-ელ-ი, თემ-ელ-ი,
უბნ-ელ-ი, ფრონტ-ელ-ი...

2. -ელ სუფიქსით იწარმოება მიმდევრობის (რომელიმე
წამოწყება - მოძრაობის მიმდევრობის) აღმნიშვნელი სახ-
ელები: ლენინ-ელ-ი, კომკავშირ-ელ-ი, ნეოკანტ-ელ-ი...
ამ ფუნქციით -ელ უცხო წარმომავლობის აფიქსის -ისტ-ის
ფარდია: მონარქი-ელ-ი//მონარქ-ისტ-ი, მაგრამ ამ ტიპის
სახელთა გაქართულების პროცესი დასრულებული რომ არ
არის, ამაზე ის ფაქტიც მიუთითებს, რომ ზოგ სახელში -ისტ
აფიქსიან ფორმას -ელ ვერ ენაცვლება. შდრ.: ჟირონდ-ელ-ი//
ჟირონდ-ისტ-ი, მაგრამ არა გვაქვს: მარქს-ელ-ი,
სოციალ-ელ-ი ნაცვლად მარქს-ისტ-ის, სოციალ-ისტ-ისა.

XIX ს. დასასრულსა და XX ს. დასაწყისში -ელ სუფიქსი
მიმდევრობას აღნიშნავდა -იან სუფიქსიან ფორმაზე დართ-
ვით: ნიცუე-ან-ელ-ი, ჰეგელ-იან-ელ-ი, ვოლტერ-იან-ელ-ი,
კანტ-იან-ელ-ი...

3. -ელ სუფიქსმა უკანასკნელ ხანებში ახალი ფუნქციაც
შეიძინა: იგი პროფესიის სახელთა მაწარმოებელი გახდა:

მადარო-ელ-ი, დეპო-ელ-ი, შახტ-ელ-ი (//მე-შახტ-ე),
რაზმ-ელ-ი, დინამო-ელ-ი, ჩოგბურთ-ელ-ი, ფეხბურთ-ელ-ი,
მილიცი-ელ-ი...

ძველ ქართულში -ელ სუფიქსის ხმარების მხოლოდ
რამდენიმე შემთხვევა დასტურდება: სადუკეც-ელ-ი,
ისმატ-ელ-ი //ისმა-ელ-ი, ლევიტ-ელ-ი...

-ელ-ის თავდაპირველი ფუნქცია იყო ეჩვენებინა რომე-
ლიმე რელიგიის მიმდევრობა ან აღენიშნა შთამომავლო-
ბა და მემკვიდრეობა (ლევიტელი = ლევის ჩამომავალი,
ილ. აბულაძე). ცნობილია, რომ ძველსავე ქართულში ამ
როლში -ეან → -იან სუფიქსი გამოდიოდა: მაჰმად-იან-ი,
ქრისტ-იან-ი... მოგვიანებით -იან სუფიქსი ქონების აღმ-
ნიშვნელ სახელთა მაწარმოებელი გახდა. ადამიანთა წარ-
მომავლობისა და რისამე მიმდევრობის ჩვენება -ელ
სუფიქსს დაეკისრა: სამარიტ-ელ-ი, სპარს-ელ-ი,
ქართველ-ი, შორი-ელ-ი, ჰებრა-ელ-ი... -ელ სუფიქსი
ხშირად მ-პრეფიქსთან ერთად იყო წარმოდგენილი:
მ-როგ-ელ-ი, მ-არად-ელ-ი, მ-ეგვიპტ-ელ-ი,
მ-ეგრ-ელ-ი... (ა. შანიძე, 1973, 127).

-ამ-ერ და -იმ-ერ ფორმებში -ერ წარმომავლობის
აღმნიშვნელი იყო ძველ ქართულში. იგი თანაბრად მიუ-
თითებდა როგორც ადამიანთა, ისე არაადამიანთა სადაუ-
რობაზე (ალ. მანჯგალაძე, 1953, 496). მას შემდეგ, რაც -ერ
სუფიქსით წარმომავლობა აღარ გამოიხატებოდა, იგი მთლიან
ფუძედ გააზრიანდა და წარმომავლობის უფრო ცხადად
გამომხატველი -ელ და -ურ აფიქსები დაირთო:
იმერ-ელ-ი, იმერ-ულ-ი.

ადამიანთა სადაურობას ძველ ქართულში -ივ
სუფიქსიც გამოხატავდა ზოგ შემთხვევაში: ნათესავნი

სოფლ-იე-ნ-ი (ალ. მანჯგალაძე, 1953, 497). -იე და -იერ წარმომავლობის სუფიქსთა შეერთებით მიღებული -იერ (←იე-იერ) უმთავრესად ქონების სახელთა მაწარმოებელი იყო ძველ ქართულში (მაგ., ცოლ-იერ-ი), მაგრამ სავარაუდოა, რომ მას თავდაპირველად წარმომავლობის აღნიშვნა ევალებოდა: თიკნ-იერ-ი (თიკნის ტყავი, ილ. აბულაძე), ზურგ-იელ-ი, ც-იერ-ი, მიწ-იერ-ი... ეს მით უფრო საგულისხმოა, რომ -იერ სუფიქსიან სახელებს წარმომავლობის მაჩვენებლად -იურ სუფიქსიანი ფორმები შეენაცვლა (ალ. მანჯგალაძე, 1953, 501): ც-იერ-ი → ც-იურ-ი, მიწ-იერ-ი → მიწ-იურ-ი...

ტოპონიმებზე -ელ სუფიქსის დართვისას ძველ ქართულში -ის და -ეთ ტოპოფორმანტები იკარგებოდა: თბილ-ის-ი → თბილ-ელ-ი, დუშ-ეთ-ი → დუშ-ელ-ი, მაგრამ ამჟამად ტოპოფორმანტები ხშირად შენარჩუნებულია: თბილ-ის-ელ-ი, თიან-ეთ-ელ-ი. ასევეა: ქობულ-ეთ-ელ-ი, ქვიშხ-ეთ-ელ-ი, ზომლ-ეთ-ელ-ი, თრიალ-ეთ-ელ-ი, ბრ-ეთ-ელ-ი, წყნ-ეთ-ელ-ი... (ი. მაისურაძე, 1962; თ. იშხნელი, 1970, 74-76).

ტოპონიმ ხეგ-ისაგან წარმომავლობის აღმნიშვნელად -ელ სუფიქსის ნაცვლად მო-ე აფიქსებიანი ფორმაა: მო-ხეგ-ე (ა.კიზირია, 1974, 159). ამგვარივე წარმოების მო-ფრანგ-ე-ნ-ი დადასტურებულია „ვეფხისტყაოსანშიც“.

-ურ (→ -ულ):

1. -ელ სუფიქსის საპირისპიროდ -ურ სუფიქსი გეოგრაფიულ სახელებზე დართვით არაადაშიანთა წარმომავლობასადაურობის მაჩვენებელია: ებრა-ურ-ი, ფშა-ურ-ი, იონი-ურ-ი, გელაქნ-ურ-ი... შდრ.: გელაქნ-ელ-ი კაცი -

გელაქნ-ურ-ი ნივთი. „ასეთი განსხვავება -ელ და -ურ სუფიქსს შორის მხოლოდ სამწერლო ენასა და ზოგ კილო-შია გატარებული, მაგრამ ზოგიერთი კილო -ელ სუფიქსს მარტო ადამიანებზე კი არა, სხვა საგნებზედაც ხმარობს და -ურ სუფიქსს, პირიქით, კაცის ვინაობის გამოსახატავადაც“ (ა. შანიძე, 1957, 29).

-ურ სუფიქსით ზოგჯერ ადამიანთა სადაურობაც აღინიშნება: ქუთათ-ურ-ი კაცი, გურ-ულ-ი კაცი... მეგრულში კი ყველა შემთხვევაში -ურ თანაბრად აღნიშნავს ადამიანისა და არაადამიანის წარმომავლობას: ბანძ-ურ-ი = „ბანძ-ელ-ი“, „ბანძ-ურ-ი“, შდრ. გურ-ულ-ი: ა) გურული ქალი, ბ) გურული ვაშლი. დასავლურ დიალექტებში -ურ სუფიქსის გამოვლენა მეგრულის გავლენით აიხსნება (არნ. ჩიქობავა, 1942, 139), მაგრამ ეს მოვლენა აღმოსავლური დიალექტებისთვისაც არის დამახასიათებელი. მაგ. ფშაურში: „სანათაი ვარ მე, შვილო, აფხუშოური ქალია“, გარეკახურში: „ორი კაცი წავიდა: ერთი გარეჯული და ერთი გიორგუმინდული“ (არნ. ჩიქობავა, 1942, 139), ამან დააექვა არნ. ჩიქობავა და „-ელ და -ურ სუფიქსების გამოყენება ორი განსხვავებული კლასკატეგორიის აღსანიშნავად“ მეორეულ მოვლენად ჩათვალა. მით უფრო, რომ ზემოთქმულში -ელ სუფიქსით ნივთის სადაურობაცაა აღნიშნული: ბადდად-ელ-ი ღვინო... თნ-ელ-ი შალი (არნ. ჩიქობავა, 1942, 139).

ზემოთქმული კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ეს ორი შემთხვევა ერთმანეთთან სხვადასხვა მიმართებაშია: -ელ და -ურ აფიქსთა ამგვარი დაპირისპირება ქართულისათვის ტიპური არ ჩანს და იგი გვიანდელი გრამატიკული მოვლენაა (კ. ღონღუა, 1967, 166).

„ვეფხისტყაოსანში“ - ელ და -ურ აფიქსთა დაპირისპირების ერთადერთი ფაქტია: მაღრიბ-ელ-ი// მაღრიბ-ულ-ი*.

მთის დიალექტთა მონაცემების გათვალისწინება გვავარაუდებინებს, რომ -ურ ძველ ქართულში მხოლოდ არაადამიანთა წარმომავლობის აღმნიშვნელი არ უნდა ყოფილიყო. -ურ სუფიქსიანი ანთროპონიმები: ზვიადა-ურ-ი, დინჯ-ურ-ი, გოგოთ-ურ-ი... რომელთაგანაც შემდეგ გვარის სახელები იქნა წარმოებული: ჭინჭარა-ულ-ი, გაბუ-ურ-ი, ქეთელა-ურ-ი... გვიდასტურებენ, რომ -ურ თანაბრად აღნიშნავდა როგორც არაადამიანთა, ასევე ადამიანთა წარმომავლობასაც. ზემოდასახელებული -ურ სუფიქსიანი ადამიანთა სადაურობის მაჩვენებელი სახელები ამის შემდგომი ეტაპია: ტოპონიმთაგან -ურ ადამიანთა წარმომავლობაზე მიუთითებდა: აფხუშო-ურ-ი.

2. -ურ სუფიქსმა ახალი ფუნქცია შეიძინა: იგი თვისების აღმნიშვნელ სახელთა მაწარმოებელი გახდა. ეს მოვლენა XI ს. ჩნდება ქართულში (ალ. მანჯგალაძე, 1953, 473). „გტ“: ფხიზლ-ურ-ი (1659), მთვარ-ულ-ი (820), დარ-ულ-ი (820).

ახალ ქართულში -ურ სუფიქსი თვისების აღმნიშვნელ სახელთა ყველაზე აქტიური მაწარმოებელია. იგი დაერთვის როგორც ქართულ, ისე უცხო წარმომავლობის სახელს და აღნიშნავს თვისებას ძირეულ საგანთან მიმართებით: ბრიყვ-ულ-ი, ბერ-ულ-ი, ფერწერ-ულ-ი, ჯადოქრ-ულ-ი.

* „ვეფხისტყაოსანში“ რომ -ურ ადამიანთა წარმომავლობის მაჩვენებელია, ჩანს 1558-ე სტროფიდან: „ნაშობი რომანულისა დედისა“ (პ. ინგოროყვას გამოცემული საიუბილეო ტომი, 1937 წ.).

მთარგმნელობითმა პრაქტიკამ განაპირობა უცხო სიტყვათა ქართულად გადმოცემის საჭიროება. თვისების აღმნიშვნელი სახელები უმთავრესად -ულ სუფიქსით იწარმოება. უცხო წარმომავლობის სახელს ხშირად თავისივე აფიქსიც ახლავს. ეს ვერ ზღუდავს -ულ სუფიქსს და ახალი შინაარსის სახელს დაუბრკოლებლად აწარმოებს*.

-action: დერივ-აცი-ულ-ი, ირივ-აცი-ულ-ი, იმპროვიზ-აცი-ულ-ი...

-ineur, -eur: დოქტრ-ინერ-ულ-ი, მისიონ-ერ-ულ-ი, ლეგიონ-ერ-ულ-ი...

-isateur: ორგანიზატორ-ულ-ი, კოლონიზატორ-ულ-ი

-ik: პროზა-იკ-ულ-ი, ტრაგ-იკ-ულ-ი...

-ist: პროზა-ისტ-ულ-ი, კონტრაბანდ-ისტ-ულ-ი, მარქს-ისტ-ულ-ი...

-log: იდეო-ლოგი-ურ-ი...

3. მთიულეთის ტობონიმთა გაანალიზების შედეგად გ. ხორნაულმა ივარაუდა, რომ -ურ სუფიქსის თავდაპირველი ფუნქცია კუთვნილების გამოხატვა უნდა ყოფილიყო: ანანეულები, გოგოლაური, გოდეურნი... ადამიანთა საკუთარი სახელებიდან არის ნაწარმოები -ურ სუფიქსის დართვით: „... ეს არის იმ ადამიანთა სახელები, ვისაც ეკუთვნოდა ან ამჟამადაც ეკუთვნის ამ ტობონიმებით სახელდებული ადგილ-მამულები, მთები“ (გ. ხორნაული, 1973, 131).

-ურ სუფიქსის მიერ კუთვნილების აღნიშვნის დამადასტურებელ ფაქტად ავტორი იმოწმებს იმერული დიალექტის ერთ თავისებურებას: „ყურადღებას იქცევს გათხოვილ

* უკანასკნელ ხანებში შეიმჩნევა, რომ -ურ სუფიქსის პარალელურად სა-ი (იშვიათად -ობრივ) მაწარმოებლებითაც გადმოიცემა თვისების შინაარსი: სა-გრა-მატიკ-ო//გრამატიკ-ულ-ი, სა-პოლემიკ-ო//პოლემიკ-ურ-ი.

ქალთა გათხოვებამდე (მშობლების) გვართ მოსახსენებელი სახელების წარმოება -ურ (-ულ) სუფიქსით: კვინიკაძე — კვინიკაური“ (ბ. გაჩეჩილაძე, 1956). -ურ სუფიქსის მიერ სადაურობის აღნიშვნა გ. ხორნაულს მეორეულ, გვიან შექმნილ ფუნქციად მიაჩნია (გ. ხორნაული, 1973, 135).

-ურ სუფიქსითაა ნაწარმოები სხვადასხვა ჯიშის აღმნიშვნელ კულტურულ მცენარეთა სახელები, რომელთა ამოსავალი ფუძის მნიშვნელობა ხშირად უცნობია: აბილა-ურ-ი (ქართლსა და მესხეთში გავრცელებული ვაშლის ადგილობრივი ჯიში, I), ჩიდვინა-ურ-ი//ჩადვინა-ურ-ი* (1. თეთრყურძნიანი ვაზის ჯიში, 2. ამგვარი ჯიშის ყურძნისაგან დამზადებული ღვინო, VIII), წიწინა-ურ-ი (ბოტან. დაბალტანიანი, მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარე, VIII), ოხტა-ურ-ი (ვაზის ერთ-ერთი ჯიში, VI), ინჩქით-ურ-ი (მსხლის ჯიში, IV), შონ-ურ-ი** („სვანური ყურძენი“, დ. ჩუბინ. ერთნაირი ვაზი, რომლისგანაც ოჯალეში ღვინო მზადდება, VII), ოცხან-ურ-ი*** (ვაზის ჯიში იმერეთში, VI), ჯანგილ-ურ-ი// ჭანგილო-ურ-ი (იმერ. „შავი საადრეო ყურძენია, ბ. წერ. VIII)

ზემოდასახელებულ ფორმებში -ურ წარმომავლობის ფუნქციისაა.

-იურ (-იულ):

1. -იურ (←იგ-ურ) სუფიქსი გეოგრაფიულ და ადგილის აღმნიშვნელ სახელებზე დართვით უჩვენებს არაადამიანთა

* შეიძლება დავუკავშიროთ ზანურს: ჩადვინაური ← ჩედვინაური, ე.ი. თეთრღვინიანი.

** შონ-ურ-ი - ზან. შონ. - ქართ. სვან. ე. ი. სვანური.

*** შდრ. ზანური ოჩხანური, * = სა-ო, ჩხანა - მზე, ე.ი. სა-მზე-ური, იხ. ოჯალეში ← ობეალეში „სამზისი“.

წარმომავლობა-სადაურობას: ანდ-იურ-ი, მიწ-იურ-ი, ქვეყნ-იურ-ი, არჭ-იულ-ი, ევროპ-იულ-ი...

2. -იურ მაწარმოებლიანი საზოგადო სახელები მსგავსება-თვისებასაც აღნიშნავენ ძირეულ საგანთან მიმართებით. ეს ფუნქცია -ურ სუფიქსის მსგავსად, გვიან უნდა განვითარებულიყო წარმომავლობის შინაარსის მოდიფიკაციით:

ა) თვისების აღმნიშვნელია: მარად-იულ-ი, მშობლ-იურ-ი, მზ-იურ-ი, მით-იურ-ი, რას-იულ-ი...

ბ) მსგავსების აღმნიშვნელია: წრ-იულ-ი (წრის მსგავსი, წრისებრი, VII).

ც-იურ-ი, მზ-იურ-ი ტიპის სახელებში -იურ სუფიქსის თავდაპირველი ფუნქცია წარმომავლობის ჩვენებაა. „ციური სხეულები“ ნიშნავს არა ცის თვისების მქონე სხეულებს, არამედ „ცის (ცაზე მყოფ) სხეულებს“. „ზეციური ნიჭი ნიშნავს არა ცის მსგავს ნიჭს, არამედ „ზეციდან მომდინარე (ბუნებრივ) ნიჭს“. მაგრამ ეგვე ფორმები სხვა კონტექსტში მსგავსება-თვისების აღმნიშვნელია:

„რო ვნახე, გულში ჩამიდგა
სიამოვნება ციური,
მე ტრედისფერად მეჩვენა,
სხივი მისდევდა მზიური“ (ვაჟა)

(რ. გაბეჩავა, 1971, 54).

3. დროის აღმნიშვნელ სიტყვებზე დართვით -იურ სუფიქსი პერიოდულად მიმდინარე მოვლენებს აღნიშნავს: წლ-იურ-ი, ყოველთფ-იურ-ი, დღ-იურ-ი. ეს უკანასკნელი რამდენიმე მნიშვნელობის შემცველია და მასში თითქმის აღარც იგრძნობა -იურ სუფიქსის ძირითადი ფუნქციები.

-ეულ:

1. -ეულ სუფიქსით ნაწარმოები სახელები კუთვნილება-წარმომავლობის აღმნიშვნელია. იგი უმთავრესად დარტვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმას: დედ-ის-ეულ-ი, ფესვ-ის-ეულ-ი, სიზმრ-ის-ეულ-ი, ცხოვრებ-ის-ეულ-ი, პაპის-ეულ-ი, წიადის-ეულ-ი... გვხვდება უშუალოდ მარტივ ფუძეზე დარტვის შემთხვევებიც: ზამთრ-ეულ-ი, შორ-ეულ-ი, ჩემ-ეულ-ი.

ერთ კერძო შემთხვევაში ნათესაობითი ბრუნვის ფორმაზე დართული -ეულ სუფიქსი წარმომავლობას აღნიშნავს: ქმრ-ის-ეულ-ი - ქმრის ნაქონი, მარტივ ფუძეზე დართვით კი კრებითობას: ქმარ-ეულ-ი/ქმრ-ეულ-ი - ქმრის ნათესაობა, ქმრის მახლობლები, VIII).

-ეულ სუფიქსიანი რამდენიმე სახელი გასუბსტანტივებულია: დიაკ-ეულ-ი, მჭელ-ეულ-ი, ძოწ-ეულ-ი, ყვერბ-ეულ-ი (არნ. ჩიქობავა, 1942, 44), კვერ-ეულ-ი, თონ-ეულ-ი (თონეში გამომცხვარი პური (ან მქაღი), წელიწად-ეულ-ი (სუბსტანტიურად გაგებული ადრექტივია, რომელიც ნაწარმოებია წელიწად-ისაგან (ა. შანიძე, 1923, 24,1).

2. -ეულ სუფიქსის უმთავრესი ფუნქცია კრებითობის აღნიშვნაა. არსებით სახელებზე დართვით იგი გვიჩვენებს საგნის სახეობის, ჯიშის სიმრავლე-კრებითობას. -ეულ სუფიქსის ამ ფუნქციას თავდაპირველად ყურადღება მიაქცია ნ. ჩუბინაშვილმა (ნ. ჩუბინაშვილი, 1961, 124) და მას „შემკრებლობითი“ უწოდა: ბამბ-ეულ-ი, ჟანგ-ეულ-ი, კაფ-ეულ-ი, ბეწვ-ეულ-ი, ტკბილ-ეულ-ი, ცილ-ეულ-ი, სახლ-ეულ-ი, ვერცხლ-ეულ-ი, მაღნ-ეულ-ი, მცენარ-ეულ-ი, პურ-ეულ-ი, ბად-ეულ-ი, განძ-ეულ-ი,

ბადაღშ-ეულ-ი, სპილენძ-ეულ-ი... რიცხვით სახელებზე დართვით: ათ-ეულ-ი, ას-ეულ-ი... გაარსებითებულია რვ-ეულ-ი.

ახალ ქართულ ენაში -ეულ სუფიქსი ამ ფუნქციით ძალზე გავრცელებულია.

საინტერესოა, რომ ამ მოვლენის სათავე ძველ ქართულშივე ჩანს - კრებითობის აღმნიშვნელია -ეულ სუფიქსიანი შემდეგი სახელები: ზუნ-ეულ-ი, სახლ-ეულ-ი, ძნ-ეულ-ი, სამარხ-ეულ-ი, მელ-ეულ-ი (ფეტვის ძნეული, ნ. ჩუბინ.).

აღსანიშნავია, რომ -ეულ სუფიქსის უმთავრესი ფუნქცია ძველ ქართულში ქონების შინაარსის გამომხატველ სახელთა წარმოებაა: ეჭუ-ეულ-ი, გრძნ-ეულ-ი, სნ-ეულ-ი, გოლ-ეულ-ი (თაფლი ფიქისა), მეყს-ეულ-ი (მეყი - საჩქაროდ, უმალ), ნეტრ-ეულ-ი (ნეტარი, სანატრელი), პატიჟ-ეულ-ი (სასჯელდადებული), ხორშაკ-ეულ-ი, ურვ-ეულ-ი (მწუხარე), ეშმაკ-ეულ-ი, ხორ-ეულ-ი (ზვინად დადგმული, დაზვინებული, დ. ჩუბინ.), მტკივნ-ეულ-ი... თ. ყორდანისა შეუნიშნავს, რომ -ეულ ქვემოდასახელებულ ფორმებში: სნეული, ეშმაკეული - ქონების გამომხატველია. ამიტომ თვლის, რომ მოსალოდნელი -იან სუფიქსის (სენიანი, ეშმაკიანი) ნაცვლად გამოვლენილი -ეულ კეთილხმოვანებისათვისაა (თ. ყორდანი, 1889, 90).

-ეულ სუფიქსით წარმომავლობაცაა აღნიშნული: დილ-ეულ-ი, სახლ-ეულ-ი...

ქონების გაგება აქვს ახალ ქართულში კონკრეტული მნიშვნელობის მქონე სახელებს: ღირს-ეულ-ი (ღირსების მქონე, VII), ფას-ეულ-ი (წიგნ. რასაც ფასი აქვს, VII), ვრც-ეულ-ი (წიგნ. რასაც სივრცე და მოცულობა აქვს, IV), იმედ-ეულ-ი, ნიშნ-ეულ-ი (ნიშანდობლივი, მისახვედრი, V),

ცალკ-ეულ-ი (ცალკე მდგომი, განმარტებული, VII),
მზამზარ-ეულ-ი...

მოზარდ-ეულ-ი (გაზ. „კომუნისტი“, №289, 1972, 10.
XII, 4) – ახლად შექმნილი ტერმინია. ნახშირია მსხვილფეხა
პირუტყვის ახალგაზრდა ასაკის საქონლის აღსანიშნავად.
აქ - ეულ კრებითობის შინაარსისაა.

ძველ ქართულში - ეულ სუფიქსი დაერთვოდა რიცხ-
ვით სახელებსაც; აწარმოებდა:

ა) წილობით რიცხვით სახელებს: ხუთ-ეულ-ი = 1/5,
ათ-ეულ-ი (= 1/10) (ივ. იმნაიშვილი, 1956, 479).

ბ) ჯერადობის აღმნიშვნელ სახელებს: ოცდაათ-ეულ-ი,
სამოც-ეულ-ი, ას-ეულ-ი = ოცდაათჯერ, სამოცჯერ, ასჯერ
მეტს (ივ. იმნაიშვილი, 1956, 479).

ძველი ქართული ენის მონაცემთა შესწავლა გვაგვარაუდებ-
ბინებს, რომ - ეულ სუფიქსის თავდაპირველი ფუნქცია ქონების
სახელთა წარმოება იყო, შემდეგ კი მას კრებითობისა და
წარმომავლობის აღნიშვნის ფუნქციებიც შეუძენია.

- რელ:

- რელ დროის აღმნიშვნელ სიტყვებს დაერთვის და
როდინდელობასა და წარმომავლობას აღნიშნავს:
გუშინ-რელ-ი, წელან-რელ-ი, უწინ-რელ-ი...

ა) წელან, შარშან, ძოდან სიტყვათა ანალოგიით
ჩნდება სხვა სიტყვებთანაც: დილა-ნ-რელ-ი,
ახლა-ნ-რელ-ი, წინა-ნ-რელ-ი, კვირა-ნ-რელ-ი,
პირვ-ა-ნ-რელ-ი ← პირვ-ელ-ა-ნ-რელ-ი,
წუხ-ა-ნ-რელ-ი ← წუხელ-ა-ნ-რელ-ი.

ბ) მაშინ, გუშინ, უწინ სიტყვათა ანალოგიით კი-ინ ჩნდება:
ზეგ-ინ-რელ-ი, როდ-ინ-რელ-ი, კვლავ-ინ-რელ-ი,
ოდ-ინ-რელ-ი, ხვალ-ინ-რელ-ი, დამ-ინ-რელ-ი,

მერმ-ინ-დელ-ი, დრო-ინ-დელ-ი, ადრ-ინ-დელ-ი... -
ბერის წინამავალ ი ხმოვანს აკ. შანიძე ნათესაობითი ბრუნვის
ნიშნად მიიჩნევს: ხვალ-ი-ნ-დელ-ი ← ხვალ(ს)-დელ-ი
(ა. შანიძე, 1973, 130).

- (ა)-მდელ:

- (ა)-მდელ სუფიქსის ფუნქცია წინადროინდელი ვითარე-
ბის აღნიშვნაა: ისტორი-ა-მდელ-ი, წვევ-ა-მდელ-ი,
სკოლ-ა-მდელ-ი, ომ-ა-მდელ-ი... სუფიქსი ახლადწარმო-
ქმნილია და თარგმნითი პრაქტიკის შედეგად ჩანს მიღებუ-
ლი: Дореволюционный: 1. რევოლუციის წინადროინდელი,
2. რევოლუციამდელი (დ. მაკავარიანი, 1951, 135).

- იონ:

1. -იონ სუფიქსი -იან-ის ფონეტიკურ ვარიანტად არის
მიჩნეული სპეციალურ ლიტერატურაში (ს. ჯანაშია, 1937, 212;
არნ. ჩიქობავა, 1942, 118). მისი უძველესი ფუნქცია იყო ეჩვენე-
ბინა ადამიანთა წარმომავლობა: ამ მნიშვნელობისაა ხე-
ვსურულ დიალექტში გავრცელებული სახელები: არხოტ-იონ-ი =
არხოტ-ელ-ი, ამლ-იონ-ი = ამლ-ელ-ი, შატილ-იონ-ი = შა-
ტილ-ელ-ი... შდრ. ძვ. ქართულის მ-სოფლ-იონ-ი (სოფლე-
ლი) ილ. აბულ.).

2. -იონ კრებითობის მაჩვენებელიცაა. სალიტერატურო
ენაში ამ უკანასკნელი ფუნქციით იხმარება: დაფ-იონ-ი,
დროშ-იონ-ი, ელჩ-იონ-ი, მხედრ-იონ-ი, არიფ-იონ-ი (სიმ-
ბოლისტური ჯგუფის სახელწოდება, I).

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, -იან (→ -იონ) აფიქსებში
შემაგალი -ან ელემენტი რამდენიმე ერთმანეთთან მჭიდროდ
დაკავშირებული მნიშვნელობის შემცველია. შეუძლია აღნიშ-
ნოს: წარმომავლობა, კრებითობა, ქონება.

წარმომავლობისა და კრებითობის აღმნიშვნელია

-იონ ქვემოჩამოთვლილ სახელებში: მაყრ-იონ-ი, საყდრ-იონ-ი, მეფ-იონ-ი//ნეფ-იონ-ი და მძლ-იონ-ი (1. მეფე მაყრებითურთ, 2. რძლის მაყარი, ნ. ჩუბინ.). გასუბსტანტივებულია კავკას-იონ-ი.

-იონ სუფიქსიანი რამდენიმე სახელი პროფესიის აღმნიშვნელია: ჯვარ-იონ-ი = ჯვარის მსახური, ხატ-იონ-ი = ხატის მსახური (არნ. ჩიქობავა, 1942, 119), ციხ-იონ-ი = ციხის მსახური.

ამგვარად, წარმომავლობის სახელთა გაანალიზება საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ადამიანთა და არაადამიანთა წარმომავლობა-სადაურობის აღნიშვნის ხაზით ახალ სალიტერატურო ქართულს მნიშვნელოვანი ცვლილება არ განუცდია: -ელ ადამიანთა, ხოლო -ურ (-იურ) აფიქსები არაადამიანთა წარმომავლობაზე მიუთითებს. -ეულ სუფიქსი ვინმესაგან წარმომავლობას აღნიშნავს, ხოლო ზმნიზედებსა და დროის აღმნიშვნელ სხვა სიტყვებზე დართვით -დელ როდინდელობას უჩვენებს.

განსაკუთრებით საინტერესოა დასახელებულ აფიქსთა მიერ გამოვლენილი დამატებითი ფუნქციები, რომლებიც გავრცელების სიხშირით აღემატება კიდევ მის ძირითად როლს. ასე მაგალითად:

1. -ელ სუფიქსი აღნიშნავს: ა) რისამე მიმდევრობას და ბ) პროფესიას.

2. -ურ: ა) თვისებისა და ბ) კუთვნილების აღმნიშვნელ სახელთა მაწარმოებელია.

3. -იურ თვისება-მსგავსებაზე მიუთითებს.

4. -ეულ: ა) კრებითობის (საგნის სახეობის, ჯიშის, სიმრავლე-კრებითობისა და ბ) ქონების სახელთა მაწარმოებელია.

5. -იონ: ა) კრებითობისა და ბ) პროფესიის მაჩვენე-

ბელია.

ყველა დასახელებული ფუნქციის გამოვლენის უნარი ძველ ქართულშივე ჰქონდა ამ აფიქსებს, ხოლო მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ენაში არსებული რესურსები ახალმა ქართულმა გამოიყენა და ახალი სასიცოცხლო ძალით აღჭურვა.

IV. აბსტრაქტული სახელები

-ება, -ობა, სი—ე (სი—ო)*

-ება და -ობა სუფიქსები აბსტრაქტულ სახელთა მაწარმობელია, მაგრამ ერთმანეთის ნაცვლად ისინი არ იხმარება. სალიტერატურო ენაში ამ მხრივ გარკვეული ნორმა გვაქვს და ტრადიციას მტკიცედ ვიცავთ (ივ. ჭავთარაძე, 1954, 102). მაგ.: დამაჯერებლ-ობა, ვინა-ობა, გულად-ობა, ძლიერ-ება, დიდ-ება... სამაგიეროდ არ დასტურდება: დამაჯერებლ-ება, ვინა—ება, გულად-ება, ძლიერ-ობა, დიდ-ობა (ეს უკანასკნელი სხვა შინაარსის შემცველია). ამ სუფიქსთა დღევანდელი განაწილება არ თანხვდება ძველ ქართულში მიღებულ ხმარებას. ხშირად, იმ შემთხვევებში, სადაც ძველ ქართულში -ება სუფიქსი იხმარებოდა, დღეს -ობა გვაქვს და პირიქით (დ. მელიქიშვილი, 1967, 51): „ხოლო გულის-ვზიერობამ სწავლისაჲ განსაკვრვებელი იყო ფრი-

* აბსტრაქტულ სახელთა წარმოების, გენეზისისა და ფუნქციების შესახებ იხ. აკ. შანიძე, 1973, 131-133; არნ. ჩიქობავა, 1942, 219; არ. მარტიროსოვი, 1958, 121-128; აღ. ლლონტი, 1971, 111; ლ. კვაჭაძე, 1969, 119-120; ლ. შალვაშვილი, 1962.

ად...“ („გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“). (შდრ. გულისხმვრება), „მას უამსა წინამძღურებითა სულისა წმიდისაჲთა, მოიწია ხანძთად...“ (შდრ. წინამძღვრობა).

„აბსტრაქტულ სახელთა წარმოქმნის მხრივ საგრძნობი სხვაობა შეიმჩნევა ძველსა და ახალ ქართულს შორის: ა) ახალ ქართულს -ობა სუფიქსის ნაცვლად ძველ ქართულში ხშირად -ება სუფიქსი იხმარება. ბ) ძველ ქართულში პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოება ახალში ხშირად შეცვლილია ოდენპრეფიქსული წარმოებით - სიმუნც - მხნეობა“ (არ. მარტიროსოვი, 1958, 125).

I. -ობა სუფიქსი აბსტრაქტულ სახელებს აწარმოებს: ა) მოქმედებითი და ვნებითი გვარის მიმღეობებისაგან: დამაჯერებლ-ობა, მჭრელ-ობა, ვარდნილ-ობა, შეფერილ-ობა, წარჩინებულ-ობა, გაგებულ-ობა... ბ) არსებითი სახელისაგან: ჭაბუკ-ობა, ოფიცრ-ობა... გ) ზედსართავი სახელისაგან: ვერაგ-ობა, პატარა-ობა... დ) რიცხვითი სახელისაგან: ერთ-ობა... ე) ნაცვალსახელისაგან: მე-ობა, რა-ობა, ვინა-ობა... ვ) ზმნიზედისაგან: მალე-ობა, შინა-ობა... ზ) ნაწილაკისაგან: არა-ობა, ჰო-ობა... თ) წარმოქმნილი სახელისაგან: უ-პირ-ობა, მე-პატრონ-ობა, მო-ხალის-ობა, გულად-ობა, ქმ-ედ-ობა... ი) უცხო წარმომავლობის სახელთაგან: პოპულარ-ობა, აქტივ-ობა, კაპიტნ-ობა...

1. -ობა სუფიქსიანი აბსტრაქტული სახელები მუდმივ თვისებასა და მდგომარეობაზე მიუთითებენ: ავგულ-ობა (ავგულის თვისება, I), ბანალურ-ობა, თაფაშეგებულ-ობა, ქედმოუხრელ-ობა, გამბედა-ობა, აზატ-ობა (ისტ. აზატის მდგომარეობა, I), აირად-ობა (ფიზ. აირის, გაზის მდგომარეობაში ყოფნა, I), აბრაგ-ობა (აბრაგის საქმი-

ანობა, I), ამილახვრ-ობა (ისტ. ამილახვრის თანამდებობა, I, ბეჯითობა*.

2. -ობა სუფიქსით იწარმოება დროის აღმნიშვნელი სახელები:

ა) რელიგიური დღესასწაულები:

წმინდანთა სახელობის დღეები: გიორგ-ობა, ელია-ობა, თამარ-ობა, ბარბაღლ-ობა, თევდორ-ობა... ამ სახელთა ანალოგიით შეიქმნა თანამედროვე დღესასწაულთა სახელებიც: შოთა-ობა, ილია-ობა, იაკობ-ობა...

საკულტო ნაგებობათა დღესასწაულები: ალავერდ-ობა, თელეთ-ობა, ათენგენ-ობა...

სოფლის დღესასწაულები: კავთ-ობა (ძვ. ხალხური დღესასწაული ქართლში, სოფ. კავთისხევში, — მოდიოდა აღდგომის შემდეგ მეორე კვირას, IV), მცხეთ-ობა...

ბ) რიტუალის აღმნიშვნელი სახელები: დათვქადა-ობა (ეთნ. რიტუალი, რომელსაც ყველიერის ხუთშაბათს ასრულებდნენ, III), აღილო-ობა, ლამპრ-ობა (ძვ. ეთნ. დღესასწაული, რომლის დროს ჩირაღდნებს (ლამპრებს) ანთებდნენ და დაატარებდნენ ეზოში, ვენახში — ვითომდა კუდიანების გასარეკად, IV), თავგა-ობა (ძვ. ეთნ. მთიულეთში მიღებული წეს-ჩვეულება, რომელსაც ასრულებდნენ სახლიდან „თავგების გასარეკად“, IV).

ამ მოდელის მიხედვითაა წარმოებული ახალი სახელები: შაბათ-ობა, კვირა-ობა (ახ. რაიმე საზოგადოებრივი სამუშაოს ნებაყოფლობითი კოლექტიური შესრულება არასამ-

* რ. გაბეჩავა -ობა სუფიქსის მიერ თვისების სახელთა წარმოებას მხოლოდ საკუთარ სახელებთან აღნიშნავს: თინათინობა, შერმადინობა, ასმათობა... (რ. გაბეჩავა, 1971, 36).

უშაო დღეს).

-ობა სუფიქსიანი წარმოება ფართოდ გავრცელდა ქართულში. იგი დაერთვის ნებისმიერ ხმოვანსა და თანხმოვანზე დასრულებულ ფუძეს ერთ-, ორ-, სამ- და მრავალმარცვლიანს, ქართული და უცხო წარმომავლობის სახელებს, აგრეთვე ნაწარმოებ სახელებსაც. საფიქრებელია, რომ -ობა სუფიქსის გააქტიურებას ხელი შეუწყო იოანე პეტრიწმაც. ფუძის რაგვარობის მიუხედავად, იოანე პეტრიწი -ობა აფიქსით აწარმოებს „ყოველგვარ სახელს, როცა ამას აბსტრაქტული სახელის ადეკვატური ტერმინის წარმოების საჭიროება მოითხოვს“ (დ. მელიქიშვილი, 1967, 63).

2. -ობა სუფიქსი კონკრეტულ სახელთა მაწარმოებელიცაა: აწარმოებს კრებით სახელებს: ჭაბუკ-ობა, ქართველ-ობა, სახელ-ობა, თემ-ობა, ოფიცრ-ობა, ბერ-ობა, მთეც-ობა, ხუც-ობა, ნათესა-ობა, სტუდენტ-ობა... ამ სახელთა საერთო დამახასიათებელი თვისება ისაა, რომ ისინი პოლისემიურნი არიან და კონტექსტის შესაბამისად კრებითობასაც აღნიშნავენ და აბსტრაქტულ სახელთა როლშიც გვევლინებიან:

ა) „იმდროინდელი სტუდენტობა სრულებით არა ჰგავდა დღევანდელს“ (აკაკი).

ბ) „მე მყავდა ერთი მეგობარი..., ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს ერთ ოთახში ვცხოვრობდით და ერთად ვიტანდით ჭირსა და ლხინს“ (აკაკი ბელიაშვილი).

-ობა სუფიქსიანი კრებითი სახელი იწარმოება მხოლოდ და მხოლოდ არსებითი სახელისაგან.

კრებითობის ფუნქციისაა აგრეთვე: ნახატ-ობა (ნახატთა ერთობლიობა, V), ადამიან-ობა (ადამიანის თვისებათა ერთობლიობა, I), სოფლ-ობა (I. ისტ. სოფლის ყრილობა,

2. ძვ. კრებ. სოფლები).

-ება სუფიქსი აბსტრაქტულ სახელებს აწარმოებს უმათერესად ისეთი ფუძეებისაგან, რომლებიც საგნის თვისებას ან ნიშანს გამოხატავენ:

ა) წარსული დროის ვნებითი გვარის (-ილ, -ულ მაწარმოებლიან) მიმღობათაგან: ბრალდებულ-ება, განზრახულ-ებ-ა, მიდრეკილ-ება...

ბ) ზედსართავთაგან: დიდ-ება, უხვ-ება, ბოროტ-ება, მოხუც-ება, ძლიერ-ება...

იშვიათად კი:

გ) არსებითი სახელისაგან: ღვთა-ება, უფლ-ება, სურნელ-ება, გარემო-ება, სახ-ება, მანქან-ება, თარგმან-ება...

დ) რიცხვითი სახელისაგან: სამ-ება.

ე) ნაცვალსახელისაგან: თვის-ება.

ვ) ზმნისართისაგან: ვითარ-ება.

გასუბსტანტივებულთა: ღვთაება, ქანდაკება, ანგარება, სახება, უფლება, სურნელება, ძიება.

-ება სუფიქსი დაერთვის მხოლოდ ო ხმოვანზე დაბოლოებულ სახელებს: ამაო-ება, შნო-ება, გარემო-ება, სიტკბო-ება, სათნო-ება, საწუთრო-ება... თითო-ორთა შემთხვევაში ა, ი ხმოვანზე დასრულებულებს: ღვთა-ება, ძი-ება (ორივე გაარსებითებულია), არ დაერთვის ე და უ ხმოვანფუძიან სახელებს. ფუძის ბოლოკიდურ თანხმოვანთაგან ხშირია რ, ლ, ნ. ეს გასაგებიცაა: ლ, რ თანხმოვანზე დასრულებული ნამყო დროის ვნებითი გვარის მიმღობები, ნ თანხმოვანზე კი -იან და -ოვან მაწარმოებლიანი სახელები, რომლებიც ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს ქმნის -ება სუფიქსით ნაწარმოებ სახელებში.

სი—ე (→ სი—ო). სი—ე კონფიქსი ვითარებით ზედსართავ სახელთაგან, ზოგჯერ მიმართებითი ზედსართავეებისაგან, აწარმოებს აბსტრაქტულ სახელებს: სი-ადვილ-ე, სი-ანკარ-ე, სი-გიჟ-ე, სი-გაგლახ-ე, სი-ამ-ე, სი-გრილ-ე, სი-ახლ-ე, სი-მწყობრ-ე, სი-მძლავრ-ე, სი-გულოვნ-ე, სი-მშვენიერ-ე...

სი—ე და -ობა აფიქსები ხშირად დაერთვის ერთსა და იმავე ფუძეს (სულ 116 შემთხვევაა), მაგრამ უფრო მართებულ ფორმად სი—ე მაწარმოებლიანი სახელი ითვლება. პარალელურ ფორმათაგან მას იმიტომ ენიჭება უპირატესობა, რომ -ობა მაწარმოებლიანი ემთხვევა ამავე ფუძისაგან ნაწარმოებ საწყის ფორმას:

შდრ.:

სი-ყოჩაღ-ე	—	ყოჩაღ-ობა (ყოჩაღ-ობ-ს),
სი-ძუნწ-ე	—	ძუნწ-ობა (ძუნწ-ობ-ს),
სი-წუწკ-ე	—	წუწკ-ობა (წუწკ-ობ-ს),
სი-ნაზ-ე	—	ნაზ-ობა (ნაზ-ობ-ს)...

ჩანს, რომ სი—ე კონფიქსიანი სახელში მეტი განყენებულობა იგრძნობა.

პარალელურ ფორმათაგან იშვიათად ეძლევა უპირატესობა -ობა მაწარმოებლიან სახელს: სი-აეკაც-ე — აეკაც-ობა, სი-ბედშაგ-ე — ბედშაგ-ობა, სი-ვერაგ-ე — ვერაგ-ობა, სი-თვალხარბ-ე — თვალხარბ-ობა.

საგულისხმო ფაქტია, რომ თუ -ობა სუფიქსით კრებითი შინაარსის სახელია ნაწარმოები, ენა ცდილობს იმავე ფუძისაგან სი—ე კონფიქსით აწარმოოს აბსტრაქტული სახელი.

შდრ.:

სი-ყმაწვილ-ე	—	ყმაწვილ-ობა
სი-ჭაბუკ-ე	—	ჭაბუკ-ობა

სი-ჯეელ-ე — ჯეელ-ობა
სი-ღარიბ-ე — ღარიბ-ობა

სი—ე კონფიქსით ნაწარმოები ფორმა იშვიათად — ება სუფიქსიანი ფორმის პარალელურადაც გვხვდება: სი-ბოროტ-ე — ბოროტ-ება, სი-ერთგულ-ე — ერთგულ-ება, სი-მყუდრო-ე — მყუდრო-ება, სი-მძულვარ-ე — მძულვარ-ება, სი-მწუხარ-ე — მწუხარ-ება, სი-მხიარულ-ე — მხიარულ-ება, სი-მშვენიერ-ე — მშვენიერ-ება, სი-ნოყიერ-ე — ნოყიერ-ება, სი-ფხვიერ-ე — ფხვიერ-ება, სი-ძლიერ-ე — ძლიერ-ება.

პარალელურ ფორმათაგან უპირატესობა ენიჭება — ება მაწარმოებლიან სახელს, სი—ე მაწარმოებლიანი კი უმთავრესად პოეტური მეტყველებისათვის არის დამახასიათებელი.

მაგ.:

1. დამწველი თავის სიმშვენიერით
დამშვენებული უხვი განგებით (გალაკტიონი).
2. სამუდამო მხარეში მხოლოდ სიმწუხარეა (გალაკტიონი).

სი—ე პოეტური სამკაულია გალაკტიონისათვის:

„წმინდა ნათელში, ამბობს ჰეგელი,
წმინდა სინათლის დიად ბადეში
ისე ცოტაა გასაგებელი,
როგორც რომ წმინდა სიწყევლიადეში“

(გალაკტიონი).

სი—ე კონფიქსი დაერთვის ა, ე, ო, უ ხმოვანზე დაბოლოებულ სახელებს. ფუძესა და აფიქსს შორის უმთავრესად ხმოვანთგამყარი ჩნდება: სი-კობტა-გ-ე, ს-მჭლე-გ-ე, სი-ფართო-გ-ე...

სი—ო კონფიქსი დაერთვის მხოლოდ რამდენიმე

უმარცვლო ფუძეს: სი-ღრძ-ო, სი-მსხ-ო (სი-სხ-ო), სი-თბ-ო, სი-მცრ-ო, სი-ღბ-ო.

აბსტრაქტულ სახელთა გაანალიზებამ გვიჩვენა, რომ მაწარმოებელ აფიქსთაგან ყველაზე ცოცხალი და მოქმედია -ობა სუფიქსი. იგი დაერთვის ყოველგვარ სახელს: ქართულსაც და უცხო წარმომავლობისასაც, მარტივსაც და ნაწარმოებსაც, ნებისმიერ ხმოვანსა და თანხმოვანზე დაბოლოებულს. -ება უმთავრესად თვისების აღმნიშვნელ სახელთაგან (ნამყო ღროის ვნებითი გვარის მიმღეობებისა და ზედსართვი სახელისაგან) აწარმოებს განყენებული შინაარსის სახელებს, სი—ე კონფიქსი კი დაერთვის ქართულ ერთ ან ორმარცვლიან ვითარებით ზედსართავეებს. ხშირია -ობა და -ება, -ობა და სი—ე, -ება და სი—ე აფიქსთა პარალელურად დართვის შემთხვევები. -ობა და -ება ძველ ქართულშიც ხშირად მონაცვლეობდნენ (დიალექტებში ამ მონაცვლეობას ფართო გასაქანი აქვს).

„ახალთან შედარებით ძვ. ქართულში სი—ე ტიპის წარმოებას უფრო მეტი სასიცოცხლო ძალა ჰქონდა. პროლუქტიული იყო აგრეთვე -ება ტიპის წარმოება, ახალში კი, პირიქით, იგრძნობა -ობა სუფიქსის გაბატონების ტენდენცია“ (არ. მარტიროსოვი, 1958, 125). საფიქრებელია, რომ -ობა სუფიქსის გააქტიურებას ხელი შეუწყო იოანე პეტრიწის მიერ ფილოსოფიურ ტერმინთა შექმნამ.

-ობა და სი—ე აფიქსთა მონაცვლეობის საფუძველი კი ისაა, რომ ენა ცდილობს თავი აარიდოს ომონიმიას: თუ -ობა სუფიქსით კრებითობის შინაარსის სახელია ნაწარმოები, მაშინ სი—ე კონფიქსი აბსტრაქტულ სახელებს აწარმოებს.

V. დანიშნულების სახელები

სა—ო, სა—ე, სა—ურ, სა—

დანიშნულების, განკუთვნიების შინაარსის გამომხატველი სახელები იწარმოება სა—ო, სა—ე და სა—ურ აფიქსებით (ა. შანიძე, 1973, 133; ლ. კვაჭაძე, 1969, 172; ალ. ლლონტი, 1971, 122); მათი საერთო თავსართი სა— გ. ახვლედიანს მყოფადთა საერთო მაწარმოებლად მიაჩნია, რადგან შეუძლია აღნიშნოს „მიმართულება წინ, მოძრაობა აქედან იქეთ, განზრახვა, დანიშნულება და ვარგისობა“ (გ. ახვლედიანი, 1923, 59); აქვე ავტორი მსჯელობს სუფიქსთა როლის შესახებაც: ო-ს ადიექტივთა, ხოლო ე-ს კი სუბსტანტივთა მაწარმოებლად სახავს (გ. ახვლედიანი, 1923, 60).

სა—ე და სა—ო აფიქსთა მიერ განსხვავებული ფუნქციების გამოვლენას ქართულში რამდენიმე მკვლევარი ეხება. ჯერ კიდევ თ. ჟორდანია ცდილობდა აეხსნა, რომ სა—ეთი ნაწარმოები სახელი დანიშნულების გამომხატველი იყო, სა—ო მაწარმოებლიანი კი განკუთვნიება-თვისობისა: „ჩვენს მწერლობაში ხშირად არეულად ნახმარებია ორივე ნაკვეთები; ეს არევა, ალბათ, იმის გამო წარმომდგარა, რომ გარჩევა მათ შორის ძნელად შესამჩნევია. ამისთვის უნდა გვახსოვდეს, რომ პირველის ნაკვეთით ნაწარმოები ყოველთვის არსებითია ადგილშემცველობის აღმნიშვნელი და სხვას არ მიეწერება... ხოლო მეორე მუდამ დამოკიდებულია სხვა სიტყვისაგან, რომელსაც ეთანხმება რიცხვითა და ბრუნვითა...“ (თ. ჟორდანია, 1889, 77).

ამ თვალსაზრისს იზიარებს თ. ზურაბიშვილიც, რომელ-

საც აღნიშნულ აფიქსთა სრული მნიშვნელობით გაიგივება უმართებულოდ მიაჩნია, რადგან: „1. თვით აფიქსთა სხვადასხვაობა მიუთითებს მათ განსხვავებულ ფუნქციაზე... 2. მკრთალად, მაგრამ დღესაც იგრძნობა ამ სუფიქსთა განსხვავებული ფუნქცია-მნიშვნელობა“ (თ. ზურაბიშვილი, 1961, 154).

მიგვაჩნია, რომ სა—ე და სა—ო კონფიქსთა ამგვარი დაპირისპირება არასისტემურია და მისი განზოგადების საფუძველი არ არსებობს. მართალია, სა—ე მაწარმოებლიანი სახელი ხშირად გაარსებითებულია საზღვრულის ჩავარდნის გამო: სა—ყურ—ე, სა—თვალ—ე, სა—ხრ—ე, სა—კირ—ე... თუმცა ზედსართაული გაგებაცა აქვს შენარჩუნებული: სა—ურმ—ე (გზა)... მაგრამ პარალელურად არსებობს სა—ო მაწარმოებლიანი გაარსებითებული სახელებიც: სა—სადილ—ო, სა—სამართლ—ო, სა—ბჭ—ო... (ა. შანიძე, 1973, 132). საერთოდ იგრძნობა, რომ დანიშნულების სახელებს გაარსებითების ტენდენცია აქვს. ამ მხრივ ყველაზე საყურადღებოა სა—ურ მაწარმოებლიანი სახელები: სა—დგ—ურ—ი, სა—ბეჭ—ურ—ი, სა—ზარდ—ულ—ი, სა—კანჭ—ურ—ი... დასახელებულ კონფიქსებში დანიშნულება-განკუთვნებაზე ოდენ სა— პრეფიქსი მიუთითებს.

სა—ო:

დანიშნულების სახელთა მაწარმოებელ აფიქსებში ყველაზე აქტიურია სა—ო კონფიქსი. იგი დაერთვის თითქმის ყოველგვარ სახელს:

ა) არსებითებს: სა—გვირაბ—ო, სა—კლას—ო, სა—ღერბ—ო, სა—ლიანდაგ—ო, სა—გუნდ—ო...

ბ) ზედსართავეებს: სა—აშკარა—ო, სა—ღარიბ—ო, სა—მაგნე—ო, სა—ავ—ო, სა—ბრიყვ—ო...

გ) რიცხვით სახელს: სა—ერთ—ო...

დ) ნაცვალსახელებს: სა-ჩემ-ო, სა-იმათ-ო...

ე) ზმნისართებს: სა-ზენა-ო, სა-შინა-ო, სა-გარე-ო,
სა-აღბათ-ო, სა-იქი-ო...

ვ) თანდებულს: სა-თანა-ო...

ზ) ნაწილაკებს: სა-არა-ო, სა-თუ-ო, სა-ეგები-ო...

თ) სახელზმნებს: სა-ძიებ-ო, სა-ოცნებ-ო,
სა-ამწყობ-ო, სა-მლოცველ-ო, სა-გამომჭრელ-ო...

ი) წარმოქმნილ სახელებს: სა-ნედლ-ეულ-ო,
სა-სულ-იერ-ო, სა-ცხენ-ოსნ-ო, სა-უ-კეთ-ეს-ო,
სა-მე-თვალყურ-ე-ო...

კ) რთულფუძიან სახელებს: სა-ბიბლიოთეკათმცოდნე-ო,
სა-მტერმოყვარე-ო, სა-თავმჯდომარე-ო...

ლ) უცხო წარმომავლობის სახელებს: სა-ექსპლოატაციო-ო,
სა-არტიკულაციო-ო, სა-კოორდინაციო-ო...

სა-ო დაერთვის ნებისმიერ ხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეს: ფუძის ბოლოკიდურად დასტურდება ყველა თანხმოვანი (ჰ-ს გარდა). საწარმოებელი ფუძე შეიძლება იყოს ერთ-, ორ-, სამ-, ოთხ- და მეტმარცვლიანი.

სა-ო კონფიქსიანი სახელი აღნიშნავს:

1. დანიშნულება-განკუთვნიებას: სა-ამკინძა-ო,
სა-დარაჯ-ო, სა-თარემ-ო, სა-გუნდ-ო, სა-ვექილ-ო,
სა-მივიტნ-ო, სა-ტუსაღ-ო, სა-მოქალაქ-ო, სა-თამაღ-ო,
სა-რეკლამ-ო...

2. თვისებას: სა-ვაჟკაც-ო (ვაჟკაცის შესაფერი, ვაჟკაცის დამახასიათებელი, ვაჟკაცური, VI), სა-ავაზაკ-ო,
სა-გმირ-ო, სა-ერ-ო, სა-მუსიკ-ო, სა-გრამატიკ-ო,
სა-დისტანცი-ო...

უცხო წარმომავლობის სახელთაგან თვისების აღმნიშვნელი ზედსართავები უმთავრესად -ურ სუფიქსით იწარ-

მოება: პოლიტიკურ-ი, ტექნიკურ-ი, დიალექტურ-ი (შდრ. სა-დიალექტოლოგი-ო მუშაობა - არნ. ჩიქობავა, 1925, 58).

თანამედროვე მწიგნობრულმა მეტყველებამ ამავე მნიშვნელობით გამოიყენა სა—ო და —ობრ-იგ მაწარმოებლიანი ფორმები: სა—არქიტექტურ-ო, სა-კვარტალ-ო, დარგ-ობრ-იგ-ი, ტიპ-ობრ-იგ-ი... (შდრ. არქიტექტურ-ულ-ი, კვარტალ-ურ-ი, ტიპ-ურ-ი...). სალიტერატურო ქართული ენის ნორმათა დამდგენი კომისია სასურველად მიიჩნევს, რომ უფრო ფართოდ გაეხსნას გზა ამგვარ წარმოებას (თანამ. ქართ. სალიტ. ენის ნორმები, 1970, 127).

სა—ე კონფიქსი ძირითადად არსებით სახელთაგან აწარმოებს დანიშნულება-განკუთვნების შინაარსის სახელებს: სა-ქვაბ-ე, სა-ნერგ-ე, სა-ყაგ-ე, სა-მერცხლ-ე, სა-თუთუნ-ე...

იშვიათად დაერთვის ზედსართავებსა და სახელზმნებს: სა-წმინდ-ე, სა-ტიალ-ე, სა-გერან-ე... სა-სიკვდილ-ე, სა-ნაყინ-ე, სა-ბორკილ-ე...

სა—ე დაერთვის ქართული წარმოშობის (ან ქართულში ძველთაგანვე შესისხლხორცებულ) ერთ ან ორმარცვლიან სახელებს. ძალზე იშვიათია რთულ ფუძეზე, ნაწარმოებსა და უცხო წარმომავლობის სახელებზე მისი დართვის შემთხვევები:

ა) სა-ქინძისთაგ-ე, სა-ნელსაცხებლ-ე, სა-პირისწამლ-ე...

ბ) სა-მარცვლ-ეულ-ე, სა-სა-უ-ზმ-ე, სა-მე-ცეცხლ-ურ-ე...

სა—ე კონფიქსი, ისევე როგორც სა—ო, დაერთვის ნები-სმიერ ხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეს. განსხვავებას ქმნის მხოლოდ ერთი მომენტი: ა ფუძიან სახელზე დართვისას

სა—ე ყველა შემთხვევაში იწვევს ფუძისეული ხმოვნის კვეცას, იკვეცება აგრეთვე ე ხმოვანზე დაბოლოებული ორმარცვლიანი ფუძის ბოლოკიდური ხმოვანი, ხოლო ერთმარცვლიანი სახელი ფუძესა და საწარმოებელ აფიქსს შორის ჩაერთავს გ ხმოვანთგამყარს: სა-ბზე-გ-ე, სა-მზე-გ-ე... ხმოვანთგამყარი ჩნდება ზოგიერთ ო ფუძიან სახელშიც: სა-ეზო-გ-ე, სა-აბანო-გ-ე...

სა—ე მაწარმოებლიანი სახელი აღნიშნავს დანიშნულება-განკუთვნებას: სა-აღიზ-ე, სა-ბუნიკ-ე, სა-ზეთ-ე, სა-აგურ-ე, სა-ლოგინ-ე, სა-მტრედ-ე, სა-აკენ-ე, სა-ეზო-გ-ე, სა-ბოსტნ-ე...

გაარსებითებულია: სა-ბუზ-ე (ცხენის შუბლზე ჩამოსაფარებელი ბუზებისაგან დასაცავად, VI), სა-დაგ-ე, სა-თაგ-ე, სა-თაგ-ე, სა-პაღნ-ე, სა-უნჯ-ე, სა-თვალ-ე, სა-თაგ-ე...

სა—ე და სა—ო სუფიქსები ზოგჯერ ერთსა და იმავე ფუძეს დაერთვიან და იდენტური შინაარსის სახელებს აწარმოებენ. მაგ.:

სა-ულვაშ-ე	და	სა-ულვაშ-ო,
სა-ბალახ-ე	და	სა-ბალახ-ო,
სა-ბანაკ-ე	და	სა-ბანაკ-ო,
სა-ბუნაგ-ე	და	სა-ბუნაგ-ო,
სა-მიზნ-ე	და	სა-მიზნ-ო...

მაგრამ უფრო ხშირია შემთხვევები, სადაც სა—ე და სა—ო კონფიქსთა ერთსა და იმავე ფუძეზე დართვისას განსხვავებული სემანტიკის სახელებია მიღებული. ზემოთ აღნიშნული გვაქვს, რომ დანიშნულების სახელები ხშირად გასუბსტანტივებულია, ამიტომ პარალელურ ფორმათაგან თუ ერთი სახელი კონკრეტული საგნის აღმნიშვნელი გახდა,

მეორე სახელი დანიშნულება-განკუთვნების მაჩვენებელია.

ასე, მაგ.: 1. სა-თვალ-ე (1. ორი მინისაგან შემდგარი ხელსაწყო თვალებზე გასაკეთებლად... 2. პატარა ნახვრეტი, ჭუჭრუტანა, 3. (ქიზ.) „ბანიანი სახლის მალა დატოვებული ჭუჭრუტანა, საიდანაც სინათლე ჩამოდის სახლში და ბოლი ადის“, 4. (თუშ.) სალამურის ნახვრეტი, 5. ძვ. ცრუ-მორწმ. მძივი ან სხვა რაიმე თილისმა, რომელიც ვითომდა იცავს ადამიანს გათვალვისაგან, VI).

1. სა-თვალ-ო — (თვალადი, კარგი შესახედავი, წარმოსადეგი, VI).

2. სა-მინდ-ე — (მინდისათვის განკუთვნილი, მინდისა, VI).

სა-მინდ-ო — (ძვ. „წმინდად გაცრილი ზანდურის ფქვილი“, საბა, VI).

3. სა-ნაწილ-ე — (ეკლ. ჭურჭელი წმინდა ნაწილების შესანახად, VI).

სა-ნაწილ-ო — (ისეთი, რაშიც რამდენიმე პირს აქვს წილი, საერთო, საზიარო, საწილო, VI).

4. სა-უკუნ-ე — (დროის მონაკვეთი, რომელიც ას წელს შეიცავს, VI).

სა-უკუნ-ო — (1. სამუდამო, სამარადისო, მუდმივი. 2. საუკუნე, VI).

5. სა-გულ-ე — (1. ღრუ, რომელშიც მოთავსებულია გული, 2. გულისპირი, VI).

სა-გულ-ო — (მიჯნური, სატრფო, VI).

სა-ურ კონფიქსი აწარმოებს მხოლოდ ერთმარცვლიან ქართულ ფუძეებს: სა-ბად-ურ-ი, სა-ამ-ურ-ი, სა-ზურგ-ულ-ი, სა-თვალ-ურ-ი, სა-მაჯ-ურ-ი... ხმოვან-თაგან კი მხოლოდ ა-სა და ე-ზე დაბოლოებულებს:

სა-გზა-ურ-ი, სა-მზე-ურ-ი...

სა—ურ კონფიქსი არ დაერთვის უცხო წარმომავლობის სახელებს.

ძველ ქართულ ტექსტებში დადასტურებულია: სა-ბექ-ურ-ი, სა-განძ-ურ-ი, სა-მჭედ-ურ-ი, სა-სმ-ურ-ი, სა-სძე-ურ-ი, სა-ყან-ურ-ი, სა-ძნა—ურ-ი...

დიალექტებმა შემოინახა: სა-დგამ-ურ-ი (იმერ. სადგამო-სანაშენე (ცხვარი, ძროხა, ღორი...), ჩვეულებრივ კარგი ჯიშისა, VI), სა-კენჭ-ურ-ი (ქიზ. მშვილდის მსგავსი იარაღი კენჭების სატყორცნელად, VI), სა-ფთ-ურ-ი (გუდამ. მთ. იმერ. უნაგირზე აქეთ-იქით მიმაგრებული ტყავის ნაჭერი, რომელიც მხედრის მუხლს იცავს ცხენის ოფლისაგან, VI), სა-გვერდ-ულ-ი (ლენხ. „გზის ნაპირზე დადებული ხე, რომ ურემი არ გადასცდეს გზას“, VI).

სა—ურ მაწარმოებლიან დანიშნულების სახელთა უმრავლესობა გაარსებითებულია: სა-გზ-ურ-ი, სა-დგ-ურ-ი, სა-თა-ურ-ი, სა-თბ-ურ-ი, სა-ლამ-ურ-ი, სა-რთ-ულ-ი, სა-რჩ-ულ-ი.

ეს ტენდენცია ძველ ქართულშივე შეიმჩნეოდა: სა-ბარკ-ულ-ი (ძვ. საწვივე აბჯარი, საბა, VI), სა-ბექ-ურ-ი (ძვ. მოკლე წამოსასხამი, VI), სა-კანჭ-ურ-ი (ძვ. ერთგვარი სამკაული, საწვივე, VI), სა-კართ-ულ-ი (ძვ. წვივსაკრავი, VI), სა-ნთ-ურ-ი (ძვ. სიმებიანი საკრავი, VI).

სა—ურ კონფიქსით შეიქმნა ახალ სალიტერატურო ქართულში დანიშნულების აღმნიშვნელი სახელები: სა-თეს-ურ-ი, სა-თვალ-ურ-ი, სა-თოფ-ურ-ი, სა-კეტ-ურ-ი, სა-მაჯ-ურ-ი, სა-მერცხ-ულ-ი, სა-მკერდ-ულ-ი, სა-მკლავ-ურ-ი, სა-ფეხ-ურ-ი

სა—ურ კონფიქსით იწარმოება ახალი ტერმინები:

სა-ზეთ-ურ-ი (ტექნ. მანქანის ნაწილი, რომელშიც ზეთია ჩასხმული, VI), სა-მაგრ-ულ-ი (ზღვ. ბაგირი, რომელსაც ხომალდის ანძის ზემოთა ნაწილს ამაგრებენ, VI), სა-ყელ-ურ-ი (ტექნ. ჰანჭიკის თავის ან ქანჩის ქვეშ ამოსადები ნახვრეტიანი ფირფიტა, VI), სა-წვეთ-ურ-ი (პიპეტი, VI).

სა-ურ მაწარმოებლიან ტერმინებში აღსანიშნავია ერთი ჯგუფი, რომელიც ზმნური ფუძისაგანაა ნაწარმოები: სა-ბმ-ულ-ი (ტექნ. ტივის, ნავის, ფიცრებისა და სხვ. შეკავშირება, VI), სა-გდ-ულ-ი (ტექნ. წყლის გადასაღობი კაშხალში, VI), სა-ვარგ-ულ-ი (სოფლ. მეურნ. სოფლის მეურნეობისათვის გამოსადეგი ადგილი, VI), სა-ზარდ-ულ-ი (ანატ. მუცლის ქვედა ნაწილის მიდამო თეძოების შიგნით და ბოქვენის მარჯვნივ და მარცხნივ, VI), სა-კვებ-ურ-ი (სპეც. ჰურჭელი, რომლითაც პირუტყვს საკვებს აძლევენ, VI), სა-ნათ-ურ-ი (სპეც. 1. გემბანში ამოჭრილი კარი ტრიუმში ჩასასვლელად, 2. წვრილი ხვრელი, მილი, VI).

ეს მოვლენა ძვ. ქართულში ისახება, ზმნური ფუძეებისაგანაა ნაწარმოები: სა-ცნა-ურ-ი, სა-ძნა-ურ-ი (=სამწუხარო), სა-წყა-ულ-ი (საწყაო, საზომი, VI), სა-სწა-ულ-ი, სა-კიდ-ურ-ი, სა-მკა-ულ-ი, სა-ფრთხ-ულ-ი...

ოდენ სა-ურ მაწარმოებლიანია: სა-ბეჭ-ურ-ი, სა-გვერდ-ულ-ი, სა-ზარდ-ულ-ი, სა-კანჭ-ურ-ი, სა-კარ-ულ-ი, სა-კენჭ-ურ-ი, სა-ლამ-ურ-ი, სა-ნეკ-ურ-ი, სა-რჩ-ულ-ი, სა-ყვედ-ურ-ი, სა-რწყ-ულ-ი, სა-სთა-ულ-ი, სა-ტკბ-ურ-ი, სა-ფთ-ურ-ი, სა-ვარგ-ულ-ი, სა-წმერთ-ულ-ი, სა-მაგრ-ულ-ი.

სა-ე/სა-ურ, სა-ო/სა-ურ აფიქსები (ან სამივე კონფიქსი ერთად) ზოგჯერ ერთსა და იმავე ფუძეს დაერთვის

და განსხვავებული შინაარსის სახელს აწარმოებს. რამდენიმე სინონიმური მნიშვნელობის ფორმიდან დროთა განმავლობაში ერთი კარგავს თავის პირვანდელ დანიშნულებას და არსებით სახელთა ჯგუფში გადადის:

ა) სა—ურ კონფიქსიანი ფორმა გაარსებითებულია, სა—ე ან სა—ო მაწარმოებლიანი კი დანიშნულების აღმნიშვნელია:

1. სა-ბარგ-ულ-ი (ბარგის საზიდარი უხმარიათ სატვირთო ავტომანქანის მნიშვნელობით, VI).

სა-ბარგ-ო (ბარგისათვის განკუთვნილი, ბარგისა. სატვირთო, საბაგაჟო, VI).

2. სა-თვალ-ურ-ი (პატარა სარკმელი, VI).

სა-თვალ-ე (1. ორი მინისაგან შემდგარი ხელსაწყო მხედველობის გასაუმჯობესებლად. 2. ტუქრუტანა... VI).

სა-თვალ-ო (თვალადი, კარგი შესახედავი, წარმოსადეგი, VI).

3. სა-კოჭ-ურ-ი (პაიჭის თასმა ფეხისგულზე ამოსადეგად, VI).

სა-კოჭ-ე (კოჭისათვის განკუთვნილი, VI).

4. სა-გზ-ურ-ი (ოფიციალური მოწმობა... VI).

სა-გზა-ო (1. გზისათვის განკუთვნილი, 2. გზაზე მოსახმარი, VI).

5. სა-ზეთ-ურ-ი (იხ. ზემოთ).

სა-ზეთ-ე (1. რისგანაც ზეთს ხდიან, 2. ზეთის ქურჭელი, VI).

ბ) ერთ შემთხვევაში სა—ურ კონფიქსიანი ფორმა დანიშნულების მაჩვენებელია, სა—ო მაწარმოებლიანი კი — გაარსებითებულია:

სა-ღამ-ურ-ი (ღამისათვის განკუთვნილი, ღამით სახმარი (ტანსაცმელი), VI).

სა-ღამ-ო (დრო დღის დასასრულიდან ღამის დაწყე-

ბამდე, დღისა და ღამის გასაყარი, — მწუხრი, VI).

სა—ე და სა—ურ, სა—ო და სა—ურ კონფიქტებით ერთი და იმავე ფუძისაგან ერთნაირი შინაარსის სახელებია ნაწარმოები. შდრ.: სა—კეც—ე//სა—კეც—ურ—ი, სა—კვამლ—ე//სა—კვამ—ურ—ი, სა—განძ—ე//სა—განძ—ურ—ი, სა—თაგვ—ე//სა—თაგ—ურ—ი, სა—თით—ე//სა—თით—ურ—ი, სა—მკლავ—ე//სა—მკლავ—ურ—ი, სა—მაჯ—ე//სა—მაჯ—ურ—ი... სა—ყელ—ო//სა—ყელ—ურ—ი, სა—ამ—ო//სა—ამ—ურ—ი.

ორი ერთნაირი შინაარსის სახელი ზოგჯერ განსხვავებულ ფუნქციასაც ავლენს. სემანტიკური სახეცვლილების ეს ფორმა ენისათვის დამახასიათებელია.

შდრ.:

1. სა—თბ—ურ—ი (ორანჟერეა)

სა—თბილ—ო (საკლავის ნაწილი ზურგის უკანასკნელი ნეკნიდან გავამდე, VI)

2. სა—ხელ—ურ—ი (საგნის ის ნაწილი, რომლითაც მას ხელში იჭერენ ან რასაც ხელს ავლებენ, V)
სა—ხელ—ო (1. ტანსაცმლის ნაწილი, რომელიც ხელს ფარავს მთლიანად ან ნაწილობრივ, 2. ტექნ. მილგაყვანილობის ერთ-ერთი განშტოება. ძვ. მოხელის თანამდებობა, 3. რასაც მოხელე განაგებდა, VI).

სა—ურ მაწარმოებლიან ფორმას ხშირად ენაცვლება მიმდებარე ფორმები: ოდენ სა— პრეფიქსიანი და სა—არ მაწარმოებლიანი:

სა—ზეთ—ურ—ი	—	სა—ზეთ—ი
სა—კვებ—ურ—ი	—	სა—კვებ—ი
სა—ნათ—ურ—ი	—	სა—ნათ—ი
სა—სმ—ურ—ი	—	სა—სმ—ის—ი

სა-წვეთ-ურ-ი	—	სა-წვეთ-ი
სა-წვიმ-ურ-ი	—	სა-წვიმ-არ-ი
სა-კიდ-ურ-ი	—	სა-კიდ-არ-ი

ასახსნელია დიდი შინაარსეული და ფორმობრივი მს-გავსება დანიშნულების სახელებსა და მომავალი დროის ვნებითი გვარის მიმღეობებს შორის.

სა—ე და სა—ურ კონფიქსთა კონტამინაციით მიღებული ფორმებია: სა-ყბ-ე-ურ-ი, სა-მზრ-ე-ულ-ი.

სა-:

ოდენპრეფიქსული წარმოება ქართულისათვის უცხო მოვლენად არის ჩათვლილი „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“ (აკ. შანიძე, 1973, 120). ვ. ბერიძემ და ქ. ლომთათიძემ რამდენიმე ოდენპრეფიქსული ფორმა გამოავლინეს: სა-გან-ი, სა-ციფ-ი, სა-დილ-ი, სა-კომ-ი, სა-ქარ-ი (ვ. ბერიძე, 1959, 137; ქ. ლომთათიძე, 1966, 35-36). გ. ბურჭულაძისა და გ. გოგოლაშვილის გამოკვლევები ცხადყოფს, რომ ოდენპრეფიქსული წარმოება ქართულისათვის უძველესი მოვლენაა, ამიტომ ზოგ მათგანს დაკარგული აქვს თავდაპირველი მნიშვნელობა — დანიშნულების გამოხატვა — და სახელი გასუბსტანტივებულია (გ. ბურჭულაძე, 1960; გ. გოგოლაშვილი, 1970).

„ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ დასახელებულია სა- პრეფიქსით ნაწარმოები 29 სახელი. სამ მათგანს პარალელური სა—ო მაწარმოებლიანი ფორმაც მოეპოვება: სა-ბრძ-ოლ-ი//სა-ბრძოლ-ო, სა-მზირ-ი//სა-მზირ-ო, სა-კელ-ი//სა-კელ-ო. მათი უმრავლესობა დანიშნულების შინაარსს გამოხატავს: სა-გრილ-ი, სა-ზომ-ი, სა-ისარ-ი, სა-მზარ-ი, სა-ყურ-ი, სა-ყურძენ-ი, სა-ეჭუ, სა-მზირ-ი, სა-წვეთ-ი, სა-მარხ-ი. გასუბსტანტივებულია: სა-ბელ-ი,

სა-დიღ-ი, სა-ლბუნ-ი, სა-მხარ-ი...

ოდენპრეფიქსით ნაწარმოებ ზოგიერთ სახელს სა—ე და სა—ო აფიქსებიანი ფორმებიც მოეპოვებათ საპირ-ისპიროდ:

სა-კინძ-ი	//	სა-კინძ-ე
სა-ქარ-ი	//	სა-ქარ-ე
სა-მარ-ი	//	სა-მარ-ე
სა-ეჭვ-ი	//	სა-ეჭვ-ო
სა-ფას-ი	//	სა-ფას-ე
სა-ჯერ-ი	//	სა-ჯერ-ო

მაგრამ საგრძნობია თანამედროვე ქართულის ტენდენ-ცია — პრეფიქსი კვლავ დატვირთოს სიტყვაწარმოებითი ფუნქციით: სა-ბუხარ-ი, სა-ეჭვ-ი, სა-კინძ-ი, სა-მრავლ-ი, სა-ნაათ-ი, სა-სწორ-ი, სა-ქონ-ი, სა-შიშ-ი, სა-მყარ-ი, სა-ზეთ-ი, სა-წვეთ-ი (გაუდიფერენცირებელია სახელური და სახელზმნური ფუძეები).

ოდენპრეფიქსული ფორმები ტერმინთა საწარმოებლად გამოიყენა ენამ: სა-მარჯვ-ი (ტექნ. მოწყობილობა რაიმე ტექნიკური მიზნისათვის, VI), სა-მრავლ-ი (მათემ. რიცხვი, რომელიც მრავლდება მამრავლზე, VI), სა-მტკიც-ი (მჭიდროდ ნაქსოვი საცერი), სა-მყარ-ი (ტექნ. ფოლადის ყალიბი თუჯის ან ფოლადის ზოდების ჩამოსასხმელად, VI), სა-რიგ-ი (1. რიგის აღმნიშვნელი, 2. ეთნ. რიგისათვის, მიცვალებულის წესის ასაგებად განკუთვნილი, VI), სა-ქარ-ი (1. ზ. იმერ. გრძელი ხე, რომელსაც კალოზე დებენ პურის განიავებისას იმ მხარეს, საითაც ქარი უბერავს, 2. მცენარეთა საფარი, ხეების ქარისაგან დასაცავად, VI), სა-შორ-ი (სპეც. რისამე დასაშორებლად დატანებული ფენა ან საგანი, VI), სა-ძირ-ი (გუთანის და მესამე უღელში შებმული ხარები, VI).

და სახელზმნებს დაერთვიან: ნა-საყდრ-ალ-ი, ნა-ღვინ-ეგ-ი, ნა-კვალ-ეგ-ი, ნა-დედოფლ-არ-ი, ნა-პირ-ალ-ი, ნა-სათიბ-არ-ი, ნა-დარბაზ-ეგ-ი, ნა-მტირალ-ეგ-ი, ნა-თეს-არ-ი... იშვიათად კი — ზედსართავებსა და ზმნისართებს: ნა-გიჟ-არ-ი, ნა-ყალბ-ეგ-ი, ნა-გვიან-ეგ-ი, ნა-ჩუმათ-ეგ-ი... ნა—არ და ნა—ეგ კონფიქსები უმთავრესად დაერთვის ქართული წარმოშობის (ან ქართულში ძველთაგანვე შესისხლხორცებულ) სახელებს, იშვიათად — ნაწარმოებ სახელებს: ნა-სა-დგ-ურ-ალ-ი, ნა-ჭა-ობ-არ-ი, ნა-მო-სა-მსახ-ურ-ეგ-ი... უცხო სიტყვათაგან ყოფილობის აღსანიშნავად ენა აღწერით წარმოებას მიმართავს: ყოფილი რექტორი (ნა-რექტორ-ალ-ის ნაცვლად), ყოფილი დირექტორი (ნა-დირექტორ-ალ-ის ნაცვლად)... თუმცა არის ტენდენცია ორგანული წარმოების ფორმებით შეიცვალოს ზემოდასახელებული სახელები: ნა-მინისტრ-ალ-ი, ნა-ჩინოვნიკ-არ-ი.

ნა—არ და ნა—ეგ კონფიქსთა გარკვეულ ფუძეებთან განაწილების თვალსაზრისით რაიმე კანონზომიერების დადგენა ძნელდება. ხშირად ერთ ფუძესთან ერთი კონფიქსია დამკვიდრებული, მეორესთან — მეორე: ნა-კბილ-არ-ი, მაგრამ ნა-კვალ-ეგ-ი... არაიშვიათია შემთხვევა, როდესაც ერთი ფუძე თანაბრად იგუებს ორსავე მაწარმოებელს: ნა-ზამთრ-ალ-ი//ნა-ზამთრ-ეგ-ი, ნა-ერთგულ-არ-ი//ნა-ერთგულ-ეგ-ი... (ა. შანიძე, 1978, 133). სხვაობის თვალსაზრისით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ნა—ეგ აწარმოებს წინა ვითარების სახელებს დროის აღმნიშვნელ სიტყვათაგან და ზმნისართთაგან: ნა-ახალწლ-ეგ-ი, ნა-დამ-ეგ-ი, ნა-კალანდ-ეგ-ი, ნა-ცისკრ-ეგ-ი, ნა-ჩქარ-ეგ-ი, ნა-გვიან-ეგ-ი, ნა-ჩუმათ-ეგ-ი... აღსანიშნავია ისიც, რომ

ნა—ეგ დაერთვის მხოლოდ ა და ე ხმოვნებზე დასრულებულ ფუძეებს და იწვევს ფუძისეული ხმოვნის რედუქციას: ნა—კაბ—ეგ—ი, ნა—ბაგ—ეგ—ი, ნა—ადრ—ეგ—ი, ნა—ღამ—ეგ—ი... (გამონაკლისია ერთადერთი თ ხმოვანფუძიანი სახელი: ნა—აბანო—ეგ—ი). ნა—არ კონფიქსი დაერთვის ნებისმიერ ხმოვანზე დასრულებულ ფუძეს: ნა—ბაგ—არ—ი, ნა—ბოლ—არ—ი, ნა—გუბ—არ—ი, ნა—რტო—ალ—ი, ნა—ბუ—არ—ი... ფუძისეულ ხმოვანსა და სუფიქსისეულ ხმოვანს შორის არაიშვიათად ჩნდება გ ხმოვანთგამყარი: ნა—ბინა—გ—არ—ი, ნა—ბოლო—გ—არ—ი, ნა—ეზო—გ—არ—ი, ნა—მონა—გ—არ—ი...

ნა—ეგ და ნა—არ კონფიქსთა კონტამინაციით მიღებული ფორმებია (ა. შანიძე, 1973, 134): ნა—ბიჭ—გ—არ—ი, ნა—ტბ—ეგ—არ—ი, ნა—მუშ—ეგ—არ—ი, ნა—კაც—გ—არ—ი...

ზოგჯერ ნა—ეგ კონფიქსისეული სუფიქსი ებ—ითაა შეცვლილი: ნა—აღდგომ—ებ—ი, ნა—აბანო—ებ—ი, ნა—იგაგ—ებ—ი, ნა—ყან—ებ—ი, ნა—ჭირგ—ებ—ი... (სულ 31 სახელი).

ნა—ეგ და ნა—ებ აფიქსიან ფორმათა აღრევის „ძირითადი მიზეზი უნდა იყოს ვნებითი გვარის ნამყო დროის ნაპრეფიქსიანი მიმღეობებისა და წინა ვითარების სახელების სემანტიკური სიახლოვე“ (თ. ზურაბიშვილი, 1971, 151).

თ. ზურაბიშვილი წინა ვითარების სახელებში გამოყოფს ერთ ჯგუფს ნა—ეგ (ნა—ებ) აფიქსებით წარმოქმნილ სახელებს, ე.წ. მიმღეობის ტიპის ფორმებს: ნა—ოპერაცი—ებ—ი//ნა—ოპერაცი—ეგ—ი, ნა—ღვინ—ებ—ი//ნა—ღვინ—ეგ—ი... ეს ახალი ფორმები ამოსავლად სახელთა ფუძეებს იყენებენ (თ. ზურაბიშვილი, 1972, 147).

წინა ვითარება, ყოფილობა იშვიათად ნა—ურ კონფიქსითაც აღინიშნება: ნა—გზა—ურ—ი//ნა—გზ—ურ—ი (1. ადგილი, სადაც წინათ გზა იყო, 2. ნავალი, 3. ნამგზავრი, V), ნა—კიდ—ურ—ი

სა—არ: დანიშნულების სახელთა მაწარმოებლებს შორის სა—არ კონფიქსაც ასახელებენ (აკ. შანიძე, 1973, 134; ა. კიზირია, 1974, 156; ლ. კვაჭაძე, 1969, 172).

სა—არ (→ სა—ალ) „გავრცელებულია ზმნათა ფუძეებისაგან ნაწარმოებ სახელებში. ამგვარი წარმოების ბევრი სიტყვა არსებითია: სა—ბუდ—არ—ი, სა—ჩივ—არ—ი... ზოგიერთს შენახული აქვს ზედსართავის მნიშვნელობა: სა—ოც—არ—ი (ამბავი), სა—ომ—არ—ი (იარალი), სა—ნუკვ—არ—ი (ოცნება), სა—ზიზღ—არ—ი (არსება)“ (ლ. კვაჭაძე, 1969, 172).

ამგვარადვეა ნაწარმოები: სა—კოტ—არ—ი, სა—გუბ—არ—ი, სა—ფუ—არ—ი, სა—ყდ—არ—ი, სა—ჩივ—არ—ი, სა—ჩუქ—არ—ი, სა—წვიმ—არ—ი, სა—ხედ—არ—ი, სა—მძიმ—არ—ი, სა—ტერფ—ალ—ი, სა—კუდ—არ—ი. გაარსებითებულია: სა—ყდ—არ—ი, სა—ფუ—არ—ი, სა—ჩუქ—არ—ი, სა—ხედ—არ—ი.

ახალ სალიტერატურო ქართულში დანიშნულების სახელთა ყველაზე გავრცელებული მაწარმოებელია სა—ო. საყურადღებოა, რომ აფიქსთა განაწილების თვალსაზრისით არსებითად ამგვარივე მდგომარეობა იყო ძველ ქართულშიც. ილ აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ სა—ო მაწარმოებლიანია 105 სახელი, სა—ე მაწარმოებლიანი — 65, სა—ურ კონფიქსიანი — 20, სა—ოდენპრეფიქსით ნაწარმოები კი — 29.

დ ა ნ ი შ ნ უ ლ ე ბ ი ს სახელთა გაანალიზებამ ცხადყო, რომ აფიქსთა სიბშირეს განსაზღვრავს ფუძეებთან მათი მიმართება. ასე, მაგ.: სა—ო დაერთვის ნებისმიერ ხმოვანსა და თანხმოვანზე დაბოლოებულ ერთ-, ორ-, სამ- და მრავალმარცვლიან ფუძეს — ქართულსაც და უცხო წარმომავლობისასაც, ძირეულ ფორმასაც და ნაწარმოებსაც. სა—ო კონფიქსი დანიშნულების სახელებს აწარმოებს თითქმის

ყველა მეტყველების ნაწილისაგან. სა—ე კონფიქსი კი დაერთვის მხოლოდ ქართული წარმომავლობის (ან ქართულში ძველთაგანვე შესისხლხორციებულ) ერთ ან ორმარცვლიან არსებით სახელს. ძალზე იშვიათია მისი ხმარება ზედსართავთან და უცხო წარმომავლობის სახელებთან. უფრო მკაცრადაა განსაზღვრული სა—ურ აფიქსის დართვის შემთხვევები: იგი დაერთვის მხოლოდ ქართული წარმოშობის ერთმარცვლიან ფუძეებს, ხმოვანთაგან კი მხოლოდ ა-სა და ე-ზე დაბოლოებულებს. სა—ურ არ დაერთვის მრავალმარცვლიან ფუძეს, უცხო წარმომავლობისა და ნაწარმოებ სახელებს.

VI. წინა ვითარების სახელები

ნა—არ (→ნა—ალ), ნა—ეგ (→ნა—ებ), ნა—ურ, ნა—

წინა ვითარების სახელთა მაწარმოებელ კონფიქსებში საერთო ელემენტია თავსართი ნა—, რომელიც ნამყოფობასა და წინა ვითარებაზე მიუთითებს. ამაში გვარწმუნებს ნამყო დროის ვნებითი გვარის ფორმათა ანალიზიც: ნა-მსხვრ-ეგ-ი, ნა-გლინ-ი...

წინა ვითარების სახელები გარდასულ ვითარებაზე მიუთითებენ: მაგ.: ნა-აზნაურ-ეგ-ი — აზნაურად ნამყოფი, ყოფილი აზნაური; ნა-ბალახ-არ-ი — ადგილი, სადაც ბალახი იყო; ნა-ფეხ-ურ-ი — ფეხის დასადგამი ადგილი, ფეხის ანაბეჭდი; ნა-ლურსმ-ი — რასაც ლურსმნები აქვს დაკრული, ლურსმნებიანი (V).

დასახელებულ კონფიქსთაგან ყველაზე აქტიურია ნა—არ და ნა—ეგ. ისინი უმთავრესად არსებით სახელებსა

(„ნაპირი, საზღვარი“ (დ. ჩუბინ.), V), ნა-ფეხ-ურ-ი, ნა-წიბ-ურ-ი, ნა-გვერდ-ულ-ი (სპეც. გვერდების ჩანათალი; ფიცარი, რომელსაც ერთი მხარე მომრგვალებული და ხორკლიანი აქვს, V), ნა-ღამ-ურ-ი... ამ სახელებში უფრო ძველი ჩანს ის ტიპი, რომელიც ზმნური ფუძეებისაგან არის ნაწარმოები: ნა-ზღა-ურ-ი (რითაც აუნაზღაურებენ ზარალს, საფასური), ნა-კრა-ულ-ი (ძვ. გამოკრული, შეკრული, ბოხჩა), ნა-ნდა-ურ-ი (სასურველი, საყვარელი, V), ნა-რთა-ულ-ი (არაპირდაპირი ნათქვამი, V), ნა-ხმე-ურ-ი (ფშ. მიღებული საქმელი, დაღეული ღვინო, V)... ორიოდ შემთხვევაში ნა-ურ კონფიქსი ნა-არ და ნა-ეგ კონფიქსთა პარალელურად გვხვდება. შდრ.: ნა-გვერდ-ულ-ი//ნა-გვერდ-ალ-ი, ნა-ფეხ-ურ-ი//ნა-ფეხ-არ-ი, ნა-ღამ-ურ-ი//ნა-ღამ-ეგ-ი...

წინა ვითარების სახელები ოდენ ნა- პრეფიქსითაც იწარმოება: ნა-დავლ-ი, ნა-კბილ-ი, ნა-ლაქ-ი, ნა-მორ-ი, ნა-ნერგ-ი, ნა-ოფლ-ი, ნა-ტაბლ-ი, ნა-სიცხ-ი, ნა-ცრემლ-ი, ნა-პირ-ი, ნა-ძირ-ი, ნა-წილ-ი, ნა-ხერხ-ი, ნა-ფურცლ-ი... ამგვარად ნაწარმოებ სახელთა ერთი ნაწილი გაარსებითებულია: ნადავლი, ნაწილი, ნაერთი, ნახერხი... ეს მოვლენა ჯერ კიდევ ძველ ქართულში ჩასახულა: ნაცილი (ძვ. ტყუილი), ნაფრცხენი (ძვ. „მცირე რამ ანახეთქი“, საბა, V), ნასხამი (ძვ. ანატ. სახსარი, სადრეკი, V), ნაბიჯი, ნაბძარი (ჭრილი, ნაბზარი, ილ. აბულ.), ნაცარი.

ზოგიერთ შემთხვევაში ძნელდება გარკვევა ნა- პრეფიქსიანი ფორმა წინა ვითარების აღმნიშვნელი სახელია თუ ნამყო დროის ვნებითი გვარის მიმღეობა: ნა-ფურცლ-ი, ნა-მრავლ-ი, ნა-ბზარ-ი, ნა-ლურსმ-ი, ნა-ლაქ-ი, ნა-ბურც-ი, ნა-ბრუნ-ი, ნა-ნერგ-ი, ნა-ბუქ-ი, ნა-კვანძ-ი... ეს კი იმის შედეგია, რომ მიმღეობა ნაწარმოებია ნასახელარი

ფუძისაგან: ფურცელი — ფურცლავს; ბუქი — ბუქავს; ლურსმანი — ლურსმავს; ბორცი — ბურცავს; კვანძი — კვანძავს; ბზარი — ბზარავს; ნერგი — ნერგავს...

ნა- მაწარმოებლიანი მიმღეობები გასუბსტანტივების ტენდენციას იჩენენ: ნა-კუწ-ი, ნა-სახ-ი, ნა-ხვეწ-ი, ნა-ჟურ-ი, ნა-მარხ-ი, ნა-ღებ-ი, ნა-კრძალ-ი, ნა-კვეთ-ი, ნა-კვამლ-ი, ნა-გლინ-ი... „საკმარისია ზმნის ძირისაგან ნაწარმოებ სახელს — მიმღეობას — ჩამოსცილდეს პრევერბი, რომ ზმნური ძირის მნიშვნელობა მიიჩქმალება, მიმღეობის ფორმა დაკარგავს თავისი ზმნისაგან წარმოშობის გაგებას და არსებით სახელად იქცევა?“ (გ. ბრელიძე, 1970, 40).

ოდენპრეფიქსით ნაწარმოები ფორმები ტერმინთა აღმნიშვნელად გამოიყენეს, განსაკუთრებით გახშირდა ნა- მაწარმოებლიანი სპეციალური და ტექნიკური ტერმინები: ნა-ხვეწ-ი (სპეც. ფარდაგის ქსოვის ღროს ბაწრის ნარჩენი ბეწვი), ნა-მხარ-ი (სპეც. მცენარის მთავარი ღეროს გვერდზე ამონაყარი ან გამონაზარდი ზედმეტი ყლორტი, V), ნა-კბილ-ი (სპეც. კბილის მსგავსად გამოშვერილი წაწვეტებული ნაწილი, V), ნა-ზოლ-ი (სპეც. იარაღის მოპირული, გაღესილი მხარე, V), ნა-გლინ-ი (ტექნ. რაც გაგლინეს, V), ნა-ბურც-ი (სპეც. ამობურცული ადგილები ფოთოლზე, ნაყოფზე, V), ნა-ბრუნ-ი (ტექნ. ერთი შემობრუნება, ბრუნი, V), ნა-ჯვარ-ი (სპეც. შეჯვარების შედეგად მიღებული, V), ნა-ჯერ-ი (ქიმ. სითხე, რომელშიც ზღვრულ შესაძლებლობამდეა გახსნილი რაიმე ნივთიერება, V), ნა-ყმ-ი (სტამბ. ნაკლული გვერდი, V), ნა-ფიფქ-ი (ბოტან. მცენარის ზედაპირზე არსებული უმცირესი ნაწილაკების თხელი ფენა, V), ნა-მრავლ-ი (მათემ. გამრავლების შედეგად მიღებული რიცხვი, V), ნა-მარხ-ი (პალეონტ. უძველეს გეოლოგიურ ეპოქებში არსებული და აწუკვე გადაშენებული მცენარის თუ ცხოველის ნიშნის ანაბე-

ქდი, შერჩენილი მიწის ღრმა ფენებში, V)...

წინა ვითარების სახელებში უძველესი უნდა იყოს ის ტიპი, რომელიც მხოლოდ პრეფიქსითაა ნაწარმოები (არნ. ჩიქობავა, 1942, 184). ენის განვითარების შემდეგ საფეხურზე კი უპირატესობა უნდა მისცემოდა კონფიქსურ წარმოებას: ნა—არ, ნა—ეგ, ნა—ურ. თანამედროვე ქართულში კვლავ შეინიშნება ტენდენცია, რომ ოდენპრეფიქსმა აღნიშნოს წინა ვითარება. ოდენ ნა—პრეფიქსიან ფორმათა გახშირებას უთუოდ შეუწყო ხელი: 1. ვნებიანი გვარის მიმდევრებათა ანალოგიამ და 2. ტერმინოლოგიური საჭიროებისათვის მისმა ხშირმა ხმარებამ.

VII. ხელობის (პროფესიის) სახელები

მე—ე, მე—ურ (მე—ულ), მო—ე (მო—ურ)

პროფესიის (მოსაქმეობისა და ხელობის) სახელები იწარმოება მო—ე, მე—ურ, მო—ე კონფიქსებით.

მე—ე კონფიქსისეული თავსართის ფუნქცია თავდაპირველად ს.-ს. ორბელიანმა განსაზღვრა: „მე“ ატორონად მოვალს მნეთა და მოხელეთა გამოსაცხადებლად“ (ს.-ს. ორბელიანი, 1928, 209).

სპეციალურ ლიტერატურაში მე—ე, მე—ურ მაწარმოებლიან სახელთა ჯგუფს „ხელობისა“ და „პროფესიის“ სახელებს უწოდებენ (ა. შანიძე, 1973, 135; არნ. ჩიქობავა, 1942, 167), მაგრამ ამ წარმოების სიტყვათა ჯგუფში შემავალი ყველა სახელი ხელობასა და პროფესიაზე არ მიუთითებს: „მე—ე მაწარმოებლიანი სახელი მხოლოდ იმ პირს კი არ აღნიშნავს, ვინც ამა თუ იმ დარგის სპეციალისტია, არამედ ამ სახელთა ძირითადი თვისება ისაა, რომ თი-

თოეული მათგანი აღნიშნავს ისეთ პირს, რომლის საქმიანობა დაკავშირებულია იმ საგანთან, რომლის სახელსაც ამ სიტყვის ფუძე წარმოადგენს. „ხელობა“ აქ მხოლოდ ერთ-ერთი შესაძლებელი მნიშვნელობათაგანია“ (ბ. ფოჩხუა, 1966, 111). ზოგჯერ კი მე—ე მაწარმოებლიანი სიტყვა არავითარ საქმიანობას არ გამოხატავს. ასეთებია: მეანაბრე, შემკვიდრე, მეოცნებე... ეს სირთულე ს.-ს. ორბელიანსაც შეუნიშნავს და „მეეჭუე“, „მეფოთე“, „მემაშვრალე“ ტიპის ფორმები „მოქმედების“ სახელით აღუნიშნავს (ბ. ფოჩხუა, 1966, 111).

ეს მრავალფეროვნება სიტყვათა განმარტების დროსაც საგრძნობია. მე—ე მაწარმოებლიანი სახელი განმარტებულია, როგორც:

1. ფუძით დასახელებული საგნის მცველი, მეპატრონე: მე-ველ-ე (ნათესი მინდვრისა და ბალ-ვენახის მცველი, V), მე-თავლ-ე (თავლის პატრონი, V), მე-დუქნ-ე (დუქნის პატრონი, V), მე-კუჭნაგ-ე (საკუჭნაოს გამგე, V)...

2 რისამე კეთებაში დახელოვნებული პირი, სპეციალისტი: მე-სელ-ე (1. მესელეობაში დახელოვნებული პირი, სელის მთესველ-მომყვანი, 2. მესელეობის სპეციალისტი, V), მე-ბუხრ-ე, მე-ფანერ-ე, მე-ქვევრ-ე, მე-სპილენძ-ე, მე-ტყევე-ე (ტყის საქმის მცოდნე, მეტყევეობის სპეციალისტი, V).

3. მუსიკალურ საკრავზე დამკვრელი: მე-საყვირ-ე, მე-დუდუკ-ე, მე-ჩონგ-ურ-ე, მე-სტვირ-ე...

4. სატრანსპორტო საშუალებათა გამძღოლი: მე-ეტლ-ე, მე-ელმავლ-ე, მე-ბორნ-ე, მე-კატარდ-ე (სპეც. კატარდის მმართველი, V), მე-ურმ-ე.

5. რისამე მიმღევარი ან სპორტის რომელიმე სახეობის

მიმღევარი: მე-თხილამურ-ე (ვინც სათხილამურო სპორტს მისდევს, V), მე-ციგურ-ე, მე-საქონლ-ე (ვინც მესაქონლეობას მისდევს, V), მე-თამბაქო-ე (თამბაქოს მომყვანი, V).

ასეთივე არაერთგვაროვნება ახასიათებდა ძველ ქართულსაც: მე-აქლემ-ე (აქლემის პატრონი), მე-ეტლ-ე (ეტლის მძღოლი), მე-ვენახ-ე (ვენახის მოქმედი), მე-ზუარ-ე (ყურძნის დამკრეფი, ვენახის მცველი), მე-ზუერ-ე (მებაყე), მე-იგაფ-ე (იგავის მოქმედი), მე-კერპ-ე (კერპთმსახური), მე-კრისტონ-ე (ფულის მიმბარებელი), მე-მგოსნ-ე (სალამურისა და მისთანათა დამკვრელი), მე-ბან-ე (მძივების მკეთებელი), მე-რწყულ-ე (წყლის მომტანი), მე-სუეტ-ე (სვეტზე დაყუდებული) (ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი).

მე-ე მაწარმოებლიან სახელთა ჯგუფის შინაარსეულ მრავალფეროვნებას ხელი შეუწყო ახალი ტერმინების შექმნის საჭიროებამაც. ეს აუცილებლობა განაპირობა ტექნიკური დარგების წინსვლამ: მე-ამწ-ე (სპეც. ამწეზე მომუშავე, V), მე-ბეტონ-ე (სპეც. საბეტონო სამუშაოს სპეციალისტი, V), მე-გვირაბ-ე (სპეც. გვირაბის გათხრაზე მომუშავე, V), მე-ვალც-ე (სპეც. ვალცებზე მომუშავე, V), მე-მადნ-ე (მადნის მომპოვებელი, მადნის მოხრელი, V), მე-ფოლად-ე, მე-ღუმელ-ე...

მე-ე მაწარმოებლიანი ხელობის სახელები ახალი ნიუანსით გამდიდრდა: რუსული „БОД“ წარმოების მსგავსად სასოფლო-სამეურნეო ტერმინისათვის იქნა გამოყენებული: მე-აბრეშუმ-ე აღნიშნავს სოფლის მეურნეობის მუშაკს, რომელიც დახელოვნებულია აბრეშუმის ჰიის მოვლამოშენებაში (ბ. ფოჩხუა, 1966, 110).

აღსანიშნავია, რომ ხელობის შინაარსის სახელი

ყოველთვის მე—ე მაწარმოებლით არ გადმოიციემა. ენაში დამკვიდრებულია უცხო აფიქსიანი სახელებიც: ბიანისტი, ისტორიკოსი (შდრ. მე-ისტორი-ე), ფერმერი, გრიზიორი, ჩარჩი... აქვე უნდა დავასახელოთ „მოსაქმეობის აღმნიშვნელი სიტყვები, რომლებიც აგებულების მიხედვით არ ჯგუფდებიან: ხაბაზი, დალაქი, ჭონი, დურგალი, თერძი, კალატოზი... (ბ. ფოჩუა, 1966, 113).

ცხადია, რომ ტერმინი „ხელობის სახელები“ ზედმიწევნით ვერ ასახავს რეალურ ვითარებას — მე—ე წარმოების სახელთათვის ზოგადი ტერმინია საძიებელი*.

ხელობის სახელები სულიერი საგნის აღმნიშვნელი არსებითები არიან: მე-გვირაბ-ე, მე-ტყევე-ე, მე-ეტლ-ე, მე-ქარავენ-ე... მაგრამ შესაძლოა, ზედსართავის როლშიც მოგვევლინოს: მე—ურმ-ე კაცი, მე-ჩექმ-ე გაბო, მე-ჩაი-ე ქალი...

ხელობის სახელები ძირითადად არსებითი სახელისაგან იწარმოება: მე-ჯოგ-ე, მე-ბრძმედ-ე... გამონაკლისის სახით კი:

ზედსართავისაგან: მე-უ-მრავლ-ეს-ე, მე-უ-მცირ-ეს-ე...

ზმნისართისაგან: მე-წინა-ე-ე, მე-ხვალ-ი-ე...

სახელზმნისაგან: მე-მარხ-ულ-ე, მე-მე-ძებრ-ე...

მე—ე კონფიქსი დაერთვის როგორც ქართულ, ასევე უცხო წარმომავლობის სახელებსაც: მე-იგაგ-ე, მე-თევზ-ე, მე-ყვავილ-ე... მე-სკრეპერ-ე, მე-ლინოტიზ-ე, მე-ინსტრუმენტ-ე... ფუძის ბოლოკიდურად კი შესაძლებელია ნებისმიერი ხმოვანი და თანხმოვანი (ჰ-ს გარდა).

* თ. სანიკიძე უფრო მართებულად მიიჩნევს, რომ ამ ჯგუფს „პროფესიის სახელები“ ეწოდოს (თ. სანიკიძე, 1974, 227).

მე-ნადარ-ე, მე-კალო-ე, მე-პაი-ე, მე-რუ-ე... ა, ე, ო
ხმოვანზე დაბოლოებულ სახელსა და სუფიქსს შორის იშვი-
ათად ჩნდება გ ხმოვანგამყარი: მე-წინა-ე-ე, მე-მიჯნა-ე-ე,
მე-ტყე-ე-ე, მე-რძე-ე-ე, მე-მიმინო-ე-ე...

მე-მადარო-ე, მე-ტრანსპორტ-ე ფორმათა პარალელურად
არსებობს -ელ მაწარმოებლიანი შესაბამისი მნიშვნელობის სახ-
ელები: მადარო-ელ-ი, ტრანსპორტ-ელ-ი ეს უკანასკნელი უფრო
დამკვიდრებულია. უცხო აფიქსიანი პროფესიის სახელების პარალე-
ლურად შეიქმნა ფორმებიც: მოდელ-იორ-ი - მე-მოდელ-ე,
ლინოტიპ-ისტ-ი - მე-ლინოტიპ-ე.

მე-ურ (მე-ულ) კონფიქსიანი ხელობის სახელთა ჯგუფი
მცირერიცხოვანია: მე-ბად-ურ-ი, მე-გზ-ურ-ი, მე-სვე-ურ-ი,
მე-ზღვა-ურ-ი, მე-რგოლ-ურ-ი, მე-თოფ-ურ-ი,
მე-რძე-ულ-ი, მე-თა-ურ-ი, მე-დიდ-ურ-ი, მე-კომ-ურ-ი.

მე-ურ ძირითადად არსებით სახელთაგან აწარმოებს
ხელობის სახელებს: მე-დე-ურ-ი, მე-კოშკ-ურ-ი... ძველ
ქართულში კი სახელზმნისაგანაც იწარმოებოდა ამ შინაარ-
სის სახელი: მე-ხვეწ-ურ-ი, მე-სმ-ურ-ი, მე-რწყ-ულ-ი...
(ეს სახელები მიმდებარის შინაარსისაა: შდრ.: მახვეწარი,
მსმელი, წყლის მომტანი).

ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც მე-ურ კონფიქსი ზედ-
სართავ სახელს დაერთვის: მე-დიდ-ურ-ი. ახლადნაწარ-
მოებ ფორმას ზედსართავი გაგება შენარჩუნებული აქვს:
მე-დიდ-ურ-ი გამომეტყველება.

მე-ურ დაერთვის მხოლოდ ერთმარცვლიან ქართული
წარმომავლობის ფუძეებს. ა, ე ხმოვანფუძიან სახელებს:
მე-ზღვა-ურ-ი, მე-რძე-ულ-ი... (ერთადერთი შემთხვევაა
უ ხმოვანფუძიან სახელზე დართვისა: მე-ძუძუ-რ-ი).

მე-ურ აფიქსიან სახელთა ძირითადი ნაწილი ძველ

ქართულშივეა შექმნილი. ტერმინთა საწარმოებლად გამოიყენეს ახალ ქართულში მე—ურ კონფიქსიანი სახელები: მე-რგოლ-ურ-ი (ახ. რგოლის ხელმძღვანელი, მეთაური, V), მე-კოშკ-ურ-ი (სამხ. ტანკის კოშკურიდან მეთვალთვალე ჯარისკაცი), მე-კვერცხ-ულ-ი (სპეც. ბევრი კვერცხის მღებელი ქათამი, V), მე-ხორც-ულ-ი (სპეც. ხორცის მომცემი, — სახორცი, V), მე-კლდე-ურ-ი.

მე—ურ მაწარმოებლიან ფორმას სინონიმური მე—ე კონფიქსიანი წარმოებაც მოეპოვება. შდრ.: მე-ბარგ-ულ-ე// მე-ბარგ-ულ-ი, მე-კლიტ-ე//მე-კლიტ-ურ-ი, მე-თოფ-ე// მე-თოფ-ურ-ი... ძვ. ქართულიდან: მე-თევზ-ე//მე-თევზ-ურ-ი, მე-განძ-ე//მე-განძ-ურ-ი...

მე—ე და მე—ურ კონფიქსთა კონტამინაციით მიღებული ფორმებია: მე-წლ-ე-ურ-ი, მე-ძნ-ე-ურ-ი, მე-რწყ-ულ-ე.

მო—ე აფიქსიანი ხელობის სახელებია: მო-ნადირ-ე, მო-ბეგრ-ე, მო-ბან-ე, მო-აშიკ-ე, მო-აღსარებ-ე, მო-ზაფ-ე, მო-ჭიდაფ-ე, მო-ადგილ-ე, მო-ამბ-ე, მო—ენ-ე, მო-თხილამურ-ე. ძვ. ქართულიდან: მო-ვან-ე (ბერი, დაყუდებული, მოწესე, ილ. აბ.), მო-კარგ-ე (დამკვდრებული კარავსა, ილ. აბ.), მო-ღმრთ-ე (კეთილმსახური), მო-წამლ-ე//მე-წამლ-ე, მო-ჭალაკ-ე (კუნძულის მცხოვრები, ილ. აბ.). ეს სახელები სემანტიკურად ახლოს დგანან მო—ე-თი ნაწარმოებ საშუალი გვარის მიმღეობებთან: მო-ბიბინ-ე, მო-რაკრაკ-ე, მო-ციფაფ-ე... ოღონდ მიმღეობებში, როგორც მოსალოდნელია, მეტად იგრძნობა მოქმედება-მდგომარეობა. მო—ე აფიქსთა ხელობის სახელების მაწარმოებლად გააზრიანება უფრო გვიანდელი მოვლენაა. აქტიური მიმღეობები შინაარსით ახლოს დგანან ხელობის სახელებთან და გაარსებითების გამო ზოგჯერ კარგავენ კიდევ

ზმნურ შინაარსს.

„ქველ“ - ში მოფარიკავე - მიმღეობადაა ჩათვლილი, ხოლო მონადირე, მოყვარე, მომშვილდისარე კი - სახელებად. მო-ფარიკავე ← ფარიკაობს, მო-ნადირე ← ნადირობს, მო-ყვარე ← უყვარს... აქაც ხომ იგრძნობა კავშირი ზმნურ ძირთან? ამიტომაცაა, რომ მოარშიყე, მოყურიადე... ფორმებს ორმაგი შინაარსი აქვთ - სახელური და მიმღეობური. „სახელისაგან ნაწარმოები სახელისა და ზმნისაგან ნაწარმოები სახელის გამიჯვნა... ყოველთვის არ ხერხდება“ (არნ. ჩიქობავა, 1942, 150).

მო-ე და მე-ე აფიქსები ზოგჯერ ერთსა და იმავე ძირს დაერთვიან და მსგავსი შინაარსის სახელებს აწარმოებენ: მო-ანდერძ-ე//მე-ანდერძ-ე, მო-ზამთრ-ე//მე-ზამთრ-ე, მო-წამლ-ე//მე-წამლ-ე, მო-მთვრალ-ე//მე-მთვრალ-ე, მო-საკუთრ-ე//მე-საკუთრ-ე, მო-ქარაფნ-ე//მე-ქარაფნ-ე... ზოგჯერ კი სემანტიკური გადახრებიც აღინიშნება: 1. მო-ვალ-ე (ვისაც რაიმე ვეალება, ვალდებული, 2. ვალის ამღები, V), მე-ვალ-ე (ვალის გამცემი, გამსესხებელი, V), 2. მო-კარფ-ე (ძვ. კარვის პატრონი, დამმკვიდრებელი კარვისა, ილ. აბ., V), მე-კარფ-ე (ძვ. კარვის მცველი, V), 3. მო-საზღვრ-ე (რასაც ან ვისაც ესაზღვრება, მომიჯნავე, მეზობელი, V), მე-საზღვრ-ე (საზღვრის მცველი კარისკაცი, V), 4. მო-ხარკ-ე (ძვ. ხარკის გადამხდელი, V), მე-ხარკ-ე (ძვ. 1. ხარკის ამკრფი, 2. ისტ. ხარკის გადამხდელი, V).

მო-ურ აფიქსიანია მო-გზა-ურ-ი. მო-ურ აფიქსი ძვ. ქართულში ზმნათა ფუძეებისაგან აწარმოებდა აქტიურ მიმღეობებს: მო-არ-ულ-ი, მო-ზარდ-ულ-ი, მო-კრა-ულ-ი, მო-შკა-ულ-ი, მო-ნან-ულ-ი, მო-საჯ-ულ-ი, მო-სმ-ურ-ი, მო-ძნა-ურ-ი, მო-ხარ-ულ-ი... ზოგი მათგანი გაარსებითე

ბულია: მო-საჯ-ულ-ი, მო-სმ-ურ-ი...

მო—ედ: ძველი ქართული წარმოებისაა: მო-რბ-ედ-ი, მო-რცხუ-ედ-ი, მო-საგრ-ედ-ი.

ოდენპრეფიქსულია: მე-ისარ-ი (შდრ. მე-ისრ-ე), მო-ისარ-ი.

შეიძლება დავასკვნათ: პროფესიის სახელთა ძირითადი მაწარმოებელია მე—ე კონფიქსი. ამავე ფუნქციით მე—ურ მაწარმოებლიანი ფორმებიც გვხვდება, რომელთა დიდი ნაწილი ძველ ქართულშივე ჩანს ჩამოყალიბებული. დიალექტებში მე—ურ კონფიქსიან სახელთა სიჭარბე (იხ. ქვემოთ) გვაფარაუდებინებს, რომ დასახელებულ აფიქსთა სამოქმედო არეკვლავ ფართოვდება, რასაც გვიდასტურებს ზემოდასახელებული ახლადშექმნილი ტერმინებიც.

მე—ე და მე—ურ კონფიქსები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ფუძეთა შერჩევის თვალსაზრისით: მე—ურ დაერთვის მხოლოდ ერთმარცვლიან ქართული წარმომავლობის ფუძეებს, ხმოვანთაგან კი მხოლოდ ა, ე ხმოვნებზე დასრულებულებს. მე—ე კი შეუზღუდავად დაერთვის ქართული და არაქართული წარმომავლობის ერთ-, ორ- და მრავალმარცვლიან ფუძეებს. ფუძის ბოლოკიდურად კი შესაძლებელია ნებისმიერი ხმოვანი და თანხმოვანი (ჰ-ს გარდა).

მო—ე კონფიქსიან პროფესიის სახელთა ჯგუფის ზრდას ხელი შეუწყო აქტიურ მიმღეობათა გასუბსტანტივებამ.

VIII. რიგობით და წილობით რიცხვით სახელთა წარმოება

რიგობითი რიცხვითი სახელები იწარმოება რაოდენობით რიცხვით სახელთაგან მე—ე აფიქსთა დართვით: ხუთი — მე-ხუთ-ე (ა. შანიძე, 1973, 136).

წილობით რიცხვით სახელთა საწარმოებლად აღებულია რიგობითი რიცხვითი სახელი ვითარებითი ბრუნვის ფორმით: მე-ორ-ე — მე-ორ-ე-დ-ი... წილობით სახელთა ამგვარი წარმოება ძველ ქართულში ჩვეულებრივ არ დასტურდება. მისი იშვიათი ხმარების შემთხვევები აღნუსხული აქვს ივ. იმნაიშვილს: „და მოსწყდა მესამედი დაბადებულთა ზღვათა, გამოცხ. 8,9“ (ივ. იმნაიშვილი, 1956, 485). ამ ნაკლს ძველი ქართული სხვადასხვაგვარად ივსებდა:

1. -ეულ სუფიქსიანი ფორმებით: ხუთეული 1/5;
2. ნა—ალ აფიქსიანი ფორმებით: ნა-ოთხ-ალ-ი...
3. აღწერითად: რიგობითი რიცხვითი სახელითა და სიტყვით „ნაწილი“: „მეხუთმე ნაწილი“... (ივ. იმნაიშვილი, 1956, 485).

ნა—ალ აფიქსიან წარმოებას არნ. ჩიქობავა პირველ საფეხურად მიიჩნევს, მე—ედ მაწარმოებლიანს კი შემდგომად (არნ. ჩიქობავა, 1956, 60).

IX. ხარისხის სახელები

უ—ეს (→უ—ოს), მო—ო, წა—ო

როგორც ცნობილია, ქართულში ხარისხის სამი ფორმა არსებობს: დადებითი (დიდ-ი), უფრობითი (უ-დიდ-ეს-ი) და ოდნაობითი (მო-დიდ-ო) (ა. შანიძე, 1973, 137). განსხვავებული მდგომარეობაა სხვა ქართველურ ენებში: მეგრულს ამას გარდა გააჩნია თანაბრობითი ხარისხი, სვანურს კი აღმატებითი.

თ. ზურაბიშვილი ქართულში ხარისხის მხოლოდ ერთ ფორმას განიხილავს „ულამაზესის ტიპისას“ (თ. ზურაბიშვილი, 1957, 136). ოდნაობითი ხარისხის ფორმებს (მო-ყვითალ-ო, წა-ლურჯ-ო) ხარისხად არ მიიჩნევს, რადგან „აქ არა გვაქვს არც ნიშანთა ისეთი შედარება და არც ის სინტაქსური კონსტრუქცია, როგორც შედარებითი ხარისხისათვის არის დამახასიათებელი“ (თ. ზურაბიშვილი, 1957, 140).

ოდნაობითს ხარისხის ფორმებად მიიჩნევენ აკ. შანიძე (აკ. შანიძე, 1973, 137), ივ. იმნაიშვილი (ივ. იმნაიშვილი, 1956, 453), რ. გაბეჩაძე (რ. გაბეჩაძე, 1971, 63), ხოლო გ. როგავა (გ. როგავა, 1958, 101), თ. ზურაბიშვილი (თ. ზურაბიშვილი, 1957, 135) მას ხარისხის ფორმად არ თვლიან.

ზედსართავ სახელთა ერთი თავისებური ჯგუფის მ-ე კონფიქსიან ფორმათა გაანალიზების შედეგად გ. როგავამ ქართულისათვისაც შესაძლებლად ჩათვალა მეგრულის მსგავსი თანაბრობითი ხარისხის ფორმათა არსებობა და მჭლე,

მძიმე, მცირე, მტკიცე, მჩატე, მრუმე, მდარე, მწარე, მლაშე... თანაბრობითი ხარისხის გაქვეყნებულ ქართულ ფორმებად მიიჩნია (გ. როგავა, 1958, 101).

უ—ეს: უფროობითი ხარისხის ფორმები იწარმოება:

ა) უმათავრესად ვითარებითი ზედსართავი სახელისაგან: უ-ძველ-ეს-ი, უ-მსხვილ-ეს-ი, უ-ახლ-ეს-ი, უ-ბრძნ-ეს-ი, უ-ღამაზ-ეს-ი...

ბ) იშვიათად მიმართებითი ზედსართავი სახელისაგან: უ-გემრ-იელ-ეს-ი, უ-გულ-ით-ად-ეს-ი, უ-მნიშვნელ-ოვან-ეს-ი, უ-პატი-ოსნ-ეს-ი...

გ) მიმღეობისაგან: უ-მჯობ-ეს-ი, უ-სა-ცოდავ-ეს-ი, უ-სა-სურველ-ეს-ი, უ-განათლებ-ულ-ეს-ი...

დ) რიცხვითი სახელისაგან: უ-პირველ-ეს-ი, უ-მრავლ-ეს-ი...

ე) ზმნისართისაგან: უ-ზესთა-ეს-ი, უ-ზენა-ეს-ი, უ-ადრ-ეს-ი... „დაზე უფრო დ-ეს-ი“ („ეცტ“).

უ—ოს: უფროობითი ხარისხის რამდენიმე ფორმა უ—ოს მაწარმოებლიანია: უ-მსხ-ოს-ი, უ-ფრ-ოს-ი, უ-მცრ-ოს-ი, უ-ტკბ-ოს-ი.

ა) უ-მსხ-ოს-ი ← უ-მსხვილ-ეს-ისაგან: უ-მსხვილ-ეს-ი → უ-მსხვ-ეს-ი → უ-მსხ-ოს-ი.

ბ) უ-ფრ-ოს-ი ← უ-ფრელ-ეს-ისაგან: უ-ფრელ-ეს-ი → უ-ფრ-ეს-ი → უ-ფრ-ოს-ი.

გ) უ-მცრ-ოს-ი ← უ-მცირ-ეს-ისაგან: უ-მცირ-ეს-ი → უ-მცრ-ეს-ი → უ-მცრ-ოს-ი*.

*„მცრე“ ძველად უფროობითად „უმცრეს“ ფორმას გვაძლევდა, მაგრამ მან „უფროსს“ გავლენით • ხმოვანი დაკარგა და „უმცროსი“ მოგვეცა... „უმცირეს“ და „უმცროს“ ფორმები დაშორდა ერთმანეთს მნიშვნელობის მხრით: უმცირესი — მცირეზე ნაკლები (საზოგადოდ), უმცროსი — ხნით ნაკლები („უმცროსი ძა“) (ა. შანიძე, 1973, 142).

მთ—ო: ოდნაობითი ხარისხის აღსანიშნავად მთ—ო აფიქსები დაერთვის ვითარებით ზედსართავ სახელებს: მთ-თბ-ო, მთ-მჟავ-ო, მთ-ქველ-ო, მთ-რუხ-ო, მთ-შავფრ-ო, მთ-ცისფრ-ო... ამგვარადვეა ნაწარმოები: მთ-ჩერჩეტ-ო, მთ-სულელ-ო, მთ-ძუნწ-ო...

ხუთიოდე შემთხვევაში მთ—ო კონფიქსი არსებით სახელს დაერთვის და აღნიშნავს იმ პირს, ვისაც ფუძით დასახელებულ მოვლენასთან ან საგანთან აქვს მცირეოდენი კავშირი. მთ-მემარცხენ-ო, მთ-კადეტ-ო, მთ-ფაშისტ-ო, მთ-ლიბერალ-ო, მთ-ბოლშევიკ-ო, მთ-ფილოსოფოს-ო...

ზემოდასახელებული „სიტყვები ადასტურებენ, რომ მთ—ო მაწარმოებელი არა მხოლოდ დღესაც მოქმედია, არამედ მოქმედების არესაც იფართოებს — პუბლიცისტიკის ენაშიც მოიხმარება“ (ბ. ფოჩუა, 1974, 143).

ძველ ქართულში გამოვლენილი მთ—ე კონფიქსიანი მთ-თეთრ-ე (←მ-ი-თეთრ-ე), მთ-წითან-ე (←მ-ი-წითან-ე)... შესახებ ივ. იმნაიშვილი ვარაუდობს, რომ იგი უფროობითი ხარისხის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო თავდაპირველად (ივ. იმნაიშვილი, 1956, 457).

წა—ო: ოდნაობითი ხარისხის ფორმათა საწარმოებლად თითო-ორჯერ შემთხვევაში წა—ო კონფიქსიც იხმარება: წა-წითალ-ო, წა-ყვითალ-ო, წა-ლურჯ-ო, წა-ფერდ-ო... წა—ო უმთავრესად ფერის აღმნიშვნელ სახელებთან გვხვდება. შდრ.: წა-წითალ-ო და მთ-წითალ-ო, წა-ყვითალ-ო და მთ-ყვითალ-ო, წა-ლურჯ-ო და მთ-ლურჯ-ო...

ორივე ზემოდასახელებული ფორმა ოდნაობითი ხარისხისაა, მაგრამ მათ შორის მცირე სემანტიკური სხვაობა მაინც საგრძნობია. მაგ.: წა-წითალ-ო — რასაც წითელი ფერი გადაჰკრავს, მთ-წითალ-ო — ოდნავ წითელი.

ხარისხის სახელთა გაანალიზება ერთხელ კიდევ გვიდასტურებს, რომ შედარებითი ხარისხის ორგანული წარმოების ფორმები მწიგნობრული მეტყველებისათვის დამახასიათებელი მოვლენაა. ცოცხალ სასაუბრო მეტყველებაში გავრცელებულია ხარისხის აღწერითი წარმოება.

X. გომბრაფიული სახელები

-ეთ, სა—ეთ, -ობ, -ო

გეოგრაფიულ სახელთა საწარმოებლად ქართულში სხვადასხვა საშუალებანი არსებობს. სპეციალურ ლიტერატურაში გარკვეულია ტოპონიმიკურ სახელთა წარმოების ძირითადი მოდელები*. ამიტომ გავაანალიზებთ მხოლოდ საკუთრივ გეოგრაფიულ სახელთა მაწარმოებელი აფიქსებით მიღებულ ფორმებს: -ეთ, სა—ეთ, -ნარ, -ობ, -ო მაწარმოებლიანებს.

-ეთ:

გეოგრაფიულ სახელთა წარმოსაქმნელად ქართულში ძირითადად -ეთ სუფიქსი იხმარება. არნ. ჩიქობავა მართებულად მიიჩნევს ნ. მარის მოსაზრებას, რომ „-ეთ სუფიქსი რისამე ანუ ვისამე მრავლად მყოფობის ადგილს აღნიშნავს“ (არნ. ჩიქობავა, 1926, 307).

-ეთ მრავლობითის -თ (←ეთ) აფიქსს უკავშირდება (ს. ჯანაშია, 1959, 151-152). თ სუფიქსსა და მის ხმოვნთან ვარი-

* ა. შანიძე, 1973, 140-141; თ. ზურაბიშვილი, 1961, 135, 155; აღ. ლლონტი, 1971; რ. გაბეჩავა, 1971, 41-44; ფ. მაკალათია, 1971; შ. ნიჟარაძე, 1969.

ანტებზე სამეცნიერო ლიტერატურაში რამდენიმე განსხვავებული მოსაზრება არსებობს: მიულერსა და ჰიუფშმანს სკეითურ t-დან მომდინარედ მიაჩნდათ, სადაც ის აგრეთვე მრავლობითობის გამომხატველია; ნ. მარი -თა სუფიქსს ადგილის საწარმოებელ აფხაზურ $ta \rightarrow da \rightarrow$ თა სუფიქსს უკავშირებდა (თ. ზურაბიშვილი, 1961, 143). ვ. თოფურიას კი მიაჩნია, რომ ტოპონიმურ სახელად გვქონდა მსაზღვრელ-საზღვრული, მსაზღვრელი ნარ-თანიანი მრავლობითის ნათესაობით ბრუნვაში იყო, შემდეგ დაიკარგა საზღვრული და გეოგრაფიულ სახელად დარჩა -თა დაბოლოებით (ვ. თოფურია, 1956, 286-289).

-ეთ სუფიქსი დაერთვის:

1. ტომობრივ და ეთნიკურ სახელებს: აფხაზ-ეთ-ი, ჩერქეზ-ეთ-ი, ლეკ-ეთ-ი, ტაჯიკ-ეთ-ი, ესტონ-ეთ-ი, ჯავახ-ეთ-ი, კოლხ-ეთ-ი.

2. აწარმოებს ქვეყნის მხარეთა სახელებს: აღმოსავლ-ეთ-ი, დასავლ-ეთ-ი, ჩრდილო-ეთ-ი, სამხრ-ეთ-ი (ა. შანიძე, 1973, 140)*.

3. საზოგადო სახელებზე დართვით აღნიშნავს ადგილს: ხმელ-ეთ-ი, შუამდინარ-ეთ-ი, იატაკქვეშ-ეთ-ი, ზღვისპირ-ეთ-ი...

4. აწარმოებს ტერმინებს: შიგნ-ეთ-ი (გეოლ. შიგნითა, ქერქის ქვეშა ნაწილი, VII), შორის-ეთ-ი (შუალედი, VII), უსასრულ-ეთ-ი (მათემ. სივრცის უსასრულოდ დაშორებული

* ამ სახელებში -ეთ სუფიქსის ფუნქცია ექვექვეშ დააყენა არნ. ჩიქობავამ: „კაცი იფიქრებდა -ეთ სუფიქსი მხარეთა სახელებს სუბსტანტივიზაციისათვის დაერთოო, მაგრამ ასეთი საშუალება საჭირო რომ ყოფილიყო, ძველ ქართულშივე უნდა გვქონოდა აღმოსავლეთი (და არა აღმოსავალი), არ კი გვაქვს“ (არნ. ჩიქობავა, 1953, 65).

ნაწილი, VI).

5. ამავე სუფიქსის დართვით არის შექმნილი: გარდ-ეთ-ი, ლანდ-ეთ-ი, ვარსკვლავ-ეთ-ი, თოვლ-ეთ-ი, ბნელ-ეთ-ი, შორ-ეთ-ი, უკუნ-ეთ-ი, მოუსავლ-ეთ-ი, სულ-ეთ-ი, ბნელ-ეთ-ი, მკვიდრ-ეთ-ი, ქვეშ-ეთ-ი („ვტ“), გზ-ეთ-ი („ვტ“), რომლებიც უპირატესად მხატვრული ლიტერატურის ენაში გვხვდება და საერთო გავრცელება ჯერ არ მოუპოვებიათ.

ძველ ქართულში -ეთ სუფიქსის სახელებზე დართვის შემთხვევები გაანალიზებულია ვ. დონდუასა და ივ. იმნაიშვილის შრომებში: ლიპარიტ-ეთ-ი, დურძუკ-ეთ-ი (ვ. დონდუა, 1948, 133-136). მარიამ-ეთ-ა, პავლე-ეთ-ნი (ივ. იმნაიშვილი, 1956, 385-381)*.

სა—ეთ:

„სა—ეთ აფიქსებში -ეთ იგივეა, რაც ზემოთ აღნიშნული, ოღონდ გაძლიერებულია სა-თი“ (ა. შანიძე, 1973, 141).

სა—ეთ ტომობრივ სახელთაგან აწარმოებს გეოგრაფიულ სახელებს: სა-ბერძნ-ეთ-ი, სა-თათრ-ეთ-ი, სა-ფრანგ-ეთ-ი... ეგვევ კონფიქსი დაერთვის საზოგადო სახელებსაც: სა-ბნელ-ეთ-ი, სა-ვიე-ეთ-ი, სა-მგლ-ეთ-ი, სა-ძაღლ-ეთ-ი**.

-ობ:

-ობ სუფიქსი ადგილის სახელთა მაწარმოებელია: ბურც-ობ-ი, გვერდ-ობ-ი, ბუდ-ობ-ი, დაბლ-ობ-ი, ბეგ-ობ-ი, რბილ-ობ-ი, ცერ-ობ-ი, ვიწრ-ობ-ი,

* ამასთან დაკავშირებით იხ. აგრეთვე: კ. კეკელიძე, 1959, 116-119.

** სა-ეთ-ით ნაწარმოები სახელები მრავალადაა ვახუშტის გეოგრაფიასა და მხატვრული ლიტერატურის ენაში: სა-ბარკლ-ეთ-ი, სა-ზელ-ეთ-ი, სა-კეან-ეთ-ი, სა-ქარ-ეთ-ი... (არნ. ჩიქობავა, 1974, 72).

ღრანტ-ობ-ი, ტაფ-ობ-ი, მლაშ-ობ-ი...

აფიქსის ფუნქცია თავდაპირველადვე სწორად განსაზღვრა თ. ჟორდანიამ: „-ობ-ი ხშირად იხმარება არსებით სახელად ადგილმავითარებლად: როგორი ადგილები? — დაბლ-ობ-ი, ვენახ-ობ-ი“ (თ. ჟორდანი, 1889, 91).

-ობ სუფიქსის ფუნქცია თვისების სახელთა სიმრავლუკრებითობის აღნიშვნაა: ღრანტ-ობ-ი (←ღრანტ-ებ-ი), მლაშ-ობ-ი, რბილ-ობ-ი... სამეცნიერო ლიტერატურის ენაში ფართოდ გავრცელდა -ობ მაწარმოებლიანი ფორმები: ბურც-ობ-ი (ტექნ. ამობურცული (რამ), რელიეფი, II), ბუდ-ობ-ი (ადგილი, სადაც ესა თუ ის სასარგებლო ნამარხი მოიპოვება, — საბადო, II), ნავთ-ობ-ი (თხევადი ორგანული საწვავი ნივთიერება, V), ფართ-ობ-ი (1. გეომ. სიბრტყის ნაწილი... , 2. სივრცე, ზედაპირი, 3. მიწის ნაკვეთი, სივრცე, VII), ჰაერბურთ-ობ-ი (სფერული აეროსტრატი, VIII), რბილ-ობ-ი (რბილეული, VI), ქან-ობ-ი (სპეც. ქანის ნაშალი, VII), ვარდნ-ობ-ი (გეოგრ. ჩავარდნილი, მეტად ღრმა ადგილი ზღვებსა და ოკეანეებში, IV), კუთხ-ობ-ი...

-ო:

ამგვარივე ფუნქციისაა -ო (←-ობ) სუფიქსიც: ფერდ-ო (←ფერდ-ობ-ი), გვერდ-ო (←გვერდ-ობ-ი)...

გრილ-ო (მზეს ამოფარებული ადგილი, — ჩრდილი, II), გვერდ-ო (ძალიან დაქანებული ადგილი, ფერდობი, II), ფერდ-ო (ფერდობი, VII)...

ამათი ანალოგიით არის ნაწარმოები: ფრიალ-ო (შვეულ-ი რამ (კლდე და მისთ.) ციცაბო, VII), დობილ-ო/დობიწ-ო (გურ. ვაკე ადგილი, სადაც ვაზია ხეებზე გაშენებული, III), კედარ-ო (გურ. იმერ.) მხარე, კიდე, IV), ლენჭყ-ო (იმერ. ნოტიო, ჰაობიანი ადგილი, IV), ჭენჭყ-ო (ნესტიანი, ჰაობი-

ანი, ლენკუო, VIII), წვერ-ო (რისამე წაწვეტებული ზედა ნაწილი, - წვერი, VIII), ჩერ-ო (ჩრდილი, VIII), ფლატ-ო („ჩამონგრეული მიწა“, (საბა), მდინარის, ხევის ჩანგრეული ნაპირი, - კლდე, ხრამი, VII), ღრანტ-ო (ღრანტიანი ადგილი, VIII).

გეოგრაფიულ სახელთა უმთავრესი მაწარმოებელია -ეთ სუფიქსი (ს. ჭანაშია, 1959, 152), რომლის თავდაპირველი ფუნქცია სიმრავლე-კრებითობის აღნიშვნაა (გეოგრაფიულ სახელთა გარდა ეგვე სუფიქსი გვარის სახელთა მაწარმოებელია (არნ. ჩიქობავა, 1974, 70). ამავე ფუნქციისაა -ებ → -ობ, რომელიც -ეთ სუფიქსიან გეოგრაფიულ სახელებთან შედარებით, გვიანდელი წარმონაქმნი ჩანს.

XI. მცენარეთა კრებულის აღმნიშვნელი სახელები

-ნარ, -ოვან, -ოსან, -ებრ, -ებურ, ნაირი

მცენარეთა კრებულის აღმნიშვნელ მაწარმოებლად ლინგვისტურ ლიტერატურაში დასახელებულია -ნარ (→ნალ) სუფიქსი*, რომელიც: „აღნიშნავს ადგილს, სადაც ბლომად მოიპოვება ფუძით დასახელებული მცენარე“ (ა. შანიძე, 1973, 145): შამბ-ნარ-ი, ლედვ-ნარ-ი, გვიმრ-ნარ-ი, ძეძვ-ნარ-ი, წაბლ-ნარ-ი, ძეწ-ნარ-ი... გაარსებითებულია ბალ-ნარ-ი...

-ნარ სუფიქსი თანდათან იფართოებს ხმარების არეს და მიუთითებს ადგილზე, სადაც მრავლად მოიპოვება ფუძით

* -ნარ სუფიქსის არსებობა პირველად ნ. ჩუბინაშვილმა აღნიშნა და მას შემკრებლობითი უწოდა (ნ. ჩუბინაშვილი, 1961, 124)

აღნიშნული საგანი: ლოდ-ნარ-ი, ქვა-ვ-ნარ-ი, ხევ-ნარ-ი, ჩრდილ-ნარ-ი, სილ-ნარ-ი, კაჟ-ნარ-ი, კირ-ნარ-ი, ტორფ-ნარ-ი, კენჭ-ნარ-ი, თიხ-ნარ-ი, კობიჭ-ნარ-ი... (კობიჭი — „მიწა შეყინებული“, საბა, — მოყინული ან შემხმარი მიწა, — გაღობილ ნიადაგზე ადამიანის, ცხოველის, ურმის და სხვ. ნავალი რომ შეხმება და გაიყინება, IV). საინტერესოა რაჭულში გამოვლენილი: როყ-ნარ-ი („თუ ნაზავი დიდი ლოდებისაგან შედგება, მას რაჭაში როყნარს უწოდებენ“ — ალ. ჯანელიძე) (შ. ძიძიგური, 1956, 202) და როჭკ-ნარ-ი („წვრილი ელემენტებისაგან შემდგარი ნაზვაკი“ — ალ. ჯანელიძე), (შ. ძიძიგური, 1956, 202).

მცენარეთა კრებულის, მისი მრავლადმოყოფობის ან გარკვეული ჯიშის სიმრავლის აღსანიშნავად სხვა ფუნქციის აფიქსებიც არის გამოყენებული (უმთავრესად ნართანიანი მრავლობითის ფორმით). მათ შესახებ მსჯელობა მოცემულია ქვემოჩამოთვლილ სუფიქსთა ანალიზისას: -იან, -ოვან, -ოსან, -ებრ, -ებურ, ნაირი.

XII. კნინობითი სახელები

ახალმა ქართულმა სალიტერატურო ენამ არსებითად დაკარგა კნინობითის ფორმები. ამ შინაარსის გადმოსაცემად ენა აღწერით წარმოებას მიმართავს უმთავრესად: სახლი — პატარა სახლი (შდრ. ძვ. ქართ. სახლ-აკ-ი) (ა. შანიძე, 1973, 121). ამის მიუხედავად, მრავლად მოგვეპოვება კნინობით სახელთა მაწარმოებლები (ა. შანიძე, 1973, 121; ვ. თოფურია, 1946; ალ. ლლონტი, 1971, 115-116; ა. კობახიძე, 1962, 157-161; ლ. კვაჭაძე, 1969, 118-119; ა. კიზირია, 1974,

156-157), რომელთა უმრავლესობა დიალექტური წარმომავლობისაა, სალიტერატურო ენაში კი დასტურდება ამგვარად ნაწარმოები გაქვავებული ფორმები.

-ა:

-ა სუფიქსიანი კნინობითი სახელები განვიხილეთ ზემოთ. ახლა კი მას დავუბრუნდებით, როგორც რთულ სუფიქსთა შემადგენელ ნაწილს.

-აკ:

ახალ სალიტერატურო ქართულში კნინობითობის სუფიქსთაგან ყველაზე მოქმედია -აკ ბოლოსართი. იგი ძველ ქართულში თითქმის ერთადერთი მაწარმოებელი იყო: აგარ-აკ-ი, გალი-აკ-ი, დორ-აკ-ი, დან-აკ-ი, თხიერ-აკ-ი, კიდობან-აკ-ი, მროწეულ-აკ-ი, კნინ-აკ-ი, ნიგოზ-აკ-ი, შვილ-აკ-ი, ტაბლ-აკ-ი... (ილ. აბულაძე), ახალ ქართულში კი პასიური და იშვიათი ხმარებისა გახდა. ტექნიკური ლიტერატურის ენამ -აკ სუფიქსი კვლავ აღჭურვა ახალი სასიცოცხლო ძალით: ბაგირ-აკ-ი, თამბას-აკ-ი, თვალ-აკ-ი, კბილ-აკ-ი, ლილვ-აკ-ი, მილ-აკ-ი, ნაწილ-აკ-ი, ნემს-აკ-ი, ფილ-აკ-ი, ღარ-აკ-ი, წილ-აკ-ი...

ზოგი აფიქსი გავრცელებულობის მიხედვით ვიწრო დიალექტურია, მაგრამ ამგვარი წარმოების ერთეულები სალიტერატურო ქართულშიც დასტურდება: კაც-უნ-ა, ვაჭრ-უკ-ან-ა...

ქვემოთ წარმოვადგენთ კნინობით სახელთა მაწარმოებლებს შესაბამისი საილუსტრაციო მასალითურთ. ცალკეული დიალექტისათვის დამახასიათებელ კნინობითობის გამომხატველ ფორმებს განვიხილავთ მომდევნო თავში.

-აკ-ა: ჯორ-აკ-ა, ჰვინტ-აკ-ა, თოფრ-აკ-ა...

-იკ-ა: ცუგრ-იკ-ა, ვარ-იკ-ა, ტომს-იკ-ა...

-უკ-ა: ბიჭ-უკ-ა, ბებრ-უკ-ა, წიგნ-უკ-ა...

- უა (← უკ-ა): ბაბ-უა, ძალ-უა, ბიჭ-უა...
 - იკ-ელ-ა: ვარ-იკ-ელ-ა, ტეტ-იკ-ელ-ა, ცინცრ-იკ-ელ-ა...
 - იკ-ან-ა: ტიტლ-იკ-ან-ა, ღიბლ-იკ-ან-ა, წიწლ-იკ-ან-ა...
 - უკ-ან-ა: ვაჭრ-უკ-ან-ა, შუშტრ-უკ-ან-ა...
 - ალ-ა: ჩუმ-ალ-ა, ყრუ-ალ-ა, კუდ-ალ-ა...
 - ელ-ა: გიორგ-ელ-ა, ფირფიტ-ელ-ა, წიწკ-ელ-ა...
 - უნ: ციც-უნ-ი, კატ-უნ-ი...
 - უნ-ა: კაბ-უნ-ა, კუდ-უნ-ა, კაც-უნ-ა, დათ-უნ-ა...
 - ინ-ა: ტიკ-ინ-ა, პაწაწკ-ინ-ა, წობლობ-ინ-ა...
 - ნ-ა: გოგო-ნ-ა, დოდო-ნ-ა...
 - უნ-ია: დათ-უნ-ია, ფის-უნ-ია, ჩიტ-უნ-ია...
 - უნ-ელ-ა: კარგ-უნ-ელ-ა...
 - იტ-ა: ჩიჩქ-იტ-ა...
 - ატ-ა: კოტ-ატ-ა, ყურჭ-ატ-ა...
 - ოტ-ა: ჩორჩ-ოტ-ა...
 - უტ-ა: ხაბ-უტ-ა, ქინძრ-უტ-ა...
 - უტ-ან-ა: ჭუჭრ-უტ-ან-ა...
 - აც: ბარბ-აც-ი...
 - იც-ა: გორ-იც-ა...
 - უც:* კეკლ-უც-ი, გვადრ-უც-ი, ტაგრ-უც-ი, ბარბ-უც-ი...
 - უც-ა: კუნტრ-უც-ა, ფეხ-უც-ა, გოგ-უც-ა, ბაბ-უც-ა...
 - უც-უნ-ა: ბებრ-უც-უნ-ა...
 - აჭ: გორგოლ-აჭ-ი || გოგორ-აჭ-ი, კობ-აჭ-ი... ქერ-აჭ-ი
- (← ქერქ-აჭ-ი)
- აჭ-ინ-ა: კორ-აჭ-ინ-ა || კვარ-აჭ-ინ-ა...
 - იჭ: კობ-იჭ-ი (მნიშვნ. 2. კობი, IV).
 - იჭ-ა: კვიჭ-იჭ-ა, კოჭ-იჭ-ა, ყვაჭ-იჭ-ა, ხახმაჭ-იჭ-ა...

* ა. შანიძე, 1959, 29.

- ეჭ: ქერ-ეჭ-ი (←ქერქ-ეჭ-ი... ქერქ-ეჭ-ელ-ა)
- უჭ: პარკ-უჭ-ი, კა-უჭ-ი (←კავ-უჭ-ი), თაფლ-უჭ-ი, ტყაპ-უჭ-ი (←ტყავ-უჭ-ი)...
- უჭ-ა: პარკ-უჭ-ა, კვან-უჭ-ა, გვიმრ-უჭ-ა, გლენ-უჭ-ა, ეშმაკ-უჭ-ა, კა-უჭ-ა...
- უჭ-ან-ა: პარკ-უჭ-ან-ა, კუკრ-უჭ-ან-ა
- უნ-ან-ა: ბებრ-უნ-ან-ა...
- უნ-უნ-ა: ბებრ-უნ-უნ-ა...
- ოხ:* გოგრ-ოხ-ი//გო-რ-ოხ-ი...
- აჯ: ახტ-აჯ-ი...
- უჯ: ახტა-უჯ-ა (ალ. ლლონტი).

სქემა №1

თანხმ. ხმოვ.	ნ	ლ	კ	ტ	ც	ჩ	ძ	ხ	ჯ
ა	ან	ალ	აკ	ატ	აც		აჭ		აჯ
ე		ელ					ეჭ		
ი	ინ	ილ	იკ	იტ	იც	იჩ	იძ		
ო				ოტ				ოხ	
უ	უნ	ულ	უკ	უტ	უც	უჩ	უძ	უხ	უჯ

კინობით სახელებში ორი შინაარსეული ქვევგუფი გამ-
ოიყოფა:

ა) ს ა ა ლ ე რ ს ო ცუგრ-იკ-ა, ფის-უნ-ია,
დოდო-ნ-ა...

* გ. ბურკულაძე, 1962

ბ) დ ა მ ც ი რ ე ბ ი თ ი: გაჭრ-უკ-ან-ა, გლეს-უჭ-ა, ბებრ-უხ-ან-ა...

კინობით სახელთა ძირითადი მაწარმოებელია -ა სუფიქსი, რომელიც საკუთარ სახელებსაც დაერთვის და საზოგადოსაც: პლატონ-ა, სიმონ-ა, ქალ-ა, ბიჭ-ა... ძველ ქართულში აქტიური -აკ სუფიქსი სამეცნიერო და ტექნიკური ლიტერატურის ენამ ტერმინთა შესაქმნელად გამოიყენა და ახალი სასიცოცხლო ძალით აღჭურვა: ბაგირ-აკ-ი, აგურ-აკ-ი, ლილვ-აკ-ი... დანარჩენი სუფიქსები: -ელ, -უნ, უკ, -უჭ, -უხ- უმთავრესად -ა სუფიქსთან ერთად ქმნის რთულ სუფიქსს (იშვიათად ემატება -ინ, -ელ, -ია), ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ მათ -ა სუფიქსის გარეშე დამოუკიდებლად კინობითობის წარმოების უნარი აღარ შესწევს.

ზემოგანხილულ ყველა შემთხვევაში კინობითობის შინაარსი ნათლად არ არის გამოვლენილი. ერთი კი ფაქტია, რომ ძირეულ სახელთან მიმართებით ახალწარმოქმნილი ფორმა განსხვავებული შინაარსისაა*.

XIII. ბრუნვის ნიშნები წარმომავლელ აზიასთა ფუნქციით

ბრუნვის ნიშანთა დერივატებად გამოყენება ქართული ენისათვის დამახასიათებელი მოვლენაა. ამ ფუნქციით უმთავრესად გვხვდება ნათესაობითი, მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვის ნიშნები: -ის, -ით, -ივ, -ად**.

* ასევე გაურკვეველია ვრა დაბოლოების მნიშვნელობა ხაშვრა სიტყვაში, მაგრამ ის კი ნათელია, რომ ამ დაბოლოებამ ხ ა პ ი (გ ო გ რ ა) სხვა სიტყვად აქცია: ხ ა პ ე რ ა (გ ო გ რ ის) ერთი სახეობაა (ბ. ფოჩუა, 1974, 109).

** ამასთან დაკავშირებით იხ. ა. შანიძე, 1973, 110; ივ. იზაიშვილი, 1956, 462, 730, 754; ლ. კვაჭაძე, 1969, 167; ალ. ლლონტი, 1971, 109; რ. გაბეჩავა, 1971, 56, 57; თ. შარაძენიძე, 1956.

ბრუნვის ნიშნებით წარმოქმნილი სახელები ისეთ ტერმინთა შესაქმნელად გამოიყენება, „რომლებიც საგანს ან მოვლენას იმ ზოგადი თვისების მიხედვით ახასიათებენ, რომლის შესაძლებლობასაც ეს საგანი ან მოვლენა შეიცავს“ (დ. მელიქიშვილი, 1974, 119).

-ით:

-ით ძველ ქართულშიც გამოიყენებოდა ახალი ფუძეების საწარმოებლად: დაშრომ-ით-ი, წლ-ით-ი, მწუხრ-ით-ი... სახელთა წარმოების ეს გზა ძალიან გავრცელებულია ახალ ქართულში (ივ. იმნაიშვილი, 1956, 230); ძიებ-ით-ი, ნებ-ით-ი, გონებ-ით-ი, კრებ-ით-ი, შექებ-ით-ი, ჟანგვ-ით-ი...

სამეცნიერო და ტექნიკური ლიტერატურის ენამ გაააქტიურა საწყისზე დართული -ით სუფიქსიანი ფორმები: ენათმეცნიერება: წოდებ-ით-ი, კუთვნილებ-ით-ი, ბრძანებ-ით-ი, ჩვენებ-ით-ი, ვნებ-ით-ი, ნათესაობ-ით-ი, წრფელობ-ით-ი... ტექნიკური ლიტერატურის ენა ფარდობ-ით-ი, რყევ-ით-ი, ბრუნვ-ით-ი, დარტყმ-ით-ი, გრეხ-ით-ი... სხვადასხვა გვერდ-ით-ი, ბეჭდვ-ით-ი, აღდგენ-ით-ი...

-ით იშვიათად დაერთვის მეტყველების სხვა ნაწილებსაც:

ა) არსებით სახელს ნებ-ით-ი, ბუნებ-ით-ი, ციფრ-ით-ი, კუთხ-ით-ი, შუქ-ით-ი...

ბ) ზმნიზედას: ქგე-ით-ი, ზეე-ით-ი, შიგნ-ით-ი...

გ) ნაწილაკს ვითომ-ით-ი (იხ. ვითომ-ური - მათემატ. უარყოფითი სიდიდის ამოფესვით მიღებული რიცხვი, IV).

-ივ:

-ივ სუფიქსი წარმოშობით ბრუნვის ნიშანია, მაგრამ

წარმოსაქმნელადაც არის გამოყენებული: მწერ-იგ-ი... (ა. შანიძე, 1973, 148). იგი „უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი სახეობა მოქმედებითისა“ (ა. შანიძე, 1973, 77); „ფუნქციით -იგ უღრის -ით-ს“*.

ოდენ -იგ სუფიქსით ნაწარმოები სახელები მცირეა: მარნბ-იგ-ი, ირგვლ-იგ-ი, განუწყვეტლ-იგ-ი, ხანგრძლ-იგ-ი... ტ ე რ მ ი ნ ო ლ ო გ ი უ რ ი ა მუდმ-იგ-ი, გან-იგ-ი, სწერ-იგ-ი, წრფ-იგ-ი, გრძ-იგ-ი...

-იგ ხშირად იხმარება უარყოფით მიმღეობასთან: დაუბრკოლებლ-იგ-ი, განუწყვეტლ-იგ-ი... „ითქმის შეხორცა -ებრ და -ობრ საწარმოებლებს“ (ვ. თოფურია, 1944, 346).

-ებრ-იგ: ღვთა-ებრ-იგ-ი, შვილ-ებრ-იგ-ი, ლომ-ებრ-იგ-ი, თვის-ებრ-იგ-ი... (სულ 34).

-ობრ-იგ: ერთ-ობლ-იგ-ი, ნიადაგ-ობრ-იგ-ი, დედ-ობრ-იგ-ი, მიზეზ-ობრ-იგ-ი, საგნ-ობრ-იგ-ი, რიცხ-ობრ-იგ-ი (სულ 92).

-ად: ვითარებითი ბრუნვის ნიშანი -ად ხშირად გვევლინება დერივატადაც. „დღეს ენის ეს რესურსი ძალიან ფართოდაა გამოყენებული ახალ-ახალი ფუძეების საწარმოებლად: (კუმშვადი, გულადი...) ამნაირი წარმოების სათავე ძველ ქართულში არის მოცემული: იქაც ძალიან ფართოდ იყო ეს ხერხი გავრცელებული, გაცილებით უფრო მეტად,

* არნ. ჩიქობავამ აღნიშნა, რომ მოქმედებითი ბრუნვის ფუნქციით -იგ სუფიქსის ხმარება პირველად ჰ. შუხარდტმა შენიშნა: „მე მგონია, რომ აღმოვაჩინე ახალი, უფრო სწორად, ძლიან ძველი ბრუნვა, რომელიც დაცულია ზმნისართის მნიშვნელობის მქონე მხოლოდ ცალკეულ ფორმებში. ის -იგ-ით ბოლოვდება და აქვს -ით-იანი ინსტრუმენტალისის ან ზმნისართული მიცემითის მნიშვნელობა, მაგალითად, ძლ-იგ, ძლ-იგ-ს (პლენასტური მიცემითის ს-ით), ძლ-იგ — ძლ-ით... სხვაფერ-იგ-მზრ-იგ... მარჯვენ-იგ: მარჯვენ-ით... მარცხნ-იგ — მარცხნ-ით“ (ჰ. შუხარდტი, 1985, 14. იხ. აგრეთვე დ. მაკაეარიანი, 1957, 87).

ვიდრე მოქმედებითის ნიშნის გამოყენება (შრომითი, რიცხვითი...) (ივ. იმნაიშვილი, 1956, 754). აქვე ავტორი აღნიშნავს, რომ საწყისთაგან -ად სუფიქსიანი ფორმები ახალი გრამატიკული მნიშვნელობის მატარებელი იყო: იგი მყოფადის მიმღეობას გამოხატავდა: დ ა დ ნ ო ბ ა დ ი - რაც აუცილებლად უნდა დადნეს.

-ად სუფიქსი უმთავრესად საწყისთაგან აწარმოებს ახალ ფუძეებს: დრეკ-ად-ი, დენ-ად-ი, ქმნ-ად-ი, ჟღერ-ად-ი... დაერთვის აგრეთვე მეტყველების სხვა ნაწილებსაც:

ა) ა რ ს ე ბ ი თ ს ა ხ ე ლ ს თავ-ად-ი, სხივ-ად-ი, ფილ-ად-ი, წილ-ად-ი, ტან-ად-ი...

ბ) ზ ე დ ს ა რ თ ა ვ ს ა ხ ე ლ ს ფრ-ი(ვ)-ად-ი.

გ) რ ი ც ხ ვ ი თ ს ა ხ ე ლ ს პირველ-ად-ი.

დ) ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ს: ყოვლ-ად-ი (ძვ. ყველასათვის განკუთვნილი, საზოგადო).

ე) თ ა ნ დ ე ბ უ ლ ს თან-ად-ი (1. სპეც. რაც ნამდვილად აქვთ, ფაქტობრივად არსებული, 2. „თან სადევნელი“ (საბა), 3. ძვ. მოქენე, მოვალე (დ. ჩუბინ.).

-ის: „ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი -ის ვარიანტებითურთ... ახალი სახელის ფუძის საწარმოებლადაც არის გამოყენებული“ (ა. შანიძე, 1973, 110): უჯრ-ედ-ის-ი, იქვრივ-ის-ი, თვ:ლ-ის-ი, მერმ-ის-ი, ჯაგრ-ის-ი, შორ-ის-ი, წიად-ის-ი.

როგორც გაანალიზებული მასალის მიხედვით ჩანს, ბრუნვის ნიშნით წარმოქმნილი სახელები უმთავრესად ტერმინოლოგიურია. „ახალწარმოებათა დროს უფრო ხშირად გამოიყენება არაპროდუქტიული აფიქსები... რაც ახალწარმოქმნილ სიტყვას თავისი ღირებულებით განასხვავებს იმავე მნიშვნელობის მქონე, მაგრამ პროდუქტიული აფიქსებით წარმოებული სიტყვებისაგან“ (დ. მელიქიშვილი, 1974, 115).

ბრუნვის ნიშნებისა და თანდებულების გამოყენებას ახალ სიტყვათა შესაქმნელად საფუძველი ჩაუყარეს ძველმა ქართველმა ფილოსოფოსებმა: იოანე პეტრიწმა და ეფრემ მცირემ. მათი სიტყვათხზვის ხელოვნება იმდენად მყარი აღმოჩნდა, რომ თანამედროვე ქართულმაც ფართოდ გამოიყენა ეს წესები ახალ ტერმინთა შესაქმნელად.

XIV. თანდებულები და მიტყველების სხვა ნაწილები წარმოგვიჩვენოს აზიასთა ფუნქციით

სახელთა წარმოქმნელ აფიქსთა ფუნქციით ზოგჯერ გვხვდება თანდებულები, ზმნისართები და მსგავსების აღმნიშვნელი სხვა ლექსიკური ერთეულები.

თანდებულთაგან ახალ ქართულ ენაში დერივატად გვხვდება: -ებრ (←ებურ), -შიერ, -გან.

-ებრ სუფიქსი მსგავსების აღმნიშვნელია. იგი უმთავრესად ნათესაობითი ბრუნვის ფორმაზე დართვით აწარმოებს ახალ სახელებს: ა) ჯაჭვ-ის-ებრ-ი, ხიდ-ის-ებრ-ი, კარგ-ის-ებრ-ი, თათ-ის-ებრ-ი, ნამგლ-ის-ებრ-ი, ჯვარ-ის-ებრ-ი იშვიათად გვხვდება გაუფორმებელ ფუძესთანაც: დვთა-ებრ-ი, ნალ-ებრ-ი, კაც-ებრ-ი.

-ებრ თანდებული ნარიანი მრავლობითის ფორმით მცენარეთა კრებულს აღნიშნავს: ბაიას-ებრ-ნი, ბაღბ-ის-ებრ-ნი, ვარდ-ის-ებრ-ნი, თუთ-ის-ებრ-ნი, მიხაკ-ის-ებრ-ნი... (სულ 32).

-ებრ თანდებული (დერივატი) „-ურ სუფიქსის გავლენით გადაკეთდა -ებურ-ად: ლომ-ის-ებურ-ი... (ა. შანიძე,

1973, 118).

ა) ნ ა თ ე ს ა ო ბ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ი ს ფორმისაგან ნაწარმოები სახელები: ნაგ-ის-ებურ-ი, დათვის-ებურ-ი, ციხის-ებურ-ი...

ბ) მ ა რ ტ ი ვ ი ფ უ ძ ი ს ა გ ა ნ ნაწარმოები სახელები: მთ-ებურ-ი, ახლ-ებურ-ი, ჩემ-ებურ-ი...

-შიერ ნათესაობითი ბრუნვის ფორმისაგან აწარმოებს ენათმეცნიერულ ტერმინებს: ბაგ-ის-შიერ-ი, კბილ-ის-შიერ-ი, ხახ-ის-შიერ-ი, ცხვირ-ის-შიერ-ი, ხორხ-ის-შიერ-ი... ეს ტერმინები აღნიშნავენ ამა თუ იმ ბგერის წარმოების ადგილს. ამგვარადვეა ნაწარმოები ნებ-ის-შიერ-ი.

-გან თანდებულით წარმოქმნილ სახელს „შენარჩუნებული აქვს თავისი პირვანდელი მნიშვნელობა“ (ა. შანიძე, 1973, 118). იგი თანიანი მრავლობითის ფორმაზე დართვით აწარმოებს წარმომავლობის აღმნიშვნელ სახელებს: ნა-ყმ-ევ-თ-ა-გან-ი, მღვდელ-თ-ა-გან-ი, ძველ-თ-ა-გან-ი, კაც-თ-ა-გან-ი... იშვიათად გვხვდება მარტივ ფუძეზე დართული ფორმაც: თქვენ-გან-ი.

მსგავსების აღსანიშნავად -ნაირი, -თანა, -გვარ დერიატიანი ფორმებიც გვხვდება:

ნაირი (წარმოშობით უნდა იყოს არაბული ნ ა ზ ი რ - „შესახედავი“) (ა. შანიძე, 1973, 119): ხერხ-ნაირ-ი, მრავალ-ნაირ-ი, ათას-ნაირი, ცოცხ-ნაირი, ფუნჯ-ნაირ-ი... აღნიშნული მაწარმოებელი უმთავრესად ნაცვალსახელს დაერთვის: სხვა-ნაირ-ი, რა-ნაირ-ი, ყველა-ნაირ-ი, მაგ-ნაირ-ი, ჩემ-ნაირ-ი, რამე-ნაირ-ი...

ნარიანი მრავლობითის ფორმით ნაირი ბოტანიკურ ტერმინებსაც აწარმოებს: გვიმრა-ნაირ-ნ-ი, ფეტვ-ნაირ-ნ-ი, თობბას-ნაირ-ნ-ი...

-თანა: დედ-ის-თანა, ამ-ის-თანა...

-გვარ მაწარმოებელიც უმთავრესად ნაცვალსახელებს დაერთვის: ამ-გვარ-ი, იმ-გვარ-ი...

ზმნიხედური წარმოშობის მაწარმოებლები: -ჯერ, -მაგ, -კეც რიცხვით სახელებს დაერთვიან და ჯერადობას აღნიშნავენ: შვიდ-მაგ-ი, სამ-მაგ-ი, შვიდ-კეც-ი, ხუთ-კეც-ი, ათას-ჯერ-ი, მრავალ-ჯერ-ი...

ამავე ფუნქციისაა გზ-ის აფიქსიც: მრავალ-გზ-ის-ი...

XV. უცხო აფიქსიანი სახელები

აფიქსთა სესხება უნდა განვასხვაოთ ნასესხებ სიტყვასთან ერთად შემოსული აფიქსებისაგან. მაგ.: სოციალ-ისტ-ი, კომუნ-ისტ-ი სიტყვებში არსებული -ისტ აფიქსი ნასესხებად ვერ ჩაითვლება, მაგრამ ნასესხებია აფიქსი მაშინ, „თუ ერთი ენის აფიქსი მეორე ენის სიტყვებში ფუძის საწარმოებლად (ანდა ფლექსიად) არის გამოყენებული“: კუჭ-ისტ-ი... (არნ. ჩიქობავა, 1951, 247).

აღმოსავლურ ენებთან კონტაქტმა ქართულში სამი სპარსული აფიქსი დაამკვიდრა: დანიშნულების გამომხატველი -დან, ხანა და პროფესიის მაწარმოებელი -დარ (ა. შანიძე, 1973, 145). ეს აფიქსები მალე უარყო ქართულმა ენამ და სანაცვლოდ საკუთარი აფიქსებით ნაწარმოები სიტყვები გაააქტიურა: ჩაი-ხანა — საჩაიე, აგურ-ხანა — აგურის ქარხანა (სა-აგურ-ე).

უკანასკნელ ხანებში ევროპაში გავრცელდა ბერძნული წარმოშობის -იზმ, -ისტ და ანტი (ა. შანიძე, 1973, 145), აფიქსები, რომელნიც ქართულისთვისაც აქტიურ მაწარმოე-

ბლად იქცნენ: ტრაქტორ-ისტ-ი, ტანკ-ისტ-ი (შ. კეკელია, აკ. დავითიანი, 1973, 68).

უცხო აფიქსთა მომრავლება ენის გრამატიკული წყობის შერყევის მაუწყებელია (არნ. ჩიქობავა, 1951, 247).

აფიქსთა ფუნქციები

დერივაციული აფიქსები, რომლებიც ზემოთ სათანადო სემანტიკურ ჯგუფებში განვიხილეთ, ფუნქციის მიხედვით არაერთგვაროვანი არიან. მაგ., ქონების სახელთა ჯგუფში შემავალი აფიქსები პარალელურად წარმომავლობის, თვისების, მსგავსების, მცენარეთა კრებულისა და პროფესიის აღმნიშვნელია; ასევე, აბსტრაქტულ სახელთა მაწარმოებლები ზოგჯერ თვისებასა და კრებითობაზედაც მიუთითებენ და ა. შ. აფიქსთა ამ თვისების — მრავალფუნქციანობის გამოსავლენად ანბანის რიგზე წარმოვადგინეთ აფიქსები და ვაჩვენეთ მათი ფუნქციები შესაბამისი საილუსტრაციო მასალითურთ.

1. -ა: 1. კ ნ ი ნ ო ბ ი თ ო ბ ა : აზნაურ-ა, ბიჭ-ა, ბეჟან-ა-
2. ქ ო ნ ე ბ ა : ულვაშ-ა, კაუჭ-ა, პერანგ-ა-...
3. თ ვ ი ს ე ბ ა : ბარბაც-ა, ზოზინ-ა-...
4. მ ს გ ა ვ ს ე ბ ა : ისარა, ქერა, ვარდკანაფა

2. -ად: 1. თ ვ ი ს ე ბ ა : აალებად-ი, ფილ-ად-ი-...

3. -აკ: 1. კ ნ ი ნ ო ბ ი თ ო ბ ა : ბაგირ-აკ-ი, გორ-აკ-ი-...

4. -აჭ: 1. კ ნ ი ნ ო ბ ი თ ო ბ ა გ ო რ გ ო ლ - ა ჭ - ი - ...

5. -გან: 1. წ ა რ მ ო მ ა ვ ლ ო ბ ა კ ა ც - თ - ა - გ ა ნ - ი - ...

6. -გვარ-ი: 1. თ ვ ი ს ე ბ ა - მ ს გ ა ვ ს ე ბ ა

ამ-გვარ-ი, შვიდ-გვარ-ი

7. გზის-ი: 1. ჟ ე რ ა დ ო ბ ა ხ უ თ - გ ზ ი ს - ი ,
მრავალ-გზის-ი...
8. -დელ: 1. რ ო დ ი ნ დ ე ლ ო ბ ა - წ ა რ მ ო მ ა ვ ლ ო -
ბ ა - ს ა დ ა უ რ ო ბ ა : დილან-დელ-ი-
9. -ება: 1. ა ბ ს ტ რ ა ქ ტ უ ლ ო ბ ა : ძლიერ-ება...
10. -ებრ/→-ებურ: 1. მ ს გ ა ვ ს ე ბ ა : ბადის-ებრ-ი...
2. მ ც ე ნ ა რ ე თ ა კ რ ე ბ უ ლ ი :
ბაიას-ებრ-ნ-ი
11. -ედ: 1. ქ ო ნ ე ბ ა გან-ედ-ი, უჯრ-ედ-ი...
12. -ეთ: 1. გ ე ო გ რ ა ფ ი უ ლ ი ს ა ხ ე ლ ი
ალბან-ეთ-ი, კახ-ეთ-ი...
13. -ელ: 1. ა დ ა მ ი ა ნ თ ა წ ა რ მ ო მ ა ვ ლ ო ბ ა -
ს ა დ ა უ რ ო ბ ა ქალაქ-ელ-ი...
2. მ ი მ დ ე ვ რ ო ბ ა : ლენინ-ელ-ი, ებიკურ-ელ-ი-
14. -ეულ: 1. კ უ თ ვ ნ ი ლ ე ბ ა - წ ა რ მ ო მ ა ვ ლ ო ბ ა :
დედ-ის-ეულ-ი...
2. კ რ ე ბ ი თ ო ბ ა თესლ-ეულ-ი...
3. ქ ო ნ ე ბ ა სნ-ეულ-ი, ფას-ეულ-ი, ვრც-ეულ-ი-
15. -თანა: 1. მ ს გ ა ვ ს ე ბ ა ამის-თანა...
16. -იან 1. ქ ო ნ ე ბ ა უანგ-იან-ი, ენამზ-იან-ი...
2. წ ა რ მ ო მ ა ვ ლ ო ბ ა ოთარა-ან-თ-ი...
3. მ ც ე ნ ა რ ე თ ა კ რ ე ბ უ ლ ი : თხილ-იან-ი-
17. -იერ: 1. ქ ო ნ ე ბ ა ლმობ-იერ-ი, ნივთ-იერ-ი...
2. წ ა რ მ ო მ ა ვ ლ ო ბ ა - ს ა დ ა უ რ ო ბ ა :
დასაბამ-იერ-ი...
18. -ივ: 1. თ ვ ი ს ე ბ ა ერთმზრ-ივ-ი, განუწყვეტლ-ივ-ი-
19. -ით: 1. თ ვ ი ს ე ბ ა : გრეხ-ით-ი, მიმოხილვ-ით-ი...
20. -ივ-ა/-ო: 1. კ ნ ი ნ ო ბ ი თ ო ბ ა : ცუგრი-ვა, დედ-იკო-
21. -ილ-(ო): 1. კ ნ ი ნ ო ბ ი თ ო ბ ა : მამ-ილ-ო...

22. -ონ: 1. წ ა რ მ ო მ ა ვ ლ ო ბ ა - ს ა დ ა უ რ ო ბ ა :
 არხოტ-იონ-ი...
 2. კ რ ე ბ ი თ ო ბ ა მ ა ყ რ - ი ო ნ - ი , დ რ ო შ - ი ო ნ - ი ...
 3. პ რ ო ფ ე ს ი ა ჯ ვ ა რ - ი ო ნ - ი ...
23. -ის: 1. თ ვ ი ს ე ბ ა : ჯ ა გ რ - ის - ი ...
24. -ურ: 1. წ ა რ მ ო მ ა ვ ლ ო ბ ა - ს ა დ ა უ რ ო ბ ა :
 ქვეყნ-იურ-ი...
 2. თ ვ ი ს ე ბ ა მ ზ - ი უ რ - ი ...
 3. მ ს გ ა ვ ს ე ბ ა : წ რ - ი უ ლ - ი ...
25. -იც-(ა): 1. კ ნ ი ნ ო ბ ი თ ო ბ ა გ ო რ - ი ც - ა ...
26. -იჭ: 1. კ ნ ი ნ ო ბ ი თ ო ბ ა : კ ო პ - ი ჭ - ი ...
27. -კეც: 1. ჯ ე რ ა დ ო ბ ა : მ რ ა ვ ა ლ - კ ე ც - ი ...
28. -მაგ: 1. ჯ ე რ ა დ ო ბ ა შ ვ ი დ - მ ა გ - ი ...
29. მე-ე: 1. პ რ ო ფ ე ს ი ა მ ე - დ ი ლ ე გ - ე , მ ე - ფ ო ლ ა დ - ე ...
 2. რ ი გ ო ბ ი თ ი ს ა ხ ე ლ ი მ ე - ხ უ თ - ე ...
30. მე-ედ: 1. წ ი ლ ო ბ ი თ ი ს ა ხ ე ლ ი : მ ე - ხ უ თ - ე დ - ი ...
31. მე-ურ/ულ: 1. პ რ ო ფ ე ს ი ა მ ე - ბ ა დ - უ რ - ი ,
 მე - გ ზ - უ რ - ი ...
32. მიერ-ი: 1. თ ვ ი ს ე ბ ა ნ ე ბ ის - მი ე რ - ი ...
 2. წ ა რ მ ო მ ა ვ ლ ო ბ ა : ხ ო რ ხ ის - მი ე რ - ი ...
33. (ა)-მდელ: 1. წ ი ნ ა დ რ ო ი ნ დ ე ლ . ო ბ ა
 ს კ ო ლ ა - მ დ ე ლ - ი ...
34. მო-ე: 1. პ რ ო ფ ე ს ი ა : მ ო - ა დ გ ი ლ - ე ...
35. მო-ო: 1. ო დ ნ ა ო ბ ი თ ი ხ ა რ ის ხ ი : მ ო - თ ე თ რ ო - ...
36. ნა-1. წ ი ნ ა ვ ი თ ა რ ე ბ ა : ნ ა - ზ ა მ ო რ - ი , ნ ა - ზ ო ლ - ი ...
37. ნა-არ/ალ: 1. წ ი ნ ა ვ ი თ ა რ ე ბ ა : ნ ა - ყ ა მ ი რ - ა ლ - ი ...
38. ნა-ალ: 1. წ ი ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი თ ი ს ა ხ ე ლ ი :
 ნ ა - ა თ - ა ლ - ი ...
39. -ნარ: 1. მ ც ე ნ ა რ ე თ ა კ რ ე ბ უ ლ ი

წაბლ-ნარ-ი...

2. ა დ გ ი ლ ი ლოდ-ნარ-ი, კირ-ნარ-ი...

40. ნა—ევ (ნა—ებ): 1. წ ი ნ ა ვ ი თ ა რ ე ბ ა :
ნა-აბანო-ებ-ი...

41. -ნაირ: 1. მ ს გ ა ვ ს ე ბ ა ისეთ-ნაირ-ი...

42. ნა—ურ/ულ: 1. წ ი ნ ა ვ ი თ ა რ ე ბ ა : ნა-გვერდ-
ულ-ი, ნა-ფეხ-ურ-ი...

43. -ო 1. ა დ გ ი ლ ი გვერდ-ო, ფლატ-ო...

44. -ობ: 1. ა დ გ ი ლ ი ბეგ-ობ-ი...

45. -ობა: 1. ა ბ ს ტ რ ა ქ ტ უ ლ ო ბ ა ა) თვისების
აღმნიშვნელ სახელებში: ვერაგ-ობა...

ბ) დ რ ო ის ა ღ მ ნ ი შ ვ ნ ე ლ სახელებში: გიორგ-ობა...

2. კ რ ე ბ ი თ ო ბ ა ქართველ-ობა...

46. -ოდე: 1. მ ი ა ხ ლ ო ე ბ ი თ ი ო დ ე ნ ო ბ ა : ხუთი-ოდე...

47. -ოდენ-ა 1. ზ ო მ ა - ო დ ე ნ ო ბ ა ზღვის-ოდენ-ი...

48. -ოვან: 1. ქ ო ნ ე ბ ა წახნაგ-ოვან-ი...

2. თ ვ ი ს ე ბ ა ხავერდ-ოვან-ი...

3. მ ც ე ნ ა რ ე თ ა ს ა ხ ე ო ბ ა , ჯ ი შ ი
რთულყვავილ-ოვან-ი...

49. -ოსან: 1. ქ ო ნ ე ბ ა კალმ-ოსან-ი...

2. პ რ ო ფ ე ს ი ა : ზღვა-ოსან-ი...

3. მ ი მ დ ე ვ რ ო ბ ა ჯვარ-ოსან-ი...

4. მ ც ე ნ ა რ ე თ ა და ც ხ ო ვ ე ლ თ ა ს ა -
ხ ე ო ბ ა , ჯ ი შ ი : ჩლიქოსან-ი, ფირფიტ-ოსან-ი...

50. სა—: 1. დ ა ნ ი შ ნ უ ლ ე ბ ა - გ ა ნ კ უ თ ვ ნ ე ბ ა
სა-სწორ-ი, სა-მრავლ-ი...

51. სა—ე: 1. დ ა ნ ი შ ნ უ ლ ე ბ ა - გ ა ნ კ უ თ ვ ნ ე ბ ა
სა-მკლავ-ე...

52. სა—ეთ: 1. გ ე ო გ რ ა ფ ი უ ლ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი

სა-ფრანგ-ეთ-ი...

53. სა-ო: 1. დ ა ნ ი შ ნ უ ლ ე ბ ა - გ ა ნ კ უ თ ვ ნ ე ბ ა :
სა-კბილ-ო...
2. თ ვ ი ს ე ბ ა სა-პოლემიკ-ო...
54. სა-ურ: 1. დ ა ნ ი შ ნ უ ლ ე ბ ა - გ ა ნ კ უ თ ვ ნ ე ბ ა :
სა-გვერდ-ულ-ი...
55. სი-ე (→სი-ო): 1. ა ბ ს ტ რ ა ქ ტ უ ლ ო ბ ა
სი-ამ-ე...
56. უ-: 1. უ ქ ო ნ ლ ო ბ ა უ-რიცხვ-ი...
57. უ-ეს (უ-ოს): 1. უ ფ რ ო ო ბ ი თ ი ხ ა რ ი ს ხ ი :
უ-დიდ-ეს-ი...
58. -უკ-ა||→უა: 1. კ ნ ი ნ ო ბ ი თ ო ბ ა ბებრ-უკ-ა,
ბიჭ-უა...
59. -უნ-ა: 1. კ ნ ი ნ ო ბ ი თ ო ბ ა ბიჭ-უნ-ა...
60. უ-ო: 1. უ ქ ო ნ ლ ო ბ ა უ-საბამ-ო, უ-მანკ-ო...
61. უ-ურ: 1. უ ქ ო ნ ლ ო ბ ა უ-პირ-ულ-ი, უ-ბედ-ურ-ი...
62. -ურ: 1. ნ ი ვ თ ი ს წ ა რ მ ო მ ა ვ ლ ო ბ ა -
ს ა დ ა უ რ ო ბ ა ფშა-ურ-ი...
2. თ ვ ი ს ე ბ ა ბრიყვ-ულ-ი...
3. კ უ თ ვ ნ ი ლ ე ბ ა - წ ა რ მ ო მ ა ვ ლ ო ბ ა
გოგოლა-ურ-ი...
63. -უც: 1. კ ნ ი ნ ო ბ ი თ ო ბ ა : კეკლ-უცი, ბებრ-უც-უნ-ა...
64. -უჭ-(ა): 1. კ ნ ი ნ ო ბ ი თ ო ბ ა გლებნ-უჭ-ა...
65. -ფერ-ი: 1. მ ს გ ა ვ ს ე ბ ა ჩემ-ფერ-ი...
66. წა-ო: 1. ო დ ნ ა ო ბ ი თ ი ხ ა რ ი ს ხ ი : წა-წითალ-ო...
67. -ჯერ-ი: 1. ჯ ე რ ა დ ო ბ ა ათ-ჯერ-ი...

წარმოქმნილ სახელთა სემანტიკური ჯგუფები

დერივაციულ აფიქსთა მეშვეობით შექმნილი ლექსიკურ-სემანტიკური კლასების შესწავლა ლექსიკოლოგიის საგანია. წარმოქმნილ სახელთა სემანტიკური ჯგუფების კლასიფიკაცია საჭიროებს დაზუსტებას. იმის გამო, რომ ზოგ აფიქსს რამდენიმე მკვეთრად დაპირისპირებული ფუნქციის გამოვლენის უნარი აქვს (მაგ., -ეულ, -ობა, -იან...), ზოგმა კი მნიშვნელოვნად გაიფართოვა ხმარების არე (მაგ., -ნარ, -ოსან, -ოვან...), საჭირო გახდა ზემოგანხილული ფუნქციების გათვალისწინებით წარმოგვედგინა ახალი სემანტიკური კლასიფიკაცია შესაბამისი მაწარმოებლებითურთ.

1. ქონების სახელები: -ა, -ედ, -ეულ, -იან, -იერ, -ოვან, -ოსან.

2. უქონლობის სახელები: უ-ო, უ-ურ, უ-, უ-არ.

3. წარმომავლობის სახელები: -გან, -დელ, -ელ, -ეულ, -იან, -იერ, -იონ, -იურ, -ურ, (ა)-მდელ, -მიერ.

4. ხელობის, პროფესიის სახელები: -ელ, მე-ე, მე-ურ. მო-ე, -ოსან, -ისტ.

5. აბსტრაქტული სახელები: -ება, -ობა, სი-ე (სი-ო).

6. დანიშნულების სახელები: სა-ე, სა-ო, სა-ურ, სა-, სა-არ.

7. წინა ვითარების სახელები: ნა-, ნა-ევ (ნა-ებ), ნა-არ, ნა-ურ.

8. მსგავსების სახელები: -ა, -ებრ (ებურ), -იურ, -ნაირ, -გვარ, -თანა.

9. კრებითობის სახელები: -ეულ, -ებრ (-ებურ),
-იან, -იონ (-ონ), -ნარ, -ობა.

10. მიმდევრობის სახელები: -ელ, -ოსან, -იზმ.

11. რიცხვითი სახელები: -ეულ, მე-ე, მე-ედ, ნა-ალ.

12. ხარისხის სახელები: უ-ეს (უ-ოს), მო-ო, წა-ო.

13. გეოგრაფიული სახელები: -ეთ, სა-ეთ, -ობ, -ო,
-ნარ.

14. კნინობითი სახელები: -ა, -ან, -აჭ, -იკ, -ილ,
-უკ, -უჭ, -უც, -უნ.

15. ზომა-ოდენობისა და ჯერადობის სახელები:
-ოდენ, -ოდე, -კეც, -მაგ, -ჯერ, -გზის.

შეიძლება დავასკვნათ: ახალ სალიტერატურო ქართულ ენაში წარმოქმნილ სახელთა 16 სემანტიკური ჯგუფი გამოიყოფა, რომელშიც განაწილებულია 67 აფიქსი (პრეფიქსები, სუფიქსები და კონფიქსები). ამ აფიქსთა სამოქმედო ძალა განსხვავებულია, რაც საგრძნობია ძველი და ახალი ქართულის მონაცემთა შეპირისპირების დროსაც. მაგ., ძველ ქართულში ნაკლებ მოქმედმა აფიქსებმა: -იან, -ა, -ელ, -ურ, -ეულ, -ობა, -ობ... ახალ ქართულში მნიშვნელოვნად გაიფართოვა სამოქმედო არე და ახალი ფუნქციები შეიძინა: -ა ტერმინთა შესაქმნელად გამოიყენეს, -ურ თვისების აღმნიშვნელი გახდა, -ელ მიმდევრობასა და მოსაქმეობაზე მიუთითებს, -ეულ კრებითობის ფუნქციისაა, -ობ ადგილის სახელებს აწარმოებს, ხოლო ძველ ქართულში მოქმედი -ოვან, -ოსან, -ედ, -აკ, -ით, -ად, -ივ, რომელთა ხვედრითი წონა ახალ ქართულში ძალიან შემცირდა, სამეცნიერო და ტექნიკური ლიტერატურის ენამ კვლავ გაააქტიურა და ახალი სასიცოცხლო ძალით აღკურვა: ხრტილ-ოვან-ი, ფრიად-ოსან-ი, თად-ედ-ა, ბაგირ-აკ-ა, ჟანგ-ით-ი, დრეკ-ად-ი, გრძ-ივ-ა,

წრფ-იგ-ი... სპეციალური სიტყვები შექმნილია ქართული სიტყვის ოდინდელი სააღმშენებლო მასალით — ქართულში არსებული ფუძეებისა და ქართულშივე არსებული მორფემების შეერთებით. ახალ სიტყვათა წარმოსაქმნელად ენა იშვიათი ხმარების აფიქსს მიმართავს.

საგრძნობია -ურ-შემადგენლიან კონფიქსთა (სა—ურ, მე—ურ, ნა—ურ, უ—ურ) და ოდენპრეფიქსით (ნა-, სა-) ნაწარმოებ სახელთა როლის ზრდაც.

სემანტიკური ჯგუფის საზღვრებში აფიქსთა მონაცვლეობა ზოგჯერ მნიშვნელოვანი სემანტიკური გადახრით აღინიშნება (მდრ. სა-თვალ-ე და სა-თვალ-ო, ცხიმ-იან-ი და ცხიმ-ოვან-ი...).

საყურადღებოა, რომ იდენტური შინაარსის კონფიქსები (უ-ო, უ-ურ; სა-ო, სა-ე, სა-ურ; ნა-ეე, ნა-არ, ნა-ურ; მე-ე, მე-ურ) განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებენ ფუძეებთან შეხამებადობის თვალსაზრისით: -ურ შემადგენლიანი კონფიქსი დაერთვის მხოლოდ უმარცვლო ან ერთმარცვლიან ქართულ ფუძეს, -ე შემადგენლიანი კონფიქსი დაერთვის მხოლოდ ა,ე ხმოვნებზე დასრულებულ და თანხმოვანფუძიან ერთ- ან ორმარცვლიან ქართულ ფუძეებს (გამონაკლისია მხოლოდ მე-ე კონფიქსით ნაწარმოები ფორმები), ხოლო -ო-შემადგენლიანი კონფიქსი შეუზღუდავია ფუძეთა შერჩევის თვალსაზრისით: დაერთვის ყველა ხმოვანსა და თანხმოვანზე დასრულებულ ერთ-, ორ-, სამ- და მრავალმარცვლიან ქართული და უცხო წარმომავლობის სახელებს.

თავი III

სახელთა წარმოქმნა ქართული ენის დიალექტებში

წინასწარვე უნდა შევნიშნოთ, რომ ქართული ენის დიალექტებში მოქმედი სიტყვაწარმოებითი მოდელი სალიტერატურო ქართულთან მიმართებით არსებით სხვაობას არ გვიჩვენებს: აქ იგივე აფიქსები მოქმედებს (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ფონეტიკურ სახესხვაობას) და ძირითადად იმგვარივე შინაარსის სახელებს აწარმოებს, როგორც გავრცელებულია საერთო ქართულში. ამიტომ შევეცდებით ქვემოთ მხოლოდ ის თავისებურებები წარმოვადგინოთ, რაც ცალკეულ დიალექტს განასხვავებს სალიტერატურო ქართულის სიტყვაწარმოებითი მოდელისაგან.

ხემათურული

1. ქონების სახელები: მაწარმოებლად იგივე აფიქსებია გამოყენებული, რაც სალიტერატურო ქართულში. ყველაზე მოქმედი და გავრცელებულია -იან სუფიქსიანი წარმოება: შამნ-იან-ი (333, ა. ჰინჯ. ხევს.), გულღადრ-იან-ი (14, დიალ.), მანდლ-იან-ი (7, დიალ.), წყრულ-იან-სახეიფლ-იან-ი (383, ა. ჰინჯ., ხევს.)... -ოვან სუფიქსი მრავლად ქონებაზე მიუთითებს: ტყემლ-ოვან (386, ა. ჰინჯ., ხევს.), ცირცლ-ოვან-ი (315, ა. შან., ხევს. ლექს.), ნარ-ოვან-ი (63, ა. შან., ხევს. პოეზ.)... უფრო გავრცელებულია მისი ფონეტიკურად სახეცვლილი ვარიანტი -ოან: დედრ-ოან-ი (336,

ა. ჰინჰ., ხევს.), მამრ-თან (7, დიალ. — მამაკაცთა ჯგუფი, მამაკაცები, მამაკაცთა სქესისანი, 554, დიალ.), წუბრ-თან (391, ა. ჰინჰ., ხევს.). -ოგან → -თან → -ონ*. ფეხ-ონ-ი (434, 386, ა. ჰინჰ., ხევს; 39, ა. შან., ხევს. პოეზ.; 141, შ. ძიძ. ქრესტ.) ფეხ-ონ-ი (ხალხი რო ერთად შაიყრება თავიანთ სურვილით, დასხდებიან ერთს სადმე ალაგზე, გაბუური). ხახ-ონ-ი (384, ა. ჰინჰ., ხევს., ჯმლის ხახონისის ნამტკრევენი). დიდრ-ონ-ი (← დიდრ-თან 336, ა. ჰინჰ., ხევს.).

-ოსან სუფიქსით ნაწარმოები ველ-ოსან-ი (123, გაბუური, ქრესტ.) აღნიშნავს ხატის (ჯვარის) მსახურს (559, დიალ.). ამ შემთხვევაში -ოსან მოხელეობის მაჩვენებელია.

-იერ სუფიქსი, სალიტერატურო ქართულის მსგავსად, ორი ფუნქციით დასტურდება: ა) ქონების აღმნიშვნელია: -ხან-იერ-ი (344, ა. ჰინჰ. ხევს.), ნებ-იერ-ა-თ-ა-ს კურდღელას (394, ა. ჰინჰ., ხევს.) და ბ) წარმომავლობაზე მიუთითებს: შორ-იელ-ი (343, ა. ჰინჰ., ხევს.).

-ა: თეთრტარ-ა (338, ა. ჰინჰ., ხევს.), ხუთგულ-ა (349, ა. ჰინჰ. ხევს.).

2. უ ქ ო ნ ლ ო ბ ი ს ს ა ხ ე ლ ე ბ ი ძირითადი მაწარმოებელია უ-ო კონფიქსი: უ-ჭკ-ო (346, ა. ჰინჰ., ხევს.), უ-ერთ-ო (338, ა. ჰინჰ., ხევს.), უ-ქვ-ო, უ-სასმლ-ო, უ-ტაბლ-ო (332, ა. ჰინჰ., ხევს.)... იშვიათად სხვა მაწარმოებლებიც დასტურდება: უ-ურ: უ-კუდ-ურ-ა (387, ა. ჰინჰ., ხევს.), უ-: უ-ფერ-ი (301, ა. შან., ხევს. ლექს.)...

3. წ ა რ მ ო მ ა ვ ლ ო ბ ი ს ს ა ხ ე ლ ე ბ ი : ადამიანთა წარმომავლობის აღსანიშნავად ხევსურულს რამდენიმე აფიქსი მოეპოვება:

* ალ. ჰინჰარაული: -ონ ← (ვ)-ან? (გვ. 74).

ა) -იონ: შატილ-იონ-ი, არხოტ-იონ-ი, ამღ-იონ-ი, ჯარეგ-იონ-ი, ჭიმღ-იონ-ი, ჯვარ-იონ-ი (გაბუური)...

-იფან → -იფნ: არხოტ-იფნ-ებ-ი (31, ა. შან., ხევს. პოეზ.).

ბ) -ან (←-იან): ქერხოს-ან-ა-თ ქალ ხყვანი (363, ა. ჭინჭ., ხევს.), გიგოლ-ან რო ჩაი ვოცნეს (340, ა. ჭინჭ., ხევს.).

გ) -ელ: პირიქით-ელ-ი, სოფლ-ელ-ებ-ი (118, შ. ძიძ., ქრესტ.), გურო-ელ-ო, ბლო-ელ-ო (394, ა. ჭინჭ., ხევს.), გურო-ელ-ებ-ი (48, ა. შან., ხევს. პოეზ.).

დ) -ურ: „-ურ სუფიქსი ზოგჯერ -ელ-ს ცვლის და აღ-ამიანთა წარმომავლობაზე მიუთითებს“ (ა. ჭინჭარაული, 1960, 72): ცაბა-ურ-ი (145, შ. ძიძ., ქრესტ.), სხვაკნ-ურ-ი (384, ა. ჭინჭ., ხევს.), ლაშქარ-ჩიგ-ურ-ს ქისტს... მაუკლავ (364, ა. ჭინჭ., ხევს.), არხოტ-ულ- ვორწილში (118, შ. ძიძ., ქრესტ.). ამგვარადვეა ნაწარმოები სახელ-გვარებიც: ბურჩუ-კი — ბურჩუკური, არაბა — არაბული... (ა. ჭინჭარაული, 1960, 73)... „დედა გენაცვალოს, ბერდი-ულ-ო...“ (341, ა. ჭინჭ., ხევს.).

არაადამიანთა წარმომავლობის მაჩვენებლად ხევსურულში -ურ სუფიქსი იშვიათად იხმარება: მთ-ურ-ი ქარი (193, გაბ., შ. ძიძ., ქრესტ.), „ყანა შეიძლება იყოს მთ-ურ-ი ან ბარ-ულ-ი“ (195. ა. ჭინჭ., ხევს.).

-ურ სუფიქსი თვისების სახელთა მაწარმოებელიცაა: „მთიბლ-ურ ცელის ქნევაჩი არ იმღერების“ (341, ა. ჭინჭ., ხევს.), „ისეთ-ურ-ა არა გექნებოდათაევ“... (329, ა. ჭინჭ., ხევს.).

-ეულ სუფიქსი ხევსურულში ორი ფუნქციით გვხვდება:

ა) ბ ი რ თ ა გ ა ნ წ ა რ მ ო მ ა ვ ლ ო ბ ი ს აღმნიშვნელია (ნათ. ბრ. ფორმისაგან): ბურჩა-ს-ეულ-ი (395,

ა. ჰინჰ., ხევს.).

ბ) კ რ ე ბ ი თ ო ბ ი ს მაჩვენებელია: სამ-ეულ-ი (5, დიალ.).

ნარ-თანიანი მრავლობითის ფორმით მარტივ ფუძეზე დართული -ეულ სუფიქსი კრებითობა-წარმომავლობაზე მიუთითებს: წუხრ-ეულ-ა-ნ-ი (5, დიალ. - სალამოს ნადი, 559, დიალ.), ცოლ-ეულ-ნ-ი (14, დიალ.), ქმრ-ეულ-თ (414, ა. ჰინჰ., ხევს.), დედ-ულ-ნ-ი ← დედ-ეულ-ნ-ი (ა. შანიძე, 1973, 129).

წარმომავლობის ფუნქციისაა -ეულ „კეცეულ“ ფორმაში (6. დიალ.).

სოფლ-ეულ-ად კრებითობის აღმნიშვნელია: „გწყალობდასთ ყველას, სოფელს სოფლეულად“ (113. შ. ძიძ., ქრესტ.).

4. ა ბ ს ტ რ ა ქ ტ უ ლ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი : -ობა სუფიქსი ხევსურულში რამდენიმე ფუნქციის გამომხატველია:

ა) ა ბ ს ტ რ ა ქ ტ უ ლ ო ბ ი ს ა ხუც-ობა (118, შ. ძიძ., ქრესტ.).

ბ) დ რ ო ი ს ა ბნელ-ობ-ის ხანი (= ღამე, 121, შ. ძიძ., ქრესტ.).

გ) დ ა ნ ი შ ნ უ ლ ე ბ ი ს ა თაო(დ) წასულ შვილის ცოლობად ი ბებერ კაცი“ (330, ა. ჰინჰ., ხევს.), „ჩვენებ წავიდეს პურობადა და მარილობა(დ)“ (339, ა. ჰინჰ., ხევს.).

დ) კ რ ე ბ ი თ ო ბ ი ს ა „ბევრამ გაჟ-ობ-ის გულისად დღე დააღამა მზიანი“ (409, ა. ჰინჰ., ხევს.), „ეძახა მეზობლ-ობ-ასა“ (59, ა. ჰინჰ., ხევს.).

გ ა ნ ყ ე ნ ე ბ უ ლ ი შინაარსის გადმოსაცემად ხევსურულში სი-ე კონფიქსიცაა ხმარებული: სი-ოჯრ-ე (424, ა. ჰინჰ., ხევს.), სი-ობლ-ე (424, ა. ჰინჰ., ხევს.), სი-ბეჩაგ-ე (328, ა. ჰინჰ., ხევს.).

აფიქსთა მონაცვლეობის შემთხვევები:

-ება → -ობა: უ-ბედ-ურ-ობა (121, შ. ძიძ., ქრესტ.).

-ობა → სი-ე: სი-მარტო-ფ-ე (408, ა. ჰინჭ., ხევს. შდრ. მარტო-ო-ბა). სი-უჭკო-ფ-ე (23. ხევს. პოეზია, შდრ. უჭკუობა).

5. დ ა ნ ი შ ნ უ ლ ე ბ ი ს ს ა ხ ე ლ ე ბ ი : დანიშნულების სახელთა ჯგუფი ხევსურულში ყველაზე მრავალრიცხოვანია. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი სიჭარბე დარგობრივ ლექსიკაში. აფიქსებად, სალიტერატურო ქართულის მსგავსად, უმთავრესად გამოყენებულია სა-ო და სი-ე. აღნიშნავთ მხოლოდ აფიქსთა მონაცვლეობით გამოწვეულ თავისებურებებს:

სა-ო → სა-ე: სა-ზღ-ე (330, ა.ჰინჭ., ხევს.)

სა-ქმარ-ე (249, გაბუური).

სა-ო → სა-ელ: სა-მუშ-ე-ელ-ი (5. დიალ.).

სა- → სა-ე: სა-თიბ-ე (20, დიალ.).

სა- → სა-ო: სა-შიშ-ო (152, გაბუური).

დანიშნულების გამომხატველად იშვიათად სხვა აფიქსებიც გვხვდება:

სა-ურ: სა-კედ-ურ-ი (=საძუე, 24, დიალ.), სა-ქედ-ურ-ი (198, ა. ჰინჭ., ხევს.), სა-ვნა-ურ-ა (199, ა. ჰინჭ., ხევს.).

სა-: სა-ყურ-ი (16, დიალ.), სა-ფერ-ი (368, 407, ა. ჰინჭ., ხევს.), სა-ბიჯ-ი (406, ა. ჰინჭ., ხევს.), სა-ფურცლ-ი (345, ა. ჰინჭ., ხევს.), სა-მართ-ი (330, ა. ჰინჭ., ხევს.), სა-კვამ-ი (357, ა. ჰინჭ., ხევს.).

სა-არ: სა-ხუც-არ კოპობში (119, შ. ძიძ., ქრესტ.).

6. წ ი ნ ა ვ ი თ ა რ ე ბ ი ს ს ა ხ ე ლ ე ბ ი წინა ვითარების სახელები მხოლოდ ნა-ეგ და ნა-არ კონფიქსებით იწარმოება:

ნა—არ: „შამავეიარე როშკისასაო, როშკა ნაროშკლად მომეჩვენაო“ (434, ა. ჰინკ., ხევს.), ნა—ველ—არ—ი (435, ა. ჰინკ., ხევს.), ნა—ოვ—არ—ი (413, ა. ჰინკ., ხევს.).

ნა—ევ: ნა—ვმლ—ევ—ი (ლიალ.), ნა—მვრ—ევ—ი (427, ა. ჰინკ., ხევს.).

7. ხ ე ლ ო ბ ი ს ს ა ხ ე ლ ე ბ ი ძირითადი მაწარმოებელია მე—ე კონფიქსი: მე—ვბ—ე (183, შ. ძიძ., ქრესტ.), მე—არაყ—ე (128, გაბუური), მე—თოფ—ე (371, ა. ჰინკ. ხევს.), მე—ზარ—ე (ხატის მსახური, 354, ალ. ღლ., სიტყვის კონა), მე—სმინა—ე (151, გაბუური), მე—ცხენ—ჯორ—ე—თ—ა (356, ა. ჰინკ., ხევს.). მე—ე კონფიქსი მო—ეს ენაცვლება უმთავრესად: მე—სისხლ—ე (352, 370, ა. ჰინკ., ხევს.; 19, ღიალ.), მე—პირდაპირ—ე (125, გაბუური), მე—სახლ—ე (5, ღიალ.), მე—სადილ—ე (6, ღიალ.), მე—ნადირ—ე (343, ა. ჰინკ. ხევს.) // მო—ნადირ—ე (350, ა. ჰინკ., ხევს.).

მო—ე: მო—წაღმართ—ე ანგელოსი (120, შ. ძიძ., ქრეს.).

მე—ურ: მე—კომ—ურ—ი (33, ღიალ.) // მე—კვამ—ურ—ი (11, ღიალ.).

8. ხ ა რ ი ს ხ ი ს ს ა ხ ე ლ ე ბ ი ფერის აღმნიშვნელ სახელთაგან ოდნაობითი ხარისხის საწარმოებლად ხევსურულში გვხვდება —ონ სუფიქსი (ა. ჰინკარაული, 1960, 74): თეთრ—ონ—ა (შღრ.: მო—თეთრ—ო), —ლურჯ—ონ—ა, შა—ონ—ა (შავნა, 260, ა. ჰინკ., ხევს.).

9. კ ნ ი ნ ო ბ ი თ ს ა ხ ე ლ თ ა მაწარმოებლად ხევსურულს მრავალი სუფიქსი მოეპოვება. მათგან უმთავრესია —ა, რომელიც კნინობითობის აღმნიშვნელ სხვა აფიქსებსაც დაერთვის. „ეს კი იმას ნიშნავს, რომ სხვა სუფიქსებს დამოუკიდებლად ახლა კნინობითობის გამოხატვა აღარ შეუძლიათ“ (ა. ჰინკარაული, 1960, 81).

-ა: ქისტ-ა (353, ა. ჰინკ., ხევს.), ტყემალ-ა-ებ (359, ა. ჰინკ., ხევს.).

-იკ-ა: ყარწ-იკ-ა (358, ა. ჰინკ., ხევს.), ბოსელ-იკ-ა (342, ა. ჰინკ., ხევს.), მერცხალ-იკ-ა (340, ა. ჰინკ., ხევს.).

-უკ-ა: იდ-უკ-ა (370, ა. ჰინკ., ხევს.).

-იკ-უა*: ბეწ-იკ-უა (362, ა. ჰინკ., ხევს.).

-იკ-ან-ა: მიწლ-იკ-ან-ა (348, ა. ჰინკ., ხევს.).

-ურ-ა: ბაჭყურ-ა (355, ა. ჰინკ., ხევს.), ციც-ურ-ა-ები (358, ა. ჰინკ., ხევს.).

-ინ-ა: ცოტ-ინ-ა (419, ა. ჰინკ., ხევს.).

-უნ-ა: გაჟ-უნ-ა-თ (399, ა. ჰინკ., ხევს.).

-ია: ყანკ-ია (383, ა. ჰინკ., ხევს.), მექ-ია-ი-ს (360, ა. ჰინკ., ხევს.).

მონხური

1. ქონებიისსახელთა მაწარმოებელია იგივე -იერ → -იარ: ხნ-იარ-ი, მშრნ-იარ-ი (ო. ქაჯ., მონ.).

2. წარმომავლობისსახელები. ზმნიზედურ ფორმათაგან ნაწარმოებ სახელებში გარჩეულია ადამიანთა და არაადამიანთა სადაურობა: იქიგ-ელ-ი, სადავ-ელ-ი... სხვა სახელთაგან კი -ურ მაწარმოებლით ადამიანთა სადაურობაა აღნიშნული: ყაზბეგ-ურ-ი რძალი... (ო. ქაჯაია, 1954, 13).

კუთვნილება-წარმომავლობის სახელთათვის კვლავ ხმარებაშია საშუალი ქართულის ისტორიული დოკუმენტებიდან ცნობილი -ურ → -ულ: ყაზბეგ-ურ-ი ადგილები: (ივ. ქავთარაძე, 1949, 93).

* უა სუფიქტი უკ-ას გამარტივებით უნდა იყოს მიღებული (ფ. მაკალათია, 1957).

3. ა ბ ს ტ რ ა ქ ტ უ ლ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი -ობა კრებითობა-სიმრავლის აღმნიშვნელია: უფროს-ობა (37, დიალ.), თემ-ობა (35, დიალ.), ერ-ობა (40, დიალ.).

აბსტრაქტულობის, განყენებულობის აღსანიშნავად გავრცელებულია სი—ე კონფიქსით ნაწარმოები სახელები: სი-კაიკაც-ე, სი-ბიჭ-ე, სი—ერთგულ-ე (ივ. ჭავთარაძე, 1949, 93).

4. წ ი ნ ა ვ ი თ ა რ ე ბ ი ს ს ა ხ ე ლ თ ა საწარმოებლად ნა—ეგ, ნა—არ კონფიქსებთან ერთად ნა—ურ-იც ჩანს: ნა-მზრ-ულ-ი (29, დიალ.)...

5. ხელობის სახელები უმთავრესად მო—ე კონფიქსით იწარმოება: მო-წყლ-ე (მე-წყლ-ე), მო-ნახშირ-ე (მე-ნახშირ-ე), მო-მარნ-ე (მე-მარნ-ე) (ო. ჭაჭაია, 1954, 13).

6. ა დ გ ი ლ ი ს ს ა ხ ე ლ თ ა საწარმოებლად -ობ, -ო სუფიქსებიც გვხვდება: ყან-ობ-ი, ბეგ-ობ-ი, გვერდ-ო... (ალ. ლლონტი, სიტყვის კონა).

7. კნინობითი სახელები: -ა სუფიქსი დაერთვის საზოგადო არსებით სახელებს: ქალ-ა, ვაჟ-ა, ბიჭ-ა... რიცხვით სახელებს: ორ-ა-ნი, სამ-ან-ი... ნაცვალსახელებს: შენ-ა... (ო. ჭაჭაია, 1954, 13).

მთიულური

1. ქ ო ნ ე ბ ი ს ს ა ხ ე ლ ე ბ ი : აღსანიშნავია აფიქსთა ფონეტიკური სახეცვლილების შემთხვევები:

-იან → -ავარ: სახელ-ავარ-ი მელია (189, შ. ძიძ. ქრესტ.)

-ოვან → -ეევან: რძ-ეევან-ა (ერთგვგვარი მცენარე, რომლის ფოთლებიც რძის მაგვარი სითხეა, 227, ლ. კაიშ., მთიულ.).

-ოვან → -ავან: ჯორც-ავან-ა (ხორცის ქადა, 93, ლ. კაიშ., მთიულ.), ჯარ-ავან-ი (ხარების ჯოგი, 251, ლ. კაიშ., მთიულ.).

-იერ → -იარ: (არნ. ჩიქობავა, 1937, 50) მშ-იარ-ი (189, შ. ძიძ., ქრესტ.), ძრ-იალ-ი (→ძლ-იარ-ი, 131, შ. ძიძ., ქრესტ.), ძრ-იელ-ი (191, შ. ძიძ. ქრესტ.).

-ა სუფიქსით იწარმოება მსგავსების აღმნიშვნელი სახელები: „ძროხის სახელებია: დებილ-ა-მ, ნისლ-ა-მ, შველი-ა-მ, გრუზ-ა-მ, ტრედ-ა-მ, ქიშმიშ-ა-მ (56, ლ. კაიშ., მთიულ.).

-იან სუფიქსი, სალიტერატურო ქართულის მსგავსად, ზოგჯერ მცენარეთა კრებულს აღნიშნავს: ნარ-იან-ი (ადგილი, სადაც ბევრი ნარია, 222, ლ. კაიშ., მთიულ.).

-ოვან სუფიქსით ნაწარმოები გზ-ოვან-ი აღნიშნავს შორს მდებარე ყანას (98, ლ. კაიშ., მთიულ.).

2. წარმომავლობის სახელები: ადამიანთა წარმომავლობის აღსანიშნავად გამოყენებულია -ელ და -ან (←-იან) სუფიქსები. „სადაურობის სუფიქსები -ელ და -ურ გარჩეულია ადგილის აღმნიშვნელ ზმნისართებთანაც: სადაური - სადაველი, აქაური - აქაველი... აქაველი იხმარება ადამიანის მიმართ“ (არნ. ჩიქობავა, 1937, 51).

-ეულ ორი ფუნქციის გამომხატველია: ა) კრებითობისა: ველ-ეურ-ი (160, ლ. კაიშ., მთიულ.), რძ-ეულ-ი (რძის ნაწარმი, 226, ლ. კაიშ., მთიულ.), მჭლ-ეურ-ი (შესახვევი ბევრი ძნა, 220, ლ. კაიშ., მთიულ.) ბ) კრებითობა-წარმომავლობისა (ნარ-თანიანი მრავლობითის ფორმით): ცოლ-ეურ-თ-ა (156, ლ. კაიშ., მთიულ.), დედ-ულ-ეთ-ი (203, ლ. კაიშ., მთიულ.), დედ-ეულ-ნ-ი (ნათესავნი დედის მხრივ, 203, ლ. კაიშ., მთიულ.).

-იურ სუფიქსით ნაწარმოები გზ-იურ კონკრეტული შინაარსის შემცველია (=პირდაპირ გზიდან, შინ შეუსვლელად, 195, ლ. კაიშ. მთიულ.).

3. ა ბ ს ტ რ ა ქ ტ უ ლ ი ს ა ნ ე ლ ე ბ ი : -ობა მთიულურში ორი მნიშვნელობით იხმარება:

ა) აღნიშნავს დ რ ო ს , გარკვეულ საქმიანობასთან დაკავშირებულ პ ე რ ი ო დ ს (ლ. კაიშაური, 1967, 31): ყვირულ-ობა (ღვინობისთვის, 191, შ. ძიძ, ქრესტ.), თხილ-ობა (თხილის მოკრეფის დრო, ლ. კაიშ., მთიულ.), თი-ობა („სადა გვაციან თიობა გუაქუს, 31, ლ. კაიშ., მთიულ.);

ბ) კ რ ე ბ ი თ ო ბ ი ს გამოხატველია: „მანდეთკენა ბევრი სოფლობაა (=სოფლებია, 54, დიალ.), მეზობლ-ობა (30, ლ. კაიშ. მთიულ.), ადამ-იან-ობა (ქალები, დედაკაცობა, 266, დიალ.), საზრდ-ობა (57, დიალ.).

4. დანიშნულების სახელები: ხევსურულის მსგავსად, მთიულურშიც მრავალფეროვანია დანიშნულების სახელთა ჯგუფი:

სა—ო: სა-ჯარაგნ-ო (ხარის ჯოგის სადგომი, 230, ლ. კაიშ. მთიულ.), სა-ფრინა-ო (გადასახტომი, 569, დიალ.), სა-გათენებლ-ო (გათენების უბანი, 266, ლ. კაიშ., მთიულ.).

სა—ე: სა-მშრალ-ე (65, ლ. კაიშ. მთიულ.), სა-თოფ-სა-ხლმ-ე-ზე (203, შ. ძიძ, ქრესტ.).

სა—ურ: სა-რძე-ულ-ი (84, ლ. კაიშ., მთიულ.), სა-ვერ-ულ-ი (ხელთათმანი, 78, ლ. კაიშ., მთიულ.), სა-წვიმ-ურ-ი (82, ლ. კაიშ., მთიულ.), სა-ქედ-ურ-ი (100, ლ. კაიშ., მთიულ.), სა-ბარგ-ულ-ი (რაიმე ჭურჭელი ან ჭოვილისაგან შეკერილი პარკი საქმლის შესანახად, 226, ლ. კაიშ., მთიულ.), სა-რთა-ულ-ა* (კერაში შეკეთებული დიდი კუნძი, რომელიც ნელა იწვის, 228, ლ. კაიშ., მთიულ.).

* ამ ტიპის სახელებში-ა სუფიქსი მასუბსტანტივებელია.

სა-ძა-ურ-ი (სა-ძნ-ე) (230, ლ. კაიშ., მთიულ.) სა-წვი-ურ-ი (პაჭიჭი, უთაო წინდა, 230, ლ. კაიშ., მთიულ.).

სა-ე და სა-ურ აფიქსთა კონტამინაციით არის მიღებული: სა-თმე-ურ-ა (საქონლის ხორცში თეთრი, თმასავით ძარღვი, 227, ლ. კაიშ., მთიულ.), სა-ყუნწ-ურ-ე (მდინარის ნაპირზე აშენებული ქვითკირის კედელი, 229, ლ. კაიშ., მთიულ.).

სა-: სა-ფანდურ-ი (ბალახი, რომელსაც ჩონგურს ხშირად უბამენ, 229, ლ. კაიშ., მთიულ.), სა-ფუც-არ-ი (ხელთათმანი, 18, ლ. კაიშ. მთიულ.).

სა-ე // სა-არ: სა-ძე-ე/სა-ძე-არ-ი ← სა-ძვი-არ-ი (68, ლ. კაიშ., მთიულ.).

5. წინა ვითარების სახელები:

ნა-არ: ნა-ბერწ-ალ-ი (52, ლ. კაიშ., მთიულ.), ნა-ყოჩ-არ-ი (60, ლ. კაიშ., მთიულ.), ნა-წალ-არ-ი (წალა - დედალი თხა, 61, ლ. კაიშ., მთიულ.).

ნა-ეგ: ნა-ცხვრ-ეგ-ი (64, ლ. კაიშ., მთიულ.), ნა-მთ-ეგ-ი (მთაში ყოფნისას გასუქებული, 222, ლ. კაიშ., მთიულ.).

ნა-ურ: ნა-ბაგ-ურ-ი (ბაგაში დარჩენილი საქონლის ნაჭამი, 58, ლ. კაიშ., მთიულ.), ნა-ცეცხლ-ურ-ი (ნაცეცხლარი, 223, ლ. კაიშ., მთიულ.).

ნა-: ნა-ყელ-ნა-ბარკლ-ი (ცხვრის ფერდებისა და ბარკლების უხეირო მატყლი, 71, ლ. კაიშ., მთიულ.), ნა-კუდ-ი (გაცხრილვის შემდეგ ძირზე დარჩენილი ქუჭყი, 49, ლ. კაიშ., მთიულ.), ნა-წრია (ქრელი ნაქსოვის სახე, 81, ლ. კაიშ., მთიულ.), ნა-გულ-ა (საჩეჩლის კბილებში დარჩენილი უვარგისი მატყლი, 221, ლ. კაიშ., მთიულ.) ნა-დავლ-ი (რაიმე ნარჩენი, 221, ლ. კაიშ., მთიულ.), ნა-ფოლ-ი (გრძლად დახვეული მატყლი, 22, ლ. კაიშ., მთიულ.).

6. ხ ე ლ ო ბ ი ს ს ა ხ ე ლ ე ბ ი : საინტერესოა კონფიქსთა მონაცვლეობის შემთხვევები:

მე—ე → მო—ე: მო-ნახირ-ე (75, დიალ.).

მო—ე → მე—ე: მე-სამსახურ-ე (60, დიალ.).

მოხელეობის აღმნიშვნელად ორიოდვე შემთხვევაში მე—ურ-იც დასტურდება: მე-ძნა—ურ-ი (215, ლ. კაიშ., მთიულ.), მე-სა—ურ-ი (მე-სვე-ურ-ი, 104, ლ. კაიშ., მთიულ.).

7. ხ ა რ ი ს ხ ი ს ს ა ხ ე ლ ე ბ ი : ოდნაობითი ხარისხის ფორმა ნაწარმოებია წა—ო კონფიქსით: წა-წით-ო, წა-ცისფრ-ო (247, ლ. კაიშ., მთიულ.).

8. გეოგრაფიულ სახელთა საწარმოებლად გამოყენებულია სუფიქსები: სა—ეთ: სა-ძირ-ეთ-ი (57, ლ. კაიშ., მთიულ.)

-ობ: (→-ობ): ქვიშრ-ობ-ი (99, ლ. კაიშ., მთიულ.)
ჭა-ობ-ი (ჭაობი, 248, ლ. კაიშ., მთიულ.).

-ებ: ტაფ-ებ-ი (ვაკე ადგილი, 59, ლ. კაიშ., მთიულ.).

-ო: გვერდ-ო (დაცერავებული ადგილი, 195, ლ. კაიშ., მთიულ.), გრილ-ო (ჩრდილი, 195, ლ. კაიშ., მთიულ.).

9. კ ნ ი ნ ო ბ ი თ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი : საზოგადო სახელთაგან კნინობითობის საწარმოებლად მთიულურში ძირითადად -ა სუფიქსია გამოყენებული: ქალ-ა, მარხილ-ა (30, ლ. კაიშ., მთიულ.).

-ელ-ა: კეტ-ელ-ა (30, ლ. კაიშ., მთიულ.).

-აკ: ბეხრ-აკ-ი (71, ალ. ლლ., სიტყვის კონა).

-ალ: ფერდ-ალ-ი (შ. ძიძ., ქრესტ.).

-ულ-ა: კინტ-ულ-ა (კნუტი, 568, დიალ.), კოჭ-ულ-ა (104, ლ. კაიშ., მთიულ.)

-უკ-ა: დედ-უკ-ა (55, დიალ.)

-უჭ: ტყაბ-უჭ-ი (←ტყაფ-უჭ-ი, 90, ლ. კაიშ., მთიულ.)

-უნ-ა: ვაც-უნ-ა (61, ლ. კაიშ., მთიულ.) გუდ-უნ-ა (196, ლ. კაიშ., მთიულ.).

-უც-ა: ვარდ-უც-ა (საქმელი ბალახი, 205, ლ. კაიშ., მთიულ.).

-ოჭ-ინ-ა: კოკრ-ოჭ-ინ-ა (211, ლ. კაიშ., მთიულ.).

-უტ-ან-ა: ჭუჭრ-უტ-ან-ა (205, ლ. კაიშ., მთიულ.).

გუდამაყრული

1. წ ა რ მ ო მ ა ვ ლ ო ბ ი ს ს ა ხ ე ლ ე ბ ი გუდამაყრულში მთიულურის მსგავსად იწარმოება, ამიტომ ამ საკითხს აქ არ დავუბრუნდებით. დამატებით წარმოვადგენთ -ურ სუფიქსის ხმარების ერთ საინტერესო შემთხვევას: „როგორც დაბეჭდილი, ისრე ვწერდი რუსულსა, ველ-ურ-ად ვერა ვწერდი“ (81, დიალ.). აქ -ურ სუფიქსი მსგავსების აღმნიშვნელია.

საყურადღებოა აგრეთვე -ეულ სუფიქსის ფონეტიკური სახეცვლილების ნიმუში: -ეულ → -აურ: ველ-აურ-ი (84, დიალ.).

2. ა ბ ს ტ რ ა ქ ტ უ ლ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი სისტემატურად იწარმოება -ობა სუფიქსით: აგად-ობა (99, დიალ.), პატიოსნ-ობა (შდრ., პატიოსნ-ებ-ა, დიალ.), ჩოულ-ობა (შდრ.: ჩვეულ-ებ-ა, 92, დიალ.), სიამოვნ-ობა (84, დიალ.).

3. კ ნ ი ნ ო ბ ი თ ს ა ხ ე ლ თ ა საწარმოებლად გამოყენებულია -ა სუფიქსი, რომელიც დაერთვის:

ა) ადამიანის საკუთარ სახელებს: გოგი-ა, გიორგ-ა (82, დიალ.).

ბ) საზოგადო არსებით სახელებს: ქალ-ა, ძროხი-ა-ი, ფუტკარ-ა-ი, საპონ-ა-ი, სოლ-ა (81, დიალ.).

გ) რიცხვით სახელებს: ორ-ა-ნ-ი ვარ-ა-ნ-ი ჰყრია, ორ-ა-ნ-ი ცხორ-ა-ნ-ი ჰყავს (81, დიალ.).

თუშური

1. ქონების სახელები: -ოვან → -ოან სუფიქსი
ორი მნიშვნელობით იხმარება თუშურში:

ა) კრებითობისა: ვარ-ოან-ი (114, დიალ.), ძროხა-
ვარ-ოვან-ი (91, თ. უთურგ., თუშ.), ჯივრ-ოან-ი (ჩიხვთა ჯოგი,
101, თ. უთურგ., თუშ.), ცხენ-ცხენიან-ვარ-ოვან-ი (150,
თ. უთურგ., თუშ.), ვერხ-ოან-ი (სოფელია გომეწარში, 194, პ.
ხუბ., თუშ.);

ბ) ქონებისა: გულ-იან-ი (გულადი, 86, პ. ხუბ., თუშ.),
სახელ-ოან-ი (145, პ. ხუბ., თუშ.), წყარ-ოან-ა-მ (200, პ.
ხუბ., თუშ.). დიფთონგიზაციით: -ოვან → -ოან → -ან (შ.
ძიძიგური, 1973, 43), გემ-უან-ი (83, პ. ხუბ., თუშ.).

2. უქონლობის სახელები უ-თ:
უ-გერგილ-ო-მ (151, პ. ხუბ., თუშ.), უ-ერთ-ო-მ (152, პ.
ხუბ., თუშ.), უ-ინჩიმ-ო (უვიცი), უ-მამისახლ-ო (162, პ. ხუბ.,
თუშ.), უ-სავლ-ო თექაყი (უსახელოებო თექა, 153, პ. ხუბ.,
თუშ.)... უ-ო მაწარმოებლიან სახელს ზოგჯერ მაზედსარ-
თავებელი -ა(ყ) (გ. ცოცანიძე, 1958) მაწარმოებელი დაერთვის,
რომელიც იწვევს წინამავალი -ო სუფიქსის დავიწროებას (შ.
ძიძიგური, 1946, 114): უ-თოფ-უ-აყ-ი (114, დიალ.),
უ-შვილ-უ-აყ-ი, უ-ებრ-უ-აყ-ი, უ-შაქრ-უ-აყ-ი,
უ-ცოლ-უ-აყ-ი (153, პ. ხუბ., თუშ.)...

მაგრამ: უ-ბრალ-ო-აყ-ი (უბრალო, მდარე, 151, პ. ხუბ.,
თუშ.).

უ-ურ: უ-კად-ურ-ი (უკადრისი, 100, 212, თ. უთურგ.,
თუშ.)

უ-: უ-გონ-აყ-ი (151, პ. ხუბ., თუშ.), უ-რიდ-ი (177, თ.
უთურგ., თუშ.).

3. წარმომავლობის სახელები: ადამიანთა წარმომავლობის გამოსახატავად თუშურში რამდენიმე სუფიქსი გვხვდება:

-ელ: ხახაბუ-ელ-ი (88, თ. უთურგ., თუშ.), ბოჭორნ-ელ-ი (117, დიალ.), ხულანტ-ელ-ებ (109, დიალ.), ფარსმან-ელ-თ (108, დიალ.)

-ურ: ოსურ-ა-ულ-ი ვაჟი (169, თ. უთურგ., თუშ.), დიდ-ურ-აჟ ქალი (95, პ. ხუბ., თუშ.), სიდა-ურ-ი (210, თ. უთურგ., თუშ.).

-იან → -უან: კახ-უან-თ (120, დიალ.).

-იან → -ან: აფშინა-ან-თ (145, თ. უთურგ., თუშ.), კორ-იან-თ (119, დიალ.).

-იერ → -იელ: გურ-იელ-ი (გურული, 86, პ. ხუბ., თუშ.).

-ურ სუფიქსი არაადამიანთა სადაურობასაც აღნიშნავს: თუშ-ურ-ი მთები (143, თ. უთურგ., თუშ.), -კახ-ურ-აჟ პური (თორნეული, 94, პ. ხუბ., თუშ.).

4. აბსტრაქტული სახელები: სალიტერატურო ქართულის მსგავსად, -ობა სუფიქსი თუშურშიც მრავალფუნქციურია:

ა) განყენებულის შინაარსისაა: კახეთ-ობა-მ (1. კახეთში ყოფნა, ბარად ცხოვრება; 2. მთიდან ბარში ჩამოსვლა, სიარული, 201, თ. უთურგ., თუშ.), ველ-ობა-მ (საომრად წასვლა, 225, აღ. ღლ., სიტყვის კონა)...

ბ) დროის აღმნიშვნელია: ყვირილ-ობა (214, თ. უთურგ., თუშ.), შიშიან-ობა, მტრიან-ობა (113, დიალ.), წელწდ-ობა-მ (ახალი წელი, 109, დიალ.).

გ) ადგილზე მიუთითებს: ჩამოვ ძირ-ობა-ზედა (=ძირს, 143, თ. უთურგ., თუშ.).

დ) კ რ ე ბ ი თ ო ბ ი ს ფუნქციისაა: ძროხ-ობა (ძროხების ჯოგი, 6, პ. ხუბ., თუშ.).

-ობა სუფიქსის ნაცვლად აბსტრაქტულობის გამოსახატავად სი—ე კონფიქსიც გვხვდება: სი-კოჭლ-ე (179, თ. უთურგ., თუშ.), სი-მარვ-ე-ი (ბოროტება, 147, პ. ხუბ.).

5. დ ა ნ ი შ ნ უ ლ ე ბ ი ს ს ა ხ ე ლ ე ბ ი : ხევსურულსა და მთიულურის მსგავსად, თუშურშიც მრავალფეროვანია დანიშნულების სახელთა წარმოება. წარმოვადგენთ თავისებურად ნაწარმოებ ფორმებს:

სა—ო: სა-ვე-ო (ხევის დღეობა, 156, თ. უთურგ., თუშ.), სა-გათენებლ-ო-დ (გათენების ხანს, 148, თ. უთურგ., თუშ.)

სა—ე: სა-ვარ-ოვნ-ე (145, პ. ხუბ., თუშ.).

სა—ურ: სა-ვნა—ურ-ი (სახნავი მიწა, 145, პ. ხუბ., თუშ.), სა-ყუნწ-ურ-ი (კარებზე აშვერილი ბოლოები, რომლებიც შედის კარის ზღურბლზე საგანგებოდ ამოჭრილში და კარები ტრიალებს, 143, პ. ხუბ., თუშ.).

სა—არ: სა-თოფ-არ-ი (=სა-თოფ-ურ-ი, 136, პ. ხუბ., თუშ.), სა-ნიჭ-არ-ი (ახლო ნათესავის დახმარება... დაზარალებული ოჯახისადმი, 140, პ. ხუბ., თუშ.), ნაწარმოებია სა-ჩუქ-არ-ის ანალოგიით.

სა—: სა-ქონ-ი (საქონელი, 142, პ. ხუბ. თუშ.).

6. წ ი ნ ა ვ ი თ ა რ ე ბ ი ს სახელთა ჯგუფში აღსანიშნავია ნა—ურ და ნა- აფიქსით ნაწარმოები რამდენიმე სახელი: ნა-თა-ურ-აგ-ი (ლუდი, 126, პ. ხუბ., თუშ.), ნა-ბუერ-ი (ბუერა, პ. ხუბ., თუშ.), ნა-კუდ-ი (ხორბლის, სვილის, სიმინდის ნარჩევი, პ. ხუბ., თუშ.)

7. ხ ე ლ ო ბ ი ს ს ა ხ ე ლ ე ბ ი : მე—ჯ მე-პურწყლ-ე-ი (საქმლის მომტანი, 204, თ. უთურგ., თუშ.), მე-საწველაგ-ე (მეწველი ძროხის მწყემსი, 118, პ. ხუბ., თუშ.), მე-ვურვგ-ე-ი

(კარდაკარ მოხეტიალე, 204, თ. უთურგ. თუმ, 119, პ. ხუბ., თუმ).

მე—ურ: მე—კლდე—ურ—აყ—ი (კლდეებში კარგად მოსიარულე საქონელი, 117, პ. ხუბ., თუმ.), მე—ტვირთ—ულ—ი, მრ. რ.: მე—ტვირთ—ულ—ები (ტვირთის ზიდვაში შეწვევნილი ნადი, 118, პ. ხუბ., თუმ.), მე—ფიცრ—ულ—ნი (ფიცრების შემოტანაში შეწვევნილი ნადი, 118, პ. ხუბ., თუმ.).

8. გ ე ო გ რ ა ფ ი უ ლ ს ა ხ ე ლ თ ა საწარმოებლად ხშირად არის გამოყენებული სუფიქსები -ეთ და -ო: დიდო—ეთ—ი, ქისტ—ეთ—ი, სულ—ეთ—ი (138, თ. უთურგ., თუმ.), ქაჯუ—ეთ—ი (158, პ. ხუბ., თუმ.)— დართლ—ო (75, თ. უთურგ., თუმ.), ხახაბ—ო (86, თ. უთურგ., თუმ.), ხის—ო, ბის—ო (96, თ. უთურგ., თუმ.), ტერელ—ო (141, თ. უთურგ., თუმ.), ბორბალ—ო (143, თ. უთურგ., თუმ.)...

სა—ო მაწარმოებელი ზოგჯერ -ეთ სუფიქსის მონაცვლეა: სა—თუმ—ო (151, თ. უთურგ., თუმ.).

9. კ ნ ი ნ ო ბ ი თ ს ა ხ ე ლ თ ა ძირითადი მაწარმოებელია -ა სუფიქსი, რომელსაც ხმოვანთგამყარი -ყ მოსდევს უთუოდ: -კვიც—აყ—ნი, ქალ—აყ—ნი (თ. უთურგაიძე, 1966, 34; თ. უთურგაიძე, 1965). „ყ ყველაზე მეტად გავრცელებულია კნინობითი -ა სუფიქსის მქონე სახელებთან“ (თ. უთურგაიძე, 1960, 14): ბილიკ—აყ—ი (73, პ. ხუბ., თუმ.), ბიჭ—აყ—ი (73, პ. ხუბ., თუმ.), გოზდ—აყ—ი (გვოზდი, 85, პ. ხუბ., თუმ.), თოხლ—აყ—ი (105, პ. ხუბ., თუმ.)...

-აღ—აყ: კუდ—აღ—აყ—ი (კუდმოკლე, 111, პ. ხუბ., თუმ.), გვერდ—აღ—აყ—ი (83, პ. ხუბ., თუმ.)...

-აღ—აყ: გორ—აღ—აყ—ი (85, პ. ხუბ., თუმ.)...

-უც—აყ: გუდ—უც—აყ—ი (85, პ. ხუბ., თუმ.)...

-უნ—აყ: ვაც—უნ—აყ—ი // ვაც—უნ—ი (98, პ. ხუბ., თუმ.),

ცოტ—უნ—აყ // ცეტ—უნ—აყ (23, 217, თ. უთურგ., თუმ.)...

-ურ-აც: თენგ-ურ-აც-ი (105, პ. ხუბ., თუშ.)...

-უკ-ამ: გეჯ-უკ-ამ (83, პ. ხუბ., თუშ.)...

-იკ-ო: მელ-იკ-ო (118, პ. ხუბ., თუშ.)...

10. ზომა-ოდენობის სახელთაგან აღსანიშნავია -ოდე ნაწილაკის სახეცვლილი ფორმებით ნაწარმოები: ა) ჯაროდ აღარ ჩინდისავ (110, დიალ.), სვი-ოდ/სვი-ოდე-ოდ (მთლიანად, სრულიად, 49, 210, თ. უთურგ, თუშ.), ერთხუთა-ოდე (ერთი ხუთიოდე, 97, პ. ხუბ., თუშ.), აგრეთვე: -ხელ → -ხენ: ცერთ-ხელ (588, დიალ.).

ფშაური

1. ქონების სახელები: -ოგან სუფიქსით ნაწარმოები ხარ-ოგან-ი, თუშურისა და მთიულურის მსგავსად, კრებითობის ფუნქციისაა.

2. აბსტრაქტულ სახელთა მაწარმოებელი -ობა სუფიქსის იმრავლე-კრებითობის აღმნიშვნელია: ინგ-ობა, ბატ-ობა, გოჭ-ობა (ა. ჰინჭ. ლექსიკ.).

3. დანიშნულეების სახელთაგან აღსანიშნავია სა-ურ კონფიქსით ნაწარმოები რამდენიმე სახელი: სა-ცერ-ულ-ი (ცერზე წამოსაცემელი რკინის რგოლი, ჩხუბში საცემი იარაღი, ა. ჰინჭ., ლექსიკ.), სა-გვერდ-ულ-ი (593, დიალ.), აგრეთვე სა-ე, სა-არ და სა- აფიქსიანი სახელები: სა-სქლ-ე (მატყლის უხეში ნართი, ძაფი... ტომრისა და მისთ. მოსაქსოვად, 594, დიალ.), სა-ტრ-ე (სატარე, 594, დიალ.), სა-ძნ-ო-ვ-არ-ი (კალო და მის გარშემო შემოღობილი ადგილები მთლიანად, 594, დიალ.), სა-ველ-ი (სახელო, 594, დიალ.).

4. წინავითარების სახელები: ნა-ურ: ნა-ცნა-ურ-ი (139, დიალ. = ნაცნობი), ნა-თაგ-ურ-ი, ნა-მეტ-ურ-ი (ა. ჰინჭ., ლექსიკ.).

ნა-: ნა-ბუერ-ი, ნა-ფლატ-ი, ნა-ტოტნ-ი (ა. ჰინჭ., ხევს.).

5. ხ ე ლ ო ბ ი ს ს ა ხ ე ლ ე ბ ი : ხევსურული დიალექტის მსგავსად, ძირითადად გაბატონებულია მე—ე კონფიქსიანი წარმოება: მე-ხაროვნ-ე (ხარების ჯოგის მწყემსი), მე-ავთვალ-ე (ავთვალი), მე-დუმლ-ე (ძალი, რომელიც ჩუმად მიპარვით კბენს ადამიანს), მე-მთ-ე (გაზაფხულზე მთაში საიალადოდ არეკილი ცხვარ-ძროხის მომვლელი, ა. ჰინჭ., ხევს.).

მე—ურ: მე-კაც-ურ-ი (კაცის მტერი; შხამიანი გველი, ი. ჰეშიკ., აღ. ლლ., სიტყვის კონა).

6. ა დ გ ი ლ ი ს აღმნიშვნელ სახელთაგან საინტერესოა -თბ და -თ სუფიქსიანი ფორმები: მლაშ-თბ-ი (მეყვე ან მლაშე წყალი), პრიალ-თ (ტრიალი, გაშლილი მინდორი), ჩრდილ-თ, ღელ-თ (ღელე, ვიწრო, ჩავარდნილი ადგილი, ა. ჰინჭ. ლექსიკ.), ბარდ-თ (გაუვალი, ეკლიანი ჯაგი).

7. ხ ა რ ი ს ხ ი ს ს ა ხ ე ლ თ ა გ ა ნ ყურადღებას იქცევს ხევსურულის მსგავსი წარმოება ო დ ნ ა ო ბ ი თ ი ხარისხის ფორმებისა -ონ სუფიქსით: ღეგ-ონ-ი (რაც ღეგა ფერს დაიკრავს, ა. ჰინჭ., ლექსიკ.) და შედარებითი ხარისხის სი—თ კონფიქსიანი ფორმა: სი-დიდ-თ (ა. ჰინჭ., ლესიკ.).

8. კ ნ ი ნ ო ბ ი თ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი ძირითადად -ა სუფიქსით იწარმოება: ა) ს ა კ უ თ ა რ ი სახელები მარიამ-ა-ი (დიალ.), ბეწინი-ა (138, დიალ.); ბ) ს ა ზ ო გ ა დ ო სახელები: ბეჩაგ-ა (136, დიალ.), ბაწარ-ა-ნ-ი (138, დიალ.). იშვიათად გამოყენებულია კნინობითობის სხვა სუფიქსებიც:

-ურ-ა: თას-ურ-ა (კნ. თასი), ჭაკ-ურ-ა (ა. ჰინჭ., ლექსიკ.).

-აღ: გვერდ-აღ-ი (135, დიალ.).

-აღ-ა: კოპ-აღ-ა (141, დიალ.).

-უხ: კინჭ-უხ-ი (მთის კლდოვანი წვერი, ალ. ლლ., სიტყვის კონა).

-უჭ-ან-ა: პარკ-უჭ-ან-ა (ა. ჰინჭ., ლექსიკ.).

-უკ-ა: სარ-უკ-ა (ა. ჰინჭ., ფშ. ლექს.).

9. მ ს გ ა ვ ს ე ბ ი ს , ჯ ე რ თ ბ ი ს ა და ზ ო მ ა -
ო დ ე ნ ო ბ ი ს აღმნიშვნელად გამოყენებულა:

-ფერ-ი: ცეცხლ-ის-ფერ-ი, დვილ-ის-ფერ-ი (დიალ. 130).

-ჯერ → -ჯელ: ორ-ჯელ (129, დიალ.).

-ტოლა: ამო-ტოლა (ალ. ლლ., სიტყვის კონა).

კახური

1. ქ ო ნ ე ბ ი ს ს ა ხ ე ლ ე ბ ი : -იერ სუფიქსი, მთის კილოების მსგავსად (ა. შანიძე, 1957, 18), ზოგჯერ იარ-ის სახით წარმოგვიდგება: ბედნ-იარ-ი, მშვეენ-იარ-ი (193, დიალ.), სურ-იალ-ი, ყველ-იარ-ი (64, ა. მარტ., გრ. იმნ., კახ.).

-იან სუფიქსით არის წარმოდგენილი სახელი იმ შემთხვევაში, სადაც მისი გამოვლენის საფუძველი არ არსებობს: მყუდრო-იან-ი დღე (153, ა. მარტ., გრ. იმნ., კახ.).

-ოსან: ჭოპ-ოსან-ი (შ. ძიძ., ქრესტ.).

2. წ ა რ მ ო მ ა ვ ლ ო ბ ი ს ს ა ხ ე ლ ე ბ ი : აღამანთა წარმომავლობის აღსანიშნავად გამოყენებულია სუფიქსები -ურ და -იან.

-ურ: თელა-ურ-ი ქალი (179, დიალ., იხ. არნ. ჩიქობავა, 1925, 77), ჩუმლაყ-ურ-ებ-ი (179, დიალ.), გაღმა-ურ-ი ქალები (58, შ. ძიძ., ქრესტ.), ენისელ-ურ-ი, გრემ-ულ-ი და შილდ-ურ-ი ხალხი (63, ა. მარტ., გრ. იმნ., კახ.).

-იან → -ან: ნეფ-იან-ი (59, ა. მარტ., გრ. იმნ., კახ.),
ოდეკა-ან-თ-ი (48, შ. ძიძ., ქრესტ.), მირიანა-ან-თ (58, შ. ძიძ.,
ქრესტ.).

3. ა ბ ს ტ რ ა ქ ტ უ ლ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი : -ება სუფიქსის
ნაცვლად გამოყენებულია -ობა: გემოვნ-ობა (8, ა. მარტ.,
გრ. იმნ., კახ.), წლოვან-ობა (26, ა. მარტ., გრ. იმნ., კახ.)...
ეგვევე სუფიქსი გამოვლენილია მოსალოდნელი სი-ე კონფიქ-
სის ნაცვლად: იოლ-ობა (59, ა. მარტ., გრ. იმნ., კახ.).

-ობა კრებითობასაც აღნიშნავს: „დედაჩემმა დაუძახა
მეზობლ-ობა-ს“ (62, ა. მარტ., გრ. იმნ., კახ.), „შილდი
ბიჭ-ობა შაყრილიყო“ (10, ა. მარტ., გრ. იმნ., კახ.), „მოცად
საქონელს ვეძახით ფურ-ობა-ს“ (10, ა. მარტ., გრ. იმნ., კახ.).

სი-ე კონფიქსითაა ნაწარმოები: სი-შხამ-ე (191, დიალ.),
სი-მტყუნ-ე, სი-ნაკლულ-ე (115, ა. მარტ., გრ. იმნ., კახ.).
ამავე კონფიქსის ნაცვლად ზოგჯერ მხოლოდ პრეფიქსით
არის გადმოცემული განყენებული შინაარსის აღმნიშვნელი
სახელი: სი-ხიმს-ი (სიმსუქნე, 182, ა. მარტ., გრ. იმნ., კახ.), ან
სი-ო ← (სი-ე). (არ. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი, 1956,
115). კონფიქსიან სხვა სახელთა ანალოგიით ნაწარმოებია:
სი-გან-ო (85, დიალ.), სი-მაღლ-ო (115, ა. მარტ., გრ. იმნ., კახ.).

4. დ ა ნ ი შ ნ უ ლ ე ბ ი ს ს ა ხ ე ლ ე ბ ი :

სა-ო: სა-თვალი-ო (კარგი შესახედაობისა, 179, დიალ.),
სა-ნადირ-უ-ებ-ი (202, დიალ.), „ერთი ისევ სა-ქორწილ-უ-ა
ახლა“* (17, ა. მარტ., გრ. იმნ., კახ.), სა-მხსნილ-ო (17, ა.
მარტ., გრ. იმნ., კახ.).

სა-ე: სა-ჩაღ-ე (ჩალის წასადები ურემი, 20; 182, ა.
მარტ., გრ. იმნ., კახ.), სა-მაღდ-ე (ხარის ურემში შებმისას

* მომდევნო მორფემისეული ე და ა ხმოვნების ზემოქმედების გამო დავიწროვ-
და -ო სუფიქსი.

ტაბიკების საბმური, 53; 182, ა. მარტ., გრ. იმნ., კახ.).

აღსანიშნავია აფიქსთა მონაცვლეობის რამდენიმე შემთხვევა: სა—ე → სა—ო: სა—ქათმ—ო (61, შ. ძიძ., ქრესტ.)

სა—ე → სა—ურ: სა—ძნ—ურ—ი (საძნე, 59, ა. მარტ., გრ. იმნ., კახ.).

5. ხ ე ლ ო ბ ი ს ს ა ხ ე ლ თ ა საწარმოებლად კახურში იგივე კონფიქსებია გამოყენებული, რაც სალიტერატურო ქართულში. აღვნიშნავთ მხოლოდ განსხვავებული წარმოების სახელებს:

მე—ურ: მე—კუდ—ურ—ი (მკის დროს ბოლოს მომდევნო მუშა, 38; 180, არ. მარტ., გრ. იმნ., კახ.).

მე—ე: მე—ნარიყ—ე (ნარიყი შეშის შემგროვებელი, 80, 180, ა. მარტ., გრ. იმნ., კახ.), მე—ჯვრ—ე (190, დიალ.).

მო—ე: მუ—ახლ—ე (197, დიალ.)*.

6. წ ი ნ ა ვ ი თ ა რ ე ბ ი ს სახელებში აღსანიშნავია ნა—ობ კონფიქსის გამოვლენის ფაქტები: ნა—მამ—ობ—ი, ნა—დედ—ობ—ი, აგრეთვე ძველი ქართულისებურად ნაწარმოები წილადი რიცხვითი სახელები: ნა—ოთხ—ალ—ი, ნა—სამ—ედ—ი... (არნ. ჩიქობავა, 1925, 77).

7. ხ ა რ ი ს ხ ი ს ს ა ხ ე ლ თ ა წარმოებაში აღსანიშნავია ო დ ნ ა ო ბ ი თ ი ხარისხის ფორმები: წა—წითლ—ო (116, ა. მარტ., გრ. იმნ., კახ.), მო—სხ—ო (170, ა. მარტ., გრ. იმნ., კახ.).

8. ზ ო მ ა - ო დ ე ნ ო ბ ი ს ს ა ხ ე ლ თ ა საწარმოებლად გამოყენებულია ტოლა: ამო—ტოლ—ა, იმო—ტენა (63, დიალ.).

9. თ ვ ი ს ე ბ ი ს აღმნიშვნელი ჩანს —ო სუფიქსი ქვემოჩამოთვლილ სახელებში: ყაბყატ—ო (თხილის ჯოხის ანატკეცი, 184, ა. მარტ., გრ. იმნ., კახ.), ყარა—ო (ცხენის

* ფუძისეულ ა ხმოვანთან შეხვედრამ პრეფიქსის ო ხმოვანი დაავიწროვა.

ავადმყოფობა, 189, ა. მარტ., გრ. იმნ., კახ.)...

10. კნინობითი სახელები ძალიან გავრცელებულია კახურში. მაწარმოებლად, როგორც მოსალოდნელი იყო, უმთავრესია -ა სუფიქსი, რომელიც გვხვდება:

ა) საკუთარ სახელებში: ნიკ-ა, განო-ა (←გან-უა)...

ბ) საზოგადო სახელებში: ბოთლ-ა, ასკილ-ა... (არ. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი, 1956, 116-117).

დადასტურებულია სხვა სუფიქსებიც:

-იყ-ა: პოლორჭ-იყ-ა (გადატ. მატრაკვეცა, 181, ა. მარტ., გრ. იმნ., კახ.).

-უც-ა: ტარაბ-უც-ა (183, ა. მარტ., გრ. იმნ., კახ.).

-ექ-ელ-ა: ქერქექ-ელ-ა (51, ა. მარტ., გრ. იმნ., კახ.).

-უჭ: ფაფ-უჭ-ი (183, ა. მარტ., გრ. იმნ., კახ.).

-უჭ-ა: ძროხ-უჭ-ა-ობა (66, ა. მარტ., გრ. იმნ., კახ.).

-ოხ: კორწ-ოხ-ი (179, ა. მარტ., გრ. იმნ., კახ., ციცაბო, კორტოხი).

-აჭ-ელ-ა: ფაფხ-აჭ-ელ-ა (183, ა. მარტ., გრ. იმნ., კახ.).

ქიზიყური

1. წ ა რ მ მ ა ვ ლ ო ბ ი ს სა ხ ე ლ ე ბ ი: ადამიანთა წარმომავლობა -იან/-ან სუფიქსით გადმოიცემა: ლუარსაბი-ა-ან-თ-ა (221, დიალ.), ღვინია-ან-ეფ-თან (221, დიალ.), სიდედრ-იან-თ-ა (23; 74, შ. ძიძ., ქრესტ.), მელა-ან-ი (221, დიალ.), სამშობლო-ან-თ-ე (74, შ. ძიძ., ქრესტ.)...

-ეულ სუფიქსი კ რ ე ბ ი თ ო ბ ი ს აღმნიშვნელია: მუჭ-ეულ-ი (ს. მენთეშ., ქიზიყ.), ხელ-ეურ-ი (214, დიალ.)...

2. ა ბ ს ტ რ ა ქ ტ უ ლ ი სა ხ ე ლ ე ბ ი: -ობა სუფიქსის ნაცვლად განყენებული შინაარსის გადმოსაცემად ქიზიყურში გამოყენებულია სი-ე კონფიქსი: სი-ალაღმართლ-ე (73, შ.

ძიძ., ქრესტ.).

-ობა კ რ ე ბ ი თ ო ბ ა ს ა ც აღნიშნავს: კამერ-ობა (კრებ. კამერის ნახირი, სტ. მენტემუ., ქიზიყ.).

3. ხ ე ლ ო ბ ი ს ს ა ხ ე ლ ე ბ ი მე—ე და მე—ურ აფიქსთა კონტამინაციით არის მიღებული ქვემოჩამოთვლილი სახელები: მე-სვე-ურ-ი, მე-წყლ-ე-ურ-ე (სტ. მენტემუ., ქიზიყ.), ეს უკანასკნელი კი სამმაგად წარმოქმნილია: მე-წყლ-ე → მე-წყლ-ე-ურ-ი → მე-წყლ-ე-ურ-ე.

4. წ ი ნ ა ვ ი თ ა რ ე ბ ი ს სახელთა ჯგუფში აღსანიშნავია ოდენპრეფიქსული ფორმები: ნა-ნათ-ი (221, დიალ.), ნა-გულ-ი (220, დიალ.), ნა-ხვინაკ-ი (ლექი, 608, დიალ.), აგრეთვე, ნა—ურ და ნა-ობ კონფიქსიანი სახელები: ნა-ფას-ურ-ი (217, დიალ.), ნა-შვილ-ობ-ი (608, დიალ.), ნა-ჭი-ობ-ი (ყაჭი, რაც გამოვა აბრეშუმის ჭიის პარკის ამოხვევის შემდეგ, სტ. მენტემუ., ქიზიყ.).

5. კ ნ ი ნ ო ბ ი თ ს ა ხ ე ლ თ ა ჯგუფში რამდენიმე სხვადასხვა წარმომავლობის აფიქსი დასტურდება:

-იკ-ან-ა: ტიტლ-იკ-ან-ა (221, დიალ.).

-უტ-ან-ა: წუწრ-უტ-ან-ა (221, დიალ.).

-აკ-უნ-ა: ღატლ-აკ-უნ-ა (221, დიალ.).

-უტ: კინჭ-უტ-ი (სტ. მენტემუ., ქიზიყ.), ცაცრაბ-უტ-ა (სტ. მენტემუ., ქიზიყ.).

-უც: ბრუც-უც-ა (სტ. მენტემუ., ქიზიყ.).

-უჭ-ან-ა: კურ-უჭ-ან-ა (სტ. მენტემუ., ქიზიყ.).

-აჭ-უა: ბაბ-აჭ-უ-ა (სტ. მენტემუ., ქიზიყ.).

-ოტ: კინჭ-ოტ-ი (სტ. მენტემუ., ქიზიყ.).

-უც-ან-ა: გუდრ-უც-ან-ა (სტ. მენტემუ., ქიზიყ.).

-აკ: მუწ-აკ-ი (სტ. მენტემუ., ქიზიყ.).

-იჭ-ან-ა: დიღლ-იჭ-ან-ა (ტიტლიკანა, სტ. მენტემუ.,

ქიზიყ.).

-უჭ: ტყაბ-უჭ-ი (ტყავის ჩასაცმელი, სტ. მენტეშ., ქიზიყ.).

ინგილოური

1. ქონების სახელები: მქონებლობის აღსანიშნავად ინგილოურში ყველაზე აქტიურ მაწარმოებლად -იან და -ოვან გვხვდება:

-იან: დოვლათ-იან-ი (250, დიალ.), ბახტ-იან-ი (243, დიალ.).

-ოვან: ყარაულ-ოვან-ი (236, დიალ.), ნათლი-ოვან // ნათლი-უან (168, გრ. იმნ., ინგილ.), სამარ-ოვან-ი (170, გრ. იმნ., ინგილ.)... -ოვან → -უან//-ვან: დიდრ-ვან, დუდრ-უან (82, შ. ძიძ., ქრესტ.)...

-იერ → ი-არ: ცარ-იალ-ი (234, დიალ.).

2. წარმომავლობის სახელები: აღამიანთა წარმომავლობის გამოსახატავად ინგილოურში, სხვა აღმოსავლურ კილოთა მსგავსად, -იან (→-ან) და -იონ (→-ონ) სუფიქსები გამოიყენება: ქალის-იან-ი (=ქალისაგან, შ. ძიძ., 79), აზიზხან-ა-ან-თ-ა (78, შ. ძიძ., ქრესტ.), ყულო-ონ-ი (77, შ. ძიძ., ქრესტ.)...

3. აბსტრაქტულ სახელთა -ობა სუფიქსი -ოვა სახითაა წარმოდგენილი (ნ. როსტიაშვილი, 1958, 288; ნ. როსტიაშვილი, 1972, 95): ნიშნ-ოვა-მ (231, დიალ.), ბერ-ოვა-მ (167, გრ. იმნ., ინგილ.), ტავლ-ოვა-მ (171, გრ. იმნ., ინგილ.), შინაურ-ოვა-მ (89, შ. ძიძ., ქრესტ.)...

4. დანიშნულები: სახელთაგან საყურადღებოა კონფიქსთა მონაცვლეობის რამდენიმე შემთხვევა:

სა-ე → სა-ო: სა-მარ-ო-თი (186, გრ. იმნ., ინგილ.).

სა-არ → სა-ურ: სა-ქებ-ურ-ი (175, გრ. იმნ., ინგილ.)

5. უცხო აფიქსთაგან გამოყენებულია: ხელობის სახელთა საწარმოებლად აზერბაიჯანულიდან შემოსული -ჩი: მარან-ჩი (მე-მარნ-ე), ილხ-ჩი-ი (მე-ჯოგ-ე) (გრ. იმნაიშვილი, 1966, 126), აგრეთვე, -ჟურ და -დეფა: აჟურა (249, დიალ.), ბუთუთმაჟურა (241, დიალ.), ერჟურა, სხოჟურა (83, შ. ძიძ., ქრესტ.)... მეგრდეფა (242, დიალ.), სამდეფა (234, დიალ.), ორდეფა (228, დიალ.).

ფერეიდნული

1. ქონების სახელთა მაწარმოებელი -იერ სუფიქსი -იარ-ის სახითაა წარმოდგენილი: ქონ-იარ-ე (253, დიალ.), ველცარ-იალ-ი (225, დიალ.)...

2. წარმომაველობის სახელეებში არეულია ადამიანისა და არაადამიანთა წარმომავლობის აღმნიშვნელი სუფიქსები: ქართფ-ელ-ი სოფლები (253, დიალ.), ქურთ-ულ-ი ხანი (253, დიალ.)...

ადამიანთა წარმომავლობას ძირითადად -იან სუფიქსი გამოხატავს: ხუც-იან-თ (254, დიალ.), ქალ-იან-თ-ა (107, შ. ძიძ., ქრესტ.), ქეიხ-იან-ნ-ი (253, დიალ.)...

3. დანიშნულებების სახელეები ძირითადად სა—თ კონფიქსით იწარმოება და ხშირად სა—ე, სა— მაწარმოებელთა ნაცვლადაც კი გვხვდება: სა-შიშ-ო (251, დიალ.), სა-უზმ-ო (108, შ. ძიძ., ქრესტ.).

4. ხელობის სახელეები მე—ე კონფიქსით გადმოიცემა: მე-ციჟნ-ე (105, შ. ძიძ., ქრესტ.), მე-შთ-ე-ები (255, შ. ძიძ., ქრესტ.)... ზოგჯერ მო—ე კონფიქსის ნაცვლადაც გვევლინება: მე-ნადირ-ობა (255, დიალ.)...

პართლური

1. ქონების სახელები: -იერ სუფიქსი, სხვა აღმოსავლურ კილოთა მსგავსად, ზოგჯერ -იარ-ის სახითაა წარმოდგენილი: უს-იარ-ი (18, შ. ძიძ. ქრესტ.), ბედნ-იარ-ი (გრ. იმნ., ქართლ.) (გრ. იმნაიშვილი, 1952, 337).

-იან სუფიქსი ზოგჯერ -იერ-ის მონაცვლედ გამოდის: „ერთი ხნ-იან-ი კაცისაგან ვიცი“ (298, დიალ.).

2. წარმომავლობის სახელებში, სალიტერატურო ქართულის მსგავსად, გარჩეულია ადამიანთა და არაადამიანთა წარმომავლობის ჩვენება:

ა) ქცი-ელ-ი ბაგრატიონი (299, დიალ.), მოხის-ურ-ი ხილი (იქვე). -ელ იშვიათად მიუთითებს არაადამიანთა სადაურობაზე: „იმერ-ელ-ი ტანისამოსი“ (299, დიალ.).

3. აბსტრაქტული სახელები: -ობა სუფიქსი დროის აღმნიშვნელადაც გვევლინება: „ერთი წელიწადი მგლ-ობა იყო... მეორე წელიწადიც მგლ-ობა იყო“ (291, დიალ.); „დოლ-ობა არის მარტის ნახევრიდან“ (275, დიალ.).

სი-ე კონფიქსითაა ნაწარმოები სი-ჩხირ-ე (=ცხიმოვნობა, სტ. მენტეშ., ქართლ. ლექსიკ.).

4. დანიშნულები სახელები: აფიქსთა მონაცვლეობის შემთხვევები: სა-ჭმ-ო (=საჭმელი, 309, დიალ.).

სა-ჭრ კონფიქსით იწარმოება: სა-ტერფ-ულ-ი (ბარის ტარზე... გაყრილი ხის ნაჭერი, 274, 642, დიალ.), სა-ცერ-ულ-ი (ცერზე წამოსაცმელი სათითური, 274, 642, დიალ.), სა-კოჭ-ურ-ი (სტ. მენტეშ., ქართლ.), სა-ჯიბ-ურ-ი (ჩოხის კალთებზე აქეთ-იქით ჩანაჭრები, პ. გაჩეჩ., ქართლ.).

5. ხელობის სახელები მე-ე და მე-ურ

მაწარმოებელთა კონტამინაციით არის მიღებული: მე-ძნ-ე-ურ-ი, მე-სგ-ე-ურ-ი (273, ღიალ.), მე-რძ-ე-ულ-ი (=მეძუძური, გრ. იმნ., ქართლ., 223).

6. წინა ვითარების სახელთაგან დაეასახელებთ ორიოდე ნიმუშს: ნა-ალ: ნა-გუდ-ალ-ი (ფინთი, უვარგისი, სტ. მენტეშ., ქართლ.), ნა-კუცხ-ალ-ი (გაკაფული ტყე, სტ. მენტეშ., ქართლ.).

-ნა: ნა-გრილ-ი (ჩრდილი, მ. მესხ., ქართლ.), ნა-კუდი (მარცვლეულის ნარჩენი, პ. გაჩეჩ., ქართლ.).

7. კ ნ ი ნ ო ბ ი თ სახელთა ჯგუფში ყველაზე მრავალრიცხოვანია -ა მაწარმოებლიანი სახელები: ღვარძლ-ა (268, ღიალ.), ქვევრ-ა, ბოთლ-ა (გრ. იმნ., ქართლ. 229).

-იჭ-ელ-ა: გორგომ-იჭ-ელ-ა (ალ. ღლ.).

-ოჭ-ელ-ა: გორგ-ოჭ-ელ-ა (სტ. მენტეშ., ქართლ. ლექს.).

-ოჭ-ინ-ა: კოკრ-ოჭ-ინ-ა (კეფაზე თმის გვირგვინი, პ. გაჩეჩ., ქართლ. ლექს.).

-აკ-უნ-ა: ღატრ-აკ-უნ-ა (მეტისმეტად ღარიბი, მ. მესხ., ქართლ.).

-აკ: ბუნრ-აკ-ი (ალ. ღლ.).

-უხ: დუნდრ-უხ-ა, ბუნჯ-უხ-ა (ალ. ღლ.).

-ოტ: ბიწკ-ოტ-ი (გახრიოკებული სიმინდი, მ. მესხ., ქართლ. ლექს.).

მესხურ-ჯამახური

1. ქონების სახელები: ქონების სახელთა ძირითადი მაწარმოებელია -იან სუფიქსი: „ჩამოუყვანია... სარულ-იან-ი (=ჩალმიანი) ღვდელი“ (352, ღიალ.). იშვიათად დასტურდება სხვა სუფიქსებიც: -ოვან → -თან: შატლ-თან-ი (220, შ. ძიძ., ქრესტ.), დიდრ-ონ-ი (208, შ. ძიძ., ქრესტ.) ← დიდრ-ოვან-ი.

-ოსან: ენაპირ-ოსან-ი (ალ. ღლ., სიტყვის კონა).

-იერ: მაწარმოებლიანი ერთი სახელი წინა ვითარების შინაარსის გამომხატველია: ყოფნ-იერ-ი (219, შ. ძიძ., ქრესტ.).

2. უქონლობის სახელთა ჯგუფი უ-ო კონფიქსით იწარმოება. იგი არაქართულ სახელებსაც კი დაერთვის: უ-ზაპისკ-ო-თ (48, შ. ძიძ., მას.).

უ-ურ კონფიქსი უ-არ-ის ნაცვლად არის წარმოდგენილი: უ-ჩინ-ურ-ი (ეს უ-ჩინ-ურ-ი რამე ეს არისო, 48, შ. ძიძ., მასალ.).

3. აღამიანთა წარმომავლობის გამოსახატავად -ელ და -იან სუფიქსები გვხვდება: ართვინ-ელ-ებ-ი, შავშეთ-ელ-ებ-ი (352, დიალ.), ჭინჭარა-ან-ც-ა, ფურუკა-ან-ც-ა (336, დიალ.), დედოფლ-იან-ც-ა*, ნეფ-იან-თ-ი (349, კ. ღონდ., მესხ.).

4. ა ბ ს ტ რ ა ქ ტ უ ლ ს ა ხ ე ლ თ ა ჯგუფში აღსანიშნავია აფიქსთა მონაცვლეობის შემთხვევები: -ება→-ობა: წველ-ობა (17, შ. ძიძ., მას.), თავისუფლ-ობა (105, შ. ძიძ., მას.)... -ება→-სი-ე: სი-მწუხარ-ე/სი-ნწუხარ-ე (239, შ. ძიძ., ქრესტ.).

-ობა კ რ ე ბ ი თ ო ბ ა - ს ი მ რ ა ე ლ ი ს აღმნიშვნელია: ურმ-ობა (=ურმები), ბოვმ-ობა (=ბოვშები), ქალ-ობა (=ქალები)... (ა. მარტიროსოვი, 1950, 294).

5. დ ა ნ ი შ ნ უ ლ ე ბ ი ს ს ა ხ ე ლ ე ბ ი ძირითადად სა-ო კონფიქსიანია: იგი არაქართულ სიტყვებთანაც კი გვხვდება: სა-გულა-ო-თ წასვლა (205, შ. ძიძ., ქრესტ.). სა-ე კონფიქსი ზოგჯერ შეცვლილია სა-არ მაწარმოებლით: სა-უზმ-არ-ი (348, კ. ღონდ., მესხ.), სა-მიწ-არ-ი (ილ. მაი-

* ც მიღებულია თქ მორფემათა შერწყმით (შდრ. შ. ნიუარაძე, 1957, 30).

სურაძე, 1948, 3).

6. ხ ე ლ ო ბ ი ს ს ა ხ ე ლ ე ბ ი მე—: მე-ზაფნ-ე (მესასწორე, 364, კ. დონ., მესხ.), მე-ბურდგინ-ე (104, შ. ძიძ., მას.)...

მე—ურ: მე-რწყულ-ი (136, შ. ძიძ., მას.). მე-ბად-ურ-ე მიღებულია მე—ე და მე—ურ აფიქსთა კონტამინაციით (355, კ. დონდ., 11; შ. ძიძ., მას.). მე—ურ კონფიქსის ნაცვლად მო—ე-თია ნაწარმოები მო-კვამლ-ე-ებ-ი (375, დიალ.).

7. ზ ო მ ა - ო დ ე ნ ო ბ ი ს სახელები იწარმოება -ტოლა მაწარმოებლით: კალოს-ტოლა, იმო-ტოლი (61, შ. ძიძ., მას.).

აზარული

1. ქ ო ნ ე ბ ი ს ს ა ხ ე ლ ე ბ ი: -იან სუფიქსით ნაწარმოები მქონებლობის აღმნიშვნელ სახელთა პარალელურად -ოვან (→-ოან→-ჟან) სუფიქსიანი ფორმებიც გვხვდება: დიდ-ჟან-ი (226, შ. ძიძ., ქრესტ.), ძალ-უან-ი (71, შ. ძიძ., ზ. აპ.), ავენ-ვან-ი (ავი ენისა, ბოროტი, შურიანი, 243, ჯ. ნოლ., ნარკვ.).

-ოვან → -ივან: ეთი-უწლ-ივან-ი შვილი ჰხყოლია (99, შ. ნიჟ., ზ. აპ.).

-ვან: პატარ-ვან-ი (45, ჯ. ნოლ., აპ. თავის.), ძალ-ვან-ი (94, ჯ. ნოლ., აპ. თავის.), ფერ-ვან-ი (26, შ. ნიჟ., აპ. ლექს.). ამგვარადვეა ნაწარმოები ადგილის აღმნიშვნელი სახელები: თხილ-ვან-ი (91, შ. ნიჟ., ზ. აპ.), ვაშლ-ოვან-ი (93, შ. ნიჟ., ზ. აპ.). -იერ სუფიქსი -იან-ის მონაცვლეა: ჭკუ-იერ-ი (260, გ. მეგრ., აპ.).

2. უ ქ ო ნ ლ ო ბ ი ს ს ა ხ ე ლ თ ა გ ა ნ საყურადღებოა, რომ უ—ურ კონფიქსი ივართობს ხმარების არეს და უ—ო კონფიქსის ნაცვლად აწარმოებს სახელებს: უ-ქეიფ-ურ-ად

(394, დიალ.), უკაცრ-ა-ულ-ად (404, დიალ.)...

3. წ ა რ მ ო მ ა ვ ლ ო ბ ი ს ს ა ხ ე ლ ე ბ ი : ადამიანთა წარმომავლობის აღსანიშნავად -ელ სუფიქსის ნაცვლად ხშირია -იერ სუფიქსის გამოვლენის შემთხვევები: სოფლ-იერ-ი (400, დიალ.), გურ-იელ-ი (396, დიალ.), „აქ“ სიტყვისაგან ნაწარმოებ სადაურობის სახელებს -ურ-ის გარდა -ელ-იც დაერთვის: აქაურელეფ... (შ. ნიჟარაძე, 1957, 57). -იერ სუფიქსის უძველესი ფუნქციის - წ ა რ მ ო მ ა ვ ლ ო ბ ი ს - გამოვლენის ერთი საინტერესო შემთხვევაა გვხვდება: თაგ-რ-იელ-ი (თავის საქალამნე ტყავი, 249, ი. მეგრ., აქ.).

-ეულ სუფიქსით ნაწარმოებია ხარ-ეულ-ი (2-3 წლის მოზვერი, 261, ი. მეგრ., აპარ.), ავად-ეულ-ი (ავადმყოფი), კოტრ-ეულ-ი (დაუფშვნილი რამ, შ. ნიჟ., აქ. ლექსიკ.).

4. ა ბ ს ტ რ ა ქ ტ უ ლ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი : ა) -ობა კრებითობის ფუნქციისაა: ახალ-ობა (ახალგაზრდობა), პ. ჯაჯან., აქ.), ბად-ეულ-ობა (111, შ. ნიჟ., ზ. აქ.). ბ) დ რ ო ი ს ა ლ მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ი ა : გაფენ-ობა (395, დიალ.). აფიქსთა მონაცვლეობის შემთხვევები: -ება → -ობა: პატრიოსნ-ობა (396, დიალ.), წვალ-ობა (89, შ. ნიჟ., ზ. აქ.). სი-ე → -ობა: „წითლ-ობა დაეწყო სახეზე“ (367, შ. ძიძ., ქრესტ.), „გლახ-ობას არ ჩეიდენს“ (368, შ. ძიძ., ქრესტ.), „ვინ გაუბედავდა გლახ-ობას“ (367, შ. ძიძ., ქრესტ.).

5. დ ა ნ ი შ ნ უ ლ ე ბ ი ს ს ა ხ ე ლ ე ბ ი : ა) კონფიქსთა ფონეტიკური სახეცვლილებების შემთხვევები: სა-ღამ-უ-ობ-ით (394, დიალ.), მომდევნო აფიქსისეული ხმოვნის დართვით ო → უ: შა-შაუაგულ-ო (67, შ. ნიჟ., ზ. აქ.). რეგრესული ასიმილაციის წესით ს → შ (შ. ნიჟარაძე, 1957, 17).

ბ) კონფიქსთა მონაცვლეობის შემთხვევები: სა-ო → სა-ე: საღამე-ე-მდი (354, შ. ძიძ., ქრესტ.). სა-ო →

სა—იერ: სა—მუშ—იერ—ი (79, შ. ნიე., ზ. აკ.). სა—ო→ სა:
სა—ფლაფ—ი (265, შ. ძიძ., ქრესტ.).

გ) გაფართოებულია სა—ურ კონფიქსის სამოკმედო არე:
სა—ბმ—ურ—ი (გამოცანა, 358, შ. ძიძ., ქრესტ.), სა—მჭედ—ურ—ი
(369, შ. ძიძ., ქრესტ.), სა—ციხ—ურ—ი (121, შ. ნიე., ზ. აკ.)...

6. ხ ე ლ ო ბ ი ს ს ა ხ ე ლ ე ბ ი მე—ე და მე—ურ
აფიქსთა კონტამინაციით არის მიღებული: მე—მთი—ურ—ე,
მე—თა—ურ—ე, მე—გზ—ურ—ე (52, შ. ნიე., ზ. აკ.), მე—მთე—ვრ—ი (მე—
მთე—ურ—ი, 252, ი. მეგრ., აკ.)... მე—ურ: მე—ხე—ურ—ი (32, შ.
ნიე.).

7. ხ ა რ ი ს ხ ი ს ს ა ხ ე ლ ე ბ ი , სხვა დიალექტთა
მსგავსად, აქარულშიც აღწერილობითია: უმფო გძელი, იმაზე
უმფრო კარქია (ყ. ნოლაიდელი, 1936, 18)... იშვიათად უ—ქს
კონფიქსით ნაწარმოები ფორმებიც გვხვდება: უ—ღრმ—ეს—ი,
უ—შორ—ეს—ი (ყ. ნოლაიდელი, 1960, 32).

8. მ ც ე ნ ა რ ე თ ა კ რ ე ბ უ ლ ის აღმნიშვნელი —ნარ
სუფიქსი ზოგჯერ სხვა სახელებსაც დაერთვის: ქვა—ვ—ნარ—ი
(ქვიანი მიწა, 256, ი. მეგრ., აკ.). —ურ გამოვლენილია —ნარ—ის
ფუნქციით: მადლა—ურ—ი (პ. ჯაჯან., აკ.).

9. გ ე ო გ რ ა ფ ი უ ლ ს ა ხ ე ლ თ ა ყველაზე აქტიური
მაწარმოებელია —ეთ სუფიქსი: ჯუჯუხ—ეთ—ი, ყუერბ—ეთ—ი
(402, დიალ.), მოფრინ—ეთ—ი (74, შ. ნიე., ზ. აკ.),
ლაკლაკ—ეთ—ი (75, შ. ნიე., ზ. აკ.), ცინარ—ეთ—ი (80, შ. ნიე., ზ.
აკ.), ყუერბ—ეთ—ი, ბედლ—ეთ—ი, ინწკირვ—ეთ—ი (81, შ. ნიე.,
ზ. აკ.). გვხვდება —ობ და —ო სუფიქსიანი ადგილის სახ—
ელებიც: წითლ—ობ—ი, თეთრ—ობ—ი (53, შ. ნიე., ზ. აკ.)...
ჩხრიალ—ო, ჭონჭყ—ო (400, დიალ.).

10. კნინობით სახელთა ორგანული წარმოება ნაკლებად
ახასიათებს აქარულს. —ა სუფიქსი უმთავრესად საკუთარ

სახელებს დაერთვის (პ. ჯაჯანიძე, 1970, 12, 25): უსუფა-მ, არჩილა-მ, ფადია-მ, ზექიე-მ (←ზექი-ა-ი, 32, შ. ნიჟ., ზ. აქ.), იშვიათად კი საზოგადოსაც: კუდ-ა-მ, ალაზან-ა-მ (32, შ. ნიჟ., ზ. აქ.).

-უჯ: ახტა-უჯ-ა (244, ი. მეგრ., აქ.).

-აჯ-ან-ა: ახტ-აჯ-ან-ა (244, ი. მეგრ., აქ.).

-ეჭ: ქერ-ეჭ-ი (ქერქი, 256, ი. მეგრ., აქ.).

-ინ-ა: ღომ-ინ-ა (შ. ნიჟ., აქ. ლექს.)

-ულ: ნენ-ულ-ა, დედ-ულ-ა... (შ. ნიჟ., აქ. ლექს.).

ბურული

1. ქონების სახელები ძირითადად -იან სუფიქსით იწარმოება: ჭკუ-იან-ი (136, ს. ჟლ., გურ.), ქაოც-იან-ი (უბრალო რამეზე მოშიში ადამიანი, 249, ს. ჟლ., გურ.)... -ოვან: თვალგრიჟ-ოვან-ი (225, ს. ჟლ., გურ.), -ოვან → -თან → -უან: ძალ-უან-ი (256, ს. ჟლ., გურ.).

2. წარმომავლობის სახელები: ადამიანთა და არაადამიანთა სადაურობა გურულში, ზოგი სხვა დიალექტის მსგავსად, გარჩეული არ არის: „ღანწუთ-ელ-ი სიმინდი“, „საჯოთხ-ელ-ი კაცი“, „ასკან-ელ-ი კაცი“, „ასკან-ელ-ი მიწა“... (ს. ჟლენტი, 1936, 64).

სუფიქსი -ფხე აღნიშნავს გათხოვილი ქალის წარმოშობით გვარს: ცინცაი-ფხე, დლოტი-ფხე... (ს. ჟლენტი, 1936, 52).

-ეულ სუფიქსი პირთაგან წარმომავლობის მაჩვენებელია: გურულსა და იმერულში ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის თანხმოვანთან ერთად „გაკეთდა არსებითი სახელი ოდნავი ფონეტიკური ცვლილებით: ჩემი სოულობა... (ა. შანიძე, 1973, 129; შ. ძიძიგური, 1973, 45)... პაიჭესოული (238, ს. ჟლ., გურ.)...“

3. ა ბ ს ტ რ ა ქ ტ უ ლ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი : -ება → -ობა: გარამო-ობა (98, ს. ელ., გურ.), პატიოსნ-ობა (122, ს. ელ., გურ.). აბსტრაქტულ სახელთა მაწარმოებელი -ობა და სი—ე დაერთვის იმ ფორმებსაც, სადაც მისი დართვა მოსალოდნელი არ იყო: სი-საფუთ-ე (=საბუთი, 97, ს. ელ., გურ.), „გლახები ამ ხმაურობაზე დაფთხუნ“ (ს. ელ., გურ.).

4. წ ი ნ ა ვ ი თ ა რ ე ბ ი ს ს ა ხ ე ლ თ ა ნა-ევ მაწარმოებელი ზოგჯერ ნა—ებ (→ევ) სახით არის წარმოდგენილი: „ფეხის ნა-კვალ-ეფ-ში“ (123, ს. ელ., გურ.), ნა-კალანდ-ებ-ი (148, ს. ელ., გურ.), ნა-ბარგ-ულ-ი (ნაკვალევი, პ. ჯაჯან., გურ.).

5. მ ც ე ნ ა რ ე თ ა კ რ ე ბ უ ლ ი ს მაწარმოებელი -ნარ, მაგ.: ჯაგ-ნარ-ი (261, ს. ელ., გურ.) დაერთვის სხვა სახელებსაც: მად-ნარ-ი (ნაყანევი ადგილი... 348, აღ. ლლ., სიტყვის კონა), ვოლიხ-ნარ-ი (ვაზის ჭიში, აღ. ლლ., სიტყვის კონა), შდრ.: მადლ-არ-ი (←მადლ-ნარ-ი) და დაბლ-არ-ი (←დაბლ-ნარ-ი).

6. ა დ გ ი ლ ი ს აღმნიშვნელ სახელთაგან აღსანიშნავია -ო სუფიქსიანი ფორმები: დობი-ო (223, ს. ელ., გურ.), ლეყუბ-ო (დამდგარი წყლის ზედაპირზე მოყენებული მწვანე სითხე, 232, ს. ელ., გურ.), ნოყ-ო (დამდგარი, ლორწომოდებული წყალი, 237, ს. ელ., გურ.), თჭვათ-ო (სახურავიდან ჩამონადენი წვიმის წვეთები რომ ეცემა, იმ ადგილას ეძახიან, 239, ს. ელ., გურ.), ყუდრ-ო (მშრალი ადგილი, 252, ს. ელ., გურ.), ჭონჭყ-ო (წყლიანი ადგილი, 259, ს. ელ., გურ.)... კიამპ-ო (ხის ან კლდის მწვერვალი, 229, ს. ელ.). ეგვეე -ო სუფიქსი (მაგრამ ფუნქციის დადგენა ჭირს) აწარმოებს იარაღის სახელებსაც: თფი-ო (კოვზის მაგვარი ხე, ნავიდან წყლის ამოსახაპავად, 238, ს. ელ., გურ.), ოსპილ-ო (ქვევრის სამშრალელებელი,

238, ს. ულ., გურ.), ორჭილ-ო (გრძელ ჯონზე წაკრული ფუჩეჩი ქვევრის სარეცხად, 238, ს. ულ., გურ.).

7. მ ს გ ა ვ ს ე ბ ი ს აღსანიშნავად გურულში გავრცელებულია -სოის მაწარმოებლიანი ფორმები: ამ სოის (←ამ სორტის?), იმ-სოის.

8. აღმოსავლურ გურულშიც და ზოგჯერ ქვემოგურულშიც თ ა ნ ა ბ რ ო ბ ი თ ი ხარისხი -ოფან სუფიქსიანი ზედსართავით გაღმოიციმა: გრძელ-ვან-ი, მსხვილ-ვან-ი, მალღ-ვან-ი, დაბღ-ვან-ი (პ. ჯაჭანიძე, 1963, 301), უფროს-ვან-ი (132, ს. ულ., გურ.).

9. კ ნ ი ნ ო ბ ი თ ს ა ხ ე ლ თ ა სიმრავლით გურული დიალექტი განსაკუთრებით გამოირჩევა, თუმცა საჭიროა შევნიშნოთ, რომ მაწარმოებლად უმთავრესად -ა სუფიქსი გვევლინება: აბდალა/ე, აყლაყუდ-ა/ე, ეკალ-ა/ე... -ა სუფიქსის პარალელურად გამოვლენილი -ე, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია გარკვეული, მომდინარეობს -ა სუფიქსისა და ბრუნვის -ი ნიშნის შერწყმით. საკუთარ სახელთაგან კნინობითობის წარმოების მხრივ განსხვავებას გვიჩვენებენ ზემოგურული და ქვემოგურული: „თუ ქვემოგურულში საკუთარი სახელები ირთავენ -აი დაბოლოებას, ზემოგურულში მისი ეკვივალენტი -ე არის: გაბილაი — გაბილე (ს. ულენტი, 1936, 65). საკუთარ სახელთა საწარმოებლად -იკ-ა და -ელ-ა სუფიქსებიც დასტურდება გურულში:

სიმონ-იკ-ა/-ე, ზალ-იკ-ა/-ე, მარ-იკ-ელ-ა/-ე (ს. ულენტი, 1936, 65; მ. კობალაძე, 1958, 244).

-უც-ა: აბლა-უც-ა (210, ს. ულ., გურ.).

-უხ-ა: ბელენძ-უხ-ა (219, ს. ულ., გურ.).

-აჭ-ინ-ა: კვარ-აჭ-ინ-ა (228, ს. ულ., გურ.).

-იჭ-ა: კვიჭ-იჭ-ა (229, ს. ულ., გურ.).

-უტ-ა: ჭატ-უტ-ა (259, ჩვილი ყველი, შდრ. ჭაკვა - ყველი, ს. ჟლ.).

-უჯ-ა: აბტა-უჯ-ა (ალ. ღლ., სიტყვის კონა).

-ეხ: ბენძ-ეხ-ი (შდრ.: ბენძლი, ალ. ღლ., სიტყვის კონა).

-ეჭ: ქერეჭი (ალ. ღლ., სიტყვის კონა).

-იც: გორ-იც-ა (ალ. ღლ., სიტყვის კონა).

იმერული

1. ქონების სახელები: -ოგან სუფიქსი იშვიათად გვხვდება იმერულში: წლ-ოგან-ი... (პ. გაჩეჩილაძე, 1956, 134).

-ოგან → -გან: სახელ-გან-ე (468, დიალ.), ხელ-გან-ი (პ. გაჩეჩილაძე, 1956, 134), -ოგან → -ოან → უან: დიდრ-უან-ი, უმველებლ-უან-ი... (პ. გაჩეჩილაძე, 1956, 134).

-იან სუფიქსის მონაცდელ ნშირად დასტურდება -იერ სუფიქსი: ჭკვ-იერ-ი//ჭკუ-ერ-ი (476, დიალ.), ტვინ-იერ-ი, კუდ-იერ-ი (ქ. ძოწ., ლექსიკ.), ადამ-იერ-ი, ჯიშ-იერ-ი (შ. ძიძგური, 1973, 149).

საყურადღებოა -იერ სუფიქსით ნაწარმოები სხვა სახელებიც: თვალის-იერ-ი (მხედველობის სისწრაფე, ი. ჭავთ., იმერ., 135), ბოჭნ-იერ-ი (მომპირნე, ქ. ძოწ., ლექსიკ.), მსგავს-იერ-ი (მიმსგავსებული, ქ. ძოწ., ზ. იმერ.), მოსხმ-იერ-ი (მსხმოიარე, ქ. ძოწ., ზ. იმერ.), ნათლ-იერ-ი (სუფთა, ნათელი, ქ. ძოწ., ლექსიკ.), ჯან-იერ-ი (მ. ალავ, ვ. იმერ.)...

2. უქონლობის სახელები: სალიტერატურო ქართულსა და სხვა დიალექტთა მსგავსად, იმერულშიც მოქმედ კონფიქსად უ-ო ითვლება: უ-გამჩენ-ო (გველი, ქ. ძოწ., ლექსიკ.), უ-ტკივ-ო (უავადმყოფო, ქ. ძოწ., ლექსიკ.). ეგვევ კონფიქსი დაერთვის უარყოფითნაწილაკიან „ქონ“ ფუძესაც - უ-არქონ-ო (ქ. ძოწენიძე, 1973, 153). აღსანიშნავია, რომ

მოსალოდნელი უ—ო კონფიქსის ნაცვლად უ—ურ მაწარმოებელი დაერთვის სახელებს, რითაც ძალიან ფართოვდება ამ უკანასკნელის ხმარების არე: უ—ნან—ურ—ი, უ—დარდ—ულ—ი, უ—შემ—ურ—ი, უ—პატი—ურ—ი, უ—ხათრ—ულ—ი, უ—ჯაფ—ურ—ი, უ—ჯოხ—ურ—ი, უ—დარდ—ულ—ი, უ—ზომ—ურ—ი... (ქ. ძოწ., ლექსიკ.).

3. წ ა რ მ ო მ ა ვ ლ ო ბ ი ს ს ა ხ ე ლ ე ბ ი : ადამიანთა და არაადამიანთა წარმომავლობის ჩვენება აღრეულია: ჭიათურ—ელ—ი მარგანეცი, უხუთ—ელ—ი სიმინდი (236, ქ. ძოწ., ზ. იმერ.), სამტრედ—ი—იელ—ი ქათამი (შ. ძიძ., ძიებანი, 149).

გათხზვილი ქალის მშობლების გვარის გამოსახატავად გამოყენებულია —ურ სუფიქსი, რომელიც მის მიერ ასიმილირებული ფუძის ხმოვანთან ერთად ზოგჯერ გვევლინება —ო—ურ—ის სახით: მაჭარაული, გაფრინდოული, კაპანოური... (ქ. ძოწენიძე, 1973, 152).

აღსანიშნავია, რომ ამგვარი წარმოება ახასიათებს გლახური წარმოშობის გვარებს, აზნაურთა თუ თავადთა გვარებს ეს სუფიქსი არ მოუდიოდა: მაჭავარიანის ქალი (შ. ძიძიგური, 1973, 162). ქვემოიმერულში ამ როლში მეგრულიდან ნასესხები —ხე (←ფხე) გვევლინება ზოგ შემთხვევაში (შ. ძიძიგური, 1973, 162; ო. კახაძე, 1954, 172).

ადამიანთა წარმომავლობას (კრებითობას) აღნიშნავს აგრეთვე ნათესაობითი ბრუნვის ფორმაზე დართული —იან (→—ან) სუფიქსი მრავლობითის —ებ სუფიქსთან ერთად: ლევანა—ს—ან—ებ—ი, პელაგია—ს—ან—ებ—ი...

—იერ სუფიქსი წარმომავლობის აღმნიშვნელია ერთ კონკრეტულ შემთხვევაში: კუთხ—იერ—ი (=კუთხიდან, კუთხისა. „აგერ ქალი მევიყვანე, ჩენი კუთხიერა“ — ქ. ძოწ., ლექსიკ.).

—ეულ სუფიქსისა და —ის ბრუნვის ნიშნის შერწყმით

მიღებული სოული (←-ის-ეულ) (აკ. შანიძე, 1973, 129) დამოუკიდებელ სიტყვად იქცა და „კუთვნილების“ აღმნიშვნელი გახდა: „ვისი სოულობა იყო კოლექტივში შესვლამდე ის ადგილები“, 148, ივ. ქავთ., იმერ. 1).

4. ა ბ ს ტ რ ა ქ ტ უ ლ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი :

ა) აფიქსთა მონაცვლეობის ნიმუშები: -ება → -ობა: ელფარ-ობა (323, შ. ძიძ., მას.), მორიგო-ობა (ქ. ძოწ., ლექსიკ.), თქმულ-ობა, დადგენილ-ობა (შ. ძიძ., ძიებანი, 149).

-ობა → სი-ე: სი-ახალგაზრდაე-ე, სი-დაღლილ-ე, სი-მოხუც-ე, სი-მტერ-ე, სი-ქურდ-ე... (ქ. ძოწ., ლექსიკ.).

-ება → სი-ე: სი-მზარდ-ე, სი-მძულვარ-ე... (ქ. ძოწ., ლექსიკ.).

ბ) -ობა კ რ ე ბ ი თ ბ ი ს ფუნქციისა: აღამფეულ-ობა (ჭურჭლეულობა), ანკეულ-ობა//ანგეულ-ობა (მოწყობილობა), ნიქეთეულ-ობა... (ქ. ძოწ., ლექსიკ.).

გ) -ობა დ რ ო ი ს აღმნიშვნელია: ჭინკ-ობა (319, შ. ძიძ., მას.), ბოვშ-ობ-ის დროს (468, დიאל.).

5. დ ა ნ ი შ ნ უ ლ ე ბ ი ს ს ა ხ ე ლ ე ბ შ ი აფიქსთა მონაცვლეობის ფაქტები იშვიათია: სა-ო → სა-ე: სა-მინუმ-ე (ქ. ძოწ., ლექსიკ.).

სა-ო კონფიქსის ხმარების იშვიათი ნიმუში: სა-ძროხ-ულ-ო დერგი (ყველის ჩასადები დერგი), ძროხ-თულ-ი (რძე და რძის პროდუქტები) → ძროხ-ულ-ი → სა-ძროხ-ულ-ო → (ქ. ძოწ., ლექსიკ.).

გაფართოებულია სა-ურ კონფიქსის ხმარების არე: სა-ზღვა-ურ-ი (ბოსელში იატაკის შუაში სიგრძივ... გაღარული ადგილი ნეხვისათვის, ქ. ძოწ., ლექსიკ.), სა-ბზე-ურ-ი (სამზებური, 467, დიალ.), სა-კის-ურ-ი, სა-ქედ-ურ-ი (მ. ალავე, ოკრიბ.), სა-ე და სა-ურ აფიქსთა კონტამინაციით არის

მიღებული სა-რჯე-ულ-ა (საქონლის დასაბმელად რქაზე გამობმული ბაწარი, ქ. ძოწ., ლექსიკ.).

სა-ედ: სა-თვალ-ედ-ი (პატარა სარკმელი კრამიტის საწვავ ქურაში, ქ. ძოწ., ლექსიკ.).

6. წინა ვითარებების სახელებში ძირითადი მაწარმოებელია ნა-არ კონფიქსი, რომელიც ხშირად ნა-ევ-ის როლშიც გვხვდება: ნა-ბჟუტ-არ-ა (თხრილი), ნა-კუდ-არ-ი (ქ. ძოწ., ლექსიკ.), ნა-სადილ-არ-ი, ნა-შიმშილ-არ-ი, ნა-მსახურ-ალ-ი... (ქ. ძოწ., ზ. იმერ. 85).

ნა-ევ: ნა-გვალულ-ევ-ი (ნაგვალევი, ქ. ძოწ., ლექსიკ.).

ნა-ურ: ნა-რწყ-ულ-ი (წყალდასხმული ჭაჭიდან მიღებული ღვინო, ქ. ძოწ., ლექსიკ.), ნა-მუც-ურ-ი ბანალი (ბავშვს რომ დაბადებიდან გამოყოლილი თმა შერჩება და ჯერ არ მოუპარსავთ, 144, ივ. ქავთ., იმერ. 1)...

ნა-: ნა-კუდ-ი (ხორბლეულის განიავების შემდეგ დარჩენილი... უვარგისი მარცვლები, ქ. ძოწ., ლექსიკ.).

ნა-იერ: ნა-ლობ-იერ-ი (ლობიოს გამოფშენის შემდეგ დარჩენილი ცარიელი პარკები, ქ. ძოწ., ლექსიკ.).

ნა-არ და ნა-ევ აფიქსთა კონტამინაციით უნდა იყოს მიღებული ნა-ყან-გ-არ-ი (ქ. ძოწ., ლექსიკ.).

7. ხელობის სახელთაგან აღვნიშნავთ მხოლოდ თავისებურად ნაწარმოებ ფორმებს:

მე-ე: მე-ბედისმწერ-ე (ბედისმწერალი), მე-გემ-ე (გემის უფროსი), მე-ნთხ-ე (თხის მწყემსი), მე-წელიწლ-ე (წელგამოშვებით ნაყოფის მომცემი, ქ. ძოწ., ლექსიკ.).

მე-ურ: მე-გოდრ-ულ-ი, მე-თოზ-ურ-ი, მე-ლგორ-ულ-ი (ქ. ძოწ., ლექსიკ.).

8. ხარისხის სახელები: ა) უფროობითი ხარისხის აღსანიშნავად ორგანული წარმოების ფორმები ქართული ენის

დიალექტთაგან მხოლოდ იმერულს მოეხოვება: უ-ხნ-ე, უ-შაღლ-ე, უ-დაბლ-ე, უ-გენიელ-ე, უ-გრძ-ე... (ქ. ძოწენიძე, 1973, 85, 104, 124, 236). ეს არის ხარისხის წარმოების უძველესი ვითარება, როდესაც კონფიქსი უ-ე სახით იყო წარმოდგენილი (შდრ. „ვეფხისტყაოსანში“ დადასტურებული: უ-ამ-ე, უ-არ-ე, უ-მართლ-ე; ა. შანიძე, 1973, 143).

ბ) ო დ ნ ა ო ბ ი თ ი ხ ა რ ი ს ხ ი ს საწარმოებლად ზოგჯერ წა-თ კონფიქსიც გვხვდება: წა-ემნაირ-თ (ქ. ძოწ., ლექსიკ.).

9. გ ე ო გ რ ა ფ ი უ ლ ს ა ხ ე ლ თ ა გ ა ნ აღსანიშნავია -ეთ სუფიქსიანი მაღლ-ეთ-ი (მ. ალავე., ზ. იმერ.), იერუსალიმ-ეთ-ი (ქ. ძოწ., ლექსიკ.) და -თ სუფიქსით ნაწარმოები: ბრეკ-თ (ბრეკი), ფხეკ-თ//ფხიკ-თ (ფხაკი - მწირი, კლდიანი ადგილი, ფერღობი, - ფხაკო, ქ. ძოწ., ლექსიკ.), ფხეწ-თ (მწირი ფერღობი ადგილი, ქ. ძოწ., ლექსიკ.).

10. მ ც ე ნ ა რ ე თ ა კ რ ე ბ უ ლ ი ს აღსანიშნავად ძირითადად -ნარ სუფიქსიანი ფორმებია წარმოდგენილი იმერულში: ჩირგვ-ნარ-ი, მაღლ-არ-ი ← მაღლ-ნარ-ი (ქ. ძოწ., ლექსიკ.), ბაბაძგვ-ნარ-ი (ეკალ-ბარდებით მოშენებული, მოფენილი ადგილი), ბურდ-ნალ-ი (ეკალ-ბარდებიანი ადგილი, ივ. ქავთ., იმერ. ლექს., II); აგრეთვე -იან სუფიქსით გაფორმებული ჩირგვ-იან-ი (ჩირგვებიანი, ქ. ძოწ., იმერ.).

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს -ნარ სუფიქსიანი წარმოების ერთი ნიმუში: ტვირ-ნარ-ი (ირონ. ჰკუის კოლოფი, 148, ივ. ქავთ., იმერ., I).

მცენარეთა სახელებში ცალკე უნდა გამოიყოს -თ (-იო) სუფიქსით ნაწარმოები სახელები: ბუძუნდ-თ (ყურძნის მტევნის კიმბლებდაცლილი ღერო), კვიდ-თ (ბუჩქოვანი მცენარე), კლეპტ-თ (ყურძნის მტევნის ღერო), კუწუწ-თ (წვერი, კენწერი, ქ. ძოწ., ლექსიკ.), ქეფრ-თ, ქურურ-თ (ბ. ჯაჯან., იმერ.).

სოკოთა სახელები სისტემებრ იო (-ო) სუფიქსით არის ნაწარმოები იმერულში: ბაბილ-ო, მარ-იო, მარწყვ-იო, მგზავრ-იო, მიქლ-იო, პიმპილ-ო, სილ-იო, ტრედ-იო, ცისფერ-ო, ჭადილ-ო//წერესტ-ო (მ. ალავე, ოკრიბ.), ცხვარ-ო, წიფლ-იო (ივ. ჭავთ., იმერ.).

ყველა ზემოდასახელებულ ფორმაში -ო თვისების აღმნიშვნელია.

11. კნინობითი სახელები: იმერულში ძალიან გავრცელებულია საკუთარ სახელთაგან კნინობით ფორმათა წარმოება -ა (-ია) სუფიქსებით: პლატონ-ა, სიმონ-ა, შალ-ია, შოთ-ია... (ქ. ძოწ., ზ. იმერ.), დამცირებითი შინაარსისაა -იკ-ია, -იკ-ელ-ა: დათ-იკ-ელ-ა, შალ-იკ-ია...

რაქასთან ახლომდებარე სოფლებში -უნ-ა სუფიქსის გამოვლენის იშვიათი შემთხვევებია: გოგ-უნ-ა, კაწ-უნ-ა (ქ. ძოწენიძე, 1973, 183).

-უშ: ბებრ-უშ-ა, დანდრ-უშ-ი (სუსტი, მ. ალავე, ოკრიბ.).

-უტ: კუდნ-უტ-ი (ბეჭებში მოხრილი ადამიანი, მ. ალავე, ოკრიბ.).

-იტ-ალ-ა: ჭვიქვ-იტ-ალ-ა (პატარა ჭუჭრუტანა).

-უჭ: პარკ-უჭ-ი (პ. ჯაჯან., იმერ.), -ილ-ა: პაყვ-ილ-ა (პ. ჯაჯან.), -იტ: ჭიჭვ-იტ-ა (პ. ჯაჯან., იმერ.), -ან-ა: ტვლიპ-ან-ა (440, დიალ.), -უნ-ა: კოკ-უნ-ა (პ. ჯაჯან., იმერ.), -ური-ა: პაპ-ური-ა (461, დიალ.), -ოჭ: ხრი-ოჭ-ი (მდრ. ხრი-ოკ-ი (ქ. ძოწ., ლექსიკ.), -უჭ-უნ-ი: პარკ-უჭ-უნ-ი (ი. ჭავთ., იმერ.), -აც// -უც: ბარბ-აც-ი// ბარბ-უც-ი (ივ. ჭავთ., იმერ.), -უტ: მიღნა-უტ-ა (სუსტი, უძღური, ი. ჭავთ., იმერ.)...

ლექსუმი

1. ქონების სახელები ძირითადად -ოვან (→-ვან //→-თან) და -იერ აფიქსებით იწარმოება (შ. ძიძიური, 1973, 168): კლდ-ოვან-ი, იმედ-ოვან-ი (მ. ალავ. 1. ლექს.), ველ-ვან-ი (მ. ჩიქ., ტობ.)... იმერული დიალექტის მსგავსად, -იან სუფიქსს -იერ-ი ენაცვლება: გუნებ-იერ-ი, ჯან-იერ-ი (მ. ალავ., 3. ლექს.), ჭკვე-იერ-ი, ადამ-იერ-ი (შ. ძიძიური, 1973, 172).

2. წარმოშობის სახელთაგან აღსანიშნავია -ეულ (→ -ოულ) მაწარმოებლიანი ადგილის სახელები: კვანჩხ-ოულ-ი, ჭინჭარ-ოულ-ი, მამალ-ოურ-ი... (მ. ჩიქ., ტობ.).

3. ხელობის სახელები მე-ურ კონფიქსითაც იწარმოება: მე-ფეხ-ურ-ი (მეკვლე, მ. ალავ., I, ლექს. ლექს.), მე-წლ-ე-ურ-ი (მეწლე მცენარე).

4. წინავითარების სახელთა ჯგუფში აღსანიშნავია ნა-ურ კონფიქსიან სახელთა სიმრავლე: ნა-მთ-ე-ურ-ი (ნა-იალღარი), ნა-ცხვენ-ურ-ი (სიმინდი, რომელიც სხვენზე გაახმეს... მ. ჩიქ., ლექს. ლექს.), ნა-ხემ-ურ-ი (ხელის გულში რომ კონა ჩაეტევა, 98, მ. ალავ., ლექს. ზებირ.), ნა-კეც-ურ-ი (კეცში გამომცხვარი ჭადი, 117, მ. ალავ., ლექს. ზებირ.).

5. დანიშნულების სახელები სა-ო: სა-მწათხ-ო (ყველის დერგი, 115, მ. ალავ., ლექს. ზებირ.), -სა-ურ: სა-ტურ-ურ-ი (ტურისათვის დატოვებული ცარიელი ადგილი სავსე ჭიქაში, მ. ალავ., ლექს. ლექს.), სა-ქვაბ-ურ-ი (ქვაბის საკიდელი ჯაჭვი, მ. ალავ., 3, ლექს. ლექს.), სა-შუბ-ურ-ი (წინა კედელი, რომლის ძირში ღარით ღვინო ჩამოდის, 115, მ. ალავ., ლექს. ზებირ.). სა-იხ: სა-ნათლ-ი-ი (=სან-ათური, 89, მ. ალავ., ლექს. ზებირ.).

6. მ ც ე ნ ა რ ე თ ა კ რ ე ბ უ ლ ი ს ა ლ მ ნ ი შ ე ნ ე ლ ი -ნარ მაწარმოებლის ფუნქცია გაფართოებულია: ქაცვ-ნარ-ი, ლეკ-ნარ-ი, სიბ-ნალ-ა, ბზა-ნალ-ა, ბუდ-ნალ-ა, ბარ-ნალ-ა, ქვა-რ-ნალ-ა- (მ. ჩიქ, ტობ.), ტუბულ-ნარ-ი (სახ-ნავ-სათესი მიწა, 147, მ. ალავე, ლეჩხ. ზეპირ.)...

7. კ ნ ი ნ ო ბ ი თ ს ა ხ ე ლ თ ა ჯ გ უ ფ შ ი ყ ვ ე ლ ა ზ ე გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ უ ლ ი ა -უკ-ელ-ა და -ია სუფიქსები: ბომ-უკ-ელ-ა, გოგ-უკ-ელ-ა... გრიშა-ია... (შ. ძიძიგური, 1973, 172).

აღსანიშნავია, რომ არ დასტურდება რაჭულში გავრცელებული -უნა სუფიქსი (შ. ძიძიგური, 973, 172).

რ ა ბ უ ლ ი

1. ქ ო ნ ე ბ ი ს ს ა ხ ე ლ ე ბ ი : -ოგან სუფიქსი და მისი ფონეტიკურად სახეცვლილი ფორმები -თან → -უან უმთავრესად პოეტური მეტყველებისათვის არის დამახასიათებელი: „ტატუქს რათ უნდა ქებანი, ვაჟია ღამაზ-ოგან-ი, გამყრელიძესა აქებენ, რომელს იესე რქვიანო, კლავი მასა აქ ძრიელი და ხრმალი აღმას-ოგან-ი... აფხანიგ შემოუძახა: -ბიჭებო, ფრთხილად იყვენით, საქმეა ღალატ-ოგან-ი“ (266, შ. ძიძ., ქრესტ.).

„ქვეით ფერხებო ფენ-თან-ებ-ო,

ზეითა თავო ყვაფილ-ოგან-ო“ (266, შ. ძიძ., ქრესტ.).

ლობ-უან-ი (504, დიალ).

-ოსან:

„მაშინ სად იყავ, ვაჟაკო, ქალი ვიყავ თმ-ოსან-ი,

ებლა მე ქმარი შევირთე, ლალია მოღარ-ოსან-ი,

ცხრას შეჰკრავსო შენისთანასა, ტიტველი პერანგ-ოსან-ი, ბაზარში ჩამოგატარებს, ვით თიკანი შვილდ-ოსან-ი“.

(233, შ. ძიძ., მას.).

2. წ ა რ მ ო მ ა ვ ლ ო ბ ი ს ს ა ხ ე ლ ე ბ ი : აღამიანთა

წარმომავლობის -ურ სუფიქსით გადმოცემის შემთხვევები, სხვა დიალექტთა მსგავსად, რაჭულსაც ახასიათებს: აქანა-ურ-ი ქალი (504, დიალ.), წედ-ურ-ი კაცი ვარ (517, დიალ.)...

3. ა ბ ს ტ რ ა ქ ტ უ ლ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი -ება სუფიქსიანი სახელები სისტემურადაა წარმოდგენილი -ობა-თი: ამალ-ობა, წუხარ-ობა, ქვეყნიერ-ობა, უბედურ-ობა, თავისუფლ-ობა (შ. ძიძ., ქრესტ.).

-ობა სუფიქსი დროის აღმნიშვნელიცაა: კაჟიანი თოფ-ობა იყო ბაბუას-ობა-ს (516, დიალ.).

5. კ ნ ი ნ ო ბ ი თ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი რაჭულში აფიქსთა მრავალფეროვნებით ხასიათდება: -ა, -უკ-ა, -უნ-ა, -იკ-ა, -ინ-ა, -იკ-უნ-ა, -უნ-იკ-ა, -ინ-იკ-ა, -იკ-ალ-ა, -იკ-ელ-ა. „ეს სუფიქსები ყველა ერთნაირად პროდუქტიული როდია: ზოგი მათგანი (-ა, -უკ-ა, -უნ-ა) ფართოდ და ინტენსიურად იხმარება და მთელ რაჭაშია გავრცელებული, ზოგის ხმარება კი (-იკ-ა, -ინ-ა, -იკ-უნ-ა, -უნ-იკ-ა, ინ-იკ-ა) უფრო შეზღუდულია. ბოლოს გვაქვს ისეთი სუფიქსებიც (-იკ-ალ-ა, -იკ-ელ-ა), რომლებიც ერთეულ სიტყვებში-ლა გვხვდება“ (ა. კობახიძე, 1962, 157). ავტორს აქვე აქვს გარკვეული ის ფონეტიკური ფაქტორებიც, რომელიც განსაზღვრავს აფიქსის მიმართებას ამა თუ იმ ფუძესთან.

-ა: წამალ-ა (516, დიალ.), ქაჩალ-ა (507, დიალ.)...

-უკ-ა: რკინ-უკ-ა, თოფ-უკ-ა (516, დიალ.), სვან-უკ-ა, ხმალ-უკ-ა (244, შ. ძიძ., მას.).

-უნ-ა: კაც-უნ-ა, დათ-უნ-ა, გოგ-უნ-ა (509, დიალ.), ფეხ-უნ-ე-ებ-ი (219, შ. ძიძ., მას.).

-ინ-ა: ხახვ-ინ-ა (229, შ. ძიძ., მას.).

-იკ-ა: ბიცოლ-იკ-ა (226, შ. ძიძ., მას.).

-ექ-ინ-ა: ქერქ-ექ-ინ-ა (233, შ. ძიძ., მას.).

მთარაპული

მთარაპული ერთ-ერთ არქაულ დიალექტურ ერთეულად არის მიჩნეული სპეციალურ ლიტერატურაში. მას ყველაზე მეტი საერთო აქვს აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებთან (შ. ძიძიგური, 1937, 69).

1. ქონების სახელები: -იან სუფიქსით ნაწარმოებ სახელთა გვერდით (უხვ-იან ტყეში, - 197, შ. ძიძ., მას.)... ძალზე გავრცელებულია -ოვან → -ვან → -უან აფიქსით ნაწარმოები ფორმები: თხილ-ვან-ი (210, შ. ძიძ., მას.), ქართო-ფილ-უან-ი, ფხლ-უან-ი, ქონ-უან-ი, ლობ-უან-ი, ნადუდ-უან-ი (540, დიალ.), ღალატ-უან-ი (211, შ. ძიძ., მას.), ბადელ-უან-ი, კირტიშ-უან-ი, ძალ-უან-ი (214, შ. ძიძ., მას.).

-ოსან: თეთრ-ოსან-ი (530, დიალ.).

-იერ სუფიქსი, იმერული დიალექტის მსგავსად, იშვიათად -იან სუფიქსის მონაცვლელად გვხვდება: ჭკუ-იერ-ი (89, შ. ძიძ., ქრესტ.), მაგრამ ამავე ტექსტში -იან ნაწარმოებლიანი სახელიც დასტურდება: ჭკვ-იან-ი.

2. წარმოშობის სახელები: აღამიანთა წარმომავლობის აღსანიშნავად მთარაპულში გამოყენებული აფიქსები არქაული ვითარების მაჩვენებელია. ამ მხრივ ის ყველაზე მეტ სიახლოვეს გვიჩვენებს აღმ. საქართველოს მთის ერთ-ერთ არქაულ დიალექტთან - ხევსურულთან (ს. ჭანაშია, 1937, 213; შ. ძიძიგური, 1937, 69).

-იან: თაძარიკ-იან-თ ბალათა (99, შ. ძიძ., ქრესტ.), ზოშიტ-იან-თ-ი (527, დიალ.), თამაზიკ-იან-თ-ი (533, დიალ.)... მთარაპაში გვხვდება -ენ ვარიანტიც: ლობჟანიძეების საგვარეულოში: ლაშხ-ე-ენ-ი, ზვიად-ე-ენ-ი, ჯოტ-ე-ენ-ი (ს.

ჯანაშია, 1937, 213). -ენ-თ: გიორგი გოტო-ენ-თ-ი (527, დიალ.). შტო-გვართა საწარმოებლად, საგვარეულო კოლექტივისა და ამ კოლექტივის ცალკეულ წარმომადგენელთა აღსანიშნავად მთარაქულში ძალზე გავრცელებულია -ეთ სუფიქსი (შ. ძიძიგური, 1937, 78), ბეთხო-ეთ-ნი (ბეთხიშვილები), ბელა-ეთ-ნი (ბელაშვილები, 537, დიალ.), ევრალ-ეთ-ნი, ბებეკ-ეთ-ნი, აღხო-ეთ-ნი (157, შ. ძიძ., მას.).

-ეთ: პავლე აბრამ-ე-ეთ-ი, ბიქია კაცელ-ე-ეთ-ი (527, დიალ.), მაგრამ:

აბრამეე პავლე (ვ. თოფურია, 1961, 242).

„ამირან-ეთ-ი ხომ არავენ გადაგიყლაპია“ (137, შ. ძიძ., მას.), „ოვსები მოვიდეს და ბიძი-ეთ-ს* საქონელი დაჰპარევს“ (161, შ. ძიძ., მას.).

ადამიანთა წარმომავლობის გამოსახატავად -ელ სუფიქსის პარალელურად -ურ მაწარმოებლიანი ფორმაც დასტურდება: დებ-ელ-ებ-ი//დებ-ურ-ნი (97, შ. ძიძ., მთარაქ.).

-ურ სუფიქსით ნაწარმოები ერთი სახელი მქონებლობის აღმნიშვნელია: კუდ-ურ-ი = კუდიანი (133, შ. ძიძ., მას.).

4. ა ბ ს ტ რ ა ქ ტ უ ლ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი : განყენებული შინაარსი მთარაქულში -ობა სუფიქსიანი ფორმებით აღმოიცემა უმთავრესად: ნიშანდევულ-ობა (შ. ძიძ., მას.), ქვეყნიერ-ობა, უდიერ-ობა, უძღურ-ობა (178, 242, 256, შ. ძიძ., მას.), წმინდ-ობა (=სიწმინდ-ე, შ. ძიძ., მთარაქ.). თამაშობათა სახელები: სახლ-ა-ობა, ცხენ-უკ-ა-ობა, დროშ-ა-ობა, თოფ-უკ-ა-ობა... (541, დიალ.), დროის აღმნიშვნელი: ჩვენ-სა ოვს-ობა იყო (შდრ. ლეკიანობა, 155, შ. ძიძ., მას.).

* ბიძი-ეთ-ი = ბიძიშვილი (202, შ. ძიძ., დიალ.).

-ობა სუფიქსი კრებითობის ფუნქციით: სახლ-არ-ობა (შ. ძიძ., მთარაქ.), „იარაღ-ობა ჰქონდა რამეო?“ „ცხენის სამკაულ-ობა“ (139, შ. ძიძ., მას.).

-ობა სუფიქსი სახელს დაერთვის იმ შემთხვევაშიც, როდესაც მისი საპირობება არ არსებობს: ბრძოლ-ობა, დაღატ-ობა (შ. ძიძიგური, 1937, 78).

5. დ ა ნ ი შ ნ უ ლ ე ბ ი ს ს ა ხ ე ლ თ ა შორის აღსანიშნავია სა-ურ კონფიქსით ნაწარმოები სახელები: სა-რთა-ულ-ი (1. კოჭების შემაერთებელი ნაწილი, 2. თავზე გადასახურავი, 530, დიალ.), სა-ქად-ურ-ი (101, შ. ძიძ., მთარაქ.), სა-კარცხ-ულ-ი (საპატიო სავარძელი ოჯახის უფროსისათვის, შ. ძიძ., მთარაქ.).

6. ხ ა რ ი ს ხ ი ს ს ა ხ ე ლ თ ა გ ა ნ საყურადღებოა ხევსურულის მსგავსი წარმოება ოდნაობითი ხარისხის ფორმებისა -ონ სუფიქსით: „თეთრ-ონ-ა-ი ქვე დაგვიკლეს, შავრ-ონ-ა-საც გვიპირობენო“ (547, დიალ.).

7. კ ნ ი ნ ო ბ ი თ ს ა ხ ე ლ თ ა მაწარმოებლებით მდიდარია მთარაქული დიალექტი (ვ. თოფურია, 1961, 245). რაჭულის მსგავსად, აქაც იგივე აფიქსები დასტურდება, რაც სამეცნიერო ლიტერატურაში არის დასახელებული*.

-ა: ლეკვ-ა, მინდორ-ა, ბოსტან-ა (86,92, 101, შ. ძიძ., მთარაქ.).

-უკ-ა: ძაფ-უკ-ა (184, შ. ძიძ., მას.), შვილიშვილ-უკ-ა (279, შ. ძიძ., ქრესტ.), თას-უკ-ე-ებ-ი, თოფ-უკ-ე-ებ-ი (527, დიალ.).

-უა: დედ-უა (526, დიალ.).

-უნ-ა: ლეკვ-უნ-ა (185, შ. ძიძ., მას.), კეტ-უნ-ა, ქედ-უნ-ა (527, დიალ.).

* ვ. თოფურია, 1946; შ. ძიძიგური, 1973, 228-229; ა. კობახიძე, 1962.

-ინ-ა: ლეკვ-ინ-ა (181, შ. ძიძ., მას.).

-უნ-იკ-ა: სერგ-უნ-იკ-ა, ბიჭ-უნ-იკ-ე-ებ-ი (538, 527, დიალ.).

-იკ-უნ-ა: ვაღ-იკ-უნ-ა (527, დიალ.).

-უკ-ელ-ა: ბუზ-უკ-ელ-ა (146, შ. ძიძ., მას.).

-იკ-ელ-ა: მარ-იკ-ელ-ა (153, შ. ძიძ., მას.).

-უც-უნ-ა: ბებრ-უც-უნ-ა (212, შ. ძიძ., მას.).

-ურ-ა: თუნ-ურ-ა-ებ-ი (541, დიალ.).

გაანალიზებულმა მასალამ ცხადყო, რომ დიალექტებში მოქმედი სიტყვაწარმოებითი მოდელი სალიტერატურო ქართულში დამკვიდრებულ მოდელს მიჰყვება.

სიტყვაწარმოების მექანიზმის თვალსაზრისით საინტერესოა ერთგვაროვან პროცესთა გამოვლენის შემთხვევები ცალკეულ დიალექტთა მიხედვით:

ა) აღმოსავლურ დიალექტებში (დასავლურიდან კი მთარაქულში) -იან სუფიქსით (ან მისი ფონეტიკური ვარიანტებით) ადამიანთა სადაურობისა და საგვარეულო კოლექტივის წევრთა აღნიშვნა უძველესი ვითარების მსახველია.

ბ) ქონების სახელთა -ოვან მაწარმოებელი მთის დიალექტებში, ძველი ქართულის მსგავსად, აქტიურია და მქონებლობასთან ერთად თვისებასა და სიმრავლე-კრებითობაზეც მიუთითებს, ხოლო მისი ფონეტიკურად სახეცვლილი -იონ ხეცურულში ადამიანთა წარმომავლობას, კრებითობასა და პროფესიას აღნიშნავს. ამავე დიალექტში გამოვლენილი -ონ (→-ოვან → -ვან→-ონ) კრებითობასთან ერთად ოდნაობითი ხარისხის ფორმათა მაწარმოებელიცაა (ორიოდე შემთხვევაში ამ ფუნქციით -ონ მთარაქულშიც დასტურდება).

გ) დასავლურ დიალექტებში(განსაკუთრებით იმერულსა და რაჭულში) -იერ სუფიქსი -იან-ის მონაცვლეა: ჭკვე-იერ-ი, ხოლო მთარაჭულსა და აჭარულში -ელ სუფიქსის როლშია წარმოდგენილი: გურ-იელ-ებ-ი, სოფლ-იერ-ი.

დ) აბსტრაქტულ სახელთა ჯგუფში იგრძნობა -ობა სუფიქსის გააქტიურების პროცესი.

ე) დანიშნულების, წინა გითარების, ხელობისა და უქონლობის სახელებშიც აღსანიშნავია -ურ შემადგენლიან კონფიქსთა (სა-ურ, ნა-ურ, მე-ურ, უ-ურ) როლის ზრდა.

ვ) თითქმის ყველა დიალექტში შეინიშნება სემანტიკური ჯგუფის ფარგლებში აფიქსთა მონაცვლეობის შემთხვევები.

თავი IV

სახელთა წარმოქმნელი აზიქსების გენეზისისათვის

აფიქსი (ლათ. **affixus** – მიმაგრებული) სიტყვის ის ნაწილია, რომელსაც აქვს გრამატიკული (და არა საგნობრივი) მნიშვნელობა.

სპეციალურ ლიტერატურაში გაბატონებულია თვალსაზრისი, რომ აფიქსები მომდინარეობენ სრულმნიშვნელოვანი, დამოუკიდებელი სიტყვებისაგან. „იმ აფიქსთა წარმოშობა, რომელთა ისტორიაც დოკუმენტურად ცნობილია, სავსებით ადასტურებს ზემოხსენებულ გაგებას (არნ. ჩიქობავა, 1951, 247). ასეთია, მაგ.: ბრუნვის ნიშანთაგან -ი (←იგი), -მა (←მან); მეშველი ზმნა -ა (←არს), ნაწილაკთაგან: უნდა, თითქოს და სხვ. (არნ. ჩიქობავა, 1951, 247).

ქართულ სიტყვაწარმოებით აფიქსებში, დერივატებში, სამი ძირითადი ჯგუფი გამოიყოფა:

ა) შედარების, ზომა-ოდენობის აღმნიშვნელი სრულმნიშვნელოვანი სიტყვები, ზმნიზედები, თანდებულები და ნაწილაკები ზოგჯერ მნიშვნელობის მცვლელ აფიქსთა ფუნქციითაც გვევლინებიან. ესენია: -გვარ, -გან, -გზის, -დელ, -ებრ, -თანა, -მიერ, -(ა)-მდელ, -ოდენ (←-ოდე), -ნაირი, -ფერი, -კეც, -მაგ, -ჯერ.

ბ) ბრუნვის ნიშნები: -ის, -ით, -ივ, -ად;

გ) აფიქსები, რომელთა ამოსავალი მნიშვნელობა უცნობია: ისინი „ისეთ ღროს არის წარმოქმნილი, რომ ისტორიულ-

ლი, დოკუმენტური ძიება მათ ვერ სწვდება“ (არნ. ჩიქობავა, 1951, 247). ხშირად აფიქსთა გამოყოფა ხერხდება, რადგან ისინი მკვეთრად უპირისპირდებიან ფუძეს, მაგრამ დამოუკიდებლად მათ არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ. აღდგენა იმ სიტყვისა, რომლისაგანაც ისინი შეიძლება მომდინარეობდნენ, ამ ეტაპზე უკვე ძნელდება.

სიტყვების დაშლა, ძირისა და აფიქსის გამოყოფა ისტორიულად სხვადასხვა სიბრტყეზე განიხილება. ის, რაც დღეს ძირის კუთვნილებად მიიჩნევა, ისტორიულად აფიქსია. მონათესავე ენებთან შეპირისპირებით ზოგჯერ ხერხდება ფუძეზე შეხორცებული აფიქსის გამოვლენა. ამის ნიმუშია არნ. ჩიქობავას „სახელის ფუძის უძველესი აგებულება“.

დერივატთაგან ბევრი ცოცხალი და მოქმედია, ზოგიც დღეს მნიშვნელობის მცვლელად უკვე აღარ მიიჩნევა. მკვდარი აფიქსი ან იკარგება, ან ფუძეს შეუხორცდება (არნ. ჩიქობავა, 1951, 245).

საერთო-ქართველურ აფიქსთა სტრუქტურული მოდელი მოცემულია თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის ნაშრომში (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, 1965).

ა) პრეფიქსული მორფემის სტრუქტურა განისაზღვრება CV, C და V კანონიკური ფორმულით (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, 1965, 319).

ბ) სუფიქსური მორფემის ძირითადი კანონიკური ფორმულა განისაზღვრება VC და VS-ით (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, 1965, 307)*.

სადაც ეს პრინციპი დარღვეულია, საქმე გვაქვს მეორეულ მოვლენასთან.

I. -იან//-ოვან//-იონ//-ონ//-ოსან.

* C სიმბოლო აღნიშნავს ნებისმიერ თანხმოვანს ან დეცესიური რიგის პარმონიულ ჯგუფს, რომელსაც შეიძლება დაერთოს ლაბიალური/*ჟ/ ელემენტი. V სიმბოლო აღნიშნავს ხმოვან ფონემას, S ნებისმიერ სონანტს უმარცვლო ფუნქციით (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, 1965, 307).

დასახელებულ აფიქსთა საერთო ელემენტია -ან (სხვა-დასხვა ფონეტიკური ვარიანტით), რომელიც ქართველურ ენებში ძალზე გავრცელებულია და „ურთიერთშორის რამდენიმე მკიდროდ დაკავშირებული მნიშვნელობით იხმარება: ა) კრებითობისა, მრავლობისა, კორპორაციული. ბ) თვისების ქონებისა, გ) წარმოშობა-სადაურობისა, დ) ტომონიმიკური, ე) კნინობითობისა“ (ს. ჯანაშია, 1937, 210). მოცემული სუფიქსის საყოველთაო გავრცელება და მრავალვარიანტიანობა ქართველურ ენებში მოწმობს, რომ იგი ამ ენების საკუთარი მორფოლოგიური ელემენტია (ს. ჯანაშია, 1937, 220).

-იან სუფიქსის გენეზისის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში რამდენიმე განსხვავებული მოსაზრებაა:

1. -იან ← -ეან (ა. შანიძე, 1973, 122). -იან სუფიქსი რომ -ეან-ისაგან მომდინარეობს, საეჭვო არაა. ცვლილების მიზეზი ხმოვანთა რეგრესული დისიმილაციაა (მ. ძიძიშვილი, 1960, 61). -ე-ან კი, თავის მხრივ, მიღებულია -ეგ-ან აფიქსისაგან. „ეს უკანასკნელი ძველ ქართულში მართლაც არის დადასტურებული: დედანი მათნი ზელენ ცმელსა, რადთა უქმნენ მსუნეგანი (მსულეგანი A), ძალსა ციხისათა“ (ივ. იმნაიშვილი, 1971, 145).

2. -იან ← -იგ-ან: ზოგი ქართული გვარის გაანალიზების შედეგად გ. როგავამ ივარაუდა, რომ -იან ← -იგ-ან: ჩხეტ-ია ← ჩხეტ-იან ← ჩხეტ-იგ-ან (გ. როგავა, 1955, 4). -იგ → -ამას ადასტურებს გვარი ჩოჩ-ი-გ-ა-ძე (გ. როგავა, 1955, 4).



არნ. ჩიქობავა -იან სუფიქსის მიღების ორივე გზას კანონზომიერად მიიჩნევს:

ა) -ეგ-ან → ე-ან → -ი-ან (სნეულ-ე-ან ←

სნეულ-ეგ-ან) (არნ. ჩიქობავა, 1942, 89). ბ) -იგ-ან → -ი-ან (სე-იან-ი, მზ-იან-ი) (არნ. ჩიქობავა, 1942, 118)*. ამ თვალსაზრისს იზიარებს რ. გაბეჩავაც, რადგან თვლის, რომ „ქართულისათვის სრულიად ბუნებრივია როგორც ვ თანხმობის დაკარგვა, ასევე ე ხმობის შეცვლა ი-დ“ (რ. გაბეჩავა, 1971, 46).

-ოვან სუფიქსის -ოვ ელემენტს ივ. ქავთარაძე ძველ ქართულში გავრცელებულ თემატურ სუფიქსს უკავშირებს: ავს-ოვ-ს, ივლ-ოვ-ს. „საფიქრებელია, რომ ქონების -ოვან სუფიქსში, რომელიც დაიშლება -ოვ-ან ელემენტებად, ეგევე -ოვ გვქონდეს (შდრ. -ოს-ან) (ივ. ქავთარაძე, 1954, 142).


-ოს-ან სუფიქსის -ოს ელემენტი აუხსნელია. მისი სადაურობის რთული საკითხი ს. ჯანაშიამაც ცალკე გამოყო (ს. ჯანაშია, 1937, 220).

-ან შემადგენლიან აფიქსთა შესახებ ს. ჯანაშია წერდა: „სიტყვაწარმოების მექანიზმის თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს, რომ -ან სუფიქსი უკავშირდება ფუძეს ზოგჯერ უშუალოდ, უმეტეს წილად კი ი, ე, ო- ინფიქსების საშუალებით. ამ ინფიქსებსა და სუფიქსებს შორის ხშირად ჩნდება თანხმობიანი -ვ“ (ს. ჯანაშია, 1937, 210).

როგორც აღინიშნა, -იან სუფიქსის მიღების ორივე გზა:

* თუმცა ავტორს შეუძლებლად არ მიაჩნია, რომ -ი-ან... მივიღოთ სხვა წარმოშობის -ე-ან-ისაგანაც. მაგ. ქრისტე-ან → ქრისტი-ან“...; გ. როგავა ეა → ია-ს დიფთონგიზაციისაკენ მიდრეკილებით ხსნის (გ. როგავა, 1969, 76): მავდე-ან → მავდ-იან; მაგრამ ქრისტე-ან → ქრისტ-იან - ეს ანალოგიაა, მიღებული პარადიგმატული გათანაბრების ტენდენციით, სადაც ფუძისეული ე-ც კი -ეან → -იან-ს გაუთანაბრდა.

-ივ-ან → -იან და -ევ-ან → -იან თანაბრად შესაძლებელია. რაც შეეხება -ან ელემენტის წინ გამოვლენილ ო და უ ხმოვნებს, ისინი მეორეულნი არიან (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, 1965, 296, 322, 366) და ფუძისა და აფიქსის ხმოვანთა ფონეტიკურად სახეცვლილ მორფემებს წარმოადგენენ.

-ევ-ან  -ოვ-ან: სურნელ-ოვან-ი...

-ივ-ან

-ოვან, მას შემდეგ, რაც დამოუკიდებელ სუფიქსად იქცა, სხვა ფუძეებთანაც დამკვიდრდა და ახალი ფუნქციით მოგვევლინა.

-ოვან ← -ივან, ამას ადასტურებს შატილ-ივან-ები ფორმაც, რომელიც მხ. რიცხვში -იონ სუფიქსით არის გაფორმებული: შატილ-იონ-ი -იონ ← -ივ-ან: არხოტ-იონ-ი, ამღ-იონ-ი...

-ოვან → -თან → -უან: ბოჭკო-ოვან-ი, ეკლ-ოვან-ი-
 ლერწმ-თან-ი (ილ. აბულ.),
 ლედ-ოვან-ი//ლედ-თან-ი (ილ. აბულ.),
 დედრ-თან (ა. ჰინჯ.), დიდრ-უან-ი (იმერ.),
 ლობ-უან-ი (რაჭ., შ. ძიძიგური, 1946, 43).




-ვან: სახელ-ოვან-ი (იმერ. პ. გაჩეჩ.), ძალ-ვან-ი (იმერ. მ. ალავე)...
 ↓

-ონ: (შ. ძიძიგური, 1946, 74); (შ. ძიძიგური, 1954, 5):
 კედრ-ონ-ი (ნაძოვანი, ილ. აბულ.), ფეხ-ონ-ი, (ა. ჰინჯ.)...
 თეთრ-ონ-ი (ა. ჰინჯ.).

-ოს-ან: გვირგვინ-ოსან-ი... -ოს ელემენტი შეიძლება

უკავშირდებოდეს ნათ. ბრ.-ის ნიშანს, რომელიც ფუძისეული ხმოვნის ზემოქმედებით -ოს სახეს მიიღებდა. ოქრო-ს-ან-ი ← ოქრო-ის-ან-ი, ასევეა: ქერხო-ს-ან-ი (ა. ჰინჯ.)... შესაძლებელია ფუძისეული ო ბრუნვის ნიშნის -ის → -ოს, რომელიც -ან ელემენტთან ერთად ახალ სუფიქსად გააზრიანდა და სხვა ფუძეებთანაც იქნა გადატანილი.

-იან// -ოვან// -იონ// -ონ// -ოსან აფიქსთა გენეზისი ამგვარად გვესახება:



3. -ოს-ან ფუძის ხმ. + ნათ. ბრ. ის + ან.

II. ა) -იერ// -ურ// -იურ

ბ) -ელ// -ეულ.

-ი-ერ ← -იგ-ერ: „აქ რომ -ი ← -იგ, ამას მოწმობს გ-ს წარმოჩენა მომდევნო ე-ს დაკარგვის შემთხვევაში, იშვითად ახალ სალიტერატურო ქართულში და, უფრო ხშირად, ზოგ აღმოსავლურ კილოში: გონ-ი-ერ-ი — გონ-ი-გ-რ-ულ-ი (არნ. ჩიქობავა, 1942, 90).

-ერ სუფიქსი დამოუკიდებლად არსებობს ამ-ერ, იმ-ერ

ფორმებში. იგი თანაბრად მიუთითებს როგორც ადამიანთა, ისე არაადამიანთა სადაურობაზე (ალ. მანჯგალაძე, 1953, 496). -ერ სუფიქსის ფუნქციის დაბნელების შემდეგ ამ ფორმებს ისევ დაერთო წარმომავლობის აღმნიშვნელი -ელ, -ურ სუფიქსები: იმ-ერ-ელ-ი//იმ-ერ-ულ-ი.

-იერ სუფიქსი ძვ. ქართულში წარმომავლობის აღმნიშვნელი იყო. მოგვიანებით მისი ადგილი -იურ სუფიქსმა დაიკავა: „ლექსიკონები გვიჩვენებენ, თუ როგორ გამოდის ხმარებიდან ერთი გრამატიკული საშუალება /-იერ/ და შემოდის ხმარებაში /-იურ/“ (ალ. მანჯგალაძე, 1953, 501).

-ურ ← ეჟ/იჟ-ერ: სუფიქსური მორფემის ზოგადი ფონოლოგიური მოდელის თვალსაზრისით -ულ, -ურ სუფიქსები ანომალიურ ერთეულებს შეიცავენ. „ირკვევა, რომ სუფიქსთა ეს ტიპი მეორეულია და გახმოვანების ნულოვან საფეხურზეა წარმოდგენილი ორი სუფიქსური მორფემის კომბინაციით არის მიღებული“ (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, 1965, 296). უფრო გვიან კი -ურ დაუშლელ სუფიქსურ მორფემად იქცა და როგორც დამოუკიდებელი სუფიქსი, განსაკუთრებით პროდუქტიული ხდება ახალ ქართულში (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, 1965, 299; ალ. მანჯგალაძე, 1953, 512).

-ი-ურ ← -იგ-ურ: (ა. შანიძე, 1973, 128; ალ. მანჯგალაძე, 1953, 500).

-ურ სუფიქსი რომ არ იყო ძველი ქართული სალიტერატურო ენისათვის დამახასიათებელი გრამატიკული საშუალება, ამას ადასტურებს ისიც, რომ ძველ ქართულ ძეგლებში, შეიძლება ითქვას, სრულიად არ გვხვდება სუფიქსი -იურ, რომელშიც, როგორც ცნობილია, -ურ კომპონენტად გვევლინება (ალ. მანჯგალაძე, 1953, 500).

-იგ მოქმედებითი ბრუნვის ნიშანია, -ით-ის ვარიანტი (ა. შანიძე, 1973, 76), ხოლო მოქმედებითი ბრუნვის ერთი უძველესი ფუნქცია გამოსვლითობის, მომდინარეობის აღნიშვნა იყო: ზეც-ით//ზეც-იგ = ზეციდან, ე.ი. -იგ ფორმანტს უძველეს ქართულში თვითონ ჰქონია წარმომავლობის გამოხატვის უნარი და როცა მისი შინაარსი მიჩქმალულია, მაინტენსივებლად კვლავ იმავე ფუნქციის -ურ დართვია. -იგ-ერ → -იერ წარმომავლობის აღმნიშვნელი უფრო აღრინდელი საფეხური იყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც -ერ სუფიქსი წარმომავლობას ვეღარ უჩვენებდა, მისი ადგილი -ურ სუფიქსმა დაიკავა: შდრ. ზეც-იერ-ი და მიწ-იურ-ი.

წარმომავლობის შინაარსით ძველ ქართულში -არ სუფიქსიც იხმარებოდა: ოპიზ-არ-ი /ოპიზელი/. ა. შანიძემ -არ მეგრ. ჰან. -არ სუფიქსს დაუკავშირა, რომელიც ქართული -ელ სუფიქსის ფონეტიკური და გრამატიკული შესატყვისია (ა. შანიძე, 1956, 28-32). ე. ი. ძველი ქართულის ფორმებში -არ სუფიქსის ხმარება ზანიზმია.

-ელ: ადამიანთა წარმომავლობის მაჩვენებელია. იგი მ-ელ კონფიქსის შემადგენელი ნაწილი იყო: მ-ეგვპტ-ელ-ი, მა-ჩაბ-ელ-ი... (ა. შანიძე, 1973, 127). მ- პრეფიქსის დაკარგვის შემდეგ ოდენ -ელ სუფიქსი აღნიშნავს ადამიანთა სადაურობას. ახალ ქართულში მან სამოქმედო არე გაიფართოვა და ახალი ფუნქციებითაც აღიჭურვა.

-ე-ულ ← -ეგ-ულ: თითო-ე-ულ, ჭირგ-ე-ულ, დილ-ე-ულ... (არნ. ჩიქობავა, 1942, 44). -ულ სუფიქსი, -ურ-ის მსგავსად, თავის მხრივ, მიღებული ჩანს -ეჭ-ელ//

* მ- პრეფიქსი დაერთვოდა ძველ ქართულში -ონ მაწარმოებლიან სადაურობის სახელებსაც: მ-სოფლ-ონ-ი (=სოფლელი გრ. მერჩ.), მ-ძღ-ონ-ი (ჩძლის მყარი, ნ. ჩუბინ.)

-იჟ-ელ აფიქსთა შერწყმით. საგულისხმო ფაქტია ისიც, რომ წარმომავლობის ფუნქციით ხმარებული -ეულ სუფიქსი აღნიშნავს უმთავრესად ბ ი რ თ ა გ ა ნ წარმომავლობას: პაპ-ის-ეულ-ი, ჩემ-ეულ-ი... (დიალექტებში -ეულ სახეცვლილია: იგი -ეურ-ის სახით წარმოგვიდგება: ხელ-ეურ-ი (ქიზიყ.), ცოლ-ეურ-თ-ი (რაჭ.)... ეს ლ → რ თანხმოვნის დისიმილაციითაა გამოწვეული. ამავე მიზეზით უნდა იყოს: წრ-ეულ-ს (აჭ.). -ელ სუფიქსი შედის -დელ და -(ა)-მდელ სუფიქსებში: დელ ← დღ-ელ (ა. შანიძე, 1973, 130), -(ა)-მდელ ← მდელ-დღელ (დ. მაჭავარიანი, 1951, 135).

-ელ//-ერ:

1. -ერ [-იგ-ერ] → -ურ [-იგ-ურ] → ი-ურ

2. -ელ [-იგ-ელ] → -ულ [-იგ-ულ] → ე-ულ.

ძირითადია -ელ//-ერ ელემენტი.

III. -ეთ//-ედ. „საფიქრებელია, რომ -ეთ სუფიქსის ამოსავალი მნიშვნელობა იგივე იყოს, რაც -ედ სუფიქსისა, სახელდობრ, -იან, -ოგ-ან ე. ი. მქონებლობის მაჩვენებელი... თუ -ეთ განვმარტეთ, როგორც -ედ: ტბ-ეთ-ი იქნება ტბიანი“ (არნ. ჩიქობავა, 1974, 70).

ეგვევ სუფიქსები მრავლობითობის აღმნიშვნელია სახელებსა და ზმნებში. -ეთ ← -ედ: თ სუფიქსი სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში დაყრუებული და გაფშვინვიერებული -დ სუფიქსია (არ. ჩიქობავა, 1956, 321).

-ენ არქაული სუფიქსი სრული სახით შემონახულია მთარაქულში: ბადიშენი, მეზობლენი, ყმაწვილენი... (შ. ძიძიგური, 1954, 26)*. (გურულში ღოლიძ-ნ-ებ-ი (ალ. ღლონტი, ორმაგი მრავლობითი). ეგვევ სუფიქსი წარმომავლობის აღმ-

* „ნ (ენ//ან) მრავლობითობის მაწარმოებელი საერთო სუფიქსია სახელებსა და ზმნებში (არნ. ჩიქობავა, 1928, 132; ივ. იზაიშვილი, 1956, 270).

ნიშვნელიცაა რაჭულსა და მთარაჭულში: გოტო-ენ-ი, სვანე-ენ-ი... ე. ი. მრავლობითობის აღმნიშვნელი -ედ, -ენ, -ებ დასტურდება სახელებშიც (ნარ-თანიანი და ებ-იანი მრავლობითის ფორმებში)... და ზმნებშიც: -ედ (არი-ედ). ამათგან უძველესია -ედ, ყველაზე ახალია -ებ (არნ. ჩიქობავა, 1956, 322).

-ედ → -ეთ

-ენ

-ებ

ძირითადია -ედ/-ენ/-ებ

IV. -ება//-ობა/-ობ//-ო

-ება → -ობა: აბსტრაქტულ სახელთა მაწარმოებელი აფიქსები -ება, -ობა საწყისური წარმოშობისაა (ა. შანიძე, 1973, 131-133; არნ. ჩიქობავა, 1942, 219; არ. მარტიროსოვი, 1958, 124). ზმნის თემატური ნიშანი იგივეა, რაც კრებითობა-სიმრავლის -ებ სუფიქსი სახელებში (ივ. ჭავთარაძე, 1954, 93). -ებ სუფიქსის უმთავრესი ფუნქცია მრავლობითობის აღნიშვნა კი არ არის, არამედ ნივთთა კლასისა, კრებითობისა და განყენებული ცნებებისა (კ. დონდუა, 1967, 158). ლექსიკურად მასდარი განსხვავდება აბსტრაქტული სახელისაგან. განსხვავებულია წარმოების წესიც, მაგრამ საერთო მათ ისა აქვთ, რომ წინადადებაში ორივე სახელის როლში გვევლინება. გრამატიკულად კი არსებითი სახელიცა და საწყისიც განყენებული კატეგორიებია. -ებ-ა და -ობ-ა სუფიქსი რთული შედგენილობისაა. -ებ, -ობ, როგორც აღინიშნა, წარმოშობით თემატური ნიშნებია, -ა კი საკუთრივ აბსტრაქტული სახელის მაწარმოებელია (არ. მარტიროსოვი, 1958, 123).

სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ -ობ ←

-ებ (არნ. ჩიქობავა, ქეგლ. I, 062; ე. ოსიძე, 1963, 13; ე. გეურქოვი, 1963). „... -ოდ სუფიქსში -ო-ს გამოყოფისა და მისი მეორეულობის სასარგებლოდ ლაპარაკობს... ო ხმოვნის მეორეულობა ქართული ენის აფიქსებში საერთო (შდრ. მესამე სუბიექტური პირის -ო ნიშანი, ხარისხის ფორმებში წარმოდგენილი -ო სუფიქსი, -ობ აწმყო ფუძის მაწარმოებელი სუფიქსი: -ობ ← გებ, მიმღეობის მაწარმოებელი -ო სუფიქსი: სა-თნ-ო ← სა-თნევ-ე...“ (ო. ოსიძე, 1963, 12-13). -ობა სუფიქსი ფართოდ გავრცელდა ქართულში. იგი თითქმის შეენაცვლა კიდევ -ება სუფიქსს. შდრ.: აფიქსთა გავრცელებულობის ცხრილები. -ობა სუფიქსი კვლავ იფართოებს ხმარების არეს: დიალექტებში უმთავრესად -ობა-თი იწარმოება განყენებულ ცნებათა აღმნიშვნელი სახელები (იხ. ზემოთ).

-ობ → -ო: დამოუკიდებლად ხმარებული -ობ სუფიქსი ადგილის სახელთა აღმნიშვნელია: დაბლ-ობ-ი, ფერდ-ობ-ი... -ობ თვისებათა ერთობლიობას აღნიშნავს: რბილ-ებ-ი → რბილ-ობ-ი... რა განასხვავებს მათ ერთმანეთისაგან? -ებ-იანი ფორმა სიმრავლეს აღნიშნავს, -ობ მაწარმოებლიანი სახელი კი სუბსტანტივის როლშია და განსხვავებული შინაარსის გამომხატველია. იგი ახლადწარმოქმნილი ჩანს და, როგორც ფ. ერთელიშვილი ვარაუდობს, მრავლობითობის -ებ სუფიქსისაგან უნდა იყოს მიღებული (ფ. ერთელიშვილი, 1980, 215): ფერდ-ებ-ი → ფერდ-ობ-ი, ტაფ-ებ-ი → ტაფ-ობ-ი... ამგვარად ნაწარმოები სახელები ფართოდ გავრცელდა ქართულში (იხ. ზემოთ).

-ობ მაწარმოებელი ზოგჯერ -ო-ს სახით არის წარმოდგენილი: ფერდ-ობ-ი → ფერდ-ო, გვერდ-ობ-ი → გვერდ-ო, ჩრდილ-ობ-ი → ჩრდილ-ო... -ო უკვე დამოუკიდებელ აფიქსად

იქცა და სხვა ფუძეებისაგანაც აწარმოებს ახალ სახელებს: ჩერ-ო*, ფრიალ-ო, დობირ-ო, კედარ-ო... აღსანიშნავია, რომ ეგვეე სუფიქსი დაერთვის არა მხოლოდ ადგილის აღმნიშვნელ სახელებს, არამედ მცენარეთა და სასოფლო-სამეურნეო იარაღის სახელებსაც. განსაკუთრებით მრავლად არის ო მაწარმოებლიანი სახელები დასავლურ დიალექტებში, იმერულში სისტემატურად გვხვდება სოკოთა სახელები -ო (-ი-ო) მაწარმოებლით.

-ი-ო რთული სუფიქსია. მისი ნაწილების გენეზისის შესახებ სპეც. ლიტერატურაში სხვადასხვა თვალსაზრისია გამოთქმული. -ი-ო სუფიქსის -ო ხმოვანი ვ. თოფურიას მიმართვის ფორმად მიაჩნდა (ვ. თოფურია, 1956); ივ. ქავთარაძემ თავდაპირველად -იო ერთ ოდენობად წარმოადგინა და იგი -იონ-ისაგან მიღებულად ჩათვალა (ივ. ქავთარაძე, 1963, გვ. 111), შემდეგ კი სპეციალური გამოკვლევა უძღვნა და იგი -ია სუფიქსის დიალექტურ ვარიანტად დასახა, რომელიც „ხელახალი გააზრების შემდეგ იო დამოუკიდებელ სუფიქსად იქცა“ (ივ. ქავთარაძე, 1974, 144).

ქ. ლომთათიძემ ისტორიულ და დიალექტურ ასპექტში შეისწავლა სოკოთა სახელები და დაასკვნა, რომ „-ი-ო რთულ დაბოლოებას შორის უნდა იყოს ჩავარდნილი თანხმოვანი (ასეთი შეიძლება ყოფილიყო ვ, კინობითობის -ივ სუფიქსის კ თანხმოვნითი ნაწილი ან რომელიმე სხვა თანხმოვანი), მაგრამ საფიქრებელია, როგორც კიდევ აღუნიშნავთ (ივ. ქავთარაძე), აქ -ი-ო-ს შორის ჩავარდნილი იყოს ლ თანხმოვანი, რომელიც -ილ ალერსობით სუფიქსს უნდა განკუთვნებოდა“ (ქ. ლომთათიძე, 1982, 84-85).

* წყარ-ო, მდელ-ო, მყუდრ-ო, ღერ-ო სახელებში-ო მიჩნეულია -ოვ სუფიქსისაგან მიღებულად (გ. ბურჭულაძე, 1961).

V. ხარისხის სახელთა წარმომქმნელი აფიქსები.

1. უ—ეს (→უ—ოს).

სპეციალურ ლიტერატურაში გარკვეულია, რომ ზედსართავი სახელის უფროობითი ხარისხის ფორმები ზმნური წარმოშობისაა. მათი საწარმოებელი პრეფიქსი სასხვისო ქცევის უნიშნისაგან მომდინარეობს, ხოლო ამ უ-ს წინ მდგომი ხ- /ჰ-/ წარმოშობით მესამე ობიექტური პირის თავსართია. ა. შანიძე აღადგენს I-II პირების ფორმებსაც: მიმჯობჰსი, გიმჯობჰსი (ა. შანიძე, 1936, 235-238)*. ზემო იმერულისა და „ვეფხისტყაოსნის“ უ-მაღლ-ე, უ-ხნ-ე, უ-არ-ე, უ-მართლ-ე... აგრეთვე, უ-ფრ-ო-მს, უ-ტკბ-ო-მს ფორმები („ეტი“), ავტორს ავარაუდებინებს, რომ ხარისხის პირვანდელი სუფიქსია ე ან თ“ (ა. შანიძე, 1973, 144). გ. მაჭავარიანი სუფიქსის ე ხმოვანს წყვეტილის -ე-ს უკავშირებს, „ხოლო ხ-უ-ფრ-ო“-ის ფორმაში წარმოდგენილ თ ხმოვანს ე-საგან (ან ა-საგან) მიღებულად თვლის. „სვანურში ეხლაც ხვდება ერთმანეთს უფროობითი ხარისხი და პირიანი ფორმა, მაგ. ხ-ო-ჩ-ა („კარგი“, „უკეთესი“) და ხ-ოჩ-ა („სჯობს“) (გ. მაჭავარიანი, 1954). -მს მაწარმოებელი კი ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია (ა. შანიძე, 1973, 144), რომელიც „ხარისხის ფორმაში გადმოვიდა მასთან ნახმარი შესადარებელი სახელიდან“ (თ. ზურაბიშვილი, 1957, 138).

უფროობითი ხარისხის მაწარმოებელთა ევოლუცია ასეთია ძვ. ქართულში: ხუ—მს//ხუ—ეს და ჰუ—მს//ჰუ—ეს; (იშვიათად ხუ - ომს//ჰუ-ომს). საშუალსა და ახალ ქართულში: უ—ეს, იშვიათად უ—ოს (თ. ზურაბიშვილი, 1957, 140).

* ვ. დონდუა საეჭვოდ თვლის, რომ თუ I-2 პირის ფორმები საერთოდ შეიძლება ბოდა, იგი აუცილებლად უნდა შემოენახა სვანურს, რომელმაც ბევრი არქაული ვითარება შემოგვინახა (ვ. დონდუა, 1967, 234).

2. მი-ე → მო-ო:

ივ. იმნაიშვილმა ოდნობითი ხარისხის მო- თავსართი პირველ ობიექტურ პირს დაუკავშირა: „ასეთ ფორმას ქცევის ნიშნად ბუნებრივად შეესატყვისება ი. მაშასადამე, თავიდანვე უნდა გვქონოდა: მ-ი-თეთრ-ე... ბაგისმიერი მ-ს მეზობლობაში ი-ს ქცევა ო-დ შეუძლებელი არ უნდა იყოს... მო-თეთრ-ო (ივ. იმნაიშვილი, 1956, 254). „...სუფიქსი ო კი ე-საგანაა მიღებული, რაც საშუალსა და ახალ ქართულში მომხდარა“ (ივ. იმნაიშვილი, 1956, 454).

ოდნობითი ხარისხის მო-, წა- თავსართები ა. შანიძემ სათანადო ზმნისწინებს დაუკავშირა (ა. შანიძე, 1973, 141).

VI. კონფიქსები.

სუფიქსები						
პრეფიქსები	ე	ო	ურ	არ	ევ	ებ
მე	მე-ე		მე-ურ			
მო	მო-ე	მო-ო	მო-ურ			
სა	სა-ე	სა-ო	სა-ურ	სა-არ		
სი	სი-ე	სი-ო				
ნა			ნა-ურ	ნა-არ	ნა-ევ	ნა-ებ
უ	უ-ე	უ-ო	უ-ურ	უ-არ		

„სადაც ორი აფიქსია გამოყენებული ერთი ფუნქციით, იქ ისტორიულად ორი ფუნქცია უნდა ვივარაუდოთ.

პრეფიქს-სუფიქსიანი წარმოების შემთხვევაში გასარკვევია, რა ეკისრება სუფიქსს, რა როლს ასრულებს პრეფიქსი“ (არნ. ჩიქობავა, 1942, 127).

ცნობილია, რომ ცალკეულ სემანტიკურ ჯგუფში შემავალ კონფიქსებში პრეფიქსი ყველგან საერთოა (მაგ. სა—ე, სა—ო, სა—ურ, სა—არ, სა— საერთო ელემენტია სა— (ე. ი. სემანტიკური ჯგუფისათვის განმსაზღვრელია პრეფიქსის როლი. მაგ.: სა— დანიშნულების სახელებისათვის, მე— ხელობის, ნა— წინა ვითარების, უ— უარყოფის...

უარყოფით ფორმათა გაანალიზებისას აღნიშნული გვქონდა, რომ ქართველურ ენებში (კერძოდ, ქართულსა და მეგრულ-ქანურში) უარყოფის მაჩვენებელია უ— პრეფიქსი, რომელიც თ. გამყრელიძესა და გ. მაჭავარიანს უარყოფის უე ნაწილაკისაგან მომდინარედ მიაჩნიათ (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, 1965, 323)*. განსხვავებული ვითარების მაჩვენებელია სვანური (ვ. თოფურია, 1940, 538). ამ უკანასკნელ ხანებში გამოითქვა მოსაზრება, რომ უარყოფის სახელთა —ურ სუფიქსი სვანურში თანდებულური წარმოშობისაა**.

ე. ი. უარყოფით ფორმათა გაანალიზებისას საჭიროა სუფიქსთა როლის კვლევა.

უ—ო, უ—ურ, უ—არ, უ—.

ო— სუფიქსი ე-საგან მიღებულად გვესახება სხვა აფიქსთა

* შტრ. ანალოგიური ვითარება ინდოევროპულ ენებში: *ne (სრული საფეხური) „არა, არ“, სკრ. na, ლათ. ne (que), ძვ. სლავ. ne, ხეთ. natta ~ * ŋ (თ. გამყრელიძე, ვ. მაჭავარიანი, 1965, 323).

** ნ. აბქაძის ეს მოსაზრება დამოწმებულია გ. ხორნაულის სტატიაში (გ. ხორნაული, 1973, 136).

ანალოგიური სახეცვლილების გათვალისწინების გამო (შღრ. სა—ე → სა—ო, უ—ე → უ—ო...), -არ მიმღობებში წარმოდგენილ სუფიქსს უკავშირდება, ხოლო -ურ სუფიქსის როლის გარკვევა გართულებულია იმის გამოც, რომ იგი თითქმის ყველა კონფიქსში შედის (თავისთავად ეს მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია!). შღრ.: მე-თა-ურ-ი, უ-თა-ურ-ი, სა-თა-ურ-ი... სა-ცნა-ურ-ი, უ-ცნა-ურ-ი, ნა-ცნა-ურ-ი...

როდესაც დასახელებული კონფიქსით ნაწარმოებ ფუძეებს განვიხილავდით, ვწერდით, რომ მე-თა-ურ ფორმაში მე-ურ ხელობის აღმნიშვნელია, უ-თა-ურ-ში კი უ-ურ უქონლობაზე მიუთითებს, სა-თა-ურ-ში კი სა-ურ დანიშნულების გამომხატველიაო... ეს ახლა, მაგრამ ისტორიულად სხვაგვარი ვითარება უნდა გვექნოდა. მაგ.: წინა ვითარების უძველეს მაწარმოებლად ოდენ ნა- უნდა გამოიყოს, ხოლო -ურ, -ეგ-, -არ კი თვით ფუძის კუთვნილებად მიგვაჩნია: თვისებისა (ან წარმომავლობის), -არ ქონების (თვისებისა)*, ხოლო -ეგ, რომელსაც ზოგჯერ -ებ ენაცვლება, კრებითობის ფუნქციისაა (ა. შანიძე, 1941, 761). ამით გასაგები ხდება ოდინდელი შინაარსი წარმოებისა. მაგ. ნა-ყან-ეგ-ი — არა ყანის, არამედ ყანების (ეს -ეგ//-ებ-ით გადმოიცა) ადრეულ არსებობას, ნა-სწორედ წარსულობას, ყოფილობას, გარდასულობას აღნიშნავს; ნა-ციხ-არ-ი = ადგილს, რომელიც ადრე ციხ-იან-ი იყო (არ ქონების ან თვისების აღმნიშვნელია) და ადარ არის (ციხის გარდასვლას, ყოფილობას ნამიანიშნებს). ასე რომ, ისტორიულად ნა-არ, ნა-ეგ, ნა-ურ... კი არ გამოიყოფა წინა ვითარების მაწარმოებლად, არამედ

* ნა-თა-ეგ ფორმა თვალნათლივ აღგვადგენინებს წარმოების საფეხურებს: თაე → თა-ე-ღ-ი (=თავიანი) — ნა-თა-ე-ღ-ი

ოდენ ნა-, ხოლო -არ, -ეგ, -ურ თვით საწარმოებელი ფუძის კუთვნილებაა, ოღონდ ეს საწარმოებელი ფუძე თავად წარმოქმნილი ფუძეა (ქონებისა და კრებითობის შინაარსისა).

-ეგ სუფიქსი (მტბეფარი), რომელიც მნიშვნელობით -ეთ სუფიქსს უდრის, იგივე ოდენობა უნდა იყოს, რაც -ეგ, -იგ სუფიქსებს აქვთ, რომლებიც ჭან-მეგრელთა ტომობრივ სახელწოდებებში გვხვდება ბერძნულ-სომხურ საგეოგრაფიო მწერლობაში - ჭან. -იგ, ლაზ. -იგ... -ეგ მაჩვენებელია იმისა, რომ ადგილს ძველად ტბ-ეგ-ი უნდა პრქმეოდა (ან ტბ-ებ-ი //ტბ-ეფ-ი), ისტორიულად კი -ეგ (ტბ-ეგ-ი) უფრო ადრინდელი უნდა იყოს, ვიდრე ტბ-ეთ-ი (ა. შანიძე, 1967, 31-32).

-არ სახელთა წარმომქმნელ კონფიქსებში იშვიათად დასტურდება: უ-შიშ-არ-ი, სა-ომ-არ-ი, სა-ბუდ-არ-ი.

ზემოთ აღნიშნული გვექონდა, რომ იგი ზანურიდან შემოსულია და მის ეკვივალენტად ქართულში გვევლინება -ელ ფორმანტი (ა. შანიძე, 1957, 31-32; ვ. თოფურია, 1937, 144). მიმღეობათა მაწარმოებელი -არ სხვა ოდენობაა: მ-დეგ-არ-ი, სა-ტეგ-არ-ი (ვ. თოფურია, 1937, 144). -არ სუფიქსი (და აგრეთვე -ელ) მიმღეობათა აქტიური, პროდუქტიული მაწარმოებლებია (ე. ოსიძე, 1958).

ნა-არ წინა ვითარების აღმნიშვნელი კონფიქსის პარალელურად წილობით რიცხვით სახელთა ნა-ალ კონფიქსიც გავრცელებულია ძველ ქართულში, ახალში კი შემოგვრჩა ძველი წარმოების რამდენიმე სიტყვა.

-ე სუფიქსი გამოიყოფა კონფიქსებში: სი-ე, სა-ე და მე-ე. შდრ.: სა-ყვაგილ-ე და მე-ყვაგილ-ე... -ე სუფიქსის თავდაპირველი სახის წარმოჩენა ჳირს. სავარაუდოა, რომ იგი რომელიმე სონანტით ყოფილიყო წარმოდგენილი. დანიშნულების შინაარსის სახელებში: სა-გარძ-ელ-ი,

სა-ყუდ-ელ-ი, სა-ძირკვე-ელ-ი, სა-ფუძვე-ელ-ი... გამოიყოფა სა-ელ კონფიქსი (გ. ბურჭულაძე, 1961). სა-ქმ-ე, უ-ქმ-ე ტიპისათვის არნ. ჩიქობავა აღადგენს: სა-ქმ-ელ, უ-ქმ-ელ სუფიქსებს (არნ. ჩიქობავა, 1942, 84). ე. ი. -ე ← -ელ. „ეს -ე სუფიქსი თავდაპირველად თანხმომვანდართული უნდა ყოფილიყო... სამცხე ტიპის წარმოებაში, ჩანს, ისეთი თანხმომვანი მოსდევდა, რომელიც ბოლოკიდურად ვერ ძლებდა: ეს თანხმომვანი ან ნ უნდა ყოფილიყო, ან ლ“ (არნ. ჩიქობავა, 1974, 75).

სა-ელ მომავალი დროის ვნებითი გვარის მიმღეობის მაწარმოებელია: სა-კვეთ-ელ-ი, სა-კიდ-ელ-ი, სა-ლხინებ-ელ-ი... მაგრამ ცნობილია, რომ სახელზმნური აფიქსები წარმოშობით სახელის საწარმოებელი აფიქსებია: „მიმღეობათა წარმოებისას სახელის ფუძის დეტერმინანტთა გამოყენება სავსებით ბუნებრივია: აქ სახელის წარმოებასთან გვაქვს საქმე, სახელი უნდა მივიღოთ ზმნისაგან და სახელის ფუძის საწარმოებელი აფიქსი უნდა იქნეს ბუნებრივად გამოყენებული“ (არნ. ჩიქობავა, 1974, 121).

მიმღეობა მონოგრაფიულად არის შესწავლილი ე. ოსიძის მიერ. ავტორის მიერ მიმღეობათა მაწარმოებელ კონფიქსებში პრეფიქსებად გამოყოფილი მ- (ა, ე, ი, თ ხმოვნებით), სა-, -ნა//ნე (და უარყოფით მიმღეობათა უ), აგრეთვე საწყისის მაწარმოებელი სი- (ეკ. ოსიძე, 1958, 5), იგივე ოდენობებია, რაც სახელთა წარმომქმნელად არის გამოყენებული (იხ. სქემა 2). ასევე სუფიქსები: -ელ, -არ, -ურ, -ალ, -ელ, -ევ (-ე → -ო) სახელთა წარმომქმნელიც არის, მაგრამ აღსანიშნავია, რომ განაწილების მხრივ ისინი სხვადასხვა სურათს გვიჩვენებენ: სახელებში -ურ, -ელ*, -ელ, -ევ უფრო გავრცელებული და მოქმედია, მიმღეობებში კი -ელ, -არ, -ილ (ე. ოსიძე, 1958, 5). ეს კი გვაგარაულებინებს

* სახელებში -ელ დამოუკიდებლად გვხვდება ახალ ქართულში, მიმღეობებში კი იგი მუ- და სა- პრეფიქსებთან ერთად კონფიქსში შედის.

შემდეგს: იმის გამო, რომ ზმნურ ფუძეთაგან სახელების საწარმოებლად ისევ სახელური დერივატები იქნა გამოყენებული, ხოლო მიმღებური ფორმების სიმრავლემ ამ კატეგორიის შემდგომი სრულყოფა გამოიწვია, საჭირო გახდა გამიჯნულიყო სახელური ფორმები სახელზმნურისაგან. ეს ძირითადად აფიქსთა ფონეტიკური სახეცვლილებითა და როლის განსაზღვრით მოხერხდა. სა—ელ კონფიქსი, რომელიც დანიშნულების სახელთა მაწარმოებელი გახდა: სა-ძიებ-ელ-ი, სა-ნატრ-ელ-ი... ხოლო სა-ე(-ლ) თანხმოვნის გარეშე წარმოდგენილი -ელ დანიშნულების სახელთა ჯგუფისათვის იქნა გამოყენებული: სა-ყვაფილ-ე, სა-ქვაბ-ე... ასევე: სა—არ მიმღებობის მაწარმოებელი გახდა, სა—ურ დანიშნულების სახელებისა: სა-თხოვ-არ-ი, სა-კენეს-არ-ი, სა-კუთხ-არ-ი (სპეც. გრადუსებად დაყოფილი ნახევარწრე კუთხეების გასაზომად, ტრანსპორტირი), კვამლ-ურ-ი, სა-ბარგ-ულ-ი, სა-კვებ-ურ-ი (სპეც. ჭურჭელი, რომლითაც პირუტყვს საკვებს აძლევენ). სა—არ სახელურ ფუძეს დაერთვის, სა—ურ — სახელზმნურს, ამიტომ გამიჯვნა ჭირს.

ის ფაქტი, რომ სახელისაგან ნაწარმოები სახელისა და ზმნისაგან ნაწარმოები სახელის გამიჯვნა ხშირად გაძნელებულია, იმით აიხსნება, რომ შინაარსეულად ისინი ერთი და იგივე ოდენობები არიან. უღრ.: სა-წვიმ-არ-ი — სა-წვიმ-ურ-ი — სა-წვიმ-ი/ო...

ქართულში ძლიერია მიმღებობათა გასუბსტანტივების პროცესი, საკმარისია, მიმღებობას ჩამოშორდეს ზმნისწინი, რომ იგი მაშინვე სახელად იქცევა. „მიმღებობათა გაქვავებისათვის (სახელად ქცევას ვგულისხმობთ) ხელი უნდა შეეწყოს იმ გარემოებასაც, რომ მიმღებობაში, ისევე როგორც სახელებში... ერთი და იმავე წარმოშობის პრეფიქსები გვაქვს“

(ლ. კინწურაშვილი, ც. ბალუაშვილი, 1970, 131).

ამგვარივე სურათს გვიჩვენებს სხვა ჯგუფებიც. მაგ.: ხელობის სახელები და მოქმედებითი გვარის მიმღობები: მო-ნადირ-ე, მო-ფარფატ-ე და მ-ქსოველ-ი... ფუნქციურადაც და წარმოებითაც დიდ სიახლოვეს გვიჩვენებს. წინა ვითარებისა და ნამყო დროის ვნებითი გვარის მიმღობათა ფორმები: ნა-ბუდ-არ-ი, ნა-დარბაზ-ე-ი, ნა-დავლ-ი, ნა-ფეხ-ურ-ი, ნა-გალობ-არ-ი, ნა-გულვ-ებ-ი, ნა-ვარაუდ-ე-ი, ნა-დნობ-ი, ნა-ზღა-ურ-ი, ნა-ზრდ-ულ-ი...

უქონლობის სახელები და უარყოფითი მიმღობები: უ-ანგარ-ო, უ-ენ-ო, უ-ემშაკ-ო... უ-არმყოფ-ელ-ი, უ-ბერებ-ელ-ი... მაგრამ: უ-ექვ-ო//უ-ექვ-ელ-ი.


აბსტრაქტული სახელები: სი-ლამაზ-ე, სი-მშვიდ-ე და საწყისები: სი-ყვარ-ულ-ი, სი-რბ-ილ-ი...

ე. ი. სახელური და სახელზმნური მაწარმოებლები ერთი და იგივე ოდენობებია. სახელთა წარმომქმნელი აფიქსები ენამ ზმნური ფუძეებისაგან სახელთა საწარმოებლად გამოიყენა. მიმღობის კატეგორიის სრულყოფის შედეგად გაიმიჯნა სახელური და სახელზმნური მაწარმოებლები. ერთი მხრივ: სა-ელ, სა-არ; მეორე მხრივ: სა-ე, სა-ურ.

მას შემდეგ, რაც შეიქმნა გარკვეული ყალიბი, ენას შესაძლებლობა მიეცა ამის მიხედვით ეწარმოებინა ახალი სახელები. ამის საუკეთესო მაგალითია: სი-ე → სი-ო, სა-ე → სა-ო, აგრეთვე -ება → -ობა, -ოვან → -იონ → -ონ.

დასკვნები: I. მქონებლობის, წარმომავლობის, აბსტრაქტულ და გეოგრაფიულ სახელთა მაწარმოებლებში ძირითად ელემენტებად გამოიყოფა -ან//-ენ, -ერ/ელ, -ედ/ებ, რომლებიც ფუძისეულ ან წინამავალ აჟ, ეჟ, იჟ ფორ-

მანტებთან შერწყმით გვაძლევენ ფონეტიკურად სახეცვლილ აფიქსებს.



2. დანიშნულების, წინა ვითარების, უქონლობის, ხელ-
ლობისა და აბსტრაქტული სახელები კონფიქსებით იწარ-
მოება.

როგორც ვარაუდობენ, კონფიქსების ელემენტები სხვა-
დასხვა ფუნქციას ასრულებენ (არნ. ჩიქობავა). ისტორიუ-
ლად წინა ვითარების აღსანიშნავად ოდენ ნა- გამოიყოფა,
ხოლო -ურ, -ევ, -არ თვით ფუძის კუთვნილებაა. თავის

მხრივ, ეს საწარმოებელი ფუძე წარმოქმნილია, ოღონდ განსხვავებული შინაარსისაა.

-ე სუფიქსი -ელ-ს აღგვადგენინებს სუფიქსური მორფემის მოდელის მიხედვით (არნ. ჩიქობავა, თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი), -ო კი სხვა აფიქსთა შორის მეორეულია და იგი ე-საგან მიღებულად ისახება (ე. ოსიძე).

მას შემდეგ, რაც ეს ფორმანტები დამოუკიდებელ აფიქსად (კონფიქსად) გააზრიანდა, მან ახალი ფუნქცია შეიძინა და სხვა ფუძეებთანაც იქნა გადატანილი.

თავი V

სახელთა წარმოქმნასთან დაკავშირებული ფონეტიკური ცვლილებანი

სახელთა წარმოქმნისას საწარმოებელ ფუძეზე სუფიქსის დართვა ხშირად ამოსავალ ფუძეში ცვლილებას იწვევს. იკვეცება ან იკუმშება ფუძისეული ხმოვანი, იკარგება მთელი მარცვალი, ჩნდება ახალი ბგერა, ხოლო ზოგჯერ ცვლილებას განიცდის თვით აფიქსიც.

1. რედუცირდება ფუძისეული ხმოვანი:

ა) იკუმშება ა, ე, ო (იშვიათად -ი) ხმოვანთა შემცველი ფუძეები: მარცვლ-ეულ-ი, მე-ელმაფლ-ე, ნა-დედოფლ-არ-ი... ფურცლ-ად-ი, ნა-ოფიცრ-ალ-ი, სა-ირმ-ე... ხშირად შეუკუმშავი ფორმები ერთმანეთის პარალელურად გვხვდება: სა-ქმარ-ო//სა-ქმრ-ო, უ-კვალ-ო//უ-კვლ-ო, ძვალ-ოვან-ი//ძვლ-ოვან-ი... კანონზომიერება არ დგინდება: ფოთლ-ურ-ა, მე-გოდრ-ე, სა-საბნ-ე... უნაგრ-იან-ი...

ბ) ზოგჯერ ხმოვანი უკვალოდ არ იკარგება, მის ნაცვლად ჩნდება ვ თანხმოვანი:

ე → ვ: ივლ-იან-ი (იელ-იან-ი)

ო → ვ: მინდვრ-იან-ი, ნივრ-იან-ი

უ → ვ: ფუფვნ-ეულ-ობა.

გ) იკვეცება ა, ე ხმოვნის შემცველი ფუძეები: ყბ-ედ-ი, ც-იერ-ი, ნა-შობ-ევ-ი, სა-თხ-ე... ჭდ-ეულ-ი, კლდ-ოვან-ი, ნა-ღამ-ევ-ი...

მოხეურში რედუცირებულია აფიქსისეული ხმოვანი: მე-ვბ-ე (ო. ქაჯ.).

2. რედუცირდება აფიქსისეული ხმოვანი:

ა) წარმოქმნილი სახელის ხელახლა წარმოებისას ხშირად იკარგვის პირველადი აფიქსის ხმოვანი:

ფშაგ-ლ-ობა, მე-დღე-ობ-ე, მო-აზრ-ოვნ-ე, სა-ბაღ-ოსნ-ო, ნივთ-იერ-ებ-ით-ი, ერ-ოვნ-ებ-ით-ი, ნა-ბიჭ-ვ-არ-ობა...

ერ-ოვნ-ებ-ით-ი-ს ტიპის ფორმებში იკარგება ორი სუფიქსისეული ხმოვანი. თუ შეიძლება ითქვას, აქ ჯაჭვური რედუქცია გვაქვს: სამი სუფიქსიდან ჯერ პირველი რედუცირდება მეორის გავლენით, შემდეგ ეს მეორე (მარედუცირებელი) რედუცირდება მესამე სუფიქსის ზემოქმედებით. გვაქვს აგრეთვე ამ წესიდან გადახვევის მრავალი ნიმუში: უ-სახელ-ოვან-ეს-ი, სა-მორიგ-ე-ო, სა-მე-თვალყურ-ე-ო, პატი-ოსან-ად (ფერიდნ.)...

ბ) ზოგჯერ ხმოვნის ნაცვლად ჩნდება ვ თანხმოვანი. ეს მოვლენა უმთავრესად დიალექტებისთვისაა დამახასიათებელი:

ე → ვ: უდ-იერ-ობა (მთარაქ.), ვორც-ივლ-ად (ფშაურ.), გემრ-ივლ-ად (თუშ.)...

უ → ვ: სა-შინა-ვრ-ო, სა-გარე-ვლ-ო (აქ.)...

ცნობილია, რომ ახალ ქართულ ენაში პრეფიქსი ვერ იწვევს ფუძისეული ხმოვნის რედუქციას (ა. შანიძე, 1956, 318). უძველეს ქართულში კი სხვა მდგომარეობა უნდა ყოფილიყო, — „პრეფიქსიც რომ მოქმედებდა ქართულში, ეს ჩანს მცირე, მაგრამ უდავო ფაქტებიდან, მაგ., ვამს — უვამს, ქამს — იქმს“ (ვ. თოფურია, 1956, 82).

გ. გოგოლაშვილი ოდენპრეფიქსით ნაწარმოებ სახელებ-

ში (ნა-ავდრ-ი, ნა-ფურცლ-ი, ნა-წამლ-ი, ნა-აბჯრ-ი...) რედუქციის მიზეზად პრეფიქსს მიიჩნევს: „... ამგვარ წარმოებაში: პრეფიქსის გავლენით როგორც ხმოვანფუძიან, ისე თანხმოვანფუძიან ორმარცვლიან სახელებში ხდება ბოლო მარცვლის ა და ე ხმოვანთა დაკარგვა. ორმარცვლიან ფუძეხმოვნიან და სონორებზე დაბოლოებულ სიტყვებში პრეფიქს-სუფიქსური წარმოების დროს ფუძისეული ხმოვნის დაკარგვა პრეფიქსის გავლენის შედეგი უნდა იყოს“ (გ. გოგოლაშვილი, 1970, 42). ეს ვარაუდი საექვოდ მიგვაჩნია, რადგან აფიქსისეულ ხმოვანს ძალა შესწევს მხოლოდ უახლოესი ხმოვნის რედუქციისა, ხმოვანს ხმოვანზე გადახტომით არ შეუძლია რედუქციის მოხდენა. ნაწამლ-ში რომ ნა-ს ხმოვანი იყოს მარედუცირებელი, წამალ ფუძე პირველ ა-ს დაკარგავდა, ე. ი. გვექნებოდა ნა-წმალ-ი და არა ნა-წამლ-ი, ქართულში ხმოვნით გათავებული პრეფიქსი, როგორც წესი, არ იწვევს ფუძისეული ხმოვნის დაკარგვას (არნ. ჩიქობავა, 1942, სმამ, ტ. 3). უკანასკნელი ფორმა სუფიქსის ხმოვნითაა გამოწვეული: ნა-წამლ-ავ-ი. ჰაპლოლოგიით ნა-წამლ-იც გვაქვს პარალელურად.

ზემოდასახელებულ ფორმებს კონფიქსით ნაწარმოები პარალელებიც მოეპოვება: ნა-ავდრ-ი → ნა-ავდრ-ალ-ი, ნა-სიცხ-ი → ნა-სიცხ-არ-ი... ამიტომ, უფრო მართებული იქნება ვიფიქროთ, რომ სუფიქსის ზემოქმედების გამო შეკუმშული ფუძე განზოგადდა და ოდენპრეფიქსით ნაწარმოებ სახელში უცვლელად გადავიდა.

3. ბგერის ჩართვა.

ა) ე თანხმოვნის ჩართვა: მე-მიმინო-ვ-ე, ნა-აბანო-ვ-არ-ი, სა-რძე-ვ-ე, სი-მარტო-ვ-ე, სი-მატარა-ვ-ე, სი-კობტა-ვ-ე, სა-ბზე-ვ-ე... ე ბგერის

განვითარების მიზეზი ხმოვნით დასრულებულ ფუძეზე ე ხმოვნის დართვაა. იგი ჩნდება ჰიატუსის ასაცილებლად, იმისათვის, რომ ფუძისეული და სუფიქსისეული ხმოვნების შერწყმა არ მოხდეს, სიტყვის მორფოლოგიური სტრუქტურა არ შეიბღალოს. ამავე მიზეზით ჩანს გაჩენილი ძველ ქართულში ვ ბგერა უ ხმოვანფუძიან სახელებში: კუ-ვ-ი, რუ-ვ-ი (შდრ. ი. იმნაიშვილი, 1956, 119). განვითარებული ვ ჩანს ქვა-ვ-ნარ-შიც.

ბ) ნ თანხმოვნის ჩართვა: ბედ-ნ-იერ-ი, კად-ნ-იერ-ი — ეს ფორმები ძველ ქართულშივე დასტურდებოდა. ი. იმნაიშვილი ვარაუდობს, რომ ეს ნ შეიძლება იყოს —ეან ან სხვა სუფიქსის ნაშთი, რომლის პირველადი ფუნქციის დაბნელების შემდეგ მას უნდა დართვოდა სხვა მაწარმოებელი, ნ კი ნაშთის სახით შემოგვრჩა ზოგ სიტყვაში (ი. იმნაიშვილი, 1956, 434). სახ-ნ-იერ, ფას-ნ-იერ, სმ-ნ-იერ ტიპის სახელებშინ მიჩნეულია —ან სუფიქსის ნაშთად (გ. ბურჭულაძე, 1961).

გ) რ თანხმოვნის ჩართვა: კუდ-რ-აჭ-ა, ცუგ-რ-იკ-ა, სა-წუთ-რ-ო, დიდ-რ-ოვან-ი//დიდ-რ-ვან-ი (ინგილ.) // დიდ-რ-ონ-ი (მესხ.) // დიდ-რ-ვიან-ები (აჭ.), დედ-რ-ოვან-ი, მამ-რ-ოვან-ი (შდრ. მდედ-რ-ობ-ით-ი, მამ-რ-ობ-ით-ი...) თავ-რ-იელ-ი, ფეხ-რ-იელ-ი, ხვაწ-რ-იელ-ი, გემ-რ-იელ-ი, კაც-რ-იელ-ი, უ-ბად-რ-უკ-ი...

ზოგიერთ ფორმაში რ შეიძლება —არ, —ურ სუფიქსთა ნაშთად მივიჩნიოთ, რომელიც რედუცირებული უნდა იყოს მეორე სუფიქსის დართვის შედეგად. პირვანდელ ფუძესთან რ (-არ//—ურ) სუფიქსების გამოვლენა ხერხდება: დიდ-რ-ოვან-ი, შდრ.: მ-დიდ-არ-ი, გემ-რ-იელ-ი და უ-გემ-ურ-ი, თავ-რ-იელ-ი და მ-თავ-არ-ი, ან თა(ვ)-ურ-ი, კაც-რ-იელ-ი//უ-კაც-რ-იელ-ი, უ-კაც-ურ-ი.

რ სუფიქსი ზემოდასახელებულ ფორმებში ქონება-თვისების აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო.

4. ნაწარმოები ფუძე ხშირად სახეცვლილია.

ა) ამ სახეცვლილების საფუძველი ყოველთვის არ არის ნათელი. ამის გამო გაძნელებულია საწარმოებელი ფუძის აღდგენა: უ-რჩხ-ულ-ი, სა-რჩხ-ულ-ი, უ-ხდ-ურ-ი, უ-ყამ-ურ-ი, უ-ჯმაჯ-ურ-ი, უ-წმაწ-ურ-ი.

ბ) ნაწარმოები სიტყვები ფონეტიკურად განსხვავდებიან იმ სიტყვისაგან, რომლისგანაც ისინი არიან მიღებულნი: უ-სუს-ურ-ი ← უ-სუსტ-ურ-ი, უ-ხელ-თ-ურ-ი (თ- მრ. რიცხვის ნიშანია; (ფშ. ვისაც ხელიდან არაფერი გამოუდის, ხელსაქმის უცოდინარი), უ-გუნ-ურ-ი → უ-გონ-ურ-ი.

გ) აფიქსის ხმოვნითი ელემენტი იწვევს ფუძისეული ვ თანხმოვნის დაკარგვას: უ-მჟავ-ო → უ-მჟა-ო, უ-ნათესავ-ო → უ-ნათესა-ო, უ-მოძრაფ-ო → უ-მოძრა-ო...

5. აფიქსთა სახეცვლილება.

ა), ასიმილაცია: თანხმოვნის რეგრესული ასიმილაცია: შა-შუაგულ-ო (აჭ.). დიალექტებში ხშირია აფიქსის ხმოვნის ასიმილაცია: ვორც-ავან-ა (მთიულ.), სა-ზოგად-ე-ებ-ა (იმერ.), სა-მე-კვლ-ა-ო (ხევს.).

ვიწროვდება თ ხმოვანი: სა-ცალ-უ-ებ-ი (ქიზ.), სა-ნადირ-უ-ებ-ი, სა-ცოლ-უ-ა (კახ.), უ-შვილ-უ-აყ-ი, უ-ცოლ-უ-აყ-ი (თუშ.), იქა-უბა (აჭ.).

ბ) დისიმილაცია: ფუძისეული თანხმოვნის ზემოქმედებით დისიმილაცია მოუდის აფიქსის რ თანხმოვანს: -იერ → -იელ, ნა-არ → ნა-ალ, -ურ → -ულ, მე-ურ → მე-ულ, -იურ → -იულ: ვორც-იელ-ი, ნა-კორდ-ალ-ი, ვაჭრ-ულ-ი, წრ-იულ-ი, მე-ბარგ-ულ-ი...

დისიმილაციის კანონს თითქმის არ ემორჩილება -ნარ სუფიქსი:

ბარდ-ნარ-ი, ვარდ-ნარ-ი, ჩირვგ-ნარ-ი, ვერხვ-ნარ-ი, რცხილ-ნარ-ი, კირ-ნარ-ი, ტორფ-ნარ-ი, ტირიფ-ნარ-ი... იშვიათია: -ნარ → -ნალ: არყ-ნალ-ი, ვერხვ-ნალ-ი...

გ) მეტათეზისი: სონორი ლ და რ ბგერების შენაცვლება დამახასიათებელია ქართული ენის დიალექტებისთვის: სა-ვერ-ულ-ი (მთიულ.), ძრ-იელ-ი, მადრ-იელ-ი, სურ-იელ-ი (მ. ალავიძე, 1966, 113).

დ) იკარგება სუფიქსისეული თანხმოვანი: სა-ხვალ-ი-ო, სა-იფეხ-ი-ო, სა-მთვარ-ი-ო, სა-ჭიდ-ა-ო, სა-თევზ-ა-ო, სა-ბურთ-ა-ო, სა-ჭორ-ა-ო...

ზემოდასახელებულ ფორმებში ი და ა ისტორიულად სუფიქსებია: ი ← იგ, ა ← აგ, შდრ. ჭიდ-ავ-ობ-ს და სა-ჭიდ-ა-ო, ბურთ-ავ-ობ-ს და სა-ბურთ-ა-ო, ცურ-ავ-ობ-ს და სა-ცურ-ა-ო...

ე) კონფიქსებში შემავეალი თ (სა-ო, სი-ო, უ-ოს) მიღებულია ე ხმოვნისა და ფუძეში არსებული ბაგისმიერი ბგერის ურთიერთქმედებით: სი-თბ-ეგ-ე → სი-თბ-გ-ე → სი-თბ-ო, სი-მსხვილ-ე → სი-მსხვ-ე → სი-მსხ-ო (სი-სხ-ო)... სა-თნ-ეგ-ე → სა-თნ-გ-ე → სა-თნ-ო... (ე. ოსიძე, 1963, 13), უ-ტკბ-ეს-ი → უ-ტკბ-ოს-ი, უ-მსხვილ-ეს-ი → უ-მსხვ-ეს-ი → უ-მსხ-ოს-ი...

ვ) წარმომავლობის ზოგ სახელში შემორჩენილია ბერძნული სუფიქსის ნაშთი: ისმაილ-ი-ტ-ელ-ი//ისმა-ი-ტ-ელ-ი, ლევ-ი-ტ-ელ-ი (მზ. შანიძე, 1956, 165).

დასკვნები:

1. ახალ ლექსიკურ ერთეულთა შესაქმნელად აფიქსური სიტყვაწარმოება ერთ-ერთ უმთავრეს საშუალებად ითვლება. იგი ორი საენათმეცნიერო დისციპლინის – გრამატიკისა და ლექსიკოლოგიის შესასწავლი ობიექტია. მორფოლოგია შეისწავლის დერივაციული აფიქსის სტრუქტურას, გენეზისს, ფუძესთან შეხამების წესებს, ხოლო ნაწარმოებ სიტყვათა ლექსიკურ-სემანტიკური დაჯგუფება ლექსიკოლოგიის ამოცანაა.

2. სიტყვაწარმოების საკითხები გაშუქებულია გრამატიკის ძველ, პრაქტიკულ სახელმძღვანელოებშიც, რომლებშიც დიდი ადგილი ეთმობა ძირეულ და წარმოქმნილ სახელთა დაპირისპირებას, აფიქსთა კლასიფიკაციასა და სემანტიკური ჯგუფების გამოყოფას. თუ თავს მოვუყრით მათ წვლილს სახელთა წარმოქმნის შესწავლის დარგში, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ქართული ენის შესწავლის თანამედროვე, მეცნიერულ ეტაპზე გადასვლის მომენტისათვის არსებობდა გარკვეული წარმოდგენა წარმოქმნასა და წარმოქმნის საშუალებებზე, მაგრამ ეს წარმოდგენა არ იყო სრული და სისტემური.

წარმოქმნილ სახელთა სემანტიკური ჯგუფები და მაწარმოებელი აფიქსები დადგენილია ა. შანიძის, არნ. ჩიქობავასა და ვ. თოფურიას მიერ.

უცხოელ ავტორთაგან სიტყვაწარმოების საკითხები გაშუქებულია ფრ. მაჯოს, მ. ბროსეს, ბ. რუდენკოსა და ჰ. ფოგტის ქართული ენის გრამატიკებში.

3. ახალ სალიტერატურო ქართულ ენაში წარმოქმნილ

სახელთა 16 სემანტიკური ჯგუფი გამოიყოფა, რომელშიც ნაწილდება 67 აფიქსი (პრეფიქსები, სუფიქსები და კონფიქსები). აფიქსთა სიხშირის ცხრილები (იხ. დანართი) გვიჩვენებს, რომ ყოველი მათგანის სამოქმედო ძალა განსხვავებულია. ეს სხვაობა საგრძნობია ძველი და ახალი ქართულის მონაცემთა შეპირისპირების დროსაც. მაგ., ძველ ქართულში ნაკლებ მოქმედმა აფიქსებმა: -იან, -ა, -ელ, -ეულ, -ობა, -ობ... ახალ ქართულში მნიშვნელოვნად გაიფართოვა სამოქმედო არე და ახალი ფუნქციებიც შეიძინა: -ა ტერმინთა შესაქმნელად გამოიყენეს, -ურ თვისების აღმნიშვნელი აფიქსი გახდა, -ელ მიმდევრობასა და მოსაქმეობაზე მიუთითებს, -ეულ კრებითობის ფუნქციისაა, -ობ ადგილის სახელებს აწარმოებს. ხოლო ძველ ქართულში მოქმედმა -ოვან, -ოსან, -ედ, -აკ, -ით, -ად, -ივ, რომელთა ხვედრითი წონა ახალ ქართულში ძალიან შემცირდა, სამეცნიერო და ტექნიკური ლიტერატურის ენამ კვლავ გაააქტიურა და ახალი სასიცოცხლო ძალით აღჭურვა: ხრტილ-ოვან-ი, ფრიად-ოსან-ი, თად-ედ-ი, ბავირ-აკ-ი, ჟანგვ-ით-ი, დრეკ-ად-ი, გრძ-ივ-ი, წრფ-ივ-ი... სპეციალური სიტყვები შექმნილია ქართული სიტყვის ოდინდელი საადმშენებლო მასალით: ქართულში არსებული ფუძეებისა და ქართულშივე არსებული მორფემების შეერთებით (ბ. ფოჩხუა, 1974, 108). ახალ სიტყვათა წარმოსაქმნელად ენა იშვიათი ხმარების აფიქსს მიმართავს.

საგრძნობია -ურ შემადგენლიან კონფიქსთა (სა—ურ, მე—ურ, ნა—ურ, უ—ურ) და ოდენპრეფიქსით (ნა-, სა-) ნაწარმოებ სახელთა როლის ზრდაც.


სემანტიკური ჯგუფის საზღვრებში აფიქსთა მონაცვლეობა ზოგჯერ მნიშვნელოვანი სემანტიკური გადახრით აღინ-

იშნება (შდრ.: სა-თვალ-ე და სა-თვალ-ო, ცხიმ-იან-ი და ცხიმ-ოვან-ი).

საყურადღებოა, რომ იდენტური შინაარსის კონფიქსები (უ—ო, უ—ურ; სა—ო, სა—ე, სა—ურ; ნა—ეგ, ნა—არ, ნა—ურ; მე—ე, მე—ურ) განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებენ ფუძეებთან შეხამებადობის თვალსაზრისით: -ურ შემადგენლიანი კონფიქსი დაერთვის მხოლოდ უმარცვლო ან ერთმარცვლიან ქართულ ფუძეს, -ე შემადგენლიანი კონფიქსი დაერთვის მხოლოდ ა,ე ხმოვნებზე დასრულებულ და თანხმოვანფუძიან, ერთ ან ორმარცვლიან ქართულ ფუძეებს (გამონაკლისია მე—ე კონფიქსით ნაწარმოები სახელები), ხოლო -ო შემადგენლიანი კონფიქსი შეუზღუდავია ფუძეთა შერჩევის თვალსაზრისით: დაერთვის ყველა ხმოვანსა და თანხმოვანზე დასრულებულ ერთ, ორ, სამ და მრავალმარცვლიან ქართული და უცხო წარმომავლობის სახელებს.

